

რუსუდან როგავა

ვადების მოქნილობის უპირატესობა კერძო
სამართალში

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
თბილისი
2022

რუსუდან როგავა

ვადების მოქნილობის უპირატესობა კერძო სამართალში

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2022

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო
პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კერესელიძე, პროფესორი

სარჩევი

აბრევიატურები.....	VI
შესავალი	1
2. მოთხოვნის ხანდაზმულობის განმარტება	7
2.1. ფუნქცია და მიზნები	7
2.2. მოქმედების სფერო	11
3. ხანდაზმულობის დატვირთვა საპროცესო და მატერიალურ სამართალში	15
3.1. მხარის შესაგებელი	15
3.2. ხანდაზმულობაზე მითითება ზემდგომ ინსტანციაში.....	19
3.3. საპროცესო თუ მატერიალურ-სამართლებრივი ბერკეტი	21
3.4. განსხვავებულ მიდგომათა ეფექტი საერთაშორისო კერძო სამართალზე	27
4. ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისთან დაკავშირებული მიდგომები.....	33
4.1. ვადის ათვლის სუბიექტური და ობიექტური საფუძვლების კონკურენცია.....	33
4.2. უფლების დარღვევის შეცნობა და გადახვევები ზოგადი წესიდან	35
4.3. უფლების დარღვევის მომენტის დადგენის პრობლემატიკა ვალდებულების შესრულების ვადის განუსაზღვრელობისას.....	37
4.4. დელიქტური ქმედებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციფიკა.....	40
5. ხანდაზმულობის შეჩერება და შეწყვეტა.....	44
5.1. ზოგადი პრინციპები.....	44
5.1.1. ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლების შესაბამისობა მოწესრიგების მიზანთან.....	48
5.1.2. დაუძლეველი ძალის ფართო განმარტება	52
5.1.3. ხანდაზმულობის შეჩერება მედიაციისა და მოლაპარაკებისას	55
5.2. ხანდაზმულობის შეწყვეტა მხოლოდ უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზე	58
5.3. ხანდაზმულობის შეწყვეტასთან დაკავშირებული სადავო საკითხები	60
5.3.1. ხანდაზმულობის შეწყვეტა სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვით.....	61
5.3.2. მოთხოვნის არსებობის დადასტურების ფორმა და ვადა ხანდაზმულობის შეწყვეტის მიზნებისთვის	71
6. პარალელი საპროცესო სამართალთან ვადების აღდგენისა და შეჩერების თვალსაზრისით.....	76

6.1. საპროცესო ვადების აღდგენის შეზღუდვა ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში	78
6.2. საპროცესო ვადების აღდგენა შედარებით სამართალში	80
6.3. ვადების აღდგენის შესაძლებლობის აუცილებლობა კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად	85
7. ცალკეულ მოთხოვნათა ხანდაზმულობა.....	89
7.1. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნის და პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობა.....	89
7.2. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობა	92
7.3. ხანდაზმულობის შესაგებელი გაქვითვის და შესრულებაზე უარის უფლების შესაგებლების წინააღმდეგ.....	97
8. უფლების გამომრიცხავი ვადები.....	104
8.1. გამომრიცხავი ვადების ფუნქცია და ზეგავლენა უფლებაზე.....	104
8.2. შეცილების ვადების სავალდებულო გათვალისწინება სასამართლოს მიერ და მტკიცების ტვირთი	108
8.3. შეცილების ვადის დენის დასაწყისის განსაზღვრის პრობლემატიკა მუქართ დადებული გარიგებისას	110
8.4 ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგების ბათილობის შეცილების ვადა სამეწარმეო სამართალში	115
9. ვარგისიანობის გარანტიის და მოთხოვნის ხანდაზმულობის ურთიერთმიმართება	119
9.1. გარანტიის მნიშვნელობა	119
9.2. ვარგისიანობის გარანტია.....	121
9.3. ვარგისიანობის გარანტიის ზეგავლენა ხანდაზმულობის ვადაზე	124
9.4. ვარგისიანობის ვადის დენის დასაწყისი და ხანდაზმულობის გამოსაყენებელი ვადა.....	129
10. ვადები მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას ..	133
10.1. სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის ვადები.....	134
10.2. საცილო გარიგების შეცილების ვადა და მეორადი მოთხოვნები.....	141
10.3. მოტყუებით ან მუქართ დადებული გარიგების შეცილების და ამორალურობის საფუძველით გარიგების ბათილობის კონკურენცია.....	143
10.4. მოტყუებით ან მუქართ დადებული გარიგების შეცილება და culpa in contrahendo.....	148
10.5. მოტყუების ან მუქარის საფუძველზე დადებული გარიგებები და დელიქტი.....	151
10.6. მუქართ დადებული გარიგების შეცილება და სსკ-ის 978 მუხლი.....	158
11. კეთილსინდისიერების გავლენა ხანდაზმულობაზე	164

11.1. უფლების გამოყენების შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპით	164
11.1.1. გერმანულ სამართალში განვითარებული პრაქტიკა.....	165
11.1.2. პრეცედენტული სამართლის პერსპექტივა	168
11.1.3. უნიფიცირებული სამართალი.....	170
11.2. ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების შეზღუდვა გერმანულ სამართალში.....	174
11.3. ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების აკრძალვა ანგლო-ამერიკულ სისტემაში	177
11.4. სახელმწიფოს შეზღუდვა მიუთითოს ვადებზე	180
11.5. მოთხოვნის გაქარწყლება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.....	182
11.5.1. ანგლო-ამერიკული Laches.....	182
11.5.2. გერმანული Verwirkung.....	183
12. ხანდაზმულობის ვადების დისპოზიციურობა	189
12.1. სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა ხანდაზმულობის იმპერატიული დანაწესით	189
12.2. ვადების დისპოზიციურობა უნიფიცირებულ სამართალსა და სხვა ქვეყნებში.....	193
12.3. შეზღუდვების ფუნქცია გერმანული მიდგომის მაგალითზე	197
12.3.1. ხანდაზმულობის პირობების შემსუბუქება.....	198
12.3.2. ხანდაზმულობის ვადის გაზრდა შეთანხმებით.....	206
12.4. მხარეთა შეთანხმება შესაგებელზე უარის თქმის თაობაზე	208
12.5. დისპოზიციური მოწესრიგების უპირატესობა.....	210
13. დასკვნა	212
ბიბლიოგრაფია	222

აბრევიატურები

ქართულენოვანი აბრევიატურები:

სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ.	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
იხ.	იხილე
შეად.	შეადარე
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
რედ.	რედაქტორი

უცხოენოვანი აბრევიატურები:

Aufl.	Auflage
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
BAG	Bundesarbeitsgericht
CISG	Contracts for International Sales of Goods
UNIDROIT	Institut International Pour L'Unification du Droit Prive
PECL	Principles of European Contract Law
DCFR	Draft Common Frame of Reference
NJW	Neues Juristisches Wochenschrift
JuS	Zeitschrift Juristische Schulung
OLG	Oberlandesgericht
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law
Rn	Randnummer
Verl.	Verlag

შესავალი

სამართლის სხვა დარგებთან მიმართებით, კერძო სამართალი ყველაზე მოქნილი და თავისუფალი სამართალია, ეფუძნება რა სახელშეკრულებო ნების ავტონომიას, მარტივად ერგება ეკონომიკური ბაზრის ყოველდღიურ განვითარებასა და ახალ გამოწვევებს.

ამავდროულად, სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტით კერძო სამართლის სუბიექტთა ნება შეზღუდულია „სამოქალაქო ბრუნვის“ სტაბილურობის, მესამე პირთა უფლებებისა თუ საჯარო წესრიგის უზრუნველსაყოფად.¹

ამგვარი შემზღუდავი დატვირთვა აქვს ვადებს კერძო სამართალში, რომელიც მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნების ან უფლებების სახელმწიფოს „ჩარევით“² რეალიზების შესაძლებლობას დროის განსაზღვრულ ჩარჩოში აქცევს.

კერძო სამართალში ვადების არსებობის კვალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე-მეხუთე საუკუნემდე აღწევს.³ ისტორიული წყაროების მიხედვით, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები პირველად რომაულ სამართალში ჩვენი წელთაღრიცხვით მეხუთე საუკუნეში დაკანონდა.⁴

¹ შუად. სსკ-ის მე-9 მუხლი: *სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს*. შუად. ასევე *Paulus, Zenker, Grenzen der Privatautonomie JuS 2001, 1.*

² შუად.: *Michael E. Chaplin, Reviving Contract Claims Barred by the Statute of Limitations: An Examination of the Legal and Ethical Foundation for Revival, 75 Notre Dame L. Rev. 1571 (2000). 1572; Triggiano, Annalisa, short remarks on extinctive prescription in legal history, 10 US-China L. Rev. 35 2013, 40.*

³ შუად. მითითება გაიუსის ინსტიტუციებზე: *Reforming the French Law of Obligations, Comparative Reflections on the Avant-projet de réforme du droit des obligations et de la prescription ('the Avant-projet Catala')* edited by *John Cartwright, Stefan Vogenauer and Simon Whittaker* Oxford and Portland, Oregon 2009, 363, *supranote N4.*

⁴ *Reforming the French Law of Obligations, Comparative Reflections on the Avant-projet de réforme du droit des obligations et de la prescription ('the Avant-projet Catala')* edited

ეპოქათა ცვლილებას სამართალში ვადების არსებობის საჭიროება ეჭვქვეშ არ დაუყენებია. თუმცა პერიოდულად იცვლება საჯარო წესრიგის შინაარსი და დამოკიდებულება სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ.⁵ ვადებიც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

შემთხვევითი არ არის, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისთან ერთად, ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანმა სამართლებრივმა სისტემებმა მკვეთრი ცვლილება განიცადა. ასეთია გერმანული⁶, ფრანგული⁷, შვეიცარიული⁸, ინგლისური⁹ სამართალი.

არაერთმა ქვეყანამ ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციასთან ერთად შეცვალა ვადებთან დაკავშირებული დოგმატური მიდგომები, რომელიც ხანგრძლივი დისკუსიების

by John Cartwright, Stefan Vogenauer and Simon Whittaker Oxford and Portland, Oregon 2009, 365.

⁵ ვრცლად კერძო სამართლის დინამიური და მუდმივად გარდაქმნადი ბუნების თაობაზე იხ. *Weinrib, J Ernest*, Understanding Private Law, in the Idea of Private Law, Oxford Scholarship online, January 2013, 3-6, 12-13.

⁶ შეად.: გერმანიის ბუნდესტაგი, ცვლილების განმარტებითი ბარათი: Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040; ვრცლად ცვლილებების თაობაზე შეად: *Zimmermann, Reinhard*, German Law of obligations: historical and comparative perspectives, pub. Date 2005, Oxford Scholarship online 2012, 124-126.

⁷ Reforming the French Law of Obligations, Comparative Reflections on the Avant-projet de réforme du droit des obligations et de la prescription ('the Avant-projet Catala') edited by John Cartwright, Stefan Vogenauer and Simon Whittaker Oxford and Portland, Oregon 2009; შეად. *Triggiano, Annalisa*, short remarks on extinctive prescription in legal history, 10 US-China L. Rev. 35 2013, 43.

⁸ შვეიცარიაში ხანდაზმულობის რეფორმა 2018 წელს გატარდა, რომელიც 01/01/2020-დან ამოქმედდა. შეად: *Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Änderung vom 15. Juni 2018*, Schweizerische Eidgenossenschaft.

⁹ ინგლისში რეფორმის არაერთი წარუმატებელი მცდელობა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, შეად: *Consultation Paper of the Law Commission 1998 to Limitation Act 1980, (LCCP151)*. შეად. ასევე: *Zimmermann, Reinhard*, German Law of obligations: historical and comparative perspectives, pub. Date 2005, Oxford Scholarship online 2012, 125.

საგანი იყო.¹⁰ ამის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ისიც, რომ ვადები კერძო სამართლის საკმაოდ სტატიკურ ნაწილად ჩამოყალიბდა და კანონმდებელს უჭირდა მასთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება.¹¹ რამაც თავის მხრივ, ხანდაზმულობის და სხვა ვადების მომწესრიგებელი ნორმების თანამედროვეობასთან შეუსაბამობა განაპირობა.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე კერძო სამართალში ვადებთან დაკავშირებული ჩანაწერები უფრო მოქნილი გახდა, შემცირდა ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადები და მაქსიმალურად უნივერსალური ვადები დაწესდა სხვადასხვა მოთხოვნებთან მიმართებით.¹² აღნიშნულს ხელი შეუწყო ევროპის უნიფიცირებულმა სამართალმა – უნიდროას¹³ პრინციპების, PECL¹⁴-ის და DCFR¹⁵-ის შემუშავებამაც.¹⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნის პერიოდში ევროპაში ხანდაზმულობის ვადების ცვლილების საჭიროების

¹⁰ შეად. გერმანიაში ვადების მოდერნიზების აუცილებლობაზე: *Heinrichs, Helmut*, Reform des Verjährungsrechts? NJW 1982, 2021, 2024; *Rabe, Dieter*, Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts: Verjährung NJW 1992, 2395.

¹¹ Jacobson Herbert, Notes on the Independent Life of Statutes of Limitation, 2011 Freilaw: Freiburg L. Students J. 1 (2011), 1. ავტორის მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადების მოდიფიცირება მისი კერძო სამართალზე არსებითი ზეგავლენის გამო პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხს წარმოადგენს, რის გამოც მისი ცვლილება უკავშირდება საზოგადოების მოთხოვნას, კომერციული ორგანიზაციების მხრიდან წნეხს კანონმდებელზე.

¹² *Zimmermann, Reinhard*, German Law of obligations: historical and comparative perspectives, pub. Date 2005, Oxford Scholarship online 2012 125-126. შეად. ასევე: *Triggiano, Annalisa*, short remarks on extinctive prescription in legal history, 10 US-China L. Rev. 35 2013, 43.

¹³ Unidroit Principles of International Commercial Contracts 2010, edit. 2016.

¹⁴ Principles of European Contract Law, Lando Commission.

¹⁵ Draft Common Frame of Reference, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law.

¹⁶ *Zimmermann, Reinhard*, German Law of obligations: historical and comparative perspectives, pub. Date 2005, Oxford Scholarship online 2012, 129.

თაობაზე დისკუსია უკვე დაწყებული იყო.¹⁷ გერმანიაში დაგროვილი გამოცდილების მაგალითზე¹⁸, ქართველმა კანონმდებელმა მეტნაკლებად მოქნილი მოთხოვნის ხანდაზმულობის სისტემა შემოიღო.¹⁹ თუმცა, ხანდაზმულობის ვადების მოდიფიცირების შესაძლებლობის მიმართ კონსერვატორული მიდგომა აირჩია და იმპერატიულად აკრძალა ამგვარი შეთანხმება მხარეთა შორის.²⁰

ნაშრომში გაანალიზებულია ვადების ფუნდამენტური ადგილი კერძო სამართალში და მათი როლი ისეთი სამართლებრივი საკითხების გადაჭრისას, როგორცაა კეთილსინდისიერების პრინციპის ზეგავლენა ამა თუ იმ უფლებისა თუ შესაგებელის დაყენებისას, მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას ვადების როლი და მათი მეშვეობით კონკურენციის საკითხის გადაჭრის შესაძლებლობა, ხანდაზმულობის ვადების იმპერატიული მოწესრიგების მიზანშეწონილობის ფარგლები.

ნაშრომში განხილულია ხანდაზმულობისა და სხვა ტიპის ვადები, რომლებიც კერძო სამართალში მხარეთა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერ ურთიერთობებზე ზემოქმედებენ. საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, ლოგიკურია შეიცვალოს მიდგომა ამა თუ იმ

¹⁷ მაგალითისთვის, ინგლისი: Consultation Paper of the Law Commission 1998 to Limitation Act 1980, (LCCP151); გერმანიისთვის: *Zimmermann, Reinhard*, German Law of obligations: historical and comparative perspectives, pub. Date 2005, Oxford Scholarship online 2012, 124.

¹⁸ მაგალითისთვის, შეად. სსკ-ის 128, 129-ე მუხლები, რომლებიც მარტივ და ერთიან ხანდაზმულობის ვადებს გვთავაზობენ, მათ შორის, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის 3 წლიან ვადას, განსხვავებით გერმანული კომპლექსური, მრავალსაფეხუროვანი ხანდაზმულობის ვადებისგან (შეად. გსკ 01/01/1900 წლის რედაქცია, §195 - §197.

¹⁹ ქართული სისტემა შეესაბამება, მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისთან დაკავშირებით (სსკ-ის 130-ე მუხლი) უნიფიცირებული სამართლის მიდგომას, შეად: PECL 14:203.

²⁰ შეად. სსკ-ის 146-ე მუხლი, რომლითაც გამორიცხულია ხანდაზმულობის ვადების და წესების მხარეთა მიერ შეცვლა და მოდიფიცირება. შეად. ასევე: *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 5.

ვადის აუცილებლობის თუ მის დაცვით ფუნქციასთან²¹ მიმართებით. შესაძლოა ჩამოყალიბდეს განსხვავებული შეხედულებები ვადების მიზნებთან და შემზღუდავ ხასიათთან დაკავშირებით. ის ვადა, რაც ადრე გონივრულად მიიჩნეოდა, დღეს შესაძლოა შეუსაბამოდ ხანგრძლივი²² აღმოჩნდეს.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა მოთხოვნის ხანდაზმულობის ფუნქციების, მისი მიზნებისა და მოქმედების სფეროს შესწავლას.

ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია ხანდაზმულობის მიმართ არსებული მიდგომები კონტინენტურ და ანგლო ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში. ხანდაზმულობა ზემოქმედებს მოთხოვნაზე, თუ არის საპროცესო სამართლებრივი ბერკეტი. რა ზემოქმედება აქვს სხვადასხვა შეხედულებებსა და გამოყენებულ მიდგომებს საერთაშორისო კერძო სამართლის მხრივ.

ნაშრომის მეოთხე თავში ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისთან დაკავშირებული საკითხებია გაანალიზებული, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორცაა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისისადმი განსხვავებული მიდგომის საჭიროება.

ნაშრომის მეხუთე თავში შესწავლილია ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობები, მათი აუცილებლობიდან გამომდინარე და გაანალიზებულია ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული მოწესრიგების მიზანშეწონილობა.

²¹ მაგალითისთვის, გერმანიაში მე-19 საუკუნეში სავინი იცავდა იმჟამინდელ გაბატონებულ მოსაზრებას, რომ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების ხელშეკრულებით შეცვლა დაუშვებელი იყო; დღეს გერმანიაში დოქტრინაშიც და პოზიტიურ სამართალშიც, აღიარებულია რომ ასეთი შეთანხმებები სახელშეკრულებო თავისუფლებითაა დაცული, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, შეად: *Savigny, Carl von, System des heutigen Romischen Rechts, Band V (1841), 411*; შეად. გსკ მოქმედი რედაქცია §202.

²² ხანგრძლივი ვადის შემცირების მაგალითია, გერმანიაში ჩვეულებრივი ხანდაზმულობის ვადის შემცირება 30-იდან 3 წლამდე, შეად. გსკ §195, 01.01.1900 წლის და 01.01.2002 წლის რედაქციები. 30-წლიანი ხანდაზმულობის საერთო ვადა გამოიყენება შეზღუდულად შეად. გსკ §197.

შემოთავაზებულია შეჩერების დამატებითი საფუძვლები, ხანდაზმულობის ინსტიტუტის მიზნის გათვალისწინებით.

ხანდაზმულობის შეჩერების საკითხის ანალიზთან მიმართებით, განმარტებისა და ინტერპრეტაციის დამატებით წყაროდ წინამდებარე კვლევაში მოხმობილია სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული ვადები და მათი აღდგენის თუ შეჩერების მიმართ არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება. ნაშრომი ეყრდნობა და ამუშავებს ამა თუ იმ საკითხს ვადების იმპერატიული მოწესრიგების საჭიროების, სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ფარგლების გარშემო. ამ თვალსაზრისით, კვლევისთვის მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, გაანალიზდეს რა მიზნებს ემსახურება ვადები საპროცესო სამართალში და დაცულია თუ არა მოცემულ შემთხვევაში, ბალანსი ვადების აუცილებლობასა და მხარის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას შორის. ამ მიზნით, ნაშრომის მეექვსე თავში გაივლება პარალელი ერთი მხრივ მოთხოვნის ხანდაზმულობის, ხოლო მეორე მხრივ, საპროცესო ვადების მიზნებთან. განიხილება ამ ვადების აღდგენის აბსოლუტური აკრძალვის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი.

ნაშრომის მეშვიდე თავი კონკრეტული მოთხოვნების მიმართ არსებულ ხანდაზმულობის ვადებს და ვადების ურთიერთმიმართებას სხვა ტიპის შესაგებებლებთან, არა ამომწურავად აანალიზებს, მათ შორის, როგორცაა, ვადები შრომის სამართალში, ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვა, ხანდაზმულობა მოთხოვნის დათმობისას და სხვ.

ნაშრომის მერვე თავში უფლების გამომრიცხავი ვადების მნიშვნელობაა განმარტებული და ქართული სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე გაანალიზებულია მათი სამართლებრივი დატვირთვა და განსხვავება მოთხოვნის ხანდაზმულობისაგან.

ნაშრომის მეცხრე თავში გაანალიზებულია ვარგისიანობის გარანტიის ვადების მნიშვნელობა და მათი განსხვავება ხანდაზმულობის ვადებისაგან, ხანდაზმულობის გამოსაყენებელი

ვადები და გარანტიის მეშვეობით, ხანდაზმულობისთვის გვერდის ავლის შესაძლებლობა.

ნაშრომის მეათე თავში აღწერილია ვადების ზეგავლენა მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევებზე, როდესაც სხვადასხვა მოთხოვნა განსხვავებულ ვადებს ექვემდებარება და გაანალიზებულია ვადების როლი ამგვარი კონკურენციის საკითხთა გადაწყვეტისას.

ნაშრომის მეთერთმეტე თავში წარმოდგენილია კეთილსინდისიერების ზეგავლენა ხანდაზმულობასა და ვადების გამოყენებაზე კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში. აღწერილია შემთხვევათა ჯგუფები, როდესაც კეთილსინდისიერების პრინციპი განაპირობებს ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, მოთხოვნის რეალიზაციის შეზღუდვას, ან პირიქით, მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, მხარის უფლების შეზღუდვას, დააყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი.

ნაშრომის მეთორმეტე თავი აანალიზებს ხანდაზმულობის იმპერატიული მოწესრიგების საჭიროებას და მის ფარგლებს. აღწერილია მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვის უფრო ლიბერალური გზები და შემოთავაზებულია ალტერნატიული მოწესრიგება.

1. მოთხოვნის ხანდაზმულობის განმარტება

1.1. ფუნქცია და მიზნები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მიხედვით, „*სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.*“ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს თავისი მოთხოვნის სასამართლოს გზით, იძულებით განხორციელების ან დაცვის შესაძლებლობას.²³

²³ შეად.: კვანტალიანი, ნუნუ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 2.

მოთხოვნის განხორციელებადობის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დაწესებით კანონმდებელი არსებითად ერევა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში. ასეთ ჩარევას ლეგიტიმური მიზნები ამოძრავებს. ამავდროულად, სამართლის განვითარებასთან ერთად, ხანდაზმულობის ვადები მართალია ინარჩუნებს მნიშვნელობას, თუმცა სამართლებრივი სისტემები ცვლიან მიდგომებს ჩარევის ფორმასა და მასშტაბებთან მიმართებით.

შედარებითი სამართლის მეცნიერებაში, სხვა მეორეხარისხოვან მიზნებთან ერთად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ფუნქციები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს, პირველია ინდივიდუალურად, პოტენციური მოვალის დაცვა²⁴; მეორეა, სამართლებრივი წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.²⁵ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ რთულდება არა მხოლოდ მოთხოვნის არსებობის, არამედ მისი შესრულების მტკიცებაც.²⁶ ამიტომ ხანდაზმულობა იცავს პირს, რომელიც ხანგრძლივი დროის გასვლის გამო, შეცდომით შესაძლოა მოვალედ იქნას მიჩნეული.²⁷ მოთხოვნის მართებულობის შემთხვევაშიც, მოვალე მის მიმართ არსებული პოტენციური მოთხოვნის გამო, განუჭკვრეტადი დროით

²⁴ შეად: აშშ-ს მაგალითისთვის პრეცედენტული გადაწყვეტილება: General Motors Corv. Superior Court, 65 Cal.2d 88.

²⁵ შეად: *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 72.

²⁶ შეად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/531, 05.11.2013 პ. II-22; აქვე შეად. გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს მიერ დასახული მიზანი ხანდაზმულობის მოწესრიგებისას: Deutscher Bundestag Drucksache 14/6040, 14/05/2001, 96. *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 77-78; შეად. აშშ-ს კალიფორნიის შტატის სასამართლოს მიერ დასახელებული მიზნები 1966 წლის დავაში: General Motors Corv. Superior Court, 65 Cal.2d 88.

²⁷ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §194, Überblick Rn 2, 7; შეად. ასევე გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლო: BGH, X ZR 67/92, 20/04/1993.

არ უნდა იყოს „რისკის“²⁸ ქვეშ და გონივრული პერიოდის შემდეგ მოთხოვნის შესრულებაზე უარის უფლება უნდა ჰქონდეს.²⁹

მოვალის ინდივიდუალური ინტერესის დაცვის პარალელურად, ხანდაზმულობის ინსტიტუტის უმთავრეს მიზნად³⁰ მაინც სამართლებრივი წესრიგის და საჯარო ინტერესების დაცვა არის მიჩნეული.³¹ თუ მოთხოვნის განხორციელება არ ხდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ამ მდგომარეობის შენარჩუნება უკვე სამართლებრივი წესრიგის და სტაბილურობის ინტერესებში ექცევა.³² საქართველოში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები და სამართლებრივი დოქტრინაც ხანდაზმულობის უპირველეს მიზნად „სამოქალაქო ბრუნვის სტაბილიზაციას“³³

²⁸ ასეთია გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს მიერ განმარტებული მიზნები ხანდაზმულობის დაწესებისთვის: *Begründung*, BT-Drucks 14/6040, 96; *Reforming the French Law of Obligations*, Comparative Reflections on the Avant-projet de réforme du droit des obligations et de la prescription ('the Avant-projet Catala') edited by *John Cartwright, Stefan Vogenauer and Simon Whittaker* Oxford and Portland, Oregon 2009, 362.

²⁹ საფრანგეთშიც ხანდაზმულობის ანალოგიური მიზნებია აღიარებული: *Janke, Benjamin West and Licari, François-Xavier*, The French Revision of Prescription: A Model for Louisiana? *Tulane Law Review*, Volume 85, No. 1, 2010, 25.

³⁰ *Durnford, John W*, Some Aspects of the Suspension and of the Starting Point of Prescription, *Heinonline*, 13 R.J.T. o.s. 245, 1963, 246;

³¹ შეად. ასევე: *Münchener Kommentar zum BGB* 6. Auflage 2012, *Grothe*, §202 Rn 1-3; და *Jackson, David*, The legal effects of the passing of time *Heinonline* 7 Melb. U. L. Rev. 407, 1969-1970, 409.

³² მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში ხანდაზმულობის ერთგვაროვანი მიზნებია აღიარებული, შედარებისთვის: *Lee, John*, An overview of the Ontario limitations act 2002, 2004, 31; *Begründung*, BT-Drucks 14/6040, 96; *Janke, Benjamin West and Licari, François-Xavier*, The French Revision of Prescription: A Model for Louisiana? 25.

³³ იხ. ვრცლად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007 წ. 63, 89-90.

ასახელებს.³⁴ სასამართლოების მიერ ხაზგასმულია მტკიცებულებების დაკარგვის, სახეცვლის და მათი არაობიექტური შეფასების რისკის ზრდის საფრთხეებიც.³⁵

ხანდაზმულობის მეორად მიზნად ასევე სახელდება სასამართლო პროცესის ეკონომია.³⁶ იგი ემსახურება სასამართლო ხელისუფლების ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილებას და „უპერსპექტივო“ სარჩელების განხილვისგან დაცვას.³⁷

მეორე მხრივ, უდავოა, რომ ხანდაზმულობის ინსტიტუტი კრედიტორის უფლებებს ზღუდავს. შეზღუდვა სამართლებრივ დოქტრინაში გამართლებულია კრედიტორის უმოქმედობით, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მას აღარ აქვს მოთხოვნის შესრულების ინტერესი.³⁸ უმოქმედობა უჩენს მოვალეს ნდობას, რომ

³⁴ შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 3, ავტორი აქ პირველად მიზნად სასამართლოსთვის ფაქტების დადგენის გამარტივებას ასახელებს.

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე №3/1/531, 05.11.2013, პ. II-21; შეად. ECHR *Stubbings and others v the United Kingdom* Application no. 22083/93; 22095/93; სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ციტირებს: „...ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებსგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს.“ (პარ. 51).

³⁶ *Carl von Savigny*, *System des heutigen Romischen Rechts*, Band V (1841), შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 3, სადაც ეს პირველ მიზნად სახელდება.

³⁷ ECHR *Stubbings and others v the United Kingdom* Application no. 22083/93; 22095/93; შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 3.

³⁸ შეად. *Durnford, John W*, *Some Aspects of the Suspension and of the Starting Point of Prescription*, 1963 p246-247.

მის მიმართ არსებული მოთხოვნა აღარ განხორციელდება.³⁹ კრედიტორს თავის მხრივ, ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში შეუძლია უფლების რეალიზება და სამართლიანად მიიჩნევა, რომ ამ „შანსის“ ხელიდან გაშვების რისკი მასზეა.⁴⁰

1.2. მოქმედების სფერო

ძირითად სამართლებრივ სისტემებში ხანდაზმულობა ვრცელდება მოთხოვნებზე, რომელშიც იგულისხმება როგორც კანონისმიერი, ასევე სახელშეკრულებო მოთხოვნები, რომელთა საფუძველი შეიძლება იყოს ვალდებულებითი, სანივთო, საოჯახო, მემკვიდრეობითი სამართალი.⁴¹ ხანდაზმულობა არ ვრცელდება აბსოლუტურ უფლებებზე – როგორცაა საკუთრება და პირადი არაქონებრივი უფლებები.⁴² ისინი არ წარმოადგენენ მოთხოვნებს და შესაბამისად, ისინი მოთხოვნის ხანდაზმულობის საგანი ვერ იქნებიან.⁴³ ხანდაზმულობა არ ვრცელდება ასევე დამოუკიდებელ შესაგებებლებზე, როგორცაა მაგალითად თავად ხანდაზმულობის შესაგებელი.⁴⁴

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადისაგან განსხვავდება ასევე საგარანტიო შეთანხმებები და მისი ვადები.⁴⁵ ხარისხის გარანტია, რომელსაც მიმწოდებელი მომხმარებელს აწვდის, არ იზღუდება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადებით მათ შორის არც

³⁹ *Loubser, MM*, Towards a theory of extinctive prescription, Heinonline, 105, African L.J. 34 (1988) 37.

⁴⁰ კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებასთან დაკავშირებით ასევე იხ. გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს პოზიცია: Begründung, BT Drucks. 14/6040, 95.

⁴¹ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* §194 Rn 2, 6.

⁴² იქვე. შეად ასევე: *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველები 20-25.

⁴³ იქვე, შეად ასევე: *Mansel, Heinz-Peter*, Die Neuregelung des Verjährungsrechts, NJW 2002, 90; შეად. სკვ-ის 128-ე მუხლი.

⁴⁴ შეად.: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §194, Rn 6; MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* §194 Rn 4.

⁴⁵ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* §202 Rn 16.

ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადით.⁴⁶ ხარისხის გარანტიის ხელშეკრულება რომლითაც მწარმოებელი გარკვეული ვადით ნივთის ხარისხზე პასუხისმგებლობას იღებს თავისი შინაარსით გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობაა.⁴⁷ ხოლო მოქმედ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.⁴⁸

გერმანულ სამართალში აბსოლუტური უფლებისგან წარმოშობილ მოთხოვნებზეც ვრცელდება ხანდაზმულობა, როგორცაა საკუთრებიდან გამომდინარე ვინდიკაციის, ზიანის ანაზღაურების ან ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება.⁴⁹ დანიაში, ვინდიკაციურ სარჩელზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება, მაგრამ იგი გერმანიის მსგავსად, ვრცელდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე, როცა ვინდიკაციით ნივთის დაბრუნება შეუძლებელია, მისი განადგურების გამო.⁵⁰

სხვა ქვეყნებსა და სამართლებრივ სისტემებში მკაცრად გაკრიტიკებულია ვინდიკაციური სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით გერმანული სამართლის⁵¹ მიდგომა. აღნიშნულის მიუხედავად, 2002 წლის ვალდებულებითი სამართლის რეფორმის

⁴⁶ იხ. BGH 26.06.2008 - I ZR 221/05.

⁴⁷ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* § 202 Rn 16.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ *Mansel, Heinz-Peter*, Die Neuregelung des Verjährungsrechts, NJW 2002, 92.

⁵⁰ შეად.: Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark, Schweizerisches Institut für Rechtswissenschaften 2011, 39.

⁵¹ შეად. MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* §194 Rn 5, ქართული დოქტრინისთვის, შეად: კვანტალიანი, ნუნუ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველები 24-25, განსხვავებული აზრისთვის შეად: ასევე სქოლიო 36.

შემდეგაც, გერმანიაში ეს მიდგომა არ შეცვლილა⁵², რაც გერმანული გაბატონებული მოსაზრების გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს.⁵³

ქართულ სამართალში, მიუხედავად იმისა, რომ მასზე გერმანული სამართლის გავლენა დიდია, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაამკვიდრა, რომ ვინდიკაციურ სარჩელებზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. სასამართლოს განმარტებით, „მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღვევადი დანაწესებისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ ნორმებს.“⁵⁴

ციტირებული განმარტებიდან ცხადია, რომ ქართული სამართალი ხანდაზმულობის ვადებს არ ავრცელებს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნაზე.⁵⁵ რაც შეეხება უკანონო ხელშეშლის აღკვეთის სარჩელს, მესაკუთრეს ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშეშლა გრძელდება,⁵⁶ მისი

⁵² მართალია საკანონმდებლო განხილვისას იყო შეთავაზება, რომ საკუთრების უფლებიდან ნაწარმოებ მოთხოვნებზე ხანდაზმულობა არ გავრცელებულიყო, და მოთხოვნა საკუთრების დაკარგვასთან ერთად გამქრალიყო, მაგრამ აღნიშნული მოსაზრება არ იქნა გაზიარებული, ვრცლად: Bundesregierung, Drucksache 14/6040, 102-105.

⁵³ შეად. 2002 წლის ცვლილების შემდგომი შეხედულებები საკუთრებიდან ნაწარმოები მოთხოვნებზე ხანდაზმულობის გავრცელების აუცილებლობაზე: *Kähler/Lorenz*, Vom bleibenden Wert des Eigentums nach der Verjährung des Herausgabenspruchs NJW 2015, 1041.

⁵⁴ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007 წ. 61.

⁵⁵ სამართლებრივ დოქტრინაში განსხვავებული აზრისთვის იხ: *თოთლაძე ლევან*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 172, ველეები 15-16.

⁵⁶ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007 წ. 61.

დასრულების შემდეგ მესაკუთრეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უნარჩუნდება.⁵⁷

უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა ფართოდ არის მხარდაჭერილი ქართულ სამართლებრივ დოქტრინაშიც.⁵⁸ ამ მიდგომის სამართლებრივი დასაბუთება შემოიფარგლება საკუთრების, როგორც „აბსოლუტური უფლების“⁵⁹ არსის განმარტებით, რაც ნაკლებად დამარწმუნებელია სსკ-ის 128.1 მუხლის ფონზე, რომელიც ნათლად ადგენს, რომ ხანდაზმულობა ვრცელდება სხვა პირისგან რაიმეს შესრულების მოთხოვნის უფლებაზე. სსკ ჩამოთვლის გამონაკლის შეთხვევებს, რომლებზეც ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.⁶⁰ სსკ-ის 172.1 მუხლი თავის მხრივ, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმაა⁶¹ და აკმაყოფილებს სსკ-ის 128.1 მუხლის წინაპირობას. ამ მოთხოვნის მიმართ სპეციალური ვადა არ არის დადგენილი, რაც მასზე ხანდაზმულობის 10 წლიანი ვადის გავრცელების კანონიერი საფუძველია.

ვინდოვანი მოთხოვნაზე ხანდაზმულობის გაუვრცელებლობის დასაბუთება უფრო მიზანშეწონილია და ლოგიკურია დაეფუძნოს სსკ-ის 968-ე მუხლს, რომელშიც კანონმდებელმა სპეციალური მოწესრიგებით განსაზღვრა რომ *საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება*. ამ ნორმის უკან დგას შეხედულება, რომ საზიარო უფლების მესაკუთრეს არ შეიძლება წაერთვას უფლება, მოითხოვოს საზიარო

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ შეად: *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 25; *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2010, 154.

⁵⁹ დოქტრინისთვის შეად: *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 24; პრაქტიკისთვის შეად: სუსგ № ას-146-140-2012, 12/07/2012, სუსგ №ას-404-383-2012, 07/05/2012; სუსგ №ას-1169-1124-2016, 10/03/2017.

⁶⁰ შეად. სსკ-ის 128.2.

⁶¹ შეად. *თოთლაძე ლევან*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი II, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 172, ველი 1.

უფლების გაუქმება,⁶² თუ ის ვერ ახერხებს ამ უფლებით – თავისი საკუთრებით სარგებლობას. ასეთ შემთხვევაში ის უფლებამოსილია გამოითხოვოს საზიარო უფლებიდან თავისი წილი ამ უფლების გაუქმებით. საზიარო უფლების მიმართ არსებული ეს მოწესრიგება კანონმდებლის ნებას ნათელყოფს, რომ არც ზოგადი ვინდიკაციური მოთხოვნა უნდა ექვემდებარებოდეს ხანდაზმულობის ვადას. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კანონმდებლის მიერ ვინდიკაციური მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის სპეციალური რეგულირების არ არსებობა არ უნდა ჩაითვალოს კანონმდებლის „კვალიფიციურ დუმილად“ და პირიქით, საზიარო უფლების თავში არსებული სპეციალური მოწესრიგების საფუძველზე, ლოგიკურია განიმარტოს, რომ კანონმდებელი საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ვინდიკაციურ მოთხოვნას არ უწყესებს ვადებს.⁶³

2. ხანდაზმულობა – საპროცესო ან მატერიალური სამართალი

2.1. მხარის შესაგებელი

ძირითადი სამართლებრივი სისტემების მიდგომით, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება არის მხარის შესაგებელი.⁶⁴ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ხანდაზმულობის ვადების შესახებ⁶⁵ საერთაშორისო კონვენციის 24-ე მუხლის

⁶² შეად. სუსგ №ას-1217-2018, 13/12/2018, სადაც სააპელაციო სასამართლო აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიად მიიჩნევს საზიარო უფლებას.

⁶³ აქვე გასათვალისწინებელია, რომ გსკ §758 იდენტურ ჩანაწერს ითვალისწინებს საზიარო უფლების ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თუმცა გერმანული სასამართლო პრაქტიკა არ იზიარებს ვინდიკაციურ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის გაუვრცელებლობის შეხედულებას.

⁶⁴ შეად. სსკ მუხ. 144.1, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2223, გსკ, § 214, შეად. ასევე: Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark, Schweizerisches Institut für Rechtsentwicklung 2001, 39.

⁶⁵ The Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods, UNCITRAL, New York, 14/06/1974.

მიხედვით, ხანდაზმულობას მხოლოდ მაშინ იღებს სასამართლო მხედველობაში, თუ მხარემ მიუთითა მასზე.⁶⁶

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სასამართლოს უფლება არ აქვს მიუთითოს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე *ex officio*, ანუ თავისი სასამართლო ვალდებულებიდან გამომდინარე.⁶⁷ დანიაში მოსამართლე არ არის ვალდებული, თუმცა შეუძლია მიუთითოს მასზე მხარეს.⁶⁸

გერმანიაში წლების წინ მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, სასამართლო დავისას მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება იყო სასამართლოს ვალდებულება, თუ მხარის შესაგებელი.⁶⁹ სხვადასხვა ინტერესების – ერთი მხრივ სასამართლოს მიუკერძოებლობის და მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპმა, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს მითითების ვალდებულების არსებობამ, არაერთგვაროვანი სასამართლო გადაწყვეტილებები გამოიღო შედეგად.⁷⁰ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევდა⁷¹, რომ როცა მხარე საერთოდ არ უთითებს ასეთ შესაძლებლობაზე და იგი არ არის წარმოდგენილი ადვოკატით, სასამართლომ უნდა მიუთითოს ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების შესაძლებლობაზე. დღეს უკვე დამკვიდრებული დოქტრინის⁷² მიხედვით, გერმანულ სამართალში ხანდაზმულობა არის შესაგებელი, რომელზეც მოვალე უთითებს სასამართლო პროცესზე და სასამართლოს მიერ მისი

⁶⁶ “*Expiration of the limitation period shall be taken into consideration in any legal proceedings only if invoked by a party to such proceedings*”, The Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods, UNCITRAL Art. 24.

⁶⁷ “*Judges may not supply of their own motion a plea of prescription*” საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2223, ინგლისურენოვანი ვერსია.

⁶⁸ შეად. Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark, Schweizerisches Institut für Rechtsentwicklung 2001, 39.

⁶⁹ შეად.: *Hermisson, Vollrath, Richterlicher Hinweis auf Einrede- und Gestaltungsmöglichkeiten*, NJW 1985, 2558.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ იქვე.

⁷² შეად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §214, Rn 3.

სამსახურებრივი ვალდებულებიდან გამომდინარე არ არის შესამოწმებელი.⁷³

აუცილებელი არ არის, მხარემ პირდაპირ მიუთითოს ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენების სურვილზე.⁷⁴ მაგალითისთვის, საკმარისია მისი განცხადება, რომ ამდენი ხნის გასვლის შემდეგ, კრედიტორის მოთხოვნა უსაფუძვლოა.⁷⁵ ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მიუთითებს მხარეს, რომ მას აქვს უფლება გამოიყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი, მაგრამ სასამართლომ არ უნდა მოახდინოს ზეგავლენა მის გადაწყვეტილებაზე.⁷⁶

ითვლება, რომ თუ მხარემ უცოდინრობის გამო არ მიაქცია მოთხოვნის ხანდაზმულობას ყურადღება, ეს არ ხდის მას დაცვის ღირსად.⁷⁷ ასეთ შემთხვევაში დაცვის ღირსია მოსარჩელე, რომელსაც მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა აქვს და არა მოპასუხე, რომელსაც შეუძლია ფორმალური საფუძვლით უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.⁷⁸ სწორედ ამით იხსნება ის გარემოება, რომ ხანდაზმულობა მხარის შესაგებელია და არ არის სასამართლოს მიერ მისი ვალდებულებიდან გამომდინარე შესამოწმებელი.

სასამართლოს მითითების ვალდებულება არსებობს იქ, სადაც ამის გარეშე მძიმედ დაზიანდება მხარის უფლებები მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ იცის თავისი უფლებები ან ვერ გამოიყენა ისინი.⁷⁹ ასეთ შემთხვევებად სახელდება შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა. რაც შეეხება ჩათვლის უფლებას, ან

⁷³ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §214, Rn 3.

⁷⁴ Hermisson, Vollrath, Richterlicher Hinweis auf Einrede- und Gestaltungsmöglichkeiten, NJW 1985, 2560.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე, 2561. შეად. ქართული დოქტრინისთვის სვანაძე, გიორგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 144, ველი 2.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ Hermisson, Vollrath, Richterlicher Hinweis auf Einrede- und Gestaltungsmöglichkeiten, NJW 1985, 2562.

ხანდაზმულობის შესაგებელს, აღნიშნული საპროცესო ტაქტიკის ნაწილად მიიჩნევა.⁸⁰

გერმანიის სამოქალაქო სამართლის პროცესში მოქმედებს პრინციპი, რომ სასამართლოს ფუნქცია არ არის კითხვებით და მითითებებით გამოიწვიოს მხარეთა მოთხოვნის ახალი საფუძვლები, შესაგებებელი ან განცხადებები, თუ სულ მცირე, ერთმნიშვნელოვნად არ იქნა მათზე პროცესის მონაწილის მიერ მითითებული.⁸¹ აღნიშნული წესის დარღვევა მისი აცილების საფუძველია.⁸²

ქართულ სამართალშიც, ისევე, როგორც დღეს ქვეყნების უმრავლესობასა და უნიფიცირებული სამართლით არის აღიარებული, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება მთლიანად ვალდებულ პირზე დამოკიდებული და მისი შესაგებელია კრედიტორის მიმართ.⁸³ ხანდაზმულობის ვადაზე უნდა მიუთითოს მხარემ და არა სასამართლომ თავისი ინიციატივით.⁸⁴ იგივე პრინციპი ვრცელდება ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხზე, რაც მხოლოდ მოსარჩელის მხრიდან მითითების შემთხვევაში უნდა განიხილოს სასამართლომ.⁸⁵

⁸⁰ იქვე.

⁸¹ *“...gilt der Grundsatz, daß es nicht Aufgabe des Gerichts ist, durch Fragen oder Hinweise neue Anspruchsgrundlagen, Einreden oder Anträge einzuführen, die nicht zumindest schon andeutungsweise vorgetragen worden sind”*, BGH, 02.10.2003 - V ZB 22/03.

⁸² BGH, 02.10.2003 - V ZB 22/03.

⁸³ კვანტალიანი, ნუნუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 128, ველი 11.

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007 წ. 63. განსხვავებული მოსაზრება ხანდაზმულობის მნიშვნელობის განმარტების შესაძლებლობაზე, როცა მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, შეად. სვანაძე, გიორგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 144, ველი 2.

⁸⁵ კვანტალიანი, ნუნუ, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 128, ველი 10.

მოვალემ უნდა ამტკიცოს გარემოებები, საიდანაც დასტურდება ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი და მისი გასვლა, მათ შორის, იმ დროის მითითება, როდესაც კრედიტორმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მოთხოვნის წარმოშობის თაობაზე.⁸⁶ კრედიტორი ატარებს იმ გარემოებების მტკიცების ტვირთს, როგორცაა ხანდაზმულობის შეჩერების, მისი ხელახლა დაწყების ან შესაგებლის დაყენების დამაბრკოლებელი გარემოებების მტკიცება.⁸⁷

2.2. ხანდაზმულობაზე მითითება ზემდგომ ინსტანციაში

გერმანულ სამართალში, მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ შესაგებლის დაყენება დასაშვებია პირველ ინსტანციაში სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და შედარებით ახალი პრაქტიკის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევებში, ასევე სააპელაციო ინსტანციაში.⁸⁸ გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ხანდაზმულობის შესაგებელი ახალი ფაქტი და მტკიცებულებაა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად და მხარე ვერ წარადგენს მას სააპელაციო განხილვისას.⁸⁹ გამონაკლისის სახით, გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ, იმსჯელა⁹⁰ რა ამგვარი რეგულაციის მიზნებსა და არსზე, დაასკვნა, რომ ხანდაზმულობის შესაგებელი დაიშვება სააპელაციო განხილვისას, თუ იგი დადგენილი ფაქტია და მხარეები არ ხდიან სადავოდ.

⁸⁶ შეად. MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe*, Vorbemerkung 194, Rn 25; შეად. სუსგ №ას-1504-1424-2017, 2018 წლის 9 თებერვალი.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* Vorbemerkung §194, Rn 24.

⁸⁹ BGH 21.12.2005, X ZR 165/04.

⁹⁰ BGH GSZ 1/08 Beschluss vom 23.06.2008: “Die erstmals im Berufungsrechtszug erhobene Verjährungseinrede ist unabhängig von den Voraussetzungen des § 531 Abs. 2 Satz 1 Nr. 1 bis 3 ZPO zuzulassen, wenn die Erhebung der Verjährungseinrede und die den Verjährungseintritt begründenden tatsächlichen Umstände zwischen den Prozessparteien unstreitig sind. ასევე: IX ZR 229/03.”

საქართველოში ხანდაზმულობაზე მითითება არ დაიშვება სააპელაციო სასამართლო განხილვისას, ვინაიდან ხანდაზმულობის შესაგებელი ახალი გარემოებაა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის თანახმად, მასზე მითითება დაუშვებელია.⁹¹ თუ დაკმაყოფილებულია სსსკ-ის 380-ე მუხლით განსაზღვრული წინაპირობა და ფაქტობრივი გარემოების დაგვიანებით მითითების საპატიო მიზეზი⁹² არსებობს, ხანდაზმულობაზე მითითება, თეორიულად, შესაძლებელია მოხდეს სააპელაციო სასამართლოშიც. ასეთ გამონაკლისად საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს შემთხვევას, როდესაც დავის პირველ ინსტანციაში განხილვისას ან სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით სარჩელში მითითებულ სამართლებრივ კვალიფიკაციას მხარეთა წინასწარი ინფორმირების გარეშე ცვლის და მოპასუხეს ხანდაზმულობაზე მითითების შესაძლებლობა ერთმევა.⁹³

⁹¹ შეად. დამკვიდრებული პრაქტიკა: სუსგ ას-579-554-2016, 28/12/2016, პუნქტი 26; სუსგ N ას-1002-940-2010, ასევე დოქტრინა: *სვანაძე, გიორგი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 144, ველი 3.

⁹² შეად. სუსგ №ას-278-264-2016, 17/06/2016, სადაც უზენაესი სასამართლო არ გამორიცხავს ამ საფუძვლით სააპელაციო სასამართლოში ხანდაზმულობაზე მითითების შესაძლებლობას, თუმცა კონკრეტულ საქმეში საპატიო მიზეზი ვერ დაადგინა.

⁹³ შეად. სუსგ №ას-1350-1275-2012, 25/03/2013, სადაც საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმის გამო, ქვედგომმა ინსტანციებმა არასწორი კვალიფიკაცია მისცეს საქმეს და მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმად გამოყენებული იქნა არასწორი ნორმა. საკასაციო სასამართლოს მიერ შეფარდებულ ნორმასთან მიმართებით, მხარეს სწორედ სასამართლოს ბრალეულობით არ მიეცა შესაძლებლობა წარედგინა ხანდაზმულობის შესაგებელი, რის გამოც, საკასაციო სასამართლომ დაუბრუნა საქმე სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

2.3. საპროცესო თუ მატერიალურ-სამართლებრივი ბერკეტი

რამდენადაც ერთგვაროვანია ხანდაზმულობის მიზნები და ფუნქციები, განსხვავებულია მიდგომა კონტინენტურ და საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მისი საპროცესო თუ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის თაობაზე.

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობა სარჩელს აფერხებს და არა თავად მოთხოვნას.⁹⁴ ხანდაზმულობა გამორიცხავს მხოლოდ შესაძლებლობას, განახორციელოს მხარემ უფლება სასამართლოს მეშვეობით. სწორედ ამიტომ ხანდაზმულობა განხილულია საპროცესო სამართლის ქვეშ.⁹⁵

გერმანულ სამართალშიც ანალოგიური მიდგომა იყო, რომელიც მხოლოდ მე-19 საუკუნეში შეიცვალა და „სარჩელის ხანდაზმულობა“ ჩანაცვლდა „მოთხოვნის ხანდაზმულობით“.⁹⁶ აღნიშნულს მოჰყვა კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების ნაწილის გადასვლა ამ სამართლებრივ მიდგომაზე.⁹⁷ თუმცა კვლავ არსებობს სხვა შეხედულებები. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში არსებულ ნორმათა ფორმულირებები პროცესუალურ და მატერიალურ სამართალს შორის არ არის მკაფიოდ გამიჯნული და ასევე არაერთგვაროვანია სამეცნიერო ლიტერატურა.⁹⁸

⁹⁴ შეად.: *Loubser, MM*, Towards a theory of extinctive prescription, 1988, 40-42.

⁹⁵ იქვე.

⁹⁶ სავინი თავის ნაშრომში იყენებს ტერმინს “Klageverjährung”, *Savigny, Friedrich Carl von*, System des heutigen Römischen Rechts. Bd. 5. Berlin, 1841; ვინდშიიდის ცნობილი მონოგრაფია “Die Actio des romischen Civilrechts vom Standpunkte des heutigen Rechts”, 1856, საფუძვლად დაედო გერმანიაში მატერიალური მოთხოვნის ხანდაზმულობის გამოიყენას სარჩელის შეტანის უფლებისაგან. იხილეთ ასევე *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 71.

⁹⁷ *Zimmermann, Reinhard* “... ut sit finis litium”: Grundlinien eines modernen Verjährungsrechts auf rechtsvergleichender Grundlage, 857.

⁹⁸ ფრანგული კერძო სამართლის რეფორმის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები ხანდაზმულობის რეფორმირებასთან დაკავშირებით: *Reforming the French Law of Obligations*, Comparative Reflections on the Avant-projet de réforme du

დღეს კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემების უმრავლესობაში მოთხოვნის ხანდაზმულობა ვრცელდება მატერიალურ-სამართლებრივ⁹⁹ მოთხოვნაზე და არა მხარის საპროცესო უფლებაზე, შეიტანოს სარჩელი სასამართლოში. თუმცა, ხანდაზმულობის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნების აღიარებასთან ერთად, განსხვავებულია მიდგომები მის სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით.

თუ ხანდაზმულობა მატერიალური სამართლის ნაწილად განიხილება, მაშინ განსხვავდება შეხედულებები, იმის მიხედვით, ენიჭება ხანდაზმულობას „ძლიერი“ თუ „სუსტი“ გავლენა.¹⁰⁰ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, გერმანიის სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავეს ხანდაზმულობის, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტის „ძლიერი“ და „სუსტი“ გავლენა.¹⁰¹ (ა) ხანდაზმულობის „ძლიერი“ გავლენის შემთხვევაში, მისი გასვლისას მოთხოვნა ქრება; (ბ) „სუსტი“ გავლენისას მოვალეს უჩნდება უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.¹⁰² სავინის აზრით, დოგმატურად სწორია ხანდაზმულობის მატერიალურ-სამართლებრივი ბუნებისა და მისი „სუსტი“ გავლენის აღიარება.¹⁰³

სავინის ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტს ხანდაზმულობის „სუსტი“ გავლენის სასარგებლოდ წარმოადგენს ის, რომ

droit des obligations et de la prescription ('the Avant-projet Catala') edited by *John Cartwright, Stefan Vogenauer and Simon Whittaker* Oxford and Portland, Oregon 2009, 347 და შემდგომი.

⁹⁹ *Zimmermann, Reinhard* "... ut sit finis litium": Grundlinien eines modernen Verjährungsrechts auf rechtsvergleichender Grundlage, *JuristenZeitung* 55. Jahrg., Nr. 18 (15. September 2000), 856.

¹⁰⁰ შეად. Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark, *Schweizerisches Institut für Rechtsentwicklung* 2011, 29.

¹⁰¹ სავინიმ იმის გასამიჯნად, ხანდაზმულობა "Recht selbst, oder Klage zerstört", გამოიყენა ტერმინები ხანდაზმულობის სუსტი "schwächere" და ძლიერი "stärkere" გავლენა, იხ.: *Savigny, Friedrich Carl von*, *System des heutigen Römischen Rechts*. Bd. 5. Berlin, 1841, 373.

¹⁰² *Savigny, Friedrich Carl von*, *System des heutigen Römischen Rechts*. Bd. 5. Berlin, 1841, 374.

¹⁰³ იქვე.

ხანდაზმულობის მიუხედავად ძალაში რჩება უზრუნველყოფები, იპოთეკა, შესაძლებელია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, რაც მიუთითებს, რომ ხანდაზმულობა არ ართმევს კრედიტორს მოთხოვნას, არამედ ანიჭებს მოვალეს უფლებას, უარი თქვას შესრულებაზე.¹⁰⁴

ამ ორი გავლენის გამიჯვნას მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევისათვის, როცა ხანდაზმულობის მიუხედავად, მოვალე ასრულებს ვალდებულებას¹⁰⁵: ხანდაზმულობის „სუსტი“ გავლენისას შედეგად ვიღებთ, რომ მის შესრულებას ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი და უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე მას არ შეუძლია გამოითხოვოს შესრულებული.¹⁰⁶ რაც შეეხება ხანდაზმულობის „ძლიერ“ გავლენას, ვინაიდან მოთხოვნა ხანდაზმულობის გამო აღარ არსებობს, მოვალეს ლოგიკურად შეუძლია უსაფუძვლო შესრულებიდან გამომდინარე უკან გამოითხოვოს შესრულებული.¹⁰⁷

დღესაც ხანდაზმულობის ძლიერი გავლენა არის აღიარებული იტალიასა და ესპანეთში.¹⁰⁸ იტალიის სამოქალაქო კოდექსის 2934-ე მუხლის მიხედვით, კანონით დადგენილ ვადაში უფლების განუხორციელობის შემთხვევაში, მოთხოვნის უფლება ქარწყლდება.¹⁰⁹ რაც ნიშნავს, რომ მოთხოვნა არსებობას წყვეტს. ანალოგიურ მოწესრიგებას შეიცავს ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი.¹¹⁰

¹⁰⁴ იხ. დაწვრილებითი მსჯელობა: *Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen Römischen Rechts. Bd. 5. Berlin, 1841, 384-389.*

¹⁰⁵ იქვე; გერმანიაში დამკვიდრებული თანამედროვე სამეცნიერო შეხედულებები დღესაც სავინის თეორიას ემხრობა, იხ: *Zimmermann, Reinhard* „... ut sit finis litium“: Grundlinien eines modernen Verjährungsrechts auf rechtsvergleichender Grundlage, 857.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ *Loubser, MM, Towards a theory of extinctive Prescription 1988, 42.*

¹⁰⁸ შეად.: *Matthias E. Storme, Extinctive Prescription in Belgian private law – old questions and recent developments, 12.*

¹⁰⁹ იტალიის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 2934.

¹¹⁰ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1930.

თუმცა ის ქვეყნები, სადაც ხანდაზმულობის ძლიერი გავლენა არის აღიარებული, არ მიდიან ხანდაზმულობის „ძლიერ“ შედეგამდე და ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებისას უკან გამოთხოვის უფლებას არ აძლევენ მოვალეს, რაც არათანმიმდევრულია, თუმცა სამართლიანი.¹¹¹

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი შეხედულებით¹¹², მოთხოვნის ხანდაზმულობა ორივე, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ელემენტებს შეიცავს. მოთხოვნის ხანდაზმულობის წარმოშობის შედეგად მოვალის უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, მხარის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელია.¹¹³ სწორედ ხანდაზმულობის შესაგებლის მიკუთვნება მატერიალური სამართლისადმი მოვალეს აძლევს არჩევანს – შეასრულოს თუ არა ვალდებულება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.¹¹⁴

ხანდაზმულობის შესაგებელი მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნას აცლის იმ ასპექტს, რომელიც მის რეალიზებაზეა მიმართული.¹¹⁵ ასეთ დროს, სარჩელს საფუძველი ეცლება მოთხოვნის არსებობა-არარსებობის მიუხედავად.¹¹⁶ ამიტომ არის მოსაზრება, რომ სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობისას ღიად ტოვებს საკითხს, არსებობს თუ არა ნამდვილად კრედიტორის მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, ჰიპოთეტურად, არარსებული მოთხოვნაც შეიძლება იყოს ხანდაზმული.¹¹⁷ წარმოუდგენელია, შესაგებელს ჰქონდეს მატერიალურ-სამართლებრივი გავლენა არარსებულ მოთხოვნაზე.¹¹⁸ ამ მსჯელობაზე დაყრდნობით მიიჩნევა, რომ ხანდაზმულობის შესაგებლის წარდგენა სასამართლოზე, და

¹¹¹ შეად. *Loubser MM*, towards a theory of extinctive Prescription 1988, 43.

¹¹² *Meller-Hannich, Caroline*, Die Einrede der Verjährung, JuristenZeitung 60. Jahrg., Nr. 13 (1. Juli 2005), 657.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე, 658.

¹¹⁵ იქვე, 660.

¹¹⁶ იქვე, 657.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ იქვე.

არა თავად შესაგებელი, საპროცესო სამართლის ბერკეტი.¹¹⁹ შესაბამისად, მეცნიერთა ნაწილი მიდის დასკვნამდე, რომ ხანდაზმულობას უჭირავს შუალედური ადგილი მატერიალურ და საპროცესო სამართალში.¹²⁰ ხანდაზმულობა ყველა ევროპულ სამართლებრივ სისტემაში შეიცავს როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ ელემენტებს.¹²¹

კვლავ სავინის შეხედულებას იზიარებს გერმანიაში დღეს გაბატონებული აზრი, რომლის თანახმად, „სუსტ“ მატერიალურ-სამართლებრივ მიდგომას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ვინაიდან განსხვავებით სხვა მიდგომებისგან, ხანდაზმულობის მხოლოდ ასეთი განმარტება მიდის სამართლებრივ შედეგამდე უწყვეტი ლოგიკური ბმით.¹²² გაბატონებული შეხედულების ჭეშმარიტებას მისი მიმდევრები ასევე იმით ასაბუთებენ, რომ ევროპის სახელშეკრულებო სამართალიც ამ შეხედულებას იზიარებს.¹²³

ქართულ სამართლებრივ სივრცეში აღიარებულია, რომ სარჩელის პროცესუალური უფლება, ანუ სარჩელის განხილვის უფლება არ არის დამოკიდებული მატერიალური სამართლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის ან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლაზე.¹²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიხედვით, მოპასუხის შესაგებელი სარჩელის

¹¹⁹ იქვე, 661.

¹²⁰ იქვე, 660.

¹²¹ *Zimmermann, Reinhard* "... ut sit finis litium": Grundlinien eines modernen Verjährungsrechts auf rechtsvergleichender Grundlage, 857, Fußnote 59: "*Uncitral Convention versucht sich in diesem Zusammenhang neutral zu verhalten: "it avoids choosing between whether it deals with the institution of prescription as it is known in some legal systems or of limitation as it is known in others."* Die Konvention spricht deshalb einerseits von limitation, benutzt andererseits aber den Begriff claim, der nicht mehr geltend gemacht werden kann."

¹²² იქვე.

¹²³ იქვე.

¹²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011 წ. 21.

ხანდაზმულობის თაობაზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, ის აბსოლუტურ გავლენას ახდენს მატერიალური უფლების გადაწყვეტაზე.¹²⁵

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეებს დავის გადაწყვეტისთვის ქართული სამართალი ჰქონდათ შეთანხმებული, სასამართლომ განმარტა, რომ ქართული სამართლის არჩევა ნიშნავდა, რომ ქართული ნორმები უნდა გამოყენებულიყო მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართაც.¹²⁶ ეჭვგარეშეა, რომ ქართული სამართალი ხანდაზმულობას მატერიალურ სამართალს აკუთვნებს და მის სუსტ ეფექტს იზიარებს.¹²⁷

გასაზიარებელია შეხედულება, რომ ხანდაზმულობა მატერიალურ-სამართლებრივად ზემოქმედებს მოთხოვნაზე, აფერხებს რა მის განხორციელებას. ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენება პროცესში, არ ცვლის მის ბუნებას და არ აქცევს მას საპროცესო სამართლის ნაწილად, უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე მომდინარეობს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლიდან – მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ნაკლიდან გამომდინარე. ამავდროულად, ქართული საპროცესო სამართლის შესაბამისად, სასამართლო, მოთხოვნის შემოწმებისას, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე ხანდაზმულობის შესაგებელს აყენებს, არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი ხანდაზმულობის ვადის კვლევით და თუ დაადგინა რომ მოთხოვნა ხანდაზმულია, არ წყვეტს მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სხვა წინაპირობების კვლევას.¹²⁸ სასამართლო ამოწმებს მთლიანად მოთხოვნის არსებობა-არ არსებობის საკითხს და შემდგომ იკვლევს, ხომ არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი შესაგებელი.¹²⁹

¹²⁵ შეად. სუსგ №ას-495-471-2013, 17/05/2013.

¹²⁶ შეად. სუსგ №ას-667-667-2018, 28/06/2018, პუნქტი 20.

¹²⁷ შეად. სსკ-ის 144.2, ხანდაზმული მოთხოვნის ჯშესრულების მიუხედავად, მოვალეს არ აქვს შესრულების უკან გამოთხოვის უფლება.

¹²⁸ შეად. სუსგ №ას-656-623-2014, 30/04/2015.

¹²⁹ შეად. ასევე სუსგ №ას-452-2019, 5/07/2019, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „უწინარესად მოწმდება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობა, ხოლო

ხოლო თუ ასეთი არსებობს, სწორედ შესაგებელი აბრკოლებს მოთხოვნის რეალიზებას მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის¹³⁰ და არა საპროცესო სამართლის საფუძველზე.

2.4. განსხვავებულ მიდგომათა ეფექტი საერთაშორისო კერძო სამართალზე

ინგლისში, მიჩნეულია რა, რომ ხანდაზმულობა საპროცესო სამართლის შემადგენელი ნაწილია, სასამართლო ადგილობრივ საპროცესო სამართალს *lex fori*-ს იყენებს¹³¹ მოთხოვნის ხანდაზმულობის შეფასებისას. ხოლო იმ ქვეყნების სასამართლოები, სადაც ხანდაზმულობა მატერიალური სამართლის ნაწილია, იმ ქვეყნის სამართლის ხანდაზმულობის ნორმებს იყენებენ, რომელიც ვრცელდება თავად სამართალურთიერთობასა და მოთხოვნაზე *lex loci contractus* ან შემოკლებით, *lex loci*.¹³²

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში ხანდაზმულობის მიმართ *lex fori*-ს გამოყენების პრაქტიკა ჩამოყალიბდა ინგლისისა და აშშ-ს სასამართლოების მიერ, დაახლოებით მე-18 საუკუნეში.¹³³ ხოლო კონტინენტური სამართლის მიდგომა, ხანდაზმულობის იმ სამართლის მიხედვით გადაწყვეტის შესახებ, რომლითაც თავად დავა წყდება, უფრო ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს.¹³⁴

ანგლო-ამერიკული შეხედულების ჩამოყალიბებაში თავისი როლი შეასრულა ფაქტორმა, რომ აშშ-ს და ინგლისის სასამართლოები, როდესაც საერთაშორისო კერძო სამართლის

შემდეგ მისი განხორციელებადობა, თუკი მოპასუხეს წარდგენილი აქვს ხანდაზმულობის, ანუ მოთხოვნის განხორციელების ხელისშემშლელი შესაგებელი.“

¹³⁰ შეად. სსკ-ის 144.1 მუხლი.

¹³¹ შეად.: *Mcdonald Muckleroy, Jr., Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci?* 35 Tex. L. Rev. 95 1956-1957 95.

¹³² იქვე.

¹³³ *Lorenzen, The Statute of Limitations and the Conflict of Laws*, 28 YALE L.J. 492 (1919) 496.

¹³⁴ იქვე.

პრობლემის წინაშე დადგნენ, ცდილობდნენ მაქსიმალურად იშვიათად გამოეყენებინათ უცხო ქვეყნის სამართალი.¹³⁵ შესაბამისად, სხვადასხვა არგუმენტებით, ისინი თავს არიდებდნენ სხვა ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებას, მაღალი ნაციონალური თვითშეგნების გამო.¹³⁶ ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით, ასეთი საშუალება გახდა ხანდაზმულობისათვის საპროცესო ხასიათის მინიჭება¹³⁷, რაც მათი მხრიდან lex fori-ს გამოყენებას ამართლებდა. დოქტრინალური თვალსაზრისით, ამ მიდგომის მხარდასაჭერად საერთო სამართალი დაეყრდნო ჰოლანდიელი იურისტების, მათ შორის, *ჰოლ* და *იოან ფოეტების* შეხედულებებს.¹³⁸

ერთ-ერთი უძველესი არგუმენტის მიხედვით, უცხოელს არ უნდა მისცემოდა იმ მოთხოვნის რეალიზების შესაძლებლობა, რომელიც ამ დავის განმხილველი სასამართლოს ადგილობრივი სამართლის საფუძველზე რომ წარმოშობილიყო, ხანდაზმული იქნებოდა.¹³⁹ დამატებით არგუმენტად მოიხსენიებოდა საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობაც.¹⁴⁰

მეოცე საუკუნის დასაწყისში ინგლისსა და აშშ-ში, საერთაშორისო კერძო სამართლის მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, აქტუალური გახდა მსჯელობა ტრადიციული ანგლო-ამერიკული მიდგომის გადახედვაზე და ამ თვალსაზრისით საერთო სამართლის ქვეყნების იურისტების¹⁴¹ აზრები რადიკალურად დაიყო.

მიუხედავად lex fori-ის მხარდაჭერისა, *სთორიმ*, რომაული სამართლის გავლენით, ჩამოაყალიბა თეორია საერთაშორისო კერძო

¹³⁵ შეად.: *Ailes*, Limitation of actions and the conflict of laws, 488.

¹³⁶ იქვე.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ *Mcdonald*, Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci? 102.

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ ეილსი ციტირებს სასამართლოს: "*Why should our Courts be disturbed by the litigation of stale demands of foreigners, grown difficult and obscure by time, when an action upon such demands is denied to our own citizens, by the wise policy of the law?*" *Ailes*, Limitation of actions and the conflict of laws, 500-501.

¹⁴¹ შეად მაგალითად: *Ailes*, Limitation of actions and the conflict of laws 486.

სამართალში *lex loci contractus-ის* გამოყენების დაშვების თაობაზე.¹⁴² მისი აზრით, თუ უცხო ქვეყნის ხანდაზმულობის კანონმდებლობა არა მხოლოდ სარჩელს აფერხებდა, არამედ მატერიალურ მოთხოვნაზეც ზემოქმედებდა, მაშინ ეს კანონი ყველგან მოქმედებდა, როგორც უფლების არსებობის აუცილებელი წინაპირობა.¹⁴³

lex fori-საგან საგამონაკლისო შემთხვევები, თავდაპირველად აშშ-ში განვითარდა, რასაც საფუძვლად არა ხანდაზმულობის მატერიალური ხასიათის აღიარება, არამედ ის დაედო, რომ ასეთი სარჩელის რეალიზება რიგ შემთხვევებში ეწინააღმდეგებოდა სამართლიანობასა და საჯარო წესრიგს.¹⁴⁴ თუმცა, სადავო იყო, რომელი ქვეყნის სამართლის ხანდაზმულობის მაქსიმალური ზღვარი უნდა ყოფილიყო გამოყენებული.¹⁴⁵

სთორის მოსაზრებების კრიტიკის მიუხედავად, რამდენიმე ათწლეულის შემდგომ, მასზე დაყრდნობით ინგლისის სასამართლოების მიერაც განვითარდა გამონაკლისები და ე.წ. „ინგლისური ტესტი“,¹⁴⁶ რომელიც გამოსაყენებელი სამართლის თვალსაზრისით, ერთმანეთისგან მიჯნავდა მატერიალურ ხანდაზმულობის ნორმებსა და პროცედურულ ხანდაზმულობის ნორმებს. მატერიალურად ის მოიაზრებს ნორმებს, რომლებიც თავად უფლებას, მოთხოვნას აქარწყლებენ, ხოლო პროცედურულში – ნორმებს, რომლებიც მხოლოდ აფერხებს მოთხოვნის რეალიზებას.¹⁴⁷ ამ მიდგომის პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ

¹⁴² Lorenzen, Story's Commentaries on the Conflict of Laws -- One Hundred Years After, 25.

¹⁴³ Ailes, Limitation of actions and the conflict of laws, 491.

¹⁴⁴ იქვე. 501-502.

¹⁴⁵ იქვე.

¹⁴⁶ შეად. Mcdonald, Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci? 101.

¹⁴⁷ Mcdonald, Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci? 101; აღსანიშნავია, რომ თავის სტატიაში თავად ეილის ციტირებს აშშ-ს სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას, სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ უცხო ქვეყნის ხანდაზმულობის კანონი გამორიცხავს მხოლოდ სარჩელის წარდგენას, და არა მოთხოვნას, თუ საქმე შეეხებოდა მოთხოვნის გაქარწყლებას, საქმე შეიძლება

ინგლისელი მოსამართლის დარწმუნება, რომ ხანდაზმულობა კონკრეტულ შემთხვევაში მატერიალურ ვალდებულებას აქარწყლებს, მითუფრო, თუ ასეთი ვალდებულება წარმოქმნილი იყო საერთო სამართლის მიხედვით, თითქმის შეუძლებელი იყო.¹⁴⁸

კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობის მიერ საერთო სამართლის მიდგომის კრიტიკის საგანი უმთავრესად სწორედ ზემოთ ნახსენები „ინგლისური ტესტი“ იყო, რომელსაც ინგლისის სასამართლო იყენებდა, რათა გადაწყვიტა *lex fori*-ს გამოყენების საკითხი.¹⁴⁹ *სავინის* აზრით, ხანდაზმულობის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილად მიკუთვნება არ ამართლებდა *lex fori*-ს გამოყენებას, რადგან ხანდაზმულობის ვადები უშუალო კავშირშია მოთხოვნის წარმომშობ ვალდებულებასთან და სწორედ მისი მომწესრიგებელი სამართალი უნდა გამოიყენებოდეს.¹⁵⁰

ლორენცენმა, უარყო რა *lex fori*-ის უნივერსალური გამოყენება, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საერთო სამართლის ქვეყნების მიერ საერთაშორისო კერძო სამართალში ხანდაზმულობის ვადების გამოყენების პრაქტიკაზე. მისი აზრით, არ არსებობს ლეგიტიმური საფუძველი, რომ სამართლის კოლიზიის დროს, ვადების მიმართ გამოყენებულ იქნას შიდა სამართლებრივი „ტესტი“, რომელიც ხანდაზმულობას იხილავს საპროცესო სამართლის ქვეშ, ან უკავშირებს მას სარჩელს.¹⁵¹ *ლორენცენის* აზრით, ხანდაზმულობა შიდა სამართლებრივად, და ხანდაზმულობა საერთაშორისო კერძო სამართალში, სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს. საჯარო წესრიგიდან გამომდინარე, *lex loci* არ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

სხვაგვარად გადაწყვეტილიყო. შემდგომში, ამგვარი პრაქტიკა დამკვიდრდა, შეად: *Ailes*, Limitation of actions and the conflict of laws, 493.

¹⁴⁸ *Mcdonald*, Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci? 104.

¹⁴⁹ იქვე, 101.

¹⁵⁰ *Savigny, Friedrich Carl von*, System des heutigen Römischen Rechts. Bd. 8. Berlin, 1849, 274.

¹⁵¹ *Lorenzen*, The Statute of Limitations and the Conflict of Laws 496.

lex fori-თ დადგენილი ვადა მასზე მცირეა.¹⁵² რადგან ამ შემთხვევაში, ზიანდება საჯარო წესრიგით დაცული სიკეთე, რის საფუძველზეც ზოგადად შიდა კანონმდებლობა გამორიცხავს ხოლმე ვადის მიმართ გამოსაყენებელი ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენებას.¹⁵³

შინაარსობრივად, ლორენცენის იდეები თითქმის იდენტურია სავინის მოსაზრებისა, იმ განსხვავებით, რომ სავინი lex loci-იდან გამონაკლისის ზოგად წესს აღიარებდა – forum-ის საჯარო წესრიგს.¹⁵⁴ ლორენცენი კი, საჯარო წესრიგით დაცულ სიკეთედ მიიჩნევს იმ მაქსიმალურ ვადას, რომელსაც ქვეყნის სამართალი ადგენს სარჩელების მიმართ, რადგან ვადების დაწესების საკანონმდებლო მიზანი დაცული ვერ იქნება, თუ მაქსიმალური ვადის ამოწურვის შემდეგ მოხდება სარჩელის დაკმაყოფილება.¹⁵⁵

lex fori-ს კრიტიკის ერთ-ერთ საფუძველად სახელდება forum shopping-ის შესაძლებლობა და მხარის მიერ lex fori-ს გამოყენებით ბოროტად სარგებლობა.¹⁵⁶ მაგალითად, იურიდიული მისამართის ან საქმიანობის ადგილის შეცვლა იმ ქვეყანაში შეგნებულად გადასვლით, სადაც ნაკლები ხანდაზმულობის ვადები ვრცელდება მოთხოვნის მიმართ.¹⁵⁷ ამ პრობლემატიკაზე ჯერ კიდევ სავინი ამახვილებდა ყურადღებას.¹⁵⁸ საერთაშორისო კერძო სამართლის

¹⁵² იქვე, 497.

¹⁵³ Lorenzen, The Statute of Limitations and the Conflict of Laws 498.

¹⁵⁴ Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen Römischen Rechts. Bd. 8. Berlin, 1849, 275.

¹⁵⁵ Lorenzen, The Statute of Limitations and the Conflict of Laws 498, მხარდამჭერი მოსაზრება იხ: McDonnald, Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci? 103.

¹⁵⁶ იქვე.

¹⁵⁷ McDonnald, Limitation of Actions - Conflict of Laws - Lex Fori or Lex Loci? 102.

¹⁵⁸ Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen Römischen Rechts. Bd. 8. Berlin, 1849.

In: Deutsches Textarchiv

http://www.deutschestextarchiv.de/savigny_system08_1849/296_274; საწინააღმდეგო

მოსაზრება იხ: Ailes, Limitation of actions and the conflict of laws, 499.

განვითარებასთან ერთად, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნები ამ პრობლემის წინაშე მართლაც დადგნენ.¹⁵⁹

აშშ-ში სასამართლო პრაქტიკის მიერ საგამონაკლისო შემთხვევების განვითარებით *lex fori*-ს გამოყენება ძალიან შეიზღუდა და ტრადიციული მიდგომის მოდიფიცირება მოხდა, თუმცა ეს არ გამორიცხავს ზოგ შემთხვევებში დავების სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას და არაერთგვაროვან პრაქტიკას.¹⁶⁰

თავის მხრივ, ინგლისში არსებული შეხედულებაც მწვავედ იქნა გაკრიტიკებული ინგლისური ხანდაზმულობის სამართლის კომისიის მიერ, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ *lex fori*-ს გამოყენების შედეგი შინაარსობრივად უსამართლო იყო.¹⁶¹ განსაკუთრებით ხაზი გაესვა შემთხვევებს, რომ მიუხედავად ლოგიკურობისა და სამართლიანობისა, ინგლისის სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოეყენებინა უცხო ქვეყნის ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები.¹⁶² საკანონმდებლო ცვლილების შედეგად 1984 წელს ინგლისმა მიიღო უცხოური ხანდაზმულობის ვადების შესახებ კანონი.¹⁶³ დასახელებული კანონის ზოგადი წესის თანახმად, სარჩელზე, სადაც სხვა ქვეყნის სამართლით უნდა გადაწყდეს დავა, ამავე ქვეყნის ხანდაზმულობის კანონმდებლობა უნდა იქნას გამოყენებული.¹⁶⁴ მარტივად რომ ითქვას – დასახელებული კანონი მოთხოვნის ხანდაზმულობის

¹⁵⁹ ამ პრობლემატიკაზე დაწვრილებით იხ.: *Walker, Sam*, Forum shopping for stale claims, statutes of limitations and conflict of laws, *Acron L. Rev.* 1989 45-46.

¹⁶⁰ დაწვრილებით საგამონაკლისო შემთხვევების შესახებ და დღეს არსებული მდგომარეობისთვის, რომელიც ქაოტური და კომპლექსურია, იხ.: *Walker*, Forum shopping for stale claims, statutes of limitations and conflict of laws, 22-24, and 47-48.

¹⁶¹ *Christopher Forsyth*, Mind the Gap: A practical example of the characterization of Prescription/limitation Rules, 2 *J. Priv. Int'l L.* 169 2006, 176.

¹⁶² იქვე, შეად. ასევე: *Walker*, Forum shopping for stale claims, statutes of limitations and conflict of laws, 21.

¹⁶³ The Foreign Limitation Periods Act 1984, UK.

¹⁶⁴ იქვე.

მატერიალურ ბუნებას აღიარებს, მხოლოდ უცხოური ელემენტის არსებობის შემთხვევაში.¹⁶⁵

საუკუნოვანი სამართლებრივი დისკუსიის შემდეგ, დღეს საერთაშორისო კერძო სამართალში მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით *lex loci* გამოიყენება.¹⁶⁶ ამის მაგალითია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლიც, რომლის თანახმად, მოთხოვნის ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება. ამდენად, იმ შემთხვევაში თუ საქართველოს სასამართლო განიხილავს დავას უცხო ელემენტის მონაწილეობით და დავა გადასაწყვეტი იქნება უცხო ქვეყნის სამართლის შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართ სასამართლო გამოიყენებს არა სსკ-ით ან სხვა შიდა კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადას, არამედ, გამოსაყენებელი სამართლით შესაბამისი მოთხოვნის მიმართ განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადას, რომელზეც მხარეებმა უნდა გააკეთონ მითითება.

3. ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისთან დაკავშირებული მიდგომები

3.1. ვადის ათვლის სუბიექტური და ობიექტური საფუძვლების კონკურენცია

ზოგადი პრინციპის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. თავის მხრივ, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.¹⁶⁷ ხოლო იმ შემთხვევისთვის,

¹⁶⁵ Forsyth, *Mind the Gap: A practical example of the characterization of Prescription/limitation Rules*, 176.

¹⁶⁶ უნიფიცირებული სამართალი *lex causae*, იგივე *lex loci*-ს იყენებს, დაწვრილებით თემაზე იხ: *Katharina Boele-Woelki, The limitation of rights and actions in the international sale of goods 4 Unif. L. Rev. n.s. 621 1999, 647.*

¹⁶⁷ სსკ-ის 130-ე მუხლი.

როდესაც მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია მოთხოვნის უფლების მქონე პირის მოქმედებაზე, ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მოთხოვნის მქონეს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.¹⁶⁸ ამ მიდგომით ქართული სამართალი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას სუბიექტურ ფაქტორს – კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის ცოდნას ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო არცოდნას უკავშირებს.

სსკ-ის 128-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს ხანდაზმულობის საერთო ვადას – 10 წელს. იგი ვრცელდება ყველა იმ მოთხოვნებზე, რომელიც ექვემდებარება ხანდაზმულობას და აქვს ჩამკეტი ფუნქცია. თუ დავის დაწყების ფაქტობრივი საფუძვლის წარმოშობიდან გასულია 10 წელი, მოთხოვნა ხანდაზმულია იმის მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.¹⁶⁹ ათწლიანი ვადა ობიექტურ ფაქტს – უფლების დარღვევის მომენტს ანიჭებს უპირატესობას და სუბიექტურ ელემენტს – კრედიტორის მიერ უფლების დარღვევის თაობაზე ცოდნას, აღარ ითვალისწინებს.¹⁷⁰

ორმაგი მოწესრიგებით, ერთი მხრივ დაცულია კრედიტორი, რომლის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება მის მიერ უფლების დარღვევის შეცნობის შესაძლებლობას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, მოვალის ინტერესების, მათ შორის, განჭვრეტადობისა და სამოქალაქო ბრუნვის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საერთო ხანდაზმულობის მაქსიმალური ვადის გასვლით ხანდაზმულობა დგება მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა კრედიტორმა უფლების დარღვევის შესახებ.¹⁷¹

ხანდაზმულობის დენასთან მიმართებით სუბიექტური მიდგომის უპირატესობა ევროპის უმრავლესი ქვეყნების მიერ

¹⁶⁸ სსკ-ის 131-ე მუხლი.

¹⁶⁹ შეად. სუსგ ას-634-600-2015, 30/09/2015.

¹⁷⁰ ამ წესიდან ერთგვარ გამონაკლისს ქმნის დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალური მოწესრიგება სსკ-ის 1008-ე მუხლით.

¹⁷¹ Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 60.

უკანასკნელ პერიოდში იქნა აღიარებული.¹⁷² მაგალითად, გერმანიასა და საფრანგეთში, ხანდაზმულობის ვადები უფრო ხანგრძლივი იყო, რადგან მისი დენის დაწყება უმეტესწილად ობიექტურ ფაქტორებს ეფუძნებოდა.¹⁷³ მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ზოგიერთ ქვეყანაში კვლავ მიიჩნევა ხელშეკრულების დადების დრო¹⁷⁴, თუმცა ეს საგამონაკლისო შემთხვევა უფროა. თანამედროვე მიდგომით¹⁷⁵, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი უფლების დარღვევის თაობაზე კრედიტორის შეცნობადობას უკავშირდება, რაც ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადების კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს. შესაბამისად, შედარებით სამართალში, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ზომიერ ვადად მიიჩნევა.¹⁷⁶

3.2. უფლების დარღვევის შეცნობა და გადახვევები ზოგადი წესიდან

როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი უფლების დარღვევის შესახებ შეტყობის¹⁷⁷ ფაქტს უკავშირდება, თუმცა ისტორიულად¹⁷⁸ ეს ყოველთვის ასე არ იყო. ამავდროულად არსებობს გაქარწყლებადი ვარაუდი, რომ კრედიტორმა უფლების

¹⁷² შეად: DCFR Outline edition, III 7:301 Comment B; Zimmermann, Reinhard Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 86-87.

¹⁷³ შეად. *Triggiano, Annalisa*, short remarks on extinctive prescription in legal history, 10 US-China L. Rev. 35 2013, 44.

¹⁷⁴ შეად. მიდგომა შვედეთში: *Jacobson Herbert*, Notes on the Independent Life of Statutes of Limitation, 2011 Freilaw: Freiburg L. Students J. 1 (2011), 2. ასევე, ძველი მიდგომა გერმანიაში: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §199, Rn 8.

¹⁷⁵ შედარებით-სამართლებრივი ანალიზისთვის შეად: Zimmermann, Reinhard Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 87.

¹⁷⁶ იქვე, ასევე შეად. DCFR Outline edition, III 7:301 Comment B.

¹⁷⁷ შეად. სსკ-ის 130-ე მუხლი.

¹⁷⁸ თუმცა დღემდე ზოგიერთ ქვეყანაში, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი სახელშეკრულებო მოთხოვნების წარმოშობისთვის, უკავშირდება ხელშეკრულების დადების თარიღს, შეად: *Jacobson Herbert*, Notes on the Independent Life of Statutes of Limitation, 2011 Freilaw: Freiburg L. Students J. 1 (2011), 3.

დარღვევის თაობაზე, ამ ფაქტის დადგომისთანავე შეიტყო.¹⁷⁹ მაგალითად, ნაკლიანი შესრულებისას, შესრულების მიღებისთანავე შეიცნო ის. აღნიშნულის საწინააღმდეგო უნდა ამტკიცოს კრედიტორმა, რომელიც სადავოდ ხდის ვადის დენის დასაწყისის მომენტს.¹⁸⁰ თუ ხანდაზმულობის დასაწყისის განსაზღვრა ობიექტურად შეუძლებელია, იგულისხმება, რომ ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანხვედრაშია.¹⁸¹ ხოლო თუ მოსარჩელე არ ეთანხმება მას, მტკიცების ტვირთი, თუ როდის უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა, მას ეკისრება.¹⁸²

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობაც ითვალისწინებს მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრის განსხვავებულ წესებს სხვადასხვა მოთხოვნებთან მიმართებით. მაგალითისთვის,

(1) სსკ-ის 656-ე მუხლი, რომელიც მოთხოვნის ვადის ათვლას ნაწილ-ნაწილ მიღებული შესრულებისას, სამუშაოს მთლიანად მიღების მომენტიდან იწყებს.

(2) სსკ-ის 573-ე მუხლის თანახმად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელის, ხოლო გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე დამქირავებლის მოთხოვნები უნდა განხორციელდეს ექვსი თვის განმავლობაში. ექვსთვიანი ვადა აითვლება გამქირავებლისთვის – გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან, ხოლო დამქირავებლისთვის – ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

¹⁷⁹ შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 130, ველი 4.

¹⁸⁰ შეად. DCFR III 7:301 Comment D; Zimmermann, Reinhard Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 107, 165.

¹⁸¹ იქვე; იდენტურად, ქართულ სამართალში: შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 130, ველი 4.

¹⁸² შეად. Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, ქართული დოქტრინისთვის შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 130, ველი 4.

(3) გადაზიდვის ხელშეკრულების ხანდაზმულობის ვადები სპეციალურად მოწესრიგებულია სსკ-ის 699-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს როგორც გადაზიდვიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, ასევე ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისს. ვადის დენა იწყება: ა) ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან; ბ) ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს; გ) ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

დასახელებულ შემთხვევებში ვადის დენა არ უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, გაქირავებული ნივთის ნაკლის ან გაუარესების შეცნობის მომენტს, ტვირთის ნაკლის შეცნობის მომენტს და სხვ. არამედ მხოლოდ ობიექტურად განსაზღვრულ მომენტს. ეს გამოწვეულია კონკრეტული მოთხოვნების სწრაფი მიდევნების აუცილებლობით და ემსახურება მოვალის ინტერესებს, რომლისთვისაც მძიმე ტვირთი იქნებოდა მხოლოდ ვადის დენის ზოგადი წესის გამოყენება სპეციფიურ ურთიერთობაზე მისადაგების გარეშე.

3.3. უფლების დარღვევის მომენტის დადგენის პრობლემატიკა ვალდებულების შესრულების ვადის განუსაზღვრელობისას

ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისის მიზნებისთვის დასადგენია კრედიტორის უფლების დარღვევის მომენტი მაშინ, როდესაც მხარეებს ხელშეკრულებით არ აქვთ დადგენილი ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადა.

სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია

იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.“ ამ ნორმის საფუძველზე შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს მოთხოვნის უფლების წარმოშობასთან ერთად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან.

ამ მოსაზრებისგან განსხვავებული განმარტება გააკეთა და არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიდგომა უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც დავა შეეხებოდა ნასყიდობის ხელშეკრულებას და მხარეებს არ ჰქონდათ განსაზღვრული საფასურის გადახდის ვადა.¹⁸³ სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნის წარმოშობისა და ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისად მიიჩნია ხელშეკრულების დადების მომენტი.¹⁸⁴ უზენაესი სასამართლოს მიხედვით, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო არ არის განსაზღვრული, „ხელშეკრულების დადების ანუ ნივთის გადაცემის მომენტიდან არ არებობს კრედიტორის მოთხოვნა, არც კრედიტორის უფლებების დარღვევაზე შეიძლება საუბარი.“¹⁸⁵ უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება გამყიდველს წარმოეშობა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგრამ ვიდრე მოთხოვნის უფლების მქონე პირი ვალდებული პირის წინაშე არ განაცხადებს ამის თაობაზე, მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევა არ არის სახეზე.¹⁸⁶

სხვაგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა ხანდაზმულობის მომწესრიგებელი სსკ-ის 131-ე მუხლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაზე. ამ ნორმის თანახმად, თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება. სადავო შემთხვევაში, კრედიტორის შესრულების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა ხელშეკრულების დადებისთანავე,

¹⁸³ სუსგ ას-438-726-05 07/10/2005.

¹⁸⁴ იქვე.

¹⁸⁵ იქვე.

¹⁸⁶ იქვე.

ხოლო ხანდაზმულობის ვადის დენის მიზნებისთვის, სსკ-ის 131-ე მუხლიდან გამომდინარე, თუ არ არის ვალდებულების შესრულების დრო დადგენილი, ხანდაზმულობა უნდა აითვალოს არა იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორმა უშუალოდ მოითხოვა შესრულება, არამედ იმ მომენტიდან, როდესაც მას შეეძლო ამგვარი მოთხოვნის დაყენება. რასაც ხელშეკრულების დადების მომენტთან მივყავართ, რადგან კრედიტორს შესაძლებლობა ჰქონდა სწორედ ამ დროიდან განეხორციელებინა მოთხოვნა.

სსკ-ის 365-ე მუხლის ანალოგი გერმანულ სამართალში გსკ-ის § 271 პირველი აბზაცია, რომლის თანახმად, თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დრო, კრედიტორს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესრულება, ხოლო მოვალე ვალდებულია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.¹⁸⁷ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა გერმანიაში იწყებოდა იმ მომენტიდან, როდესაც ხელშეკრულება დაიდო.¹⁸⁸ სსკ-ის 131-ე მუხლის ანალოგი გერმანულ სამართალში არ არის.

გსკ-ში განხორციელებული ცვლილებებისა და ხანდაზმულობის ვადების შემცირების შემდეგ, გერმანიის ფედერალური სასამართლო ამგვარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას უკვე ანგარიშობს იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორმა მოითხოვა შესრულება, და არა იმ მომენტიდან, როცა მას წარმოეშვა მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა.¹⁸⁹ ეს შეხედულება დასაბუთებულია ხანდაზმულობის ვადების საკანონმდებლო ცვლილებითა და მათი შემოკლებით. შესაბამისად, ხანდაზმულობის დენის ათვლის მიზნებისთვის მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობას გერმანიის ფედერალური სასამართლო საკმარისად მიიჩნევს.¹⁹⁰ გერმანული სასამართლოს შემოთავაზებული გადაწყვეტა მოცემულ შემთხვევაში, მოკლებულია

¹⁸⁷ BGB § 271 Abs. 1.

¹⁸⁸ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §199, Rn 8.

¹⁸⁹ იქვე.

¹⁹⁰ იქვე.

დამაჯერებლობას – კრედიტორმა შესაძლოა შესრულების მოთხოვნა განზრახ გააჭიანუროს, რითაც ხელოვნურად გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის გაზრდას.

განსხვავებით გერმანიისგან, სადაც არ არის პოზიტიურ-სამართლებრივი მოწესრიგება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 131-ე მუხლის სახით არსებული ჩანაწერი ამართლებს კრედიტორის მოთხოვნის წარმოშობის ხელშეკრულების დადების მომენტთან დაკავშირებას მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც შესრულების ვადა არ არის შეთანხმებული და არც რაიმე სხვა გარემოებებიდან დგინდება. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა მოვალე ხელოვნურად აღმოჩნდეს გაუარესებულ მდგომარეობაში, ვიდრე ისეთ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულებით დადგენილია შესრულების ვადა. მოვალე მუდმივად დამოკიდებული იქნება კრედიტორის მიერ მოთხოვნის დაყენებაზე, იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის 131-ე მუხლი, მათ შორის¹⁹¹, სწორედ ასეთი შემთხვევის მოწესრიგებას ისახავს მიზნად.

3.4. დელიქტური ქმედებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციფიკა

დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დასაწყისის საკითხთან მიმართებით არაერთი განსხვავებული აზრი შეხედულება და მიდგომა ჩამოყალიბდა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში.¹⁹² თუმცა ერთგვაროვანია მოსაზრება, რომ დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყება მხოლოდ იმ მომენტიდან უნდა მოხდეს, როდესაც მოთხოვნის ყველა წინაპირობა სახეზეა – მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანი.¹⁹³

¹⁹¹ ნორმის გამოყენების შემთხვევების თაობაზე შეად. კვანტალიანი, *ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 131, ველეები 2-5.

¹⁹² შეად. *Zimmermann, Reinhard* Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 109.

¹⁹³ იქვე, 111; ასევე ინგლისი Limitation Act 1980, art. 14.;

მოთხოვნის ყველა წინაპირობის არსებობა და ხანდაზმულობის ვადის დასაწყისის სწორი განსაზღვრა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როცა ზიანის გამომწვევი ქმედებიდან¹⁹⁴ გასულია ხანგრძლივი პერიოდი, ხოლო ზიანის გამოვლენა მოხდა მოგვიანებით.

ქართულ სამართალში ხანდაზმულობა სსკ-ს 1008-ე მუხლის საფუძველზე დენას იწყებს იმ მომენტიდან, როცა „*პირმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.*“

ეს მოწესრიგება პროგრესულად¹⁹⁵ უნდა შეფასდეს, რადგან მოთხოვნის წარმოშობა უკავშირდება დაზარალებულის მიერ ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის დადგენას, რითაც კანონი იცავს მას იმგვარი მოთხოვნების ხანდაზმულობისაგან, რომელთა შესახებ საერთოდ არ იცის.¹⁹⁶ ეს შესაძლოა იყოს მოგვიანებით გამოვლენილი ზიანი, როდესაც მაგალითად, დელიქტური ქმედებით გამოწვეული ზიანის აღმოჩენა საერთო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ხდება.¹⁹⁷

¹⁹⁴ შეად. მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს 1949 წლის პრეცედენტული გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა არ გაავრცელა დელიქტურ მოთხოვნაზე ქმედების ჩადენის მომენტიდან და ვადა აითვალა დაზარალებულის მიერ ჯანმრთელობის პრობლემების აღმოჩენის მომენტიდან, United States Supreme Court, *URIE V. THOMPSON*(1949) No. 129;

¹⁹⁵ მაგალითად, შვეიცარიაში 2018 წელს განხორციელებული რეფორმით, 1008-ე მუხლის ანალოგიური ხანდაზმულობის წესი შემუშავდა დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით. თუმცა შვეიცარიამ შემოიღო განსხვავებული ხანდაზმულობის ვადები სხეულის დაზიანების მოთხოვნებთან მიმართებით, შეად.: *Krauskopf Frédéric / Märki Raphael*, Wir haben ein neues Verjährungsrecht! Darstellung der neuen Gesetzesnormen mit Anmerkungen, in : Jusletter 2 juillet 2018, 3.

¹⁹⁶ შეად. განსხვავებულ საკითხზე, თუმცა მსგავსი მსჯელობა: *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2010, 157.

¹⁹⁷ მაგალითად, DCFR აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას დელიქტიდან გამომდინარე ზიანის, ან ზიანის მიმყენებელი პირის თაობაზე დაზარალებული პირის მიერ ინფორმაციის მოპოვებამდე, შეად: DCFR III 7:301.

ასეთია მაგალითად, სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევები, დაკავშირებული „ინდუსტრიულ“¹⁹⁸ ზიანთან; მშენებლობიდან¹⁹⁹ გამომდინარე საკუთრების ხელყოფა. შემთხვევების ზრდამ, როცა ზიანის მიმყენებელი ქმედებიდან ზიანის აღმოჩენის ობიექტურ შესაძლებლობამდე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო, სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოებს დაანახა დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის სხვაგვარი მოწესრიგების აუცილებლობა და მისი ვადის დენის დასაწყისის ზიანის აღმოჩენასთან დაკავშირება.²⁰⁰

ამ პრობლემას სხვადასხვა გზით ჭრიან სამართლებრივი სისტემები, საგამონაკლისო წესებია დადგენილი მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების²⁰¹ გზით, ზოგან ამის საჭიროება საერთოდ არ დგება თავად დელიქტური მოთხოვნის განმარტების გზით.²⁰²

ქართული სამართალში, სსკ-ის 992-ე მუხლით მოთხოვნა ფორმირებულია და ვადა დენას იწყებს მხოლოდ ოთხივე წინაპირობის თანაასებობის შემთხვევაში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. შესაბამისად, არათუ სსკ-ის 1008-ე მუხლით განსაზღვრული ვადა დაიწყებს ამ კომპონენტების გამოვლინებამდე დენას, საერთო ხანდაზმულობის ათწლიანმა ვადამაც დელიქტურ მოთხოვნაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს, თუ ზიანი აღმოჩენილია ამ ვადის

¹⁹⁸ *Mullany, Nicholas J*, Limitation of Actions and Latent Damage - An Australian Perspective, 54 Mod. L. Rev. 216 (1991) 219.

¹⁹⁹ შეად. ინგლისის სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა: *Higgins, Stephen* Murphy's Law: Limitation Periods and Latent Defects, 44 N. Ir. Legal Q. 78 (1993), 77.

²⁰⁰ *Mullany, Nicholas J*, Limitation of Actions and Latent Damage - An Australian Perspective, 54 Mod. L. Rev. 216 (1991) 220.

²⁰¹ შეად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §199, Rn 9.

²⁰² Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 64; *Zimmermann, Reinhard* Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 98.

გასვლის შემდეგ, რადგან მოთხოვნის წარმოშობისვის ობიექტური წინაპირობები სახეზეა მხოლოდ მისი აღმოჩენის შემდეგ.

DCFR-ის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება, მაგრამ ჩერდება, სანამ კრედიტორმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს მოვალის ვინაობა ან ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც მის მოთხოვნას წარმოშობს, ან ზიანის შემთხვევაში – ზიანის სახე.²⁰³ ხანდაზმულობის ვადის დენა დაწყებულია, მაგრამ ჩერდება შესაბამისი მოვლენის დადგომამდე, ან შესაძლოა, ხანდაზმულობის ვადის დენა იმთავითვე, მისი დაწყების მომენტიდან შეჩერდეს.²⁰⁴ ქართულ სამართალში ხანდაზმულობის შეჩერების საჭიროება არ დგება, რადგან სსკ-ის 1008-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლას უკავშირებს მომენტს, როცა კრედიტორმა შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ და მისთვის ცნობილია მოვალის ვინაობა. თუ რომელიმე მათგანი არ არის ცნობილი, ხანდაზმულობის ვადის დენა საერთოდ არ იწყება.²⁰⁵ მართალია მოცემული მუხლი ალტერნატიულ „ან“ კავშირს შეიცავს, თუმცა ამ თვალსაზრისით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა რითაც აღმოიფხვრა ნორმაში არსებული გრამატიკული ხარვეზი.²⁰⁶ სასამართლომ მიუთითა, რომ ზიანის მიყენების ფაქტის (ანუ უფლების დარღვევის ფაქტის) და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ვინაობის შეტყობა ვადის ათვლის დაწყების

²⁰³ DCFR III 7:301 “*The running of the period of prescription is suspended as long as the creditor does not know of, and could not reasonably be expected to know of: (a) the identity of the debtor; or (b) the facts giving rise to the right including, in the case of a right to damages, the type of damage.*”

²⁰⁴ DCFR III 7:301 Comment C; Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 63; Consultation Paper of the Law Commission 1998 to Limitation Act 1980, (LCCP151), 12.111; Unidroit Principles 2010, Art. 10(1).

²⁰⁵ შეად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §199, Rn 16.

²⁰⁶ იხ. ნორმის განმარტების საჭიროების და „ან“ კავშირის პრობლემურობის თაობაზე ასევე ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2010 158.

კუმულატიურ წინაპირობებად უნდა იქნეს განხილული.²⁰⁷ ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ფაქტობრივი იდენტიფიკაციის მომენტიდან, თუ საკმარისად განსაზღვრადია ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა.²⁰⁸

4. ხანდაზმულობის შეჩერება და შეწყვეტა

4.1. ზოგადი პრინციპები

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა, რაც ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახალ დაწყებას იწვევს, უკავშირდება მოთხოვნის რეალიზაციის მცდელობას ან მოვალის მხრიდან მოთხოვნის არსებობის დადასტურებას.²⁰⁹

ხანდაზმულობის შეჩერების მიზანია კრედიტორის დაცვა, როცა ის მოკლებულია სასამართლო გზით მოთხოვნის რეალიზაციის შესაძლებლობას. ასეთ დროს განვლილი ხანდაზმულობის ვადა როგორც წესი, არ ითვლება ხანდაზმულობის ვადაში.²¹⁰

ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები განსხვავებულად არის მოწესრიგებული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. ქართული მიდგომა უფრო ახლოს დგას უნიფიცირებულ სამართალთან, თუმცა განსხვავებულია ვადის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლები. თუ ქართულ სამართალში დავის დაწყება ხანდაზმულობის შეწყვეტას იწვევს, ეს რიგ ქვეყნებსა და სამართლებრივ სისტემებში, ვადის შეჩერების საფუძველია.

²⁰⁷ სუსგ №ას-1322-2018, 04/04/2019, პუნქტი 181.

²⁰⁸ იქვე.

²⁰⁹ შეად. *სვანაძე, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 137, ველი 10.

²¹⁰ შეად. *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 135 ველი 2.

DCFR ასხვავებს ხანდაზმულობის ხელახალ დაწყებას და ხანდაზმულობის ვადის გაგრძელებას.²¹¹ პირველი წარმოადგენს შეწყვეტის შედეგს, ხოლო მეორე – შეჩერების. თავის მხრივ, ვადის გაგრძელება ორგვარად შეიძლება: გარკვეული გარემოებების არსებობის დროს ხანდაზმულობის ვადის დენის აბსოლუტური შეჩერება, ან გარკვეული გარემოებების დასრულების შემდეგ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება დამატებითი ვადის გასვლამდე.²¹²

გერმანიაში ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციასთან ერთად შეიცვალა ხანდაზმულობის შეწყვეტისა და შეჩერების საკანონმდებლო საფუძვლები.²¹³ მაგალითისთვის, ხანდაზმულობის ხელახალი დაწყების საფუძვლები შემცირდა და შეწყვეტის საფუძვლების ნაწილი შეჩერების საფუძვლად იქცა.²¹⁴

DCFR-ის კომენტარის ავტორების აზრით, ტერმინი „ხანდაზმულობის შეწყვეტა“ დამაბნეველია და უმჯობესია მის ნაცვლად „ხანდაზმულობის განახლების“ გამოყენება, ისიც ორ შემთხვევაში: ვალის აღიარება და კრედიტორის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნის აღსრულების მცდელობა.²¹⁵ შესაბამისად, განსხვავებით ქართული და რომაული კოდიფიკაციის²¹⁶ ქვეყნებისგან, DCFR სასამართლოში საქმის განხილვისას და სხვა პროცესების დროს უფრო რბილ, ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ბერკეტს იყენებს.²¹⁷

²¹¹ შეად. DCFR III 7:301.

²¹² DCFR Outline edition, Study Group on a European Civil Code, Acquis Group, edit. by Christian von Bar, Eric Clive, Hans Schulte-Nölke, Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zoll, 2009, III 7:301 Comments A, B.

²¹³ შეად. BGB §212 01.01.1900 წლის და 01.01.2002 წლის რედაქციები.

²¹⁴ იქვე; ცვლილების არგუმენტაციისთვის იხ.: *Rabe, Dieter*, Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts: Verjährung NJW 1992, 2395, 2399.

²¹⁵ DCFR, Outline edition 2009, III. 7:401 Comment A.

²¹⁶ იქვე, III 7:302, Comment A.

²¹⁷ იქვე.

უნიდროას პრინციპებითაც, სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესების მიმდინარეობა მხოლოდ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველია.²¹⁸ თუ პროცესი დასრულდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებით, მოთხოვნა რეალიზებულია, ხოლო თუ პროცესი სხვაგვარად დასრულდა – კრედიტორმა გამოიხმო სარჩელი, სარჩელი განუხილველად დარჩა ან სხვ. ხანდაზმულობის ვადა დენას განაგრძობს და მისი ხელახალი დაწყება არ ხდება.²¹⁹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის და შეჩერებისათვის აუცილებელი გარემოებები და წესები დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის²²⁰ თანახმად, ამომწურავადაა მოცემული სამოქალაქო კოდექსში და სხვა საფუძვლებით ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ან შეწყვეტა დაუშვებელია.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შედეგად, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა იწყება თავიდან.²²¹ შეწყვეტის სსკ-ით მოწესრიგებული საფუძვლებია: (1) სარჩელის წარდგენა (სსკ 138); (2) სახელმწიფო ორგანოსთვის ან სასამართლოში მიმართვა განცხადებით მოთხოვნის არსებობის შესახებ (სსკ 138); (3) აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება (სსკ 138); (4) მოვალის მიერ მოთხოვნის არსებობის აღიარება უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად (სსკ 137). ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ხდება ქორწინების პერიოდში, ბავშვის სრულწლოვანებამდე თუ მხარდაჭერის მიღების განმავლობაში²²², რაც ასევე აღიარებულია უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობაში.²²³ ამას გარდა სსკ-ის 132-ე მუხლი განსაზღვრავს დამატებით ხუთ გარემოებას, რომელიც ხანდაზმულობის შეჩერებას

²¹⁸ UNIDROIT Principles, 2010, Art. 10.5 (a) and Art. 10.6.

²¹⁹ იქვე, Art. 10.5 (a) Comments 1-4.

²²⁰ მაგალითად შეად: სუსგ ას-826-784-2013, 09/12/2013.

²²¹ შეად. სსკ-ის 141 მუხლი.

²²² შეად. სსკ 133, 134 მუხლები.

²²³ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 207 Rn 1 und §210 Rn 1; ასევე: DCFR, Outline edition 2009, 7:305 Comments.

იწვევს მისი ვადის დენის გაგრძელების გზით, ესენია: (1) მორატორიუმი; (2) დაუძლეველი ძალა; (3) კრედიტორის ან მოვალის ყოფნა საქართველოს თავდაცვის ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაზე; (4) კერძო მედიაციის დაწყება; (5) კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, შესაძლებელია ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ორ კატეგორიად²²⁴ დაყოფა:

- (1) პირველი, როდესაც ხანდაზმულობა ჩერდება სრულად, შესაბამისი გარემოების არსებობის განმავლობაში და ეს პერიოდი საერთოდ არ ითვლება ხანდაზმულობის ვადაში. ესენია სსკ-ის 133-134 მუხლებით განსაზღვრული შემთხვევები: ქორწინების პერიოდი, შეზღუდული ქმედუნარიანისა და მხარდაჭერის მიმღების და მათ მიმართ მოთხოვნები – ამ გარემოებების აღმოფხვრამდე.
- (2) შემთხვევათა მეორე ჯგუფში, ხანდაზმულობის დენა ჩერდება მხოლოდ მაშინ, თუ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში.²²⁵ შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე. ხოლო თუ დარჩენილი ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – დარჩენილ ხანდაზმულობის ვადამდე.²²⁶ ცხადია, თავისი სამართლებრივი

²²⁴ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძვლები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით: როცა უფლებამოსილი პირი ობიექტური, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო მოკლებულია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას და, მეორე, როცა ურთიერთობათა ხასიათიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადის დენა არ არის მიზანშეწონილი. შეად: *ჰანტურია, ლადო*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.125; *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჰანტურია რედ. 2017, მუხ.132, 1.

²²⁵ შეად. სსკ-ის 132-ე მუხლი.

²²⁶ სსკ 136-ე მუხლი.

მნიშვნელობით, შემთხვევათა ეს ჯგუფი არა ხანდაზმულობის ვადის „შეჩერება“, არამედ ვადის გაგრძელების მაგალითებს ქმნის.

გერმანულ სამართალში, პირველ ჯგუფში ჩამოთვლილ შემთხვევებს „ხანდაზმულობის შეჩერებას“ უწოდებენ, ხოლო მეორე ჯგუფს – „ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერებას“, რადგან ეს უკანასკნელი აფერხებს ხანდაზმულობის ვადის გასვლას მხოლოდ ბოლო 6 თვის განმავლობაში.²²⁷

სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, ხანდაზმულობა ჩერდება უშუალოდ მოთხოვნის ადრესატის მიმართ, თუმცა, მასში მოიაზრება ასევე თავდებიც.²²⁸ წინააღმდეგ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისას თავდების მიმართ მოთხოვნა დაიკარგებოდა, რაც არ არის სამართლის მიზანი.²²⁹

4.1.1. ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლების შესაბამისობა მოწესრიგების მიზანთან

კერძო სამართალში ვადის არსებობა აუცილებელი, გამართლებული და მიზანშეწონილია იმ არგუმენტით, რომ კრედიტორი თავისი ბრალეულობით, მისთვის კანონით მინიჭებულ ვადას არ იყენებს და არ მიმართავს სასამართლოს მოთხოვნის რეალიზებისთვის.²³⁰ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მოთხოვნის რეალიზების შესაძლებლობა არ მიეცა, დასახელებული მიზანშეწონილობა ხანდაზმულობას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს, გამოეცლება. ამდენად, აუცილებელი

²²⁷ *Hemmung (შეჩერება) Ablaufhemmung (ვადის დინების შეჩერება)*, შეად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §203, Rn 1-6; Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 74.

²²⁸ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §203, Rn 2.

²²⁹ იქვე.

²³⁰ *James B. Thayer, Magdalene Schoch & Gordon Ireland, Effect of a State of War upon Statutes of Limitation or Prescription*, 17 Tul. L. Rev. 416 (1942-1943), Bluebook 20th ed. 418.

და სამართლიანია ხანდაზმულობის ვადის შეჩერება მაშინ, როდესაც მოთხოვნის რეალიზება ობიექტური ან სუბიექტური საფუძვლების გამო, შეუძლებელია.

ქართულ სამართალში ასეთად მიიჩნევა როგორც მოთხოვნა ქორწინების განმავლობაში, ქონების გაყოფის თაობაზე, ასევე სახელშეკრულებო მოთხოვნა, თუ კრედიტორი იმყოფება საომარ მდგომარეობაში არსებულ თავდაცვის ძალებში და სხვ.²³¹

სამართალი დინამიურად ვითარდება საზოგადოებასთან ერთად, რის გამოც, შესაძლოა შეიცვალოს და უფრო მრავლისმომცველი გახდეს ისეთი გარემოებები, რაც დააბრკოლებს კრედიტორს სარჩელის წარდგენისგან. თუმცა, ქართულ სამოსამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრებით, ხანდაზმულობის შეჩერების საფუძვლებს კანონმდებლობა ამომწურავად ასახელებს.²³² მაგალითისთვის, საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა გაზიარებულია უზენაესი სასამართლოს მიერ, რომლის თანახმად, სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნა და მკურნალობა არ არის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველი, რადგან ასეთი წინაპირობები ამომწურავად არის ჩამოთვლილი 132-136 მუხლებში.²³³

საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში²³⁴ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლად სარჩელის წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია მოპასუხის შვილის მიერ (რომელიც იყო მაღალი თანამდებობის პირი) მოსარჩელის მიმართ განხორციელებული ზეწოლით, რომ მას არ მოეთხოვა ნასყიდობის საფასურის გადახდა, არ არის დაუძლეველი ძალა, და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველი.

²³¹ შეად. სსკ 132-134 მუხლები.

²³² სუსგ ას-641-609-2013, 09/12/2013.

²³³ სუსგ ას-826-784-2013, 02/12/2013.

²³⁴ სუსგ ას-641-609-2013, 09/12/2013.

უზენაესი სასამართლოს ამ განმარტებით, რადგან შეჩერების ყველა საფუძველი კანონით პირდაპირ გაწერილია, დაუშვებელია სხვა საფუძველით ხანდაზმულობის შეჩერება, თუნდაც ეს საფუძველი მოვალის მხრიდან განხორციელებული მუქარა იყოს.

ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში მიუხედავად კრედიტორის არაბრალეულობისა და სარჩელის აღძვრის ობიექტური შეუძლებლობისა, ხანდაზმულობა სასამართლომ შეჩერებულად არ ჩათვალა.²³⁵ ეს მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს კანონმდებლის მიზანს ხანდაზმულობის შეჩერების შესაძლებლობის დანერგვისას.

სასამართლოს ამ შეხედულების უსწორობას ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა სისტემური ანალიზი. მაგალითისთვის, სსკ-ის 89-ე მუხლის თანახმად, იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადის ათვლა იწყება იძულების დასრულების მომენტიდან. კანონმდებლის მიერ ამ წესის დადგენა ცხადყოფს, რომ მისი ნება იყო, კონკრეტულ შემთხვევაში, შეცილების ვადის გასვლისგან დაეზღვია კრედიტორი, რომელიც ჯერ კიდევ მუქარის ქვეშ იმყოფება, ამიტომ ვადის დენის დასაწყისი დაუკავშირა მუქარის დასასრულს. ნორმათა სისტემური და თელეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე ცხადია, რომ კანონმდებელს არ შეიძლება ჰქონოდა განზრახული, მოვალისთვის მიეცა შესაძლებლობა, დაეყენებინა ხანდაზმულობის შესაგებელი მაშინ, როცა ის კრედიტორზე უკანონო ზემოქმედებით ხელს თავად უშლის მოთხოვნის რეალიზებაში.

DCFR-ის თანახმად, ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენება კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამართლიანი მოლაპარაკების წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს. თავისი ვალდებულების დარღვევამ შეიძლება პირს აუკრძალოს შესაგებელის დაყენება.²³⁶ მიიჩნევა, რომ მოტყუების პარალელურად, არაკეთილსინდისიერი ქმედება შეიძლება იყოს იძულება, შიში,

²³⁵ იქვე.

²³⁶ DCFR, Outline edition 299, III 7:307 Comments.

ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენებაზე ადრე გაცხადებული უარი და სხვ.²³⁷

ქართულ სამართალში შემთხვევათა ამ ჯგუფთა გადაჭრა შესაძლებელია კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით და ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების აკრძალვით. ალტერნატიულად შესაძლებელია ეს შემთხვევა „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ დაკვალიფიცირდეს, ან, სსკ-ის 132 მუხლის (დ) ქვეპუნქტის ფართო განმარტებით „კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებში“ მოვალის კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო მოქმედების მოაზრება, რადგან სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი არ არის მხოლოდ დეკლარატორული, იგი ცალკე მოთხოვნის საფუძველია და მისი განმარტებით შეიძლება ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველის დანერგვა.

ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველია შემთხვევა, როდესაც პირს უკანონოდ, საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით ეუბნებიან უარს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ან პოლიტიკური იძულების მსხვერპლია, რომ არ გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.²³⁸ თავის მხრივ, კრედიტორის მიერ კანონის არცოდნა არ მიიჩნევა დაუძლეველ ძალად და ვადის დენის შეჩერების საკმარის საფუძვლად.²³⁹ ზემოთ დასახელებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით ცხადია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა დაუძლეველი ძალის თუ განსაკუთრებული გარემოებების განმარტების თაობაზე, განსხვავდება ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებისგან და კიდევ უფრო ავიწროვებს ვადის შეჩერების საფუძვლებს.

იმ შემთხვევაშიც, თუ გავიზიარებთ უზენაესი სასამართლოს პოზიციას, რომ კანონმდებელმა შეჩერების საფუძვლები ამომწურავად მოაწესრიგა, აუცილებელია ამ ჩამონათვალში

²³⁷ იქვე.

²³⁸ *კვანტალიანი, ნუნუ*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017 მუხ. 132, 4

²³⁹ იქვე.

არსებულ შემთხვევათა მაქსიმალურად ფართო ინტერპრეტაცია. სხვა შემთხვევაში კანონმდებლის მიზანი, უზრუნველყოს კრედიტორის დაცვა მოთხოვნის რეალიზაციის ობიექტური შეუძლებლობისას, უგულებელყოფილი იქნება. ამის მიღწევა, შესაძლებელია ერთი მხრივ, სსკ-ის 132-ე მუხლში ჩამოთვლილ შემთხვევათა ფართო ინტერპრეტაციით, ხოლო მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების პრინციპის მოხმობის საფუძველზე.

4.1.2. დაუძლეველი ძალის ფართო განმარტება

სსკ-ის 132 ბ) ქვეპუნქტი ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველად „განსაკუთრებულ და მოცემულ პირობებში“ აუცდენელ დაუძლეველ ძალას ასახელებს, რომელიც აბრკოლებს სარჩელის შეტანას. დაუძლეველი ძალის საკანონმდებლო განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს. კანონმდებლის მიერ ამ ტერმინის განმარტებისგან თავის შეკავება მიუთითებს მისი სამოსამართლო სამართლის საფუძველზე განვითარების მიზანზე. თავის მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თანახმად დაუძლეველი ძალა არის „სტიქიური მოვლენები“, ასევე „პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და სხვა გარემოებები“, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას.²⁴⁰

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით²⁴¹ ცნება „დაუძლეველი ძალა“ მოიცავს, როგორც სტიქიურ უბედურებას, ისე საზოგადოებრივ მოვლენებს (სამოქალაქო ომი), რომლებიც არღვევენ ტრანსპორტის, სასამართლოსა და სხვა ორგანოების ნორმალური მუშაობის რეჟიმს. იმისათვის, რომ ესა თუ ის მოვლენა დაუძლეველ ძალად დაკვალიფიცირდეს, იგი, უპირველეს ყოვლისა, უჩვეულო უნდა იყოს, ანუ „მოვლენათა ნორმალური მსვლელობიდან ამოვარდნილი“ და, როგორც წესი, წინასწარ გაუთვალისწინებელი. გარდა ამისა, ასეთი მოვლენა „ობიექტურად

²⁴⁰ შეად. მაგალითად: სუსგ №ას-30-367-09, 23/07/2009;

²⁴¹ სუსგ №ს-641-609-2013, 02/12/2013, სადაც უზენაესი სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას.

შეუქცევადი“ უნდა იყოს, მისი შეჩერება კონკრეტულ სიტუაციაში არსებული ტექნიკური და სხვა საშუალებებით შეუძლებელი უნდა იყოს.²⁴²

DCFR-ის 7:303 მუხლი განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იმგვარი წინააღმდეგობის არსებობისას, რომელიც კრედიტორის კონტროლს მიღმაა და მისი დაძლევა კრედიტორისთვის შეუძლებელია გონივრულობიდან გამომდინარე.²⁴³ თავის მხრივ, დაუძლეველი ძალის ცნებას განმარტავს DCFR III.3:104 მუხლი. მიიჩნევა, რომ დაუძლეველი ძალა სახეზეა, როცა გარკვეული დაბრკოლება წარმოშობილია მოვალის კონტროლს მიღმა და მას გონივრულობის ფარგლებში არ შეუძლია გადალახოს იგი ან ხელი შეუშალოს მის შედეგებს. ამგვარი მოვლენა არ უნდა იყოს გამოწვეული ამ პირის რაიმე მოქმედებით, ან მისი პასუხისმგებლობის სფეროში.²⁴⁴

უნიდროას პრინციპებით დაუძლეველი ძალის ტიპური შემთხვევებია ბუნებრივი კატასტროფები, ომი.²⁴⁵ პირის პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება ფორს მაჟორად, თუ სახეზეა ტყვეობა ომის გამო.²⁴⁶ ევროპული სახელმეკრულებო პრინციპებიც იცნობს დაუძლეველ ძალას და მის ზოგად განმარტებას აკეთებს – „წინააღმდეგობა, რომლის გადალახვა არის კრედიტორის კონტროლს მიღმა“.²⁴⁷ გერმანული²⁴⁸, ფრანგული, და ინგლისური

²⁴² სუსგ №ს-641-609-2013, 02/12/2013, სადაც უზენაესი სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას.

²⁴³ შეად. DCFR, Outline edition 2009, III. 3:104 Comment D.

²⁴⁴ მაგ.: მოვალის თანამშრომლების გაფიცვა არ ჩაითვლება დაუძლეველ ძალად, თუმცა სხვა კომპანიის თანამშრომლების გაფიცვა, რომლის ფუნქციონირება მისი ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელია, ითვლება დაუძლეველ ძალად, შეად.: DCFR, Outline edition 2009, III 3:104, Comment C, Illustrations 1-3.

²⁴⁵ UNIDROIT Principles 2010, Art. 10.8 Comment 1.

²⁴⁶ იქვე.

²⁴⁷ შეად.: DCFR, Outline edition 2009, III. 7:303, Comment A, B; Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 206, Rn 5-6.

²⁴⁸ BGB §206.

სამართალი ასევე იცნობენ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძვლად დაუძლეველ ძალას.²⁴⁹

ხანდაზმულობის ვადების შეჩერება დაუძლეველი ძალის ცნების გამოყენებით ქართულ სამართალშიც შესაძლებელია, თუმცა მხედველობაშია მისაღები სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. მაგალითად საფრანგეთში ხანდაზმულობის ვადის შეჩერების აღიარება სასამართლოების მიერ ფაქტობრივად ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში ხდებოდა, როდესაც კრედიტორის წინაშე მოთხოვნის რეალიზების წინააღმდეგ რაიმე უმნიშვნელო დაბრკოლება შეიქმნებოდა.²⁵⁰ საფრანგეთში ამის აღმოსაფხვრელად განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და ხანდაზმულობის ვადის შეჩერება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაიშვება.²⁵¹

მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველთა ვიწრო ჩამონათვალს გვთავაზობს, დაუძლეველი ძალის, როგორც კრედიტორისგან დამოუკიდებელი, მისთვის ობიექტურად დამაბრკოლებელი მოვლენის განმარტება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სტიქიურ უბედურებებსა და ომებზე მითითებით. სასურველია სასამართლოებმა უნიფიცირებული სამართლის განმარტებებით იხელმძღვანელონ და მის საფუძველზე ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზისას ინდივიდუალური გადაწყვეტილებები მიიღონ.

²⁴⁹ შუად. Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 81; Obligationenrecht, Revision des Verjährungsrechts - Bericht zum Vorentwurf, Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement EJPD, 2011, 15.

²⁵⁰ James B. Thayer, *Magdalene Schoch & Gordon Ireland*, Effect of a State of War upon Statutes of Limitation or Prescription, 17 Tul. L. Rev. 416 (1942-1943), Bluebook 20th ed, 421.

²⁵¹ იქვე.

4.1.3. ხანდაზმულობის შეჩერება მედიაციისა და მოლაპარაკებისას

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2011 წლის დეკემბრიდან ითვალისწინებს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს, რის საფუძველზეც მხარეებს საქმის სასამართლოში აღძვრის შემდეგ შეუძლიათ საქმე გადასცენ სასამართლო მედიატორს. წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დავა სრულდება, ხოლო წარუმატებლობისას – კვლავ უბრუნდება საქმის განმხილველ მოსამართლეს.²⁵² სსსკ-ის 279 ვ) ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მედიაცია წარმოადგენს საქმის განხილვის შეჩერების საფუძველს, რის გამოც, სასამართლო მედიაცია მოთხოვნის ხანდაზმულობას საფრთხეს არ უქმნის.

მიუხედავად ზემოაღნიშნული მოწესრიგებისა, ღია რჩებოდა მედიაციის და მოლაპარაკებების ის შემთხვევები, რომლებიც სასამართლოს გარეთ მიმდინარეობდა. 2019 წელს კერძო მედიაციის შესახებ კანონის მიღების პარალელურად, 2019 წლის 18 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებით, ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველთა ჩამონათვალს სსკ-ის 132-ე გ¹ პუნქტად დაემატა მედიაციის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მედიაციის დაწყება. მოცემული დანაწესი ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან და ითვალისწინებს ხანდაზმულობის შეჩერებას კერძო მედიაციის დაწყების მომენტიდან, განურჩევლად იმისა, სასამართლო მედიაციაა, თუ არასასამართლო. კერძო მედიაციის შესახებ კანონის 12.2 პუნქტის თანახმად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად მიიჩნევა კერძო მედიაციის დასრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს კერძო მედიაციის დაწყებიდან 2 წლისა. კერძო მედიაციის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში დრო, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებული იყო, აღნიშნულ ვადაში არ ჩაითვლება.

ეს ცვლილება ცალსახად პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან ამ საკითხის მოწესრიგების მიღმა დატოვება მხარეებს

²⁵² სსსკ 187¹-187⁹ მუხლები.

უსაფუძვლო სარჩელის შეტანისკენ უბიძგებდა მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის დაცვის მოტივით და სარჩელის წარდგენის შემდგომ მხარეები წლების მანძილზე აგრძელებდნენ მოლაპარაკებებს.

ამ პოზიტიური მოწესრიგების მიუხედავად, ვადის დენის შეჩერებას მიზანშეწონილია ითვალისწინებდეს არა მხოლოდ მედიაციის პროცესის დაწყება, არამედ ზოგადად მხარეთა შორის მოლაპარაკებების წარმოება.

მოლაპარაკებები ხანდაზმულობის შეჩერების აღიარებული საფუძველია შედარებით სამართალში. DCFR-ის თანახმად, თუ მხარეები მოთხოვნაზე ან მოთხოვნის საფუძველებზე მოლაპარაკებას აწარმოებენ, ხანდაზმულობის ვადა არ გადის, სანამ არ დასრულდება ერთი წელი მოლაპარაკებების თაობაზე უკანასკნელი კომუნიკაციიდან.²⁵³ DCFR-ის 7:304 მუხლის კომენტარის თანახმად, მოვალემ, რომელიც მოლაპარაკებას თანხმდება და ამით აფერხებს კრედიტორს შეიტანოს სარჩელი, არ შეიძლება ისარგებლოს სწორედ ამ მოლაპარაკებების გამო გასული ხანდაზმულობის შესაგებელით. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მოლაპარაკების პერიოდში წარმოადგენს კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპის ერთ-ერთ დაკონკრეტებას და მანიფესტს.²⁵⁴ დანიაში იდენტურად არის მოწესრიგებული მოლაპარაკებისას ხანდაზმულობის საკითხი.²⁵⁵

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 203-ე პარაგრაფიც ითვალისწინებს DCFR-ის მსგავს ჩანაწერს, რომელიც გერმანიის ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის პირმშოა.²⁵⁶ ხანდაზმულობა შეჩერებულია, სანამ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის მოლაპარაკების გაგრძელებაზე. ხანდაზმულობა დგება

²⁵³ DCFR III 7:304.

²⁵⁴ იქვე.

²⁵⁵ Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 81.

²⁵⁶ *Klose, Bernhard*, der Lauf der Verjährung bei Mediation und sonstigen außergerichtlichen Streitlösungsmodellen, NJ, 3-2010, 100-103.

მოლაპარაკების დასრულებიდან ყველაზე ადრე, სამი თვის გასვლის შემდეგ.²⁵⁷

ინგლისში ჩვეულებრივ, მოლაპარაკებების წარმოება არ არის ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველი, მაშინაც, როცა იგი დროში იწელება და სარჩელის შეტანის დაყოვნების მიზეზია.²⁵⁸ მოლაპარაკება მხოლოდ იმ შემთხვევაში აჩერებს ხანდაზმულობას, თუ მხარეთა შორის არსებობს ე.წ. “stand-still agreement” თავისი ნაცვალგების გათვალისწინებით, ან სპეციალური ფორმით შედგენილი დოკუმენტი. თუმცა, ინგლისურ ლიტერატურაშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს პრინციპი გამონაკლისებს საჭიროებს.²⁵⁹

უნიდროას პრინციპები მხოლოდ იმ შემთხვევაში თვლის დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძვლად, როცა მასზე მხარეები შეთანხმდებიან.²⁶⁰ მხარეები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ, რომ მედიაციის და დავის ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტის პროცესის დასრულებამდე, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია.²⁶¹

საქართველოშიც, მოლაპარაკებების წარმოება მიზანშეწონილია გახდეს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი და გაიწეროს სსკ-ის 132-ე მუხლში.

შესაძლოა, კანონმდებლობის მოდიფიცირებამდე ქართულმა სასამართლოებმა ისარგებლონ ქართულ სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის არსებობით და მისი მეშვეობით გადაჭრან ეს საკითხი. გერმანული სამართლის მოდერნიზებამდე არც გერმანიაში არსებობდა ჩანაწერი მოლაპარაკების პროცესში ხანდაზმულობის შეჩერების თაობაზე. ამდენად სასამართლოები ასეთ შემთხვევაში მიმართავდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს

²⁵⁷ შეად. §203 BGB.

²⁵⁸ შეად. Consultation Paper of the Law Commission 1998 to Limitation Act 1980, (LCCP151), 1.37, 9.1, footnote 31.

²⁵⁹ Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 80.

²⁶⁰ UNIDROIT Principles 2010, Art. 10.7.

²⁶¹ იქვე, Comment 1.

და უკრძალავდნენ მოვალეს, ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენებას, მისი არაკეთილსინდისიერების გამო, თუ მხარეების მოლაპარაკებების პროცესში ხანდაზმულობის ვადა გავიდიოდა.²⁶²

ასევე შესაძლებელია, ნაკლებად ლიბერალური მიდგომის არჩევა და უნიდროას პრინციპების მსგავსად, მოლაპარაკებების ხანდაზმულობის შეჩერების საფუძვლად მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეჩერების ამ წესზე მხარეები მოლაპარაკების დასაწყისში წინასწარ შეთანხმდებიან.²⁶³ ამ შეხედულების დანერგვა საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე სავარაუდოდ გაძნელებდა, სსკ-ის 146 მუხლის ამკრძალავი ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც კრძალავს ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესების შეცვლას. შესაძლებელია ნორმის იმგვარი ინტერპრეტაციაც, რომ ის ცალსახად არ კრძალავს ხანდაზმულობის შეჩერების დამატებითი საფუძვლის შეთანხმებას მხარეებს შორის.

ქართულ სამოსამართლო სამართალში არსებობს პოტენციალი, სასამართლომ ხანდაზმულობის შეჩერების საფუძვლები განავრცოს და განავითაროს არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში. ერთი მხრივ, დაუძლეველი ძალის ფართო განმარტებით, ხოლო მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების პრინციპის მოხმობით.

4.2. ხანდაზმულობის შეწყვეტა მხოლოდ უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზე

სსკ-ის 138-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის წინაპირობად, *უფლებამოსილი პირის* მიერ სარჩელის შეტანას ან ნორმით დადგენილი სხვა ქმედების განხორციელებაზე.

პირთა შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას. თუ მოთხოვნა

²⁶² Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 63.

²⁶³ UNIDROIT Principles 2010, Art. 10.7.

ხანდაზმულია, მოთხოვნის უფლების დათმობის შემდგომაც, ასეთად დარჩება.²⁶⁴

მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში მოვალეს შეუძლია ხანდაზმულობის შესაგებელი ახალი კრედიტორის წინაშეც დააყენოს. მნიშვნელობა არ აქვს, მოთხოვნის დათმობა წარმოშობილია კანონის საფუძველზე, თუ ხელშეკრულებით.

მოთხოვნის დათმობის კანონისმიერი მოწესრიგების შემთხვევა გათვალისწინებულია სსკ-ის 832.1 მუხლით, როდესაც სუბროგაციის გზით მზღვეველი იკავებს დამზღვევის ადგილს ზიანის მიმყენებელთან სამართლებრივ ურთიერთობაში. დამზღვევის მოთხოვნის მიმართ ვრცელდება იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადები, რომელშიც ის ჩაენაცვლა კრედიტორს.²⁶⁵

სსკ-ის 199-ე მუხლი მოთხოვნის დათმობას უშვებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან შეთანხმებას ან კანონს. თავის მხრივ, მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი.²⁶⁶

შესაძლებელია მოთხოვნის დათმობა სსკ 199.1 მუხლის უგულვებელყოფით მოხდეს, მაგალითად, ის არღვევდეს მოვალესთან შეთანხმებას.

ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, იწვევს თუ არა „ახალი კრედიტორის“ მიერ სარჩელის წარდგენა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, თუ მომავალში აღმოჩნდება, რომ ის არაუფლებამოსილია და მოთხოვნის დათმობა, ბათილი.

სსკ-ის 138.1 მუხლის გრამატიკული შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზეა შესაძლებელი ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა²⁶⁷.

²⁶⁴ შეად. სუსგ №ას-409-382-2017, 19/07/2018, პუნქტი 57.

²⁶⁵ შეად. სუსგ №ას-581-549-2011, 05/09/2012.

²⁶⁶ შეად. სსკ მუხლი 199.1, მეორე წინადადება.

²⁶⁷ შეად. ასევე *სვანაძე, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 138, ველი 1.

მოცემული საკითხი პრაქტიკული შინაარსის მატარებელია, რამდენადაც ხანდაზმულობის ვადების გასვლის რისკს ატარებს მოთხოვნის დამთმობი ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც მოთხოვნის დათმობა ბათილი აღმოჩნდება. ამდენად თითოეული ასეთი შემთხვევისას, მნიშვნელოვანია მოთხოვნის დათმობა კანონმდებლობის და მითუფრო, ხელშეკრულების დაცვით მოხდეს.

გერმანულ სამართალში სარჩელის წარდგენა 2002 წლის რეფორმის შემდგომ ხანდაზმულობის შეჩერების, და არა შეწყვეტის საფუძველია. რეფორმამდე გსკ-ს 209.1 პარაგრაფი ითვალისწინებდა ხანდაზმულობის შეწყვეტას უფლებამოსილი პირის (Berechtigte) სარჩელის საფუძველზე. დღეს არსებული რედაქციის 204.1 N1 პარაგრაფი ხანდაზმულობის შეჩერებას ითვალისწინებს სარჩელის საფუძველზე, თუმცა მასში აღარ არის დაკონკრეტებული „უფლებამოსილი“ პირი.²⁶⁸ მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლოს განმარტებით ხანდაზმულობის შინაარსისა და ცნების გათვალისწინებით, მისი შეჩერება მხოლოდ უფლებამოსილი პირის სარჩელის საფუძველზეა შესაძლებელი, ხოლო კანონმდებლის მხრიდან ამაზე მითითების გამოტოვების უკან არ დგას რაიმე მიზნობრივი ჩანაფიქრი.²⁶⁹

შესაბამისად, კითხვაზე პასუხი, გასულია თუ არა ხანდაზმულობის ვადა იმ კრედიტორის მიმართ, რომლის მხრიდან მოთხოვნის დათმობა ბათილი აღმოჩნდება, დადებითია. კრედიტორი არის რისკის მატარებელი, რომ მოთხოვნა კანონის შესაბამისად დათმოს. მოვალეს არ შეიძლება დააწვეს ტვირთად კრედიტორის ქმედებები, რამაც შესაძლოა ხანდაზმულობის ვადის ხელოვნური ზრდა გამოიწვიოს.

4.3. ხანდაზმულობის შეწყვეტასთან დაკავშირებული სადავო საკითხები

²⁶⁸ *Rabe, Dieter*, Verjährungshemmung nur bei Klage des Berechtigten? NJW 2006, 3089.

²⁶⁹ BGH Az: III ZR 56/10, 09/12/2010.

ხანდაზმულობის შეწყვეტის ყველაზე მარტივი გზა, სარჩელის გზით მოთხოვნის დაყენებაა. ეს ვადის დენის შეწყვეტის კლასიკური შემთხვევაა. სხვაგვარია სიტუაცია, როდესაც ხანდაზმულობის შეწყვეტის სხვა ფორმების გამოყენება ხდება. ეს შესაძლოა მოხდეს მოვალის ქმედების საფუძველზე, ან კრედიტორის მხრიდან, მოთხოვნის აღსრულების მცდელობით. მოვალის ქმედებით ხანდაზმულობის შეწყვეტა ხდება მისი მხრიდან მოთხოვნის აღიარებით, ვალდებულების დადასტურებით. ასეთ შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს ვალდებულების არსებობის აღიარება გარკვეული ქმედების შედეგად, რაც ხანდაზმულობას წყვეტს და ვალის აღიარება როგორც ახალი ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოთხოვნის ხანდაზმულობის შეწყვეტას სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვის გზითაც, თუმცა ამგვარი ზოგადი ჩანაწერი ხშირად პრაქტიკაში არაერთგვაროვანი განმარტების საფუძველი გამხდარა.

შესაბამისად, ნაშრომში ხანდაზმულობის შეწყვეტასთან მიმართებით, ამ ორი საკითხის გარშემო დისკუსიას ეთმობა ადგილი.

4.3.1. ხანდაზმულობის შეწყვეტა სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვით

სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. სასამართლოსადმი მიმართვით ხანდაზმულობის ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში წყდება, თუ სასამართლო წარმოებაში მიიღებს სარჩელს. სარჩელზე უარის თქმის, სარჩელის გამოხმობის ან საქმის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა აღარ ითვლება

შეწყვეტილად, მაგრამ ასეთი ფაქტიდან 6 თვის განმავლობაში მოთხოვნის ხელახლა დაყენების შემთხვევაში, ხანდაზმულობა შეწყვეტილად ითვლება პირველი მცდელობიდან.²⁷⁰

საკასაციო სასამართლოს განმარტებით 138-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად. ამასთან აუცილებელია, მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად.²⁷¹ ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს.²⁷² სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს.²⁷³

იმ პირობებში, როდესაც სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შედეგი სრულიად ცხადია, განმარტებას საჭიროებს რა მოიაზრება სახელმწიფო ორგანოსთვის მიმართვასა და აღმასრულებელი მოქმედების განხორციელებაში. ასევე, მაშინ, როცა კანონის თანახმად სასამართლოსადმი მიმართვა საკმარისი არ არის და ხანდაზმულობის შეწყვეტისათვის აუცილებელია სარჩელის წარმოებაში მიღება, ითვალისწინებს თუ არა ანალოგიურ პრინციპს კანონი სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვის შემთხვევაში.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის კონტექსტში „მოთხოვნის სხვა საშუალებით“ დაკმაყოფილების მცდელობა მხოლოდ მოთხოვნათა

²⁷⁰ სუსგ ას-1586-1489-2012, 22/04/2013.

²⁷¹ იქვე.

²⁷² შეად. სუსგ ას-1586-1489-2012, 22/04/2013. დამკვიდრებული პრაქტიკა: სუსგ ას-1485-1401-2012, 11/11/2013; სუსგ ას-425-405-2015, 30/10/2015; სუსგ ას-392-371-2013, 08/11/2013; სუსგ ას-991-935-2015, 22/02/2015.

²⁷³ სუსგ ას-1586-1489-2012, 22/04/13.

იდენტურობის პირობებში გამოიწვევს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას.²⁷⁴ მაგალითად, კერძო პირთა შორის დავისას, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების დადებისას მოტყუებას, პირის სისხლის სამართლებრივი წესით დასჯის მოთხოვნა არ იწვევს მის მიმართ სასარჩელო წესით ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, ვინაიდან მიუხედავად მოთხოვნის საფუძვლის იდენტურობისა, განსხვავებულია პასუხისმგებლობა, თანმდევი შედეგი და კრედიტორის ნება.²⁷⁵ სამოქალაქო უფლების დარღვევა, რომელიც არ შეეხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას, მისგან გამომდინარე მოთხოვნის განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს არ წარმოადგენს პროკურატურა და საგამომიებო ორგანოები.²⁷⁶ არასათანადო ორგანოსადმი მიმართვის მაგალითია საქმე, სადაც იპოთეკარმა აღმოაჩინა რომ მის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკაში მოვალემ უკანონო ცვლილება განახორციელა და საჯარო რეესტრს მიმართა საჩივრით უკანონო ცვლილების ბათილობის თაობაზე. სამოქალაქო დავაში იპოთეკარი მოვალისგან სესხის დაბრუნებას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ საჯარო რეესტრისადმი მიმართვით არ შეწყვეტილა სესხის დაბრუნების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა რადგან რეესტრისადმი განაცხადი მხარეს ვერ დაეხმარებოდა დასახული მიზნის მიღწევაში – სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილებაში. ამდენად 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გავიდა, მიუხედავად მოსარჩელის მიერ რეესტრისადმი მიმართვისა.²⁷⁷

²⁷⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №: 28/4454-10, აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა სუსგ-მ დაუშვებლობის გამო: სუსგ №ას-1010-1041-2011, 26/09/2011.

²⁷⁵ იქვე.

²⁷⁶ იქვე.

²⁷⁷ სუსგ №ას-1345-2018, 15/03/2019.

თუ სახელმწიფო ორგანოს აქვს დავის განხილვის კომპეტენცია, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შესაბამის ორგანოს ფორმალურად გამართული განცხადებით, რადგან სსკ-ის 140-ე მუხლის მსგავს წინაპირობას სახელმწიფოსადმი მიმართვისთვის სსკ არ ითვალისწინებს.²⁷⁸

დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებამ²⁷⁹ ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საკითხზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი მსჯელობა და ორაზროვნება გამოიწვია.

დავის ფაზულით, სარჩელში მოსარჩელე მიუთითებდა 2006 წელს მის მიერ ტელეკომპანიის წილის იძულებით გასხვისების ფაქტზე, რაც განხორციელდა თანამდებობის პირთა ზეწოლის შედეგად. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 2015 წლის დეკემბერში და ითხოვდა წილებზე საკუთრების უფლების დაბრუნებას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მან 2008 წლის 1 დეკემბერს მიმართა პროკურატურას საჩივრებით და მოითხოვა ქონების დაბრუნება რა დროსაც ხანდაზმულობის დენა შეწყდა.²⁸⁰ მოპასუხეები სარჩელს არ ცნობდნენ და მათი ერთ-ერთი შესაგებელი გარიგების შეუცილებლობა და მოთხოვნის ხანდაზმულობა იყო. მოპასუხეების მითითებით, გასული იყო როგორც იძულებით დადებული გარიგების შეცილების 1 წლიანი, ასევე ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა.²⁸¹

როგორც გადაწყვეტილებიდან იკვეთება, პროკურატურას 2008 წლის 1 დეკემბრიდან, სარჩელის 2015 წელს წარდგენამდე პერიოდში საგამომიებო მოქმედებები საჩივართან დაკავშირებით არ განუხორციელებია. პროკურატურას არ მიუღია გადაწყვეტილება მოსარჩელის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის თაობაზე.

²⁷⁸ სსკ-ის 140-ე მუხლის განმარტების თანახმად, მხოლოდ წარმოებაში მიღებული სარჩელი წყვეტს ხანდაზმულობას.

²⁷⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017, მოსარჩელის პოზიცია, პუნქტი 23.22.

²⁸⁰ იქვე.

²⁸¹ იქვე, მოპასუხის პოზიცია, პუნქტები 26.5, 27.3

სამოქალაქო დავაში არსებული მტკიცებულებებით ასევე არ დგინდება, დაიწყო თუ არა პროკურატურამ ვინმეს წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა.

მოსარჩელის მიერ პროკურატურისადმი მიმართვის მომენტში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30.1 მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღვა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი. 31.1 მუხლის თანახმად, სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ გამომძიებელთან ან პროკურორთან, რომლის წარმოებაშიცაა სისხლის სამართლის საქმე. ამავდროულად, 33.3 მუხლის თანახმად, ფიზიკურმა პირმა სამოქალაქო სარჩელი შეიძლება განაცხადოს ზეპირი ფორმითაც, რაც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი. მოცემულ დავაში მოსარჩელე იყო როგორც ფიზიკური პირი, ასევე შპს. თუმცა დიდი პალატის მსჯელობა ასე დეტალური მოცემულ საკითხთან მიმართებით, არ ყოფილა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33.6 მუხლით, პირს რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, ასევე პირს, რომლის *სარჩელიც განუხილველი დარჩა, უფლება აქვს წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.*²⁸²

დიდი პალატის მიერ განხილული გადაწყვეტილებიდან ვერ დგინდება, მოსარჩელემ წარადგინა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სამოქალაქო სარჩელი გამომძიებელთან ან პროკურორთან. დიდი პალატა ამ თვალსაზრისით ყურადღებას არ ამახვილებს რამდენად იყო დაცული მოსარჩელის მხრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ფორმალური წესები სამოქალაქო სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით.

²⁸² იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 20/02/1998, N1251 პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998, 01/11/2008 წლის რედაქცია.

დიდი პალატის განმარტებით, ხანდაზმულობის ვადის დენა 2008 წლის 1 დეკემბრიდან სსკ-ის 1008-ე მუხლის საფუძველზე შეწყდა, რადგან მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების დასაცავად მიმართა პროკურატურას, რომელსაც ხელეწიფებოდა ამ უფლების აღდგენა.²⁸³ სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პროკურატურისადმი საჩივრით მიმართვა საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად სამართლებრივად ვარგისი საშუალება იყო და ამით სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, უკვე შეწყვეტილი იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა. საჩივრის შინაარსიდან სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე პროკურატურისგან კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად, როგორც დაზარალებულად, ასევე მოსარჩელედ ცნობასაც ითხოვდა. იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლეოდა.²⁸⁴

დიდი პალატის ეს მსჯელობა ერთგვარ წინააღმდეგობად იქნა აღქმული იმ ადრე მიღებულ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით, სადაც ის განმარტავდა, რომ პროკურატურისადმი მიმართვა სამოქალაქო-სამართლებრივი დავის გადაჭრის მიზნით არ წარმოადგენდა დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებას. თუ დიდი პალატის მოსაზრებას გავიზიარებთ, 2008 წლის 1 დეკემბერს მოსარჩელემ პროკურატურისადმი მიმართვით, ფაქტობრივად სამოქალაქო სარჩელი წარადგინა. თუმცა პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, როდემდე გაგრძელდა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა და ხომ არ

²⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017, ვ. 214.

²⁸⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმჟამინდელი რედაქციის 130-ე მუხლის თანახმად: „პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. იმავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, სამოქალაქო სარჩელი წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე.

მოხდა მისი დენის განახლება სსკ-ის 141-ე მუხლის შესაბამისად. ამ ნაწილში არსებულ კითხვებზე სასამართლომ სცადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით შემოფარგვლა, რომლითაც, პროკურატურის უმოქმედობაზე მოსარჩელის პასუხისმგებლობა გამოირიცხა.²⁸⁵ დიდი პალატის განმარტებით ის ფაქტი, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე დღემდე არა აქვს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, დიდ პალატას დავის გადაწყვეტაში ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა.²⁸⁶

უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული მითითება იმის საპირწონედ, რომ პროკურატურისადმი მიმართვის თარიღიდან სამოქალაქო სარჩელის წარდგენის დღემდე დაახლოებით 7 წელი იყო გასული, ნაკლებად დამარწმუნებელია:

სსკ-ის 139.1 მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება. დიდი პალატის მიერ განხილულ დავაში, სასამართლომ დაადგინა რომ პროკურატურას რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება საჩივრის გარშემო არ მიუღია.²⁸⁷ მოპასუხის პოზიციის თანახმად, საჩივარი პროკურატურას საერთოდ არ ჰქონდა განხილული და რაიმე სახის გამოძიების ან საპროცესო მოქმედების დაწყების ფაქტიც არ დასტურდებოდა.²⁸⁸

²⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017, პუნქტი 214: „ის ფაქტი, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე დღემდე არა აქვს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, დიდ პალატას დავის გადაწყვეტაში ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა“. მითითება საქმეზე: (საქმე JGK STATYBA LTD AND GUSELNIKOVAS v. LITHUANIA, 2013).

²⁸⁶ იქვე.

²⁸⁷ იქვე, პუნქტი 87.

²⁸⁸ იქვე, მოპასუხის პოზიცია პუნქტები 26.2 და 27.3.

თუმცა გასათვალისწინებელია რომ ჩვეულებრივი სამოქალაქო სარჩელისგან განსხვავდებოდა სისხლის სამართლის პროცესში სარჩელის წარდგენა, რადგან იმჟამინდელი კოდექსის თანახმად, სამოქალაქო სარჩელის თაობაზე გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს გამოჰქონდა განჩინება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგ ის ხდებოდა სამოქალაქო სარჩელის პროცესის მონაწილე.²⁸⁹

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმჟამინდელი რეგულაციების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჩივრის წარდგენის ეტაპზე, მაშინ როდესაც სამოქალაქო სარჩელის წარმოებაში მიღება არ მომხდარა, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა დროებითია როგორც სამოქალაქო სარჩელის წარდგენისას სსკ-ის შესაბამისად და ის დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს შესაბამისი ორგანო სარჩელს წარმოებაში თუ არა.

ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხის სწორი ანალიზისთვის საყურადღებოა, რომ 2009 წლის 9 ოქტომბრიდან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებასთან ერთად ძალა დაკარგა 20/02/1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა და მასთან ერთად გაუქმდა სისხლის სამართლებრივ პროცესში სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა.²⁹⁰ ძველი კოდექსის შესაბამისად პროცესი გრძელდებოდა მხოლოდ უკვე დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შემთხვევებში.²⁹¹

²⁸⁹ იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 35.1: „თუ გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს საკმარისი საფუძველი აქვს, მას გამოაქვს დადგენილება (განჩინება) პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ. დადგენილების (განჩინების) ასლი გადაეცემა მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს. ამასთანავე, სამოქალაქო მოსარჩელეს განემარტება ამ კოდექსის 86-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, ხოლო პირს, რომელსაც უარი ეთქვა სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობაზე – ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.“

²⁹⁰ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 329.1

²⁹¹ მოქმედი სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი, მუხლი 329.3.

მოსარჩელეს დაახლოებით 7 წლის მანძილზე, არ მიუმართავს სასამართლოსადმი სამოქალაქო სარჩელით მოპასუხეების წინააღმდეგ და ის ეყრდნობოდა მხოლოდ 2008 წელს პროკურატურაში გამოძიების დაწყების მოთხოვნით წარდგენილ საჩივარს.²⁹² მოსარჩელეს არც 2009 წელს კანონმდებლობის ცვლილების შემდგომ მიუმართავს სამოქალაქო სარჩელით სასამართლოსადმი. იმ ფაქტის გათვალისწინებით რომ სამოქალაქო საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება 2008-2009 წლების მანძილზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ან სამოქალაქო მოსარჩელედ აღიარების თაობაზე, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ ყველაზე გვიან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით, მოსარჩელის საჩივარი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის ნაწილში, განუხილველად დარჩა სამოქალაქო კოდექსის 139.1 და 140.1 მუხლების საფუძველზე, რადგან ამ ნაწილში, პროკურატურამ კანონმდებლობით დაკარგა შესაბამისი კომპეტენცია. ამდენად, ხანდაზმულობის შეწყვეტის წესების გათვალისწინებით, ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენა დაიწყო ახალი კოდექსის მიღებით, სსკ-ის 141-ე მუხლის შესაბამისად და 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, გავიდა 2012 წლის ოქტომბერში.

ზემოთ აღწერილი ანალიზი ყველაზე ახლოს დგას იმ მიზანთან, რასაც ხანდაზმულობის შეწყვეტისა თუ შეჩერების სამართლებრივი შესაძლებლობა იძლევა. ხანდაზმულობის შეწყვეტა არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს დროში მხოლოდ იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ როგორც დიდი პალატა უთითებს, სახელმწიფომ დროულად არ განახორციელა მართლმსაჯულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სხვა ალტერნატიული ბერკეტი არ გააჩნია. განხილული დავა ასეთ შემთხვევას არ წარმოადგენს. კანონის არცოდნა მოსარჩელეს არ

²⁹² საქმის მასალების თანახმად, როგორც უთითებს დიდი პალატა, მოსარჩელემ დამატებით განცხადებები წარადგინა 2009 წლის გაზაფხულზეც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017.

ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან. კანონმდებლობის ცვლილების საფუძველზე კეთილსინდისიერი და მოსალოდნელი იყო, მას მიემართა სამოქალაქო სარჩელით მოპასუხეების წინააღმდეგ, ახალი კანონის მიღებიდან 3 წლის მანძილზე.

დიდი პალატის განმარტება ხანდაზმულობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, პროკურატურისადმი სამოქალაქო საჩივრის წარდგენის გამო მისაღები იქნებოდა რომ არა ასეთი საჩივრის წარდგენის შემდგომ კანონმდებლობის თანმდევი ცვლილება ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, შეუსაბამოდ ხანგრძლივი ვადის – 7 წლის გასვლა საჩივრის წარდგენიდან. ეს ასპექტები დიდი პალატის მიერ ცალსახად უგულვებელყოფილია.

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი არ არის ხანდაზმულობის ვადების ხელოვნური გაჭიანურება. ხანდაზმულობის შეწყვეტა უსასრულოდ არ შეიძლება გაგრძელდეს. ამგვარი ლოგიკით, თუ დავუშვებდით, რომ ხანდაზმულობა უსასრულოდ შეწყდა პროკურატურისადმი საჩივრის წარდგენით და ის უნდა გაგრძელდეს საბოლოო შედეგის დადგომამდე, სამოქალაქო სარჩელის უსასრულოდ წარდგენის შესაძლებლობა ენიჭება მხარეს და ასეთი სარჩელის 2020 წელს წარდგენაც არ იქნებოდა ვადის დარღვევა. ცხადია, ეს არ არის ხანდაზმულობის მიზანი და ფუნქცია.

მართალია მოსარჩელეს არ უნდა შეერაცხოს სახელმწიფო ორგანოს უმოქმედობა, თუმცა ის პასუხისმგებელია საკუთარ უმოქმედობაზე, როდესაც მას შეეძლო დაეყენებინა მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადაში, ყველაზე გვიან, კანონმდებლობის ცვლილებიდან 3 წლის მანძილზე და ასე არ მოიქცა. ამდენად ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლება არათუ შეესაბამება ევროსასამართლოს პრაქტიკას, პირიქით, საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომ დაზარალებულის ხანგრძლივი უმოქმედობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, საჩივრის დაუშვებლობის

საფუძველია.²⁹³ ვადების დაცვა ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, რამდენად კეთილსინდისიერად უდგება თავად დაზარალებული საკუთარ უფლებებს და რამდენად დაცვის ღირსი ინტერესი ამოძრავებს მას.

მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტილად მიჩნევით ისე, რომ სასამართლოს არ შეუწავლია შეწყვეტის დასრულების შესაძლო თარიღი და ახალი კოდექსის მიღების შედეგები, სამართლიან კითხვის ნიშნებს ბადებს მასში მითითებულ დასაბუთებასთან მიმართებით.

4.3.2. მოთხოვნის არსებობის დადასტურების ფორმა და ვადა ხანდაზმულობის შეწყვეტის მიზნებისთვის

ვალის აღიარება, როგორც ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველი მიღებულია უმრავლეს ქვეყნებში და უნიფიცირებული სამართლის მიერ.²⁹⁴ მაგალითისთვის, გსკ-ის 212-ე პარაგრაფი ძალიან გავს სსკ-ის 137-ე მუხლს, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.²⁹⁵

სამართლებრივ სისტემებში ვალის აღიარების მიმართ სხვადასხვა მოთხოვნებია დადგენილი. ზოგი სისტემა, მაგალითისთვის, ინგლისი, მოითხოვს, რომ ვალის აღიარებას წერილობით ფორმა ჰქონდეს.²⁹⁶ ძირითადი ევროპული კოდიფიკაციები მხარს არაფორმალურ ვალის აღიარებას უჭერს, რომელიც შეიძლება როგორც ვერბალური, ასევე კონკლუდენტური

²⁹³ შეად.: ECHR Giorgi Akhvediani and others against Georgia Application no. 22026/10, 09/04/2013.

²⁹⁴ DCFR III.–7:401.

²⁹⁵ შეად. DCFR, Outline edition 2009, III.–7:401 Comment B; Swiss Institut of Comparative Law, Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich England und Dänemark, 2011, 75-80.

²⁹⁶ DCFR, Outline edition 2009, III.–7:401 Comment B; *Zimmermann, Reinhard* Comparative foundations of a European law of set off and prescription, 2004, 127.

მოქმედებით გამოვლინდეს.²⁹⁷ აღნიშნულის არგუმენტად უთითებენ იმასაც, რომ მოვალის წერილობით ვალის აღიარებაც შეიძლება გახდეს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საგანი და ფორმის მოთხოვნით აღნიშნულის პრევენცია ვერ მოხდება.²⁹⁸

უნიდროას პრინციპების თანახმად, ვალის აღიარება ასევე ითვლება ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძვლად.²⁹⁹ თუმცა, ვალის აღიარება მოთხოვნის ხანდაზმულობის შეწყვეტის მიზნებისთვის, არ არის ახალი ვალდებულება, მას ჩვეულებრივ მიჰყვება უზრუნველყოფაც. უფრო მეტიც, ვალის აღიარება არ იწვევს საერთო ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ მისი გაგრძელება.³⁰⁰ უნიდროას პრინციპების მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ ნოვაციის გზით, სრულიად ახალი ხელშეკრულებაც დადონ, ამით ძველი სამართლებრივი ურთიერთობა საერთოდ ქრება და მის ადგილს ახალი ვალდებულებითი ურთიერთობა იკავებს, რის საფუძველზეც, მის მიმართ სრულიად ცალკე იწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.³⁰¹

ქართული სასამართლოები იზიარებს გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს და უნიფიცირებული სამართლის განმარტებას, რომ „მხოლოდ იმ ხანდაზმულობის ვადის დენის ხელახლა დაწყებაა შესაძლებელი, რომელიც ჯერ კიდევ მიდის“ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გაკეთებულმა აღიარებამ არ შეიძლება ხანდაზმულობა შეწყვიტოს.³⁰² შესაბამისად,

²⁹⁷ იქვე.

²⁹⁸ იქვე.

²⁹⁹ UNIDROIT Principles 2010, Art. 10.4, Comment 2.

³⁰⁰ იქვე.

³⁰¹ იქვე, Comment 3.

³⁰² BGH NJW-RR 1997, 516, 517 RGZ78,130,131; თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №2ბ/4587-14, 17/11/2014. მსგავს რეგულაციას შეიცავს გსკ-ს 212-ე პარაგრაფი. კერძოდ, ამ პარაგრაფის პირველი აზნაცის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა ხელახლა იწყება, თუ მოვალე კრედიტორის მიმართ ნაწილობრივი გადახდით, პროცენტის გადახდით, უზრუნველყოფის წარდგენით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის უფლებას. იხ. დეტალურად ვალის აღიარების და მისი ფორმების შესახებ, მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, 10 და შემდგომში.

ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ გაკეთებული „აღიარება“ ვერ მოსპობს ხანდაზმულობის შესაგებელს.³⁰³

სსკ-ის 341-ე მუხლში გაწერილია ვალის აღიარების ინსტიტუტი, რომელიც დამოუკიდებელი ხელშეკრულების სახეა, საჭიროებს ორმხრივი ნების გამოვლენას და შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე დამოუკიდებლად იწყება ხანდაზმულობის ვადის დენა.³⁰⁴ ნათელია, რომ სსკ-ის 341-ე მუხლის მოწესრიგება იდენტურია ნოვაციის, რომელიც სრულიად ახალი ხელშეკრულებაა. სსკ-ის 341-ე მუხლის თანახმად შესაძლებელია ხანდაზმული ვალის აღიარებაც, რადგან იგი უკვე ახალ ვალდებულებად ითვლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიხედვით, ვალის აღიარების ფორმის თაობაზე სსკ-ის 137-ე მუხლი ამომწურავ რეგულაციას არ შეიცავს, ამიტომ გარდა სსკ-ის 341-ე მუხლის დაცვით გაკეთებული ვალის აღიარებისა, სხვა ქმედებამაც შეიძლება განაპირობოს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა, მაგალითისათვის, ასეთი შეიძლება იყოს მოვალის მიმართვა კრედიტორისათვის შესრულების გადავადების თხოვნით (უზღავნის წერილს და პირდება ვალდებულების შესრულებას), ან მოთხოვნის ნაწილის შესრულება და სხვ.³⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის აღიარებას ვალის დეკლარატორული, კაუზალური აღიარებისგან, რომელიც ძველი ვალდებულების შესრულებას ემსახურება და უზენაესი სასამართლოს განმარტებით,

³⁰³ UNIDROIT Principles 2010, Art. 10:4, Comment 3.

³⁰⁴ იხ.: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკა რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011; ასევე: თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №: 28/4400-14, 17/02/2015.

³⁰⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №: 28/6800-13, ასევე იხ: სუსგ №ას-1485-1401-2012, 11/11/2013; №ას-425-405-2015, 30/10/2015; №ას-1227-1168-2014, 19/02/2014, № ას-392-371-2013, 08/11/2013, სუსგ № ას-991-935-2015, 22/02/2015.

ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან არ იწყება.³⁰⁶ უზენაესი სასამართლოს ეს განმარტება გაგებულ უნდა იქნას, არა ისე, თითქოს ხანდაზმულობა არ წყდება, არამედ ისე, რომ განსხვავებით ვალის კაუზალური აღიარებისგან, ახალი მოთხოვნა არ წარმოიშობა, მხოლოდ ძველი მოთხოვნის ხანდაზმულობის დენა წყდება და ხელახლა იწყება.³⁰⁷

ამ თვალსაზრისით უმთავრეს მნიშვნელობას ქართული სამართალი მოვალის სუბიექტურ დამოკიდებულებას ანიჭებს – მოვალის ქმედებიდან, რომელიც კრედიტორის მიმართ არსებული დავალიანების შესრულებას ეხება, ნათლად და არაორაზროვნად უნდა დგინდებოდეს მოვალის მხრიდან ვალდებულების აღიარება და მოვალის მზაობა, აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე.³⁰⁸

დამკვიდრებული პრაქტიკით, სასამართლო ასევე უარყოფს ვალის აღიარების მტკიცებულებად ფარულ ჩანაწერს, ვინაიდან ფარული ჩანაწერი მოვალის მხრიდან კრედიტორის მიმართ გამოხატულ ისეთ ნებას არ ასახავს, რომელიც თავად მოვალის თვალსაზრისით, სამართლებრივი შედეგების წარმომშობია.³⁰⁹

³⁰⁶ საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმეები: № 28/2202-14, 09/09/2014; №28/4400-14, 17/02/2015; უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა: №ას-1485-1401-2012, 11/11/2013; №ას-425-405-2015, 30/10/2015; №ას-1227-1168-2014, 19/02/2014; №ას-392-371-2013, 08/11/2013; №ას-991-935-2015, 22/02/2015.

³⁰⁷ შეად. სუსგ №ას-229-216-2015, 08/06/2015.

³⁰⁸ მაგალითისთვის, თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეზე №28/6800-13, 07/10/2014, აღნიშნა რომ მოვალის წერილი კრედიტორის მიმართ მასზედ, რომ მას ნამდვილად ჰქონდა დავალიანება კრედიტორის მიმართ, თუმცა, არ აპირებს შესრულებას ხანდაზმულობის საფუძვლით, არ შეიძლება განხილულ იქნეს ისეთ ქმედებად, რომელიც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იწვევს.

³⁰⁹ იქვე, სასამართლო აღნიშნავს, რომ აბსოლუტურად სხვაგვარად უნდა შეფასდეს სატელეფონო საუბარი, რომლის ჩაწერა ორივე მხარის თანხმობით ხორციელდება და სადაც მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულების არსებობის ფაქტს ადასტურებს. ამგვარი აღიარების დროს მოვალეს გაცნობიერებული აქვს გამოხატული ნების სამართლებრივი შედეგები, შესაბამისად, აღნიშნული შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთ „სხვაგვარ“ აღიარებად, რომელიც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იწვევს.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ აზრთა ყოველი ურთიერთგაცვლა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სამართლებრივი შედეგების წარმომშობ ნების გამოვლენად. აზრის გამოხატვა სუბიექტის სამართლებრივ ნებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკვალიფიცირდეს, თუ აზრის გამომხატველი მის სამართლებრივ შედეგებს აცნობიერებს და აღიარებთა, თუ კონკლუდენტური მოქმედებით, მისი შესრულების მზაობას გამოხატავს.³¹⁰

ვალის აღიარების ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე ადგენს სასამართლოს აზრით სსკ მის წერილობით ფორმის აუცილებლობას, რათა მოვალემ ნათლად გააცნობიეროს და გამოავლინოს ვალდებულების შესრულების ნება.

მეორე მხრივ, სსკ-ის 137-ე მუხლით განსაზღვრული ვალის აღიარების ფორმები არ არის განსაზღვრული ამომწურავად. პირიქით, მოვალის მხრიდან კრედიტორის მიმართ განხორციელებული კონკლუდენტური მოქმედებაც შეიძლება იყოს ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველი. შესაბამისად, დადგენილი პრაქტიკით აღიარებულია, რომ სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული „სხვაგვარი აღიარება“ მხოლოდ ამავე კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ აღიარებას არ გულისხმობს.³¹¹ დასაშვებია აღიარება გამოხატულ იქნეს კონკლუდენტური მოქმედებითაც ან ნებისმიერი „სხვაგვარი აღიარების“ გზით. თუმცა, იმისათვის, რომ აღიარება სამართლებრივი შედეგების წარმომშობ ქმედებად იქნეს მიჩნეული აუცილებელია, რომ ნების გამომხატველი გამოხატული ნების სამართლებრივ შედეგებს აცნობიერებდეს.³¹²

დაუძლეველი ძალის ქვეშ უნდა მოხდეს ყველა იმ შემთხვევის განმარტება, რომელზეც კრედიტორი ვერ მოახდენს ზეგავლენას და რომლის თავიდან აცილება მას არ შეიძლება

³¹⁰ იქვე.

³¹¹ იქვე.

³¹² თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №: 2ბ/6800-13, 07/10/2014, პ. 4.2, ასევე BGH VII ZR-165/0, 11/05/2007 და BGH VII ZR 171/70.

ტვირთად დააწვეს. ასეთად უნდა განიმარტოს მაგალითად, მოვალის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ხელშეშლა – მაგალითად, მუქარა ან იძულება, არ წარადგინოს სარჩელი. აღნიშნული როგორც ზევით გაანალიზდა, შესაძლებელია სსკ-ის 89-ე მუხლიდან გამომდინარე, კანონმდებლის ნების განმარტებით იქნას მიღწეული.

მხარეთა შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისა და სასამართლოს გარეშე მედიაციის დროს, სასურველია ასევე შეჩერდეს ხანდაზმულობის ვადის დენა, ან უარეს შემთხვევაში, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა, შეთანხმდნენ ამგვარი შეჩერების წინაპირობაზე ხელშეკრულებით.

გასაზიარებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა უნდა ხდებოდეს სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვისას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანო კომპეტენტურია შესაბამის საკითხში. სამართლის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაშია, რომ კანონის ან უფლებამოსილი ორგანოს არცოდნამ კრედიტორი არ უნდა გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისაგან.

5. პარალელი საპროცესო სამართალთან ვადების აღდგენისა და შეჩერების თვალსაზრისით

ვადები არ არის კერძო სამართლის ექსკლუზიური ნაწილი, ის მთელს სამართალს მოიცავს და მის ნებისმიერ დარგში არსებობს.³¹³ ასეთია მაგალითად, ვადები სამოქალაქო საპროცესო სამართალში, რომლებიც აბსოლუტურ სამართლებრივ შედეგებს იწვევენ მოდავე მხარეებისთვის. ისინი ვერ გაიგივდება რომელიმე მატერიალურ-სამართლებრივ ვადასთან. ამავდროულად, საპროცესო და

³¹³ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/11/161, 30/04/2003, III თავი.

მატერიალურ სამართალშიც, ვადების არსებობა მსგავს საკანონმდებლო მიზნებს ემსახურება.³¹⁴

ნაშრომის წინა თავებში გაანალიზდა ხანდაზმულობის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, რის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ხანდაზმულობის შეჩერების საკანონმდებლო წინაპირობები სათანადოდ არ პასუხობს კერძო სამართალში არსებულ თანამედროვე გამოწვევებს და რეკომენდირებულია არსებული კანონმდებლობის შერბილება, ხანდაზმულობის შეჩერების საფუძველთა გაფართოვებით.

მოწესრიგების მსგავსი მიზნების გათვალისწინებით, როცა მატერიალური სამართალი ითვალისწინებს ვადების შეჩერების ან გაგრძელების შესაძლებლობას, ჩნდება კითხვა, როგორ არის ეს საკითხი სამოქალაქო საპროცესო სამართალში გადაწყვეტილი: პირველი, აქვთ თუ არა სამოქალაქო პროცესის მონაწილე მხარეებს ფორს მაჟორული მდგომარეობის დროს, ან სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, საპროცესო ვადების გაშვებისაგან თავის დაცვის საკანონმდებლო ბერკეტი; მეორე, რამდენად სრულყოფილია არსებული მოწესრიგება და ხომ არ იქმნება სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკი. მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში, შეჩერების წესების ნაკლოვანი მოწესრიგებით ხანდაზმულობა, როგორც ინსტიტუტი, არათანაზომიერად მძიმე ტვირთად იქცევა კრედიტორისთვის. საპროცესო ვადებთან მიმართებით, მსგავსი ნაკლოვანება, შესაძლოა იწვევდეს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუტციურ უფლებაში ჩარევის არაკონსტიტუციურობას.

³¹⁴ საპროცესო ვადების და ხანდაზმულობის ვადების მიზნებზე იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/1/531, 05/11/2013; იხ. ასევე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1/11/161, 30/04/2003, III თავი.

5.1. საპროცესო ვადების აღდგენის შეზღუდვა ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ორი ტიპის ვადას: (1) ვადა, რომელიც შესაძლოა აღდგეს ან გაგრძელდეს³¹⁵ და (2) ვადა, რომლის აღდგენა ან გაგრძელება დაუშვებელია.³¹⁶

როგორც წესი, გაგრძელებას ექვემდებარება სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა (სსსკ-ის 64 მუხლი). ასეთია მაგალითისთვის, შესაგებელის წარდგენის ვადა, მტკიცებულების წარდგენის ვადა და სხვა ვადები, რომლებსაც თავისი განჩინებით ნიშნავს სასამართლო. ამავდროულად, რაიმე საპროცესო მოქმედების შესასრულებლად დადგენილი კანონისმიერი ვადის აღდგენა შეიძლება სასამართლოს მიერ, თუ ეს მოქმედება დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით არ შესრულდა (სსკ-ის 65-ე მუხლი). საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს სსსკ-ის 215-ე მუხლი შეიცავს.³¹⁷ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკმაოდ მკაცრი სასამართლო პრაქტიკა განავითარა სსკ-ის 215.3 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, როცა საკითხი საპროცესო ვადის გაგრძელებას ან აღდგენას შეეხება.³¹⁸

³¹⁵ შეად. სსსკ-ის 64-ე მუხლი.

³¹⁶ შეად. სსსკ-ის 59.4 მუხლი.

³¹⁷ სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები: საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

³¹⁸ შეად. მაგალითად: სუსგ №ას-748-708-2015, 19/08/2015, სადაც საკასაციო სასამართლოს მიერ ბაჟის გადახდისათვის მხარისთვის განსაზღვრული ვადის გაშვების საპატიო მიზეზად სასამართლომ არ მიიჩნია კასატორის ავადმყოფობა, რადგან წარდგენილ ცნობაში არ იყო მითითება პაციენტის გაადგილების

სსსკ-ის 65-ე მუხლისაგან გამონაკლისს ქმნის სსსკ-ის 59.4 მუხლი, რომელიც კრძალავს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელებას ან აღდგენას. იდენტურად, დაუშვებელია სააპელაციო და საკასაციო საჩივრების წარდგენის ვადების აღდგენა ან გაგრძელება (სსსკ-ის 369-ე და 379-ე მუხლები). ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს სსკ-ის 215-ე მუხლით დადგენილი საპატიო მიზეზი, კანონი კრძალავს დასახელებული ვადების აღდგენას ან გაგრძელებას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული მოწესრიგება იმპერატიულია და გამორიცხავს ნორმის სხვაგვარ ინტერპრეტაციას.³¹⁹ კანონმდებლის მკაცრ მიდგომას სასამართლო აფასებს „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის“ ერთ-ერთ მაგალითად.³²⁰

სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, სსსკ-ის 59.4, 369, 379-ე მუხლებით დაწესებული საპროცესო ვადების აღდგენის აბსოლუტური აკრძალვისთვის გვერდის ავლას პროცესის მხარეები ცდილობენ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე მითითებით, საქმის წარმოების განახლების განაცხადის მეშვეობით, თუმცა უშედეგოდ.³²¹ სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევა საპატიო მიზეზით, წარმოადგენს თუ არა საქმის წარმოების განახლების საფუძველს, ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო, უზენაეს სასამართლოს ცალსახა პასუხი არ აქვს, თუმცა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების თანახმად, ასეთი

შეზღუდვის თაობაზე. სასამართლოს დამატებით არგუმენტებად მოჰყავს, ბაჟის წარმომადგენლის ან ოჯახის წევრის მიერ გადახდის შესაძლებლობა. ეს მიდგომა კრიტიკის საგანია, იმ თვალსაზრისით, რომ ერთი მხრივ, საქმიდან არ იკვეთება, ჰქონდა წარმომადგენელს რწმუნებულება თუ არა, ხოლო მეორე მხრივ, სსსკ-ის 215-ე მუხლის მოთხოვნა ვერ გავრცელდება ოჯახის წევრზე ან სხვა მესამე პირზე, რომლებიც არ არიან პროცესის მხარეები.

³¹⁹ შეად. უზენაესი სასამართლოს განმარტება ვადის აღდგენის დაუშვებლობასთან მიმართებით: სუსგ №ას-1362-1285-2012, 19/11/2012.

³²⁰ სუსგ №ას-1170-1100-2015, 25/12/2015.

³²¹ სუსგ №ას-203-530-09, 07/05/2009.

განცხადების დაკმაყოფილების პრეცედენტი, არ ყოფილა.³²² ამდენად, ეს ბერკეტი არ არის ეფექტური გზა, აბსოლუტური ვადებისგან თავის დასაცავად მაშინ, როდესაც მხარეს ვადის გაშვების ობიექტური მიზეზი აქვს. ამგვარ შემთხვევებში, საპროცესო კანონმდებლობა პირს მართლმსაჯულებაზე უარს ეუბნება მიუხედავად მისი ბრალეულობისა.

5.2. საპროცესო ვადების აღდგენა შედარებით სამართალში

განსხვავებული სურათია შედარებით სამართალში საპროცესო ვადების აღდგენის უფლებასთან მიმართებით. ასეთი უფლება როგორც წესი, გარანტირებულია კანონმდებლობით, როდესაც მხარე მას არაბრალეულად, ობიექტური საფუძველით არღვევს.³²³

გერმანიის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-4 აბზაცის პირველი წინადადება იცავს ეფექტური მართლმსაჯულების უფლებას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან ერთად, ასახვას ჰპოვებს სამოქალაქო დავებზეც.³²⁴ სამართლებრივი დაცვის უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, არამედ ამ უფლების ეფექტურობასაც მოიაზრებს.³²⁵ გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულის განხორციელებისთვის კანონმდებელი უფლებამოსილია საპროცესო სამართალში ფორმალური წინაპირობები დაადგინოს და შეზღუდოს მხარე.³²⁶ თუმცა, ამგვარი შეზღუდვები სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს უნდა აკმაყოფილებდეს და არათანაზომიერად არ უნდა ზღუდავდეს პირს.³²⁷

³²² იქვე.

³²³ შეად. მაგალითად გერმანიისთვის: *Lange, Hans-Friedrich* Wiedereinsetzung in den vorigen Stand und Verfassungsrecht (DStR 2000, 1145) 1148.

³²⁴ BVerfGE 85, 337, 345.

³²⁵ *Lange, Hans-Friedrich* Wiedereinsetzung in den vorigen Stand und Verfassungsrecht (DStR 2000, 1145) 1148.

³²⁶ BVerfGE 10, 264, 268.

³²⁷ იქვე.

გერმანულ საპროცესო სამართალში თანაზომიერების პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მხარის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის წესები არსებობს.³²⁸ სამოქალაქო პროცესში, ეს შესაძლებელია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე პარაგრაფით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.³²⁹

გსკ-ის კოდექსის 233-ე პარაგრაფის თანახმად, თუ მხარე არაბრალეულად დაბრკოლდა, დაეცვა კანონით დადგენილი ბოლო ვადა, როგორცაა აპელაციის, კასაციის ან სხვა, თავისი შუამდგომლობის საფუძველზე, უნდა აღდგეს პირვანდელ მდგომარეობაში.³³⁰ ბრალის არარსებობა ივარაუდება, როცა სასამართლოს მიერ უფლებათა განმარტება ხარვეზიანია ან არ მომხდარა საერთოდ.³³¹

შუამდგომლობას პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის თაობაზე იხილავს ის სასამართლო, რომელმაც უნდა განხორციელოს ის საპროცესო მოქმედება, რომლის ვადის აღდგენასაც მხარე ითხოვს.³³² მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, ვადაგადაცილებული საპროცესო მოქმედება მიიჩნევა ვადაში განხორციელებულად.³³³ შუამდგომლობა საფუძველიანია, თუ მხარემ ვადა ბრალის გარეშე, განზრახვის ან ნებისმიერი სიმძიმის გაუფრთხილებლობის გარეშე გაუშვა.³³⁴ კანონიერი წარმომადგენლის ან ადვოკატის შემთხვევაში, მათი ბრალი

³²⁸ *Bernau, Falk*, Die Rechtsprechung des BGH zur Wiedereinsetzung in den vorigen Stand (NJW 2014, 2007), 2008.

³²⁹ იქვე.

³³⁰ *Musielak/Grandel* ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 1; BVerfG NJW 2004, 2583; BVerfGE 69, 381, 385, NJW 1986, 244.

³³¹ იქვე, Rn. 43.

³³² Rn. 2.

³³³ *Lange, Hans-Friedrich* Wiedereinsetzung in den vorigen Stand und Verfassungsrecht DStR 2000, 1145.

³³⁴ იხ. გსკ-ის 276-ე პარაგრაფი.

გათანაბრებულია მხარის ბრალთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მინდობილობა ძალაშია.³³⁵

ეფექტური მართლმსაჯულების უფლება უკრძალავს სასამართლოს, შეუზღუდოს მხარეს საპროცესო უფლებები იმგვარად, რომ აღნიშნულის საფუძვლები არ ამართლებდეს შეზღუდვას.³³⁶ შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მომწესრიგებელი ნორმების განმარტებისას, გადაჭარბებულად მძიმე წინაპირობები არ უნდა დადგინდეს.³³⁷ ყველა შემთხვევა, როცა მხარის ბრალეულობა ვადის გადაცილებაში არ დგინდება, უნდა აძლევდეს მხარეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა გერმანიის კონსტიტუციის 103 მუხლის 1 აბზაცით გათვალისწინებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება.³³⁸

საქართველოსა და გერმანიაში საპროცესო ვადების გამოთვლა სხვადასხვაგვარად ხდება. სსკ-ის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, საკმარისია კანონით დადგენილ ვადაში ფოსტას ჩაბარდეს განცხადება, მნიშვნელობა არ აქვს, რომ სასამართლოს იგი ვადის გასვლის შემდეგ მიუვა. გერმანიაში კი, მნიშვნელოვანია ვადის გასვლამდე ჩაბარდეს სასამართლოს საჩივარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადა დარღვეულია.³³⁹ შესაბამისად, პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ინსტიტუტს გერმანიაში ხშირი გამოყენება აქვს განსაკუთრებით მაშინ, როცა ფოსტის ბრალეულობაა.³⁴⁰

დამკვიდრებული შეხედულებით, ადვოკატის ბიუროს თანამშრომელთა ან სხვა დამხმარე პირთა ბრალი, არ უშლის ხელს

³³⁵ Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 3.

³³⁶ BGH NJW 2007, 1455 f.

³³⁷ BVerfG NJW 2001, 3473; BVerfG NJW 2004, 2583; 1999, 3701 f.

³³⁸ *Lange, Hans-Friedrich* Wiedereinsetzung in den vorigen Stand und Verfassungsrecht DStR 2000, 1147. Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 2.

³³⁹ იქვე.

³⁴⁰ იქვე.

პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას.³⁴¹ ასეთ შემთხვევაში მთავარია შემოწმდეს, ხომ არ დაარღვია ადვოკატმა საკუთარი ორგანიზაციული ვალდებულება და ამით ხომ არ მიუძღვის ბრალი.³⁴² საპროცესო გამოცდილების მქონე მხარეს გულისხმიერების უფრო მაღალი სტანდარტის დაცვა მოეთხოვება, ვიდრე გაუთვინობიერებელს.³⁴³ შესაბამისად განათლება, ენის ცოდნა, სამართლის ცოდნა და საპროცესო გამოცდილება როლს თამაშობენ ამ საკითხის შეფასებისას.³⁴⁴ ადვოკატმა თავისი საქმიანობა და ბიურო იმგვარად უნდა აწარმოოს, რომ ვადის გაშვების საფრთხე ყველა შესაძლო და გონივრული გზით მინიმუმამდე დაიყვანოს.³⁴⁵

ბრალეული შეცდომა მხოლოდ მაშინ გამორიცხავს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, თუ უშუალოდ ეს შეცდომა გახდა ვადის გაშვების გამომწვევი.³⁴⁶ მაგალითისთვის, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ არსებობს, როცა მხარის ბრალეულობასთან ერთად, სახეზეა პერსონალის არსებითი შეცდომა, რომელსაც მხარე ვერ ივარაუდებდა.³⁴⁷

³⁴¹ Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 15.

³⁴² იქვე.

³⁴³ იქვე. ზოგადად ყურადღება ექცევა საპროცესო გულისხმიერებას, რომელსაც საფუძვლად გასსკ-ის 282-ე პარაგრაფი უდევს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოწმდება გულისხმიერების მასშტაბი.

³⁴⁴ Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 15.

³⁴⁵ იქვე. შეად. BGH NJW 1993, 1655 f; საერთოდ ითვლება, რომ სავალდებულო ორგანიზებულობის ნაწილია ვადების თაობაზე კალენდრის და ჩანაწერების წარმოება. ჩვეულებრივი ვადებისაგან განსხვავებულად უნდა იყოს მონიშნული საპროცესო ვადები. ადვოკატი უფლებამოსილია ვადების გამოთვლა და ჩაწერა ისეთ თანამშრომელს გადააბაროს, რომელიც განსაკუთრებული კვალიფიკაციით გამოირჩევა. თანამშრომლები ადვოკატის მიერ გულისხმიერად უნდა იყვნენ შერჩეული (BGH NJW 1965, 1021.); განსხვავებულია შრომითი დავები, სადაც ადვოკატი ვალდებულია ვადა უშუალოდ თვითონ დაითვალოს (BAG NJW 1975, 232).

³⁴⁶ Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 5.

³⁴⁷ იქვე, § 233 Rn. 5, Rn 13-14. მაგალითად, როცა ადვოკატს ავიწყდება საჩივრის ხელმოწერა, თუმცა თუ აღნიშნულს დროულად შეამჩნევდა ბიუროს მენეჯერი, ფოსტაში გაგზავნამდე მოხდებოდა მისი გამოსწორება.

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ საპატიო მიზეზად მიიჩნია მხარის ისეთი ავადმყოფობა, რომელიც მას ხელს უშლიდა როგორც იმაში, რომ თავად დაეცვა საპროცესო ვადა, ასევე იმაში, რომ შესაბამისი მინდობილობა გაეცა ადვოკატზე.³⁴⁸

საპატიო მიზეზად არ იქნა მიჩნეული შემთხვევები, როცა კომპანიის ხელმძღვანელი ავადმყოფობდა და აღნიშნულის გამო საფოსტო გზავნილების შემოწმება არ ხდებოდა; როცა მხარემ საპროცესო ვადის დენის დაწყების შესახებ არ აცნობა თავის ადვოკატს; როცა მხარეს გზავნილი იმ მისამართზე ჩაბარდა, სადაც აღარ ცხოვრობდა, რადგან მას უნდა უზრუნველყო აღნიშნული მისამართიდან ამოწერა.³⁴⁹

ვადის აღდგენის შესაძლებლობას ითვალისწინებს ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე პარაგრაფიც, რომლის თანახმად, მხარე, რომელიც გაუთვალისწინებელი და დაუძლეველი მოვლენის გამო დაბრკოლდება პროცესზე გამოცხადების ან საპროცესო მოქმედების განხორციელებაში, შეუძლია მოითხოვოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. ამასთან, მხარის მიერ ბრალეულობა ვადის გაშვებაში არ აბრკოლებს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, თუ ბრალი მინიმალურია.³⁵⁰

შვეიცარიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლი ასევე იძლევა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობას. აღნიშნულ წარმოებაში სასამართლო ასევე რთავს მეორე მხარეს და აძლევს პოზიციის წარმოდგენის შესაძლებლობას.³⁵¹

³⁴⁸ Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011, § 233 Rn. 7.

³⁴⁹ შეად. იქვე, Rn. 8.

³⁵⁰ ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მეორე წინადადება.

³⁵¹ შვეიცარიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლები.

5.3. ვადების აღდგენის შესაძლებლობის აუცილებლობა კონსტიტუციური უფლების უზრუნველსაყოფად

სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების ვადებით შეზღუდვა ამ უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. კითხვა არ ჩნდება ჩარევის აუცილებლობასთან და ლეგიტიმურობასთან მიმართებით, ცხადია, ვადების არსებობა მნიშვნელოვანია სამართლებრივი სტაბილურობისა და განსაზღვრულობისათვის.³⁵² თუმცა ასეთი ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს შეზღუდვის თანაზომიერების კრიტერიუმს.³⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ლეგიტიმური მიზნების დაცვა ალოგიკურია, თუ ამის შედეგი ისევ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შეუძლებლობაა.³⁵⁴

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ეყრდნობა რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ვადების რეგულაცია უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ, სამართლიან ბალანსს

³⁵² 1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე №3/1/531, 05/11/2013; ასევე შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ოლა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/3/161, 30/04/2003.

³⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/2/558, 27/02/2014.

³⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/574, 23/05/2014; შეად. ასევე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/466, 06/07/2010 II, 14: „არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს თავად იმ უფლების უგულვებლყოფის საფრთხეს, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)“

ინტერესებს შორის და არ უნდა იწვევდეს პირის უფლებაში არათანაზომიერ, გაუმართლებელ ჩარევას.³⁵⁵

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებული ვადების კონსტიტუციურობის თაობაზე რამდენჯერმე იმსჯელა და ერთ შემთხვევაში, დაადგინა მისი არაკონსტიტუციურობა.³⁵⁶ თუმცა მისი განხილვის საგანი დღემდე ყოფილა საპროცესო ვადების აღდგენის აბსოლუტური აკრძალვის კონსტიტუციურობა. მაგალითად, როგორცაა, სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადების, კერძო საჩივრის წარდგენის ვადების აღდგენის დაუშვებლობის საკითხები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვა შიდა კანონმდებლობით დასაშვებია, საპროცესო შეზღუდვების და მოთხოვნების დაწესებით, სამართლის ხარისხიანი და უკეთესი ადმინისტრირებისთვის.³⁵⁷ თუმცა ამ შეზღუდვებმა

³⁵⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/3/161, 30/04/2003, სასამართლო ასევე ციტირებს ECHR *Stubbings and others v the United Kingdom* Application no. 22083/93; 22095/93.

³⁵⁶ შეად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე №3/1/531, 05/11/2013, სადაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ; იხ. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ქეთევან დოლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ №1/2/823, 09/02/2017.

³⁵⁷ ECHR *Stubbings and others v the United Kingdom* Application no. 22083/93; 22095/93; ECHR *the Ashingdane v. the United Kingdom*, Series A no. 93; ECHR *the Bellet v. France*

სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არსი არ უნდა გააქროს.³⁵⁸ აპელანტმა უნდა აჩვენოს სათანადო გულისხმიერება, დაიცვას საპროცესო კანონმდებლობა, როგორცაა გასაჩივრების ვადები.³⁵⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იხილავს შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფოში შიდა-სამართლებრივად მართალია არსებობს გაშვებული ვადის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობა, მაგრამ ამ ბერკეტით სარგებლობაზე მხარეს ადგილობრივმა სასამართლოებმა დაუსაბუთებლად უთხრეს უარი.³⁶⁰ ერთ-ერთი ასეთი დავის განხილვისას ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ვადებთან დაკავშირებული ნორმები მკაცრად და ვიწროდ უნდა განიმარტოს, რადგან ვადები სამართლებრივ სტაბილურობას ემსახურებიან.³⁶¹ თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში აუცილებელია ნორმათა მოქნილი განმარტება, რათა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება იმგვარად არ შეიზღუდოს, რომ ამით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი დაირღვეს.³⁶² ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება ერთი წლის განმავლობაში არ გაეგზავნა და მან აპელაციის ვადა გაუშვა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან მხარეს მიუძღვოდა ბრალი, სათანადო გულისხმიერების არქონის გამო, მას ამ გადაწყვეტილების მიღება არც ერთხელ მოუთხოვია.³⁶³ მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევა³⁶⁴, როცა პირს არ მიეცა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესაძლებლობა, როცა

judgment Series A no. 333-B; ECHR *Hadjianastassiou v Greece* 16 December 1992, Application No. 12945/87.

³⁵⁸ იქვე.

³⁵⁹ ECHR *Jodko v. Lithuania* 7 September 1999, Application no. 39350/98.

³⁶⁰ იქვე.

³⁶¹ ECHR *Marc Brauer gegen Deutschland*, Urteil vom 01.09.2016, Beschwerde Nr. 24062/13.

³⁶² იქვე.

³⁶³ ECHR *Jodko v. Lithuania* 7 September 1999, Application no. 39350/98.

³⁶⁴ ECHR *Hadjianastassiou v Greece* 16 December 1992, Application No. 12945/87.

გადაწყვეტილების წერილობითი დასაბუთება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 1 თვის შემდეგ მიუვიდა, ამ დროს მისი გასაჩივრების 5 დღიანი ვადა უკვე გასული იყო.

მართალია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ უმსჯელია სსსკ-ით განსაზღვრული იმპერატიული ვადების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუმცა საქართველოს კონსტიტუციის 31 მუხლის 1 პუნქტით დაცული სიკეთის, შედარებითი სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ის ვადები, რომელთა აღდგენა გამორიცხულია, მიუხედავად მხარის საპატიო მიზეზის არსებობისა, არღვევს სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას, წარმოადგენს რა არათანაზომიერ ჩარევას ამ უფლებაში.

შედარებისთვის, თუ მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით, კანონმდებლობით დასაშვებია ვადის შეჩერება ობიექტური მიზეზების არსებობისას, რაც განპირობებულია მოვალისა და კრედიტორის ინტერესებს შორის, ბალანსის დაცვის აუცილებლობით, იმავე საკანონმდებლო მიზნის მქონე საპროცესო ვადის აღდგენის აბსოლუტური გამორიცხვა, არ არის დამაჯერებელი. ასეთი შეზღუდვა არ შეიძლება ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს მხარისთვის კონსტიტუციური უფლების სრულად ჩამორთმევით.

სასურველია, საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განისაზღვროს ვადის აღდგენის საგამონაკლისო წესი, როდესაც მხარეს საპროცესო ვადის გასვლაში ბრალი არ მიუძღვის. შესაძლებელია გერმანული გამოცდილების გაზიარებაც და ვადის აღდგენის თაობაზე ზოგადი ჩანაწერის გაკეთება, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეფასების საგანი იქნება, სსსკ-ის 215-ე მუხლის შესაბამისად. კანონმდებლობით ვადის აღდგენის ყველა შესაძლო საფუძვლის გაწერა მიზანშეწონილი არ არის, ასეთ საფუძველთა არაამომწურავი ხასიათის გამო. ხოლო ჩანაწერის განმარტება და

ინტერპრეტაცია სასამართლოს კომპეტენციაა. პარალელურად, სამართლებრივი წესრიგის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სასურველია დაწესდეს მაქსიმალური ვადა, რომლის ფარგლებში მხარეს შეეძლება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შუამდგომლობა დააყენოს. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითისთვის, საპროცესო მოქმედების შესრულების კანონით დადგენილი ვადის ბოლო დღიდან 1 ან 3 თვის გასვლა.

6. ცალკეულ მოთხოვნათა ხანდაზმულობა

6.1. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნის და პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობა

სსკ-ის 129.1 მუხლის მეორე წინადადება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალურ, 6 წლიან ვადას ადგენს. ამ ნორმასთან მიმართებით, სსკ-ის 129.2 მუხლი განსაზღვრავს რა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებიდან წარმოშობილი მოთხოვნების ხანდაზმულობას, მიიჩნევა უპირატესად და გამოიყენება როგორც ურთიერთობის მომწესრიგებელი უფრო სპეციალური ნორმა.³⁶⁵ პერიოდულობით შესასრულებელი ვალდებულებების შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობა აითვლება ყოველი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისათვის დამოუკიდებლად.³⁶⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, სსკ-ის 129.1 მუხლის მეორე წინადადებით უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების 6 წლიანი ვადა არ გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი იმ მოთხოვნების მიმართ, რომელთა საფუძველს, ამა თუ იმ კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე,

³⁶⁵ შეად. სუსგ საქმე №ას-868-830-2014, 19/03/2015; ასევე საქმე №ას-1049-2019, 18/10/2019 პუნქტი 21.

³⁶⁶ შეად. სუსგ №ას-1432-1351-2012, 20/05/2013 და სუსგ №ას-211-198-2011, 14/04/2011.

ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს.³⁶⁷ ეს შეხედულება მხარდაჭერილია იურიდიულ დოქტრინაშიც.³⁶⁸

ამდენად, ქართული სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 129.1 მეორე წინადადებაში მითითებული „უძრავ ქონებასთან დაკავშირებული“ მოთხოვნის ვიწროდ განმარტებისკენ იხრება. თუმცა ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ მაგალითისთვის, უძრავი ქონების ნასყიდობის ორმხრივ მავალდებულებელ გარიგებაში, 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება მხოლოდ იმ მოთხოვნაზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება უძრავ ქონებას, მაგალითად, მისი საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნას.³⁶⁹ ნორმის ამგვარი განმარტება არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა ხელშეკრულების მხარეებს. ამდენად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, როგორცაა მყიდველის მოთხოვნა ნასყიდობის საგნის საკუთრებაში მიღების, ხოლო გამყიდველის მოთხოვნა ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე, მართებულია გავრცელდეს სსკ-ის 129.1 მუხლით განსაზღვრული 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა.³⁷⁰

ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისთვის მომსახურების ანაზღაურების გადახდას, ექვემდებარება 3 წლიან და არა 5 წლიან ან 6 წლიან ხანდაზმულობის ვადას.³⁷¹ ამასთანავე, სსკ-ის 129.1 მეორე წინადადებასთან მიმართებით ნარდობის მომწესრიგებელი სსკ-ის 655-ე მუხლი უპირატესად გამოიყენება, რომლითაც ნაგებობასთან

³⁶⁷ სუსგ საქმე №ას-462-2019 31/07/2019, პუნქტი 26.

³⁶⁸ იხ. *კვანტალიანი, ნუნუ*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 129, ველი 4.

³⁶⁹ შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება სინალაგმატური მოთხოვნების მიმართ იდენტური ხანდაზმულობის ვადის გამოყენების თაობაზე სუსგ №ას-1344-2018, 05/04/2019 პუნქტი 59.

³⁷⁰ იქვე.

³⁷¹ შეად. სუსგ ას-1428-2018, 27/12/2018, პუნქტი 101.

დაკავშირებული ნაკლის გამო მოთხოვნისთვის 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადაა განსაზღვრული.³⁷²

მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მოთხოვნად შეიძლება განიმარტოს, ვადის მისადაგებისთვის განმსაზღვრელია ძირითადი მოთხოვნის სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამდენად, სესხის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნა, თუნდაც ასეთი მოთხოვნა იპოთეკით იყოს უზრუნველყოფილი, 3 წლიან ხანდაზმულობის ვადას ექვემდებარება.³⁷³ შესაბამისად, იპოთეკარი კარგავს უძრავი ქონებიდან ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლებას 3 წლიანი ხანდაზმულობის გასვლის შემდგომ, იმის მიუხედავად, რომ მისი მოთხოვნა ამავდროულად 129.1 მუხლის მეორე წინადადების დისპოზიციასაც შეიძლება შეესაბამებოდეს, როგორც უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მოთხოვნა.³⁷⁴

სასამართლო პრაქტიკამ ასევე დასაშვებად მიიჩნია მხარის სარჩელი იპოთეკის გაუქმების თაობაზე, თუ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტორის მოთხოვნა ხანდაზმულია და ის ნებაყოფლობით არ აუქმებს იპოთეკას. სხვა შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, დაირღვევა სსკ-ის მე-8.3 და 316.2 მუხლების მოთხოვნები, შეიზღუდება რა საკუთრების უფლება განუსაზღვრელი ვადით, თუ გამსესხებელი არ გამოიყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.³⁷⁵

სსკ-ის 129.1 მუხლის მეორე წინადადება ორაზროვან ნორმად რჩება, ტოვებს რა მისი ფართო ან ვიწრო ინტერპრეტაციის საშუალებას სამართლებრივი დისკრეციის ფარგლებში. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დღეს დამკვიდრებული მიდგომით, მისი გამოყენება ძირითადად შემოსისაზღვრება უძრავი ქონების

³⁷² უპირატეს გამოყენებასთან დაკავშირებით შეად. სუსგ: №ას-690-644-2017, 31/07/2017, პუნქტი 27.

³⁷³ სუსგ საქმე №ას-273-2019, 24/05/2019 პუნქტი 67.

³⁷⁴ შეად. სუსგ საქმე №ას-1345-2018, 15/03/2019 პუნქტები 21- 22.

³⁷⁵ სუსგ საქმე №ას-1191-2019, 04/12/2019.

ნასყიდობიდან გამომდინარე ძირითადი მოთხოვნების ექვსწლიანი ვადისადმი დაქვემდებარებით.

6.2. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობა

2013 წლიდან საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილია დასაქმებულის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულის მიერ სარჩელის წარდგენის სპეციალური ვადა – ერთი თვე. 2006 წლის შრომის კოდექსი და ამჟამად მოქმედი კოდექსის თავდაპირველი, 2010 წლის რედაქცია არ ითვალისწინებდა შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულის მიერ მოთხოვნის რეალიზების რაიმე ვადას. ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო შრომის კოდექსით დასაქმებულისათვის მინიჭებული უფლებების სიმწირით. დასაქმებულის გათავისუფლების მიმართ შრომის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სპეციალურ, დამცავ წესებს.³⁷⁶ შესაბამისად, შრომით ურთიერთობებში დასაქმებულის დაცვის პრინციპები, მათ შორის, უსაფუძვლოდ გათავისუფლების შეზღუდვა განვითარდა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმების საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკით.³⁷⁷ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე მოთხოვნების რეალიზებისთვის სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბდა 128.1 მუხლის საფუძველზე 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადაში სარჩელის წარდგენის აუცილებლობა.³⁷⁸ პრაქტიკის ჩამოყალიბების ეტაპზე, სასამართლო მსჯელობის საგანი ასევე იყო შრომით დავებში, არარატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158-ე კონვენციის საფუძველზე, ხანდაზმულობის სპეციალური ვადის 6 თვის გამოყენებაც.³⁷⁹ ეს უკანასკნელი სწორად იქნა

³⁷⁶ შეად. შრომის კოდექსის 2006 წლის რედაქცია, მუხლები 37, 38. შრომის კოდექსის 2010 წლის რედაქცია, მუხლები 37, 38.

³⁷⁷ დეტალურად საკითხის თაობაზე იხ. *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 2010 99 და შემდგომში.

³⁷⁸ შეად. სუსგ №ას-278-264-2016 17/06/2016.

³⁷⁹ სუსგ №: ას-278-264-2016 17/06/2016.

უარყოფილი,³⁸⁰ რადგან საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულობის საკითხი უკვე მოწესრიგებული იყო სსკ-ით და არ არსებობდა უფრო მოკლე, 6 თვიანი ხანდაზმულობის გამოყენების საფუძველი, მითუფრო არარატიფიცირებული კონვენციის მოხმობით.

2013 წელს შრომის კანონმდებლობის ცვლილების შემდგომ დასაქმებულის გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების 1 თვიანი ვადის შემოღებამ არაერთგვაროვანი განმარტებები განაპირობა. ეს გამოწვეული იყო შრომის კოდექსის 38-ე მუხლის განსხვავებული ინტერპრეტაციებით, რელევანტური პუნქტების შინაარსი შემდეგია:

„38.4 დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.

38.5. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

38.6. დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.“

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი თავისი ინიციატივით არ გადასცემს დასაქმებულს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობით დასაბუთებას და არც დასაქმებული არ მოითხოვს მას, გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაზე არ შეიძლება

³⁸⁰ იქვე.

გავრცელდეს გასაჩივრების 30 დღიანი ვადა.³⁸¹ ასეთ შემთხვევებზე სასამართლოს აზრით, შრომის კოდექსის 1.2 მუხლის და სსკ-ის 129.1 მუხლზე დაყრდნობით, გამოსაყენებელია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.³⁸²

მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომ ეს მიდგომა შეცვალა.³⁸³ სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის 128-ე მუხლით დადგენილი 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი არ არის, როდესაც არსებობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური 30 დღიანი ვადა.³⁸⁴ თუ შრომით დავაზე გავრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი, ნაცვლად შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტისა, ეს დაარღვევდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს.³⁸⁵

სასამართლომ ეს მიდგომა შრომის სამართლის სპეციფიკურობით დაასაბუთა: „სადავო ფაქტები მტკიცებადი უნდა იყოს, დარღვეული უფლების აღდგენა დროის მცირე მონაკვეთში უნდა მოხდეს, რომ ვითარების ცვლილებამ, დასაქმებულის უფლებრივი რესტიტუციის შეუძლებლობა არ განაპირობოს“.³⁸⁶ ვადის სიმცირეს მეორე მხრივ განაპირობებს დამსაქმებლის ინტერესებიც. ის მუდმივად თავდაცვის რეჟიმში ვერ იქნება და უნდა ჰქონდეს თამამი საკადრო გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ლეგიტიმურია რომ მისი მოლოდინი გათავისუფლებული დასაქმებულისაგან სარჩელის აღძვრის თაობაზე დროის გარკვეული პერიოდით იყოს შემოსაზღვრული.³⁸⁷

³⁸¹ შეად. სუსგ №ას-469-450-2016, 29/06/2016, იხ. ასევე ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა შრომის სამართალში 2012-2016, 93-94, ელ. ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/>.

³⁸² სუსგ №ას-469-450-2016, 29/06/2016.

³⁸³ სუსგ №ას-863-830-2016, 05/01/2017; სუსგ №ას-747-715-2016, 20/01/2017.

³⁸⁴ შეად. სუსგ № ას-58-58-2018, 30/04/2018; სუსგ №ას-1210-2018, 15/02/2019.

³⁸⁵ სუსგ №ას747-715-2016, 20/01/2017.

³⁸⁶ სუსგ №ას-1210-2018 15/02/2019 ველი 72.

³⁸⁷ იქვე.

შრომის კანონმდებლობა დასაქმებულის დაცვაზეა ორიენტირებული და მას უკეთესი უფლებებით აღჭურავს ვიდრე სამოქალაქო კოდექსი.³⁸⁸ მეორე მხრივ, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გასაჩივრების ვადის ლიმიტით თავის დაცვა დამსაქმებლის უფლებაა.³⁸⁹ ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების მიმართ ზოგადი წესი მოქმედებს, ის დამსაქმებელმა უნდა დააყენოს.³⁹⁰

შრომის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე ვრცელდება ხანდაზმულობის ვადების შეჩერების და შეწყვეტის წესები.³⁹¹

თუმცა შრომის კოდექსის 38.6 მუხლი სპეციალურ წესს ადგენს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დასაქმებულის მოთხოვნის რეალიზებისთვის, რაც უკავშირდება შრომითი ურთიერთობის მოშლას, სამუშაოზე აღდგენას და კომპენსაციას. სპეციალური ვადა გამორიცხავს ამავე მოთხოვნის მიმართ სსკ-ით მოწესრიგებული ხანდაზმულობის ვადების გამოყენებას.

ერთთვიანი გასაჩივრების ვადა ვრცელდება მხოლოდ სსკ-ის 38.8 მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებთან მიმართებით, როგორცაა, ხელშეკრულების შეწყვეტის ბათილად ცნობა და მის შედეგად პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის მოთხოვნა, ტოლფასი სამუშაოს მოთხოვნა ან კომპენსაციის მოთხოვნა.³⁹²

დასაქმებულის სხვა მოთხოვნები, რომლებიც არ უკავშირდება 38.6 მუხლიდან გამომდინარე რომელიმე მოთხოვნის რეალიზებას, ექვემდებარება სსკ-ით განსაზღვრულ ხანდაზმულობის სამწლიან ვადას.³⁹³ მაგალითისთვის, ასეთი

³⁸⁸ შედარებისთვის ქართული სასამართლო პრაქტიკა favor prestatoris დასაქმებლისთვის სასარგებლო წესთა უპირატესობის თაობაზე სუსგ № ას-941-891-2015, 29/01/2016; დოქტრინისთვის იხ: ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 96.

³⁸⁹ შეად. სუსგ №ას-1210-2018, 15/02/2019 ვ. 72.

³⁹⁰ იქვე.

³⁹¹ შეად. განმარტება, სუსგ № ას-58-58-2018, 30/04/2018.

³⁹² შეად. სუსგ №ას-120-120-2018, 20/04/2018.

³⁹³ იქვე.

შეიძლება იყოს ზიანის ან სახელფასო დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნა და სხვ.

გერმანიაში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, თუმცა როგორც წესი, დამსაქმებელთან დადებულ შრომით ხელშეკრულებაში განსაზღვრულია სარჩელის წარდგენის გამომრიცხავი ვადები, რომელიც დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, კანონიერად მიიჩნევა.³⁹⁴ ამ ვადის გასვლის შემდგომ, დასაქმებული კარგავს სარჩელის წარდგენის უფლებას, მიუხედავად კანონისმიერი 3 წლიანი ვადისა. გერმანიის ფედერალური შრომითი დავების სასამართლოს მიერ დადგენილია რომ უფლების გამომრიცხავი ვადა არ უნდა იყოს 90 დღეზე ნაკლები.³⁹⁵ შრომითი ხელშეკრულება სასამართლომ გაუთანაბრა მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებას და მასზე გაავრცელა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი დათქმები, რომელთა მეშვეობით, გამომრიცხავი ვადების მოწესრიგება მართალია დაშვებულად მიიჩნია, მაგრამ მინიმალური ქვედა ზღვარი დაუდგინა. ამასთანავე, გამომრიცხავ ვადებზე ვრცელდება სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი, მისი ნამდვილობის წინაპირობები.³⁹⁶

ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზით აშკარაა, რომ სასამართლოები, შრომის კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრების 1 თვიანი ვადისგან თავის ასარიდებლად, მიაჩნდათ რა ის მწირ ვადად, იხმობდნენ განმარტების სხვადასხვა მეთოდებს. დადებითად უნდა შეფასდეს უკანასკნელი პრაქტიკა, რომელმაც დასძლია სასამართლოს სურვილი, არ გამოიყენოს კანონი, რომელიც უსამართლოდ მიაჩნია. მიუხედავად ამისა, პრობლემა არსებობს

³⁹⁴ BAG, 5 AZR 572/04, 25/05/2005.

³⁹⁵ იქვე.

³⁹⁶ მაგალითად, დაუშვებელია გამომრიცხავი ვადა შრომის ხელშეკრულებაში ფარულად ეწეროს, ის ნათელი უნდა იყოს ნებისმიერი საშუალო დასაქმებულისთვის, შეად: BAG, Az. 5 AZR 277/14, 27/01/2016.; BAG A. 9 AZR 80/17, 17/10/2017.

გასაჩივრების ხანმოკლე ვადის სახით და მისი გადაჭრა არა ვადისთვის ხელოვნურად გვერდის ავლით, არამედ საკანონმდებლო ცვლილების გზით უნდა განხორციელდეს. ეს დაიცავს დამსაქმებელსაც, რომელიც არ იქნება პრაქტიკის დრამატული ცვლილების მუდმივი საფრთხის ქვეშ. სასურველია, გასაჩივრების ვადა გაიზარდოს იმგვარად, რომ ის არც შეუსაბამოდ ხანგრძლივი იყოს, თუმცა ეფექტურად უზრუნველყოს დასაქმებულის უფლებების ადეკვატური დაცვა. შესაძლოა ქართული რეალობის გათვალისწინებით, გერმანული 90 დღიანი სტანდარტის პირდაპირი გადმოღება არ იყოს გამართლებული და დასაქმებულის ადეკვატური დაცვისთვის 45 ან 60 დღიანი ვადაც საკმარისი იყოს.

6.3. ხანდაზმულობის შესაგებელი გაქვითვის და შესრულებაზე უარის უფლების შესაგებლების წინააღმდეგ

ხანდაზმულობის სუსტი მატერიალურ-სამართლებრივი ეფექტის შედეგად, მოთხოვნა არსებობას განაგრძობს ვადის გასვლის მიუხედავად, ფერხდება მხოლოდ მისი იძულებითი აღსრულება.³⁹⁷ ეს შესაძლოა იყოს ერთ-ერთი საფუძველი იმ პრინციპისა, რომ ხანდაზმულობის შესაგებელი ვერ ძლევს ისეთ მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებლებს, როგორცაა გაქვითვის ან შესრულებაზე უარის შესაგებელი, თუ ისინი წარმოიშვა ჯერ კიდევ მოთხოვნის ხანდაზმულობამდე.

ძირითად სამართლებრივ სისტემებში გაქვითვის მთავარი წინაპირობებია, რომ ძირითადი მოთხოვნა უნდა იყოს შესრულებადი, ხოლო საპირისპირო მოთხოვნა – განხორციელებადი.³⁹⁸

³⁹⁷ Savigny, Friedrich Carl von, System des heutigen Römischen Rechts. Bd. 5. Berlin, 1841, 374.

³⁹⁸ შეად. გვკ-ის §387; Rodner, James, Unilateral setoff and the principles of UNIDROIT, in Liber Amicorum en l'honneur de Serge Lazareff 545 (L. Levy and Y. Derains eds., Pedone, 2011) 7; კროპპოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი § 387, ველი 7. DCFR, Outline edition 2009, III 6:102 Comment A.

გერმანული მიდგომის მსგავსად, ქართული დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ საპირისპირო მოთხოვნა ნამდვილი და განხორციელებადი უნდა იყოს.³⁹⁹ ის უნდა იყოს რეალური, მაგალითად, შესრულების გზით არ უნდა იყოს გაქარწყლებული.⁴⁰⁰ განხორციელებადი გულისხმობს, რომ საპირისპირო მოთხოვნის წინააღმდეგ არ უნდა არსებობდეს რაიმე შესაგებელი.⁴⁰¹ გსკ-ის 390-ე პარაგრაფი აკონკრეტებს საპირისპირო მოთხოვნის მდგომარეობას – „*დაუშვებელია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლის მიმართაც წარდგენილია შესაგებელი*“.⁴⁰²

შესაგებლისგან თავისუფალ მოთხოვნაში სამართლებრივ დოქტრინაში მოიაზრება მოთხოვნის მიმართ მოვალის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელები – მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი ან მოთხოვნის გამაქარწყლებელი შესაგებელები.⁴⁰³ მასში არ იგულისხმება შესაგებელი საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით.⁴⁰⁴

ვალდებულებათა გაქვითვის ჩამოთვლილი წინაპირობების გათვალისწინებით, ქართულ სამართალში ზოგადი წესით დაუშვებელია ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვა, რადგან ასეთი მოთხოვნა განხორციელებადობის წინაპირობას ვერ აკმაყოფილებს. თუმცა კანონი ადგენს სპეციალურ, საგამონაკლისო წესს სსკ-ის 443-ე მუხლით. მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს

³⁹⁹ შეად: *კროპკოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაშუამავებული გამოცემა, თბილისი 2014, § 387, ველი 6, ასევე: *სვანაძე გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 442, ველები 2-3.

⁴⁰⁰ *სვანაძე გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 442, ველები 3 და 8.

⁴⁰¹ *კროპკოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, § 387, ველი 7.

⁴⁰² ვრცლად იხ: *Feldmann, Bőrries von*, die Gleichartigkeit der Forderungen, die Aufrechnung im BGB und im Steuerrecht DStR 1991, 222: “Eine Forderung, der eine Einrede entgegensteht, kann nicht aufgerechnet werden.”

⁴⁰³ *Lieder, Illhard*, Grenzen der Aufrechnung JA 2010, 769, 771.

⁴⁰⁴ იქვე, 772.

ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა.⁴⁰⁵

ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვა პრაქტიკულად, ეგრეთწოდებულ „დაგვიანებულ“⁴⁰⁶ გაქვითვის შემთხვევად მიიჩნევა გერმანულ სამართალში, რადგან მოთხოვნის გაქვითვა ხდება იმ მომენტში, როდესაც მოთხოვნა ჯერ კიდევ განხორციელებადი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გაქვითვის თაობაზე ნების გამოვლენა ხანდაზმულობის დადგომის შემდეგ მოხდა.⁴⁰⁷ ვალდებულებათა გაქვითვის სამართლებრივი ინსტიტუტი უფლებას აძლევს საპირისპირო მოთხოვნის მქონე მოვალეს დაიცადოს, სანამ კრედიტორი საკუთარ მოთხოვნას დააყენებს და შემდგომ დაუპირისპიროს მას საკუთარი მოთხოვნა.⁴⁰⁸ ამავდროულად, ამ ინსტიტუტის სამართლებრივ მიზანთან წინააღმდეგობაში იქნებოდა, მოლოდინის რეჟიმში მყოფი მოვალისთვის გაქვითვის შესაძლებლობის მოსპობა მხოლოდ იმის გამო, რომ გაქვითვის შეტყობინება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაში არ განხორციელდა.⁴⁰⁹ გადამწყვეტია, რომ ორივე მოთხოვნა დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებობდა და გაქვითვის ფაქტობრივი შესაძლებლობა იყო.⁴¹⁰

განსხვავებული მიდგომა აქვს უნიფიცირებულ სამართალს, როგორცაა DCFR და უნიდროას პრინციპები. უნიდროას პრინციპების თანახმად, ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ მხარე ხანდაზმულობის

⁴⁰⁵ სსკ-ის 443-ე მუხლი; შეად. გერმანია: *Lieder, Illhardt*, Grenzen der Aufrechnung JA 2010, 769, 771.

⁴⁰⁶ “Verspätete Aufrechnungserklärung”, შეად: *Kröger, Sebastian*, Die Wirkung des § 215 BGB im Falle der Verwandlung der Hauptforderung in einen Zahlungsanspruch bei verjährter Gegenforderung. In: Knops KO., Bamberger H., Hölzle G. (eds) Zivilrecht im Wandel, Springer, Berlin, Heidelberg, 2015, 314.

⁴⁰⁷ იქვე.

⁴⁰⁸ შეად. BGH Urteil 15/12/1969, VII ZR 148/67, 8.

⁴⁰⁹ იქვე.

⁴¹⁰ საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. DCFR, Outline edition 2009, III 7:503 Comments.

შესაგებელს არ დააყენებს.⁴¹¹ DCFR გაქვითვას უშვებს, თუ გაქვითვის შეტყობინებამდე, კრედიტორს საპირისპირო მოთხოვნისადმი ხანდაზმულობის შესაგებელი არ ჰქონდა დაყენებული და არ მიუთითებს მასზე, გაქვითვის შეტყობინების მიღებიდან 2 თვის ვადაში.⁴¹² ამ მოწესრიგების მხარდასაჭერად მოიხმობენ არგუმენტს, ვალდებულებათა გაქვითვა მოთხოვნის აღსრულების ფორმაა, ხოლო ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვის დაშვებით, ხანდაზმულობის არსს ექმნება საფრთხე, რადგან მხარეს ვადის გასვლის მიუხედავად, უნარჩუნდება მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობა.⁴¹³

ამავდროულად, უნიდროას პრინციპები უშვებს უშვებს ხანდაზმული მოთხოვნის გამოყენებას ვალდებულების შესრულებაზე უარის შესაგებელის საფუძველად.⁴¹⁴ ასეთ შემთხვევაში, პრინციპები განსხვავებას ხედავს იმაში, რომ განსხვავებით გაქვითვისგან, შესრულებაზე უარის შესაგებელის დაყენებისას ხანდაზმული მოთხოვნის რეალიზება არ ხდება, ის გამოიყენება მხოლოდ თავდაცვის მიზნით.⁴¹⁵

ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლება მოვალეს იცავს ორმხრივ მავალდებულებელი ურთიერთობებისას და რამდენიმე ფუნქცია აქვს.⁴¹⁶ ერთ-ერთია, მოვალის დაცვა

⁴¹¹ UNIDROIT Principles 2010, Article 10.10.

⁴¹² DCFR, Outline edition 2009, III 7:503 “*A right in relation to which the period of prescription has expired may nonetheless be set off, unless the debtor has invoked prescription previously or does so within two months of notification of set-off.*”

⁴¹³ შეად. DCFR, Outline edition 2009, III 7:503 Comments; UNIDROIT Principles 2010, Article 10.10 Comments.

⁴¹⁴ UNIDROIT Principles 2010, Article 10.9 (3), Comment No. 3.

⁴¹⁵ იქვე.

⁴¹⁶ DCFR, Outline Edition, 2009 IV.B.–4:101, Comment C; UNIDROIT Principles 2010, Art. 6.1.4 and Art. 7.1.3 comments. შეად. ასევე: *მესხიშვილი ქეთევან*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ჰანტურია რედ. 2019, მუხ. 369, ველი 4.

კრედიტორის იმ მოთხოვნისგან, რომლის საპირისპირო შესრულებას მოვალე ვედარ მიიღებს.⁴¹⁷

გაქვითვის მსგავსად, ვალდებულების შესრულების დაყოვნების უფლების შესაგებელი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საპირისპირო მოთხოვნა მომდინარეობს იმავე ან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობისგან და რაც მნიშვნელოვანია, განხორციელებადია.⁴¹⁸

განსხვავებით გაქვითვისგან, შესრულების დაყოვნება არ არის მოთხოვნა, ის მხარის მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელია. მართალია მიჩნეულია⁴¹⁹, რომ მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებლები ხანდაზმულობის საგანი არ არის, მაგრამ ამგვარი შესაგებელის საფუძვლად არსებულ მოთხოვნებზე ხანდაზმულობა ვრცელდება, რის გამოც, მხარის მიერ ხანდაზმულობაზე მითითებისას, შესაგებელი წყვეტს არსებობას.⁴²⁰

თუ სსკ-ით დადგენილია ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვის შესაძლებლობა, იდენტური წესი ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებასთან მიმართებით მასში მოწესრიგებული არ არის. მხედველობაშია შემთხვევა, როდესაც პირს ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება ეფუძნება ხანდაზმულ მოთხოვნას. მაგალითად, თუ ნაკლის გამო დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია, ამ ნაკლის საფუძვლით ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება სსკ-ის 369-ე მუხლზე მითითებით, მოვალეს არ აქვს, რადგან არ არის განხორციელებადობის წინაპირობა დაკმაყოფილებული.

⁴¹⁷ შეად. DCFR, Outline edition 2009, IV.B.-4:101, Comment C; *მესხიშვილი ქეთევან*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ჟანტურია რედ. 2019, მუხ. 369 სქოლიო 6.

⁴¹⁸ შეად. სუსგ №ას-1344-2018, 05/04/2019, პ. 58. სუსგ №ას-158-2019, 06/05/2019; დოქტრინისთვის: *მესხიშვილი ქეთევან*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, ჟანტურია რედ. 2019, მუხ. 369, ველი 15.

⁴¹⁹ გაბატონებული მოსაზრება, შეად: *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004 162.

⁴²⁰ იქვე.

ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვის შესაძლებლობის მიღმა არსებული საკანონმდებლო მიზნის გათვალისწინებით, სამართლიანობა მოითხოვს, მოვალეს ამავე პრინციპით შეუნარჩუნდეს⁴²¹ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უფლება მაშინაც არსებობდა, სანამ მოთხოვნის ხანდაზმულობა დადგებოდა. ეს შეხედულება გერმანულ სამართალში ჰპოვებს პრაქტიკულ ასახვას.⁴²²

გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, კანონმდებლობით გამონაკლისის სახით მოწესრიგებული იყო მხოლოდ ხანდაზმული მოთხოვნის გაქვითვის შესაძლებლობა.⁴²³ გსკ-ის ძველი რედაქციის 390-ე პარაგრაფის ანალოგია სსკ-ის 443-ე მუხლი. გერმანიის ფედერაციულმა უზნეაქსმა სასამართლომ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში გსკ-ის 390-ე მუხლის ანალოგიაზე დაყრდნობით, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, იდენტური წინაპირობებით დაუშვა.⁴²⁴

სამეცნიერო დოქტრინასა და პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებულმა მიდგომამ ასახვა ჰპოვა 2001 წელს გერმანიის

⁴²¹ შეად: *Kröger, Sebastian*, Die Wirkung des § 215 BGB im Falle der Verwandlung der Hauptforderung in einen Zahlungsanspruch bei verjährter Gegenforderung, in: Knops KO., Bamberger H., Hölzle G. (eds) *Zivilrecht im Wandel*, Springer, Berlin, Heidelberg, 2015, 316.

⁴²² შეად. გერმანიის ბუნდესტაგის დასაბუთება საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებისას, *Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040*, 122.

⁴²³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 31.12.2001 წლამდე არსებული რედაქცია, მუხლი 390: *“Eine Forderung, der eine Einrede entgegensteht, kann nicht aufgerechnet werden. 2Die Verjährung schließt die Aufrechnung nicht aus, wenn die verjährte Forderung zu der Zeit, zu welcher sie gegen die andere Forderung aufgerechnet werden konnte, noch nicht verjährt war.”*

⁴²⁴ შეად. მაგალითად BGH ZR 35/57, 30.01.1958; უფრო დეტალურად გერმანიის ფედერაციული სასამართლო მსჯელობს სამართლებრივ დოქტრინაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, საბოლოოდ, გაბატონებულ მოსაზრებას ემხრობა და ამკვიდრებს პრაქტიკას, იხ: BGH Urteil VII ZR 148/67, 15/12/1969. ასევე იხ. BGH Urteil V ZR 122/64 16/06/1967.

სამოქალაქო კოდექსის განახლებულ რედაქციაში და გსკ-ის 215-ე პარაგრაფით ორივე შემთხვევა მოწესრიგდა.⁴²⁵ მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, შესაძლებელია არა მხოლოდ გაქვითვა, არამედ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმაც, თუ მოთხოვნის უფლება არ იყო ხანდაზმული იმ მომენტისათვის, როდესაც გაქვითვა ან ვალდებულების შესრულებაზე უარი ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.⁴²⁶ ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების თაობაზე გაცხადება ხანდაზმულობის გასვლამდე, აუცილებელი არ არის.⁴²⁷ შესრულებაზე უარის უფლება ეხება როგორც საპირისპირო ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებას (გსკ 273.1), ასევე ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესაგებელს (გსკ 320 I).⁴²⁸

გასაზიარებელია შეხედულება, რომ ვალდებულების შესრულებაზე უარი მხარის თავდაცვის საშუალებაა და ნაკლებად ძლიერი შესაგებელია, ვიდრე მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვის შესაგებელი.⁴²⁹ ამდენად, თანმიმდევრულია, გაქვითვის მიმართ დაწესებული საგამონაკლისო წესი ანალოგიით გამოყენებულ იქნას ამ უკანასკნელის მიმართაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას, გერმანიაში გაქვითვის ანალოგიის გამოყენებით, ვალდებულების შესრულებაზე უარის შესაგებლის დაყენების თაობაზე უკვე

⁴²⁵ შეად. გერმანიის ბუნდესტაგის დასაბუთება საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებისას, Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040, 122.

⁴²⁶ შეად. ასევე გერმანიის ფედერაციული სასამართლოს ახალი პრაქტიკა ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგ მიღებული ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით: BGH VII ZR 144/14, 5/11/2015.

⁴²⁷ BGH NJW 16, 52.

⁴²⁸ *Prütting/Wegen/Weinreich*, BGB Kommentar, 14. Aufl., 2019, BGB § 215, Rn 2; საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამ ორი ნორმის ერთი, მარტივი ვერსია გვხვდება სსკ-ის 369-ე მუხლის სახით.

⁴²⁹ ასე მიიჩნევა მაგალითად გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლო სამართლებრივ დოქტრინაზე დაყრდნობით: BGH VII ZR 148/67, 15/12/1969, 8 ff; ასევე უნიდროას პრინციპები, UNIDROIT Principles 2010, Article 10.9 (3), Comment No. 3.

არსებობდა დამკვიდრებული მიდგომა.⁴³⁰ თუმცა გსკ-ს 390-ე პარაგრაფის⁴³¹ ქართულ სამართალში გადმოტანა, კონკრეტულ შემთხვევაში ამ სამოსამართლო პრაქტიკის გათვალისწინების გარეშე მოხდა.

ამის მიუხედავად, საკმარისი ნორმატიული საფუძველი არსებობს, სსკ-ის 369-ე მუხლით განსაზღვრული შესრულებაზე უარის უფლებასთან მიმართებით, სსკ-ის 443-ე მუხლის ანალოგიით გამოყენებისთვის ისე, რომ მასში მოიაზრებოდეს ხანდაზმული მოთხოვნასაც, თუ ვადა არ იყო გასული შესრულებაზე უარის უფლების წარმოშობის მომენტში.⁴³² ამ მოსაზრებას ამყარებს გერმანულ სამართალში განვითარებული პრეცედენტული სამართალიც, რომელიც შემდგომ პოზიტიური სამართლის ნაწილად იქცა.

7. უფლების გამომრიცხავი ვადები

7.1. გამომრიცხავი ვადების ფუნქცია და ზეგავლენა უფლებაზე

მხარის აღმჭურველი უფლებები – ხელშეკრულების შეწყვეტა, შეცილება მეორე მხარის მიმართ და სხვ. მოთხოვნის ხანდაზმულობას არ ექვემდებარება, რამდენადაც ეს უფლებები არ

⁴³⁰ შეად: *Kröger, Sebastian*, Die Wirkung des § 215 BGB im Falle der Verwandlung der Hauptforderung in einen Zahlungsanspruch bei verjährter Gegenforderung, in: Knops KO., Bamberger H., Hölzle G. (eds) Zivilrecht im Wandel, Springer, Berlin, Heidelberg, 2015, 314-315.

⁴³¹ შეად. გსკ-ს 2002 წლის ცვლილებამდელი რედაქცია.

⁴³² შეად, *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004 112, სადაც ავტორი ემხრობა პრინციპს, რომ ხანდაზმული მოთხოვნის ხმლად ვეღარ, მაგრამ გაქვითვისა და შესრულების დაყოვნების უფლების შესაგებლების მეშვეობით, ფარად გამოყენება სამართლიანია. ასევე შეად. მხარდამჭერი პოზიცია: *Kröger, Sebastian*, Die Wirkung des § 215 BGB im Falle der Verwandlung der Hauptforderung in einen Zahlungsanspruch bei verjährter Gegenforderung in: Knops KO., Bamberger H., Hölzle G. (eds) Zivilrecht im Wandel, Springer, Berlin, Heidelberg, 2015, 323-324.

წარმოადგენს მოთხოვნას.⁴³³ ასეთ უფლებებზე როგორც წესი, ზემოქმედებს უფლების გამომრიცხავი ვადები.⁴³⁴

აღმჭურველი უფლების რეალიზებას პირი ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე ახდენს და მისი კანონით დადგენილ ვადაში გამოუყენებლობის შემთხვევაში, უფლება არსებობას წყვეტს.⁴³⁵ თავის მხრივ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა განაგრძობს არსებობას, მისი მფლობელი კარგავს მხოლოდ მისი სასამართლოს გზით, იძულებით აღსრულების შესაძლებლობას.⁴³⁶

ქართულ კერძო სამართალში აღმჭურველი უფლებების ერთ-ერთი მაგალითია გარიგების შეცილების უფლება.⁴³⁷ შეცილების უფლებაზე ვრცელდება სსკ-ის 79-ე, 84-ე, 89-ე მუხლებით დადგენილი გამომრიცხავი ვადები.⁴³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით იმის გამო, რომ შეცილების უფლება სამართალურთიერთობაზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა, მისი რეალიზებისთვის კანონი ადგენს ვადას.⁴³⁹ ვადის ოდენობა დამოკიდებულია იმ ქმედების ხასიათზე, რაც გახდა საცილო გარიგების დადების საფუძველი.⁴⁴⁰

⁴³³ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe*, §194, Rn 4. შეად. სუსგ №ას-1003-924-2017, 01/12/2017, პ. 32.

⁴³⁴ *Loubser, MM*, towards a theory of extinctive prescription, Heinonline, 105, African L.J. 34,1988, 105.

⁴³⁵ *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004 70.

⁴³⁶ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §194, Rn 14.

⁴³⁷ შეად. სუსგ №ას-490-771-04, 22/07/2004, სადაც სასამართლო ამბობს რომ: „*ისევე როგორც შეცილება, ხელშეკრულებაზე უარის თქმა წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივი აღმჭურველი უფლების განხორციელებას.*“

⁴³⁸ შეად. *ჭანტურია, ლადო*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 59, ველი 27.

⁴³⁹ სუსგ №ას-245-580-05, 23/12/2005.

⁴⁴⁰ იქვე, შემდგომში მხარდაჭერილია გადაწყვეტილებებით №: ას-548-511-2017, 31/07/2017; №: ას-1144-1064-2017, 08/01/2018; №: ას-1238-1158-2017, 18/04/2018.

შეცილება ცალმხრივი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, საკმარისია ზეპირსიტყვიერად განხორციელდეს.⁴⁴¹ შეცილების ადრესატია გარიგების მეორე მხარე და ნამდვილია ნების გამოვლენის მისვლისთანვე.⁴⁴²

შეცილების ნამდვილობისთვის სასამართლოსადმი სარჩელის წარდგენა აუცილებელი არ არის.⁴⁴³ ამის საწინააღმდეგოდ, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მოიპოვება სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც შეცილება განხორციელებულად ითვლება მხოლოდ სარჩელის წარდგენის მომენტიდან.⁴⁴⁴ თუმცა შესაძლოა, შეცილება და სარჩელის წარდგენა ერთდროულადაც მოხდეს, თუ მხარე მანამდე არ განახორციელებს შეცილებას.

უზენაესმა სასამართლომ მრავალჯერ არაერთმნიშვნელოვნად განმარტა რომ შეცილება მხარისადმი შეტყობინებით ხდება.⁴⁴⁵ მეორე მხრივ, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის⁴⁴⁶ განმარტებით, საქართველოს

⁴⁴¹ ჭანტურია, ლადო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 59, ველი 30. ასევეა გერმანიაში, შეად: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007 § 143, Rn 2-3.

⁴⁴² სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. შეად.: განსხვავებული აზრი: ზოიძე, ბესარიონ „საცილო გარიგება მანამ არ იქნება ბათილი, ვიდრე სასამართლო არ ცნობს მას ბათილად“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი პირველი, რედ: ჯორბენაძე, ზოიძე, ნინიძე, ჭანტურია, გამომცემლობა სამართალი, 1999 წ, 195.

⁴⁴³ შეად. ჭანტურია, ლადო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 59, ველი 31.

⁴⁴⁴ შეად. სუსგ №ას-829-1080-04, 18/05/2005; ამავედროულად უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად არის ცნობილი არაერთი საქმე, სადაც შეცილების რეალიზება სააპელაციო სასამართლომ დაუკავშირა სარჩელის წარდგენას: სუსგ №ას-333-314-2014; იხ. ასევე სუსგ №ას-490-771-04, სადაც ანალოგიური პრობლემაა, მაგრამ გადაწყვეტილება უქმდება სხვა საფუძვლით.

⁴⁴⁵ შეად.: სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019, პ. 300; სუსგ №ას-963-898-2017, 03/05/2019, პ. 1.3.1.

⁴⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017.

პროკურატურისადმი საჩივრის წარდგენა მუქარის საფუძველზე გარიგების დადების თაობაზე ამავდროულად წარმოადგენს ამ გარიგების შეცილებას. განხილულ შემთხვევაში, საჩივრის წარდგენის თარიღისთვის პროკურატურა იხილავდა დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელსაც.⁴⁴⁷ დიდი პალატა არ განავრცობს, ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება პროკურატურისადმი მიმართვა შეცილებად ჩაითვალოს, თუ ეს ასეთად მიიჩნია იმაზე დაყრდნობით, რომ აღნიშნული ორგანო ამავდროულად სარჩელის განმხილველი ორგანოც იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, შეცილება განხორციელებულია მეორე მხარის მიერ მისი მიღების შემდეგ. ამდენად პროკურატურაში მისი წარდგენა საკმარისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროცესში მეორე მხარის ინფორმირება ხდება ისევე, როგორც სამოქალაქო სარჩელის წარდგენისას.

გერმანულ სამართალში, გამომრიცხავი ვადების მიმართ ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების ანალოგიით გამოყენება იმდენად არის შესაძლებელი, რა მასშტაბითაც ამ ვადების მიზნები თანხვედრაშია ერთმანეთთან.⁴⁴⁸ მაგალითისთვის, არ გამოიყენება ანალოგიით მოთხოვნის გაქვითვის და ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შესაგებლები, გამომრიცხავი ვადების გასვლის შემდეგ, მაშინ, როცა მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, ამ შესაგებლების დაყენება, დასაშვებია.⁴⁴⁹ გერმანულ მიდგომაზე დაყრდნობით, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, გამომრიცხავ ვადებთან მიმართებით, სსკ-ის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებული ნორმები შესაძლებელია მხოლოდ ანალოგიით იქნას გამოყენებული, მათი

⁴⁴⁷ იქვე.

⁴⁴⁸ შეად. გერმანიაში პრაქტიკის დამდგენი გადაწყვეტილება სამეცნიერო დოქტრინის მოხმობით: BGH II ZR 35/57, 30/01/1958, 14 და შემდგომი, რითაც უარყოფილია მანამდე დადგენილი განსხვავებული პრაქტიკა - RGZ 158, 137, 140.

⁴⁴⁹ შეად.: გაბატონებული მოსაზრება: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 390, Rn 3; ასევე გერმანიის ბუნდესტაგის დასაბუთება საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებისას, Deutscher Bundestag, Drucksache 14/6040, 122.

მიზანშეწონილობის გათვლისწინებით.⁴⁵⁰ ასეთად მიჩნეულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომწესრიგებელი ნორმები, რაც ხანდაზმულობის ვადის მსგავსად, უნდა იწვევდეს შეცილების უფლების რეალიზაციის ვადის შეჩერებას.⁴⁵¹ თავის მხრივ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიხედვით, შეცილების ვადებზე ვრცელდება მოთხოვნის ხანდაზმულობის 137-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის შეწყვეტის წესი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე აღიარებს მოთხოვნის არსებობას.⁴⁵² გასაზიარებელია შეხედულება, რომ გამომრიცხავი ვადების მიმართ სსკ-ს 128.3 განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა უნდა გავრცელდეს.⁴⁵³

7.2. შეცილების ვადების სავალდებულო გათვალისწინება სასამართლოს მიერ და მტკიცების ტვირთი

გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ ნამდვილი შეცილება და მისი წინაპირობებია შეცილების საფუძველის არსებობა, შეცილების განხორციელება – ნების გამოვლენა მეორე მხარის მიმართ⁴⁵⁴ და შეცილების ვადის დაცვა.⁴⁵⁵ შეცილების ვადების გასვლა აქარწყლებს აღმჭურველ უფლებას. ამდენად თუ პირი შეცილების ვადის გასვლის შემდეგ განაცხადებს შეცილებას, მიუხედავად ადრესატის

⁴⁵⁰ ქართული სამეცნიერო ლიტერატურისთვის შეად: *რუსიაშვილი, გიორგი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 84, ველი 9.

⁴⁵¹ შეად.: *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 84, ველი 9.

⁴⁵² სუსგ №ას-490-771-04, 22/07/2004.

⁴⁵³ შეად. *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 339.

⁴⁵⁴ შეად. სსკ-ის 59.2 მუხლი.

⁴⁵⁵ *ჭანტურია, ლადო*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია, რედ. 2017, მუხ. 59.2, ველი 23, 26.

თანხმობისა, ეს ვეღარ ახდენს გარიგების ნამდვილობაზე გავლენას.⁴⁵⁶

შესაბამისად ერთმნიშვნელოვნად გასაზიარებელია მოსაზრება, რომ შეცილების ვადების შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა, რადგან ის უფლების არსებობა-არარსებობის დადგენის ნაწილია.⁴⁵⁷ თუ მოთხოვნის ხანდაზმულობა მოთხოვნის რეალიზების დაბრკოლებაა, შეცილების ვადაში განხორციელება ამ უფლების ნამდვილობის წინაპირობაა.

ისეთი აღმკურველი უფლებების რეალიზება როგორცაა შეცილება, ხელშეკრულებიდან გასვლა ან შეწყვეტა, შესრულების დაყოვნების უფლება და სხვ. არსებითად დაზიანდება, თუ მხარე მხოლოდ იმის გამო გაიმარჯვებს პროცესზე, რომ მეორე მხარე საკუთარ უფლებებს არასათანადოდ იცნობს.⁴⁵⁸ სწორედ ამიტომ არ მოითხოვება გარიგების შეცილების ცხადად გაცხადება⁴⁵⁹ პროცესზე და მხარის მიერ შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით სასამართლო თავად ახდენს გამოსაყენებელი სამართლის მისადაგებას. აღნიშნულისგან განსხვავებით, გაქვითვაზე ან ხანდაზმულობაზე მითითება მხოლოდ პროცესუალური ტექნიკის ნაწილად მიიჩნევა.⁴⁶⁰

ქართული სასამართლოები გამომრიცხავი ვადების მოთხოვნის ხანდაზმულობასთან გაიგივების გამო, არ ამოწმდნენ მას ex officio, რაც სამეცნიერო დოქტრინაში კრიტიკის საგანი იყო.⁴⁶¹ თუმცა მისასალმებელია საქართველოს უზენაესმა სასამართლოს

⁴⁵⁶ დარჯანია, თორნიკე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 79.1 ველი 7-8.

⁴⁵⁷ შეად. ქართული სამეცნიერო დოქტრინა, რუსიაშვილი, გიორგი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 84, ველი 8.

⁴⁵⁸ Hermisson, Vollrath Richterlicher Hinweis auf Einrede- und Gestaltungsmöglichkeiten NJW 1985, 2558.

⁴⁵⁹ შეად. ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია, რედ. 2017, მუხ. 59.2, ველი 32.

⁴⁶⁰ იქვე.

⁴⁶¹ შეად. მაგ. სუსგ №ას-886-929-2011, 23/09/2011; სუსგ №ას-586-551-2010, 11/11/2010; კრიტიკისთვის იხ.: რუსიაშვილი, გიორგი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 84, ველი 8.

მიერ უკანასკნელ წლებში გაკეთებული განმარტებები, რომლებიც მიანიშნებენ სასამართლოს მიდგომის ცვლილებას.⁴⁶² მაგალითისთვის ერთ-ერთ საქმეზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სამართლის დოქტრინაში არსებულ მოსაზრებაზე, რომ სასამართლომ ყოველთვის უნდა შეამოწმოს შეცილების ვადა, მიუხედავად იმისა, მოპასუხე დაიცავს თუ არა თავს ამგვარი შედავებით.⁴⁶³ სხვა გადაწყვეტილებაში, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შეცილების ვადის კვლევა სასამართლოს ინიციატივით ხდება, რათა არ გაუარესდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა.⁴⁶⁴ აღნიშნული შეფასებები და განმარტებები დადებითი მოვლენაა ქართული სამოსამართლო პრაქტიკის განვითარებაში.

გამომრიცხავი ვადების თაობაზე მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით იგივე წესები მოქმედებს, რაც მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევაში. მხარე, რომელიც უთითებს რომ შეცილება ვადის დარღვევით მოხდა, ვალდებულია ამტკიცოს უფლებამოსილი პირის მიერ შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტი. შემცილებელმა მხარემ უნდა ამტკიცოს შეცილების საფუძვლის არსებობა და მისი ვადაში განხორციელების ფაქტი.⁴⁶⁵ შეცილების ადრესატის მტკიცების საგანია შეცილების ვადის დარღვევით განხორციელების მტკიცება.⁴⁶⁶

7.3. შეცილების ვადის დენის დასაწყისის განსაზღვრის პრობლემატიკა მუქართი დადებული გარიგებისას

შეცილების ვადის ათვლის დასაწყისი სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შეცილების საფუძვლების შემთხვევაში უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორებს. შეცდომით ან მოტყუებით

⁴⁶² სუსგ №ას-1230-2018, 14/12/2018, პუნქტი 18.9.1

⁴⁶³ სუსგ №ას-1134-2018, 29/07/2019, პუნქტი 1.4.

⁴⁶⁴ სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019, პუნქტები 142 და 300.

⁴⁶⁵ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 121 Rn. 2; შეად. ასევე *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 84, ველი 14.

⁴⁶⁶ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe*, Vorbemerkung §194, Rn 25.

გარიგების დადებისას, ეს არის, შეცდომის ან მოტყუების შეცნობა, ხოლო მუქარის შედეგად დადებული გარიგებისას – მუქარის დასრულების მომენტი.⁴⁶⁷

აღიარებულია, რომ გარიგების იძულებით დადებისა და მუქარის დასრულების მომენტი თითქმის არასდროს ემთხვევა ერთმანეთს.⁴⁶⁸ სწორედ ამიტომ დაუკავშირა კანონმდებელმა შეცილების 1 წლიანი ვადის დაწყება მუქარის დასრულებას. მუქარა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც საფრთხემ, რის გამოც მხარემ გარიგებები დადო ჩაიარა, ან მოხდა მისი რეალიზება.⁴⁶⁹ განსაკუთრებული ყურადღება დასრულების მომენტის განსაზღვრისთვის ენიჭება მხარის სუბიექტურ თვალსაწიერს.⁴⁷⁰

მუქარის დასრულების შეფასებასთან მიმართებით ქართული სასამართლო პრაქტიკა ორაზროვანია. ერთ შემთხვევაში, ქართულმა სასამართლომ შეცილების 1 წლიანი ვადის დასაწყისი მუქარის საფუძველზე გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების დადების თარიღს და არა პროკურატურის მხრიდან ბრალის მოხსნას დაუკავშირა.⁴⁷¹

მეორე შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ მუქარის დასრულება პირის პოლიტიკურ პატიმრად აღიარებას დაუკავშირა მიუხედავად იმისა რომ პირს

⁴⁶⁷ შეად. სსკ-ის 79.1, 84, 89-ე მუხლები.

⁴⁶⁸ *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 89, ველი 1-2.

⁴⁶⁹ შეად. MüKomm BGB, Armbrüster 8. Auflage, 2018, § 124 Rn. 3-4, ქართული დოქტრინისთვის *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 89, ველი 4.

⁴⁷⁰ შეად. BGH - XII ZR 227/94, 22/11/1995, ასევე *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 89.

⁴⁷¹ შეად. სუსგ №ას-333-314-2014, 21/07/2014, სადაც უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და გაიზიარა მისი მოსაზრება; გადაწყვეტილების კრიტიკა სამართლებრივ დოქტრინაში: *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 89, ველი 5.

გარიგების იძულებით დადების თაობაზე წლებით ადრეც არაერთხელ ჰქონდა გაცხადებული.⁴⁷²

დიდი პალატის მიერ განხილულ დავაში მოსარჩელის მოთხოვნა წილებზე საკუთრების აღდგენის თაობაზე ეფუძნებოდა ფაქტობრივ გარემოებას, რომ მან ნასყიდობის ხელშეკრულებები ხელისუფლების წარმომადგენელთა მუქარის საფუძველზე დადო. გარიგებები დაიდო 2006 წლის დეკემბერში. მოსარჩელემ საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა 2008 წლის დეკემბერში. 2012 წლის 5 დეკემბერს ახლად არჩეულმა პარლამენტმა მოსარჩელე პოლიტიკურ პატიმრად ცნო. მოსარჩელემ სამოქალაქო სარჩელი სასამართლოში წარადგინა 2015 წელს.⁴⁷³ სასამართლომ გარიგებათა შეცილების ვადის დაცვის საკითხზე მსჯელობისას დაასკვნა შემდეგი:

„მოსარჩელის მიმართ იძულება სულ მცირე 2012 წლის არჩევნებამდე მაინც გრძელდებოდა, ვინაიდან ახლადარჩეულმა პარლამენტმა 2012 წლის 5 დეკემბრის აქტით იგი პოლიტიკურ დევნილად ცნო.. აქედან გამომდინარე, სსკ-ით 89-ე მუხლით დადგენილი შეცილების ერთწლიანი ვადის დენის დაწყებამდე („იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან“), საქართველოს პროკურატურაში 2008 წლის 1 დეკემბერს წარდგენილი საჩივრით მოსარჩელე შეეცილა იმ სადავო გარიგებების ნამდვილობას, რამაც განაპირობა ტელეკომპანიაში წილების გასხვისება.“

დიდი პალატის ეს განმარტება ნაკლებად შეესაბამება სსკ-ის 89-ე მუხლით განსაზღვრული შეცილების ვადის ათვლის დასაწყისის დაკავშირების მიზანს მუქარის დასრულებასთან. როგორც განიმარტა მუქარის დასრულება ნიშნავს იმ გარემოებათა თუ რისკის გაქარწყლებას, რის გამოც პირი ნების დათრგუნვის საფუძველზე გარიგებას დებს. ამდენად ლოგიკურია, როცა მხარე

⁴⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017, პ. 212.

⁴⁷³ იქვე.

შეცილებას ახორციელებს, მუქარა დასრულებულია. წინააღმდეგობრივია მსჯელობა, რომ მოსარჩელემ ჯერ შეცილება განახორციელა 2008 წელს, ხოლო მუქარა მის მიმართ დასრულდა 2012 წელს. სასამართლომ არასწორად გააიგივა ქვეყანაში მოსარჩელის წინააღმდეგ არსებული პოლიტიკური სურათის შეცვლისა და სსკ-ის 89-ე მუხლის მიზნებისთვის მუქარის დასრულების მომენტი. მოსარჩელის მიერ 2008 წელს პროკურატურისადმი საჩივრის წარდგენით დადასტურდა, რომ მისთვის ამ მომენტში გარიგების დადების მიზნით იძულების განმაპირობებელი გარემოებები დასრულებული იყო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური დევნის ხანგრძლივობა არარელევანტურია, რადგან ეს ფაქტი ვეღარ ზემოქმედებდა მის ნებაზე, რასაც ადასტურებს პროკურატურაში მის მიერ საჩივრის წარდგენა.

დიდი პალატის მიდგომა, რომელიც მუქარის დასრულებას სახელმწიფოში ხელისუფლების ცვლილებას უკავშირებს ზოგადად შესაძლოა იყოს გამართლებული. ამის მაგალითები არსებობს გერმანულ სამართალშიც, როცა შესაბამისი პრეცედენტები სასამართლოებმა ნაცისტური რეჟიმის პირობებში დარღვეული საკუთრების აღდგენის მიზნით ჩამოაყალიბეს.⁴⁷⁴ მოცემულ დავაში ეს არგუმენტი ნაკლებად დამაჯერებელია, თავად მხარის მიერ ხელისუფლების ცვლილებამდე წლებით ადრე პროკურატურისადმი წარდგენილი საჩივრის გამო, რაც ადასტურებს სწორედ ამ მომენტში მოსარჩელის მიმართ მუქარის დასრულების ფაქტს. მოცემულ დავაში მიზანშეწონილი იყო, სასამართლოს დაედგინა რომ შეცილება განხორციელდა 2008 წელს და აღარ

⁴⁷⁴ შეად. ცნობილი გადაწყვეტილებები KG, JR 1948, 83, და KG, SJZ 1947, 257, ასევე სამეცნიერო ანალიზისთვის შეად: *Hellwege Phillip*, Precluding the statute of Limitations? How to deal with nazi-looted art after cornelius gurlitt, *southwestern journal of international law*, Vol. 22, 106-155; *Weller, Matthias*, Beiträge der Rechtswissenschaften zur Aufarbeitung NS-Unrechts, BRJ 02/2019, 145-149. MüKomm BGB, Armbrüster 8. Auflage, 2018, §123, Rn 127.

ემსჯელა მუქარის 2012 წელს დასრულებაზე მისი არარელევანტობის გამო.⁴⁷⁵

დიდი პალატის ამ შეფასებამ როგორც მოსალოდნელი იყო, სხვა დავებისთვისაც შეიძინა მნიშვნელობა. სხვა საქმეში, სადაც მხარე იდენტურ მიდგომას ითხოვდა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ განსხვავებით დიდი პალატის მიერ განხილული საქმისგან, კონკრეტულ საქმეში მოსარჩელე პოლიტიკური დევნის სუბიექტი არ იყო.⁴⁷⁶ შესაბამისად სასამართლომ პოტენციური მუქარის დასრულების თარიღად არა არჩევნების შედეგად ხელისუფლების ცვლილება, არამედ სადავო ხელშეკრულების დადების დრო ჩათვალა.⁴⁷⁷ ამ განმარტებით სასამართლო შეეცადა დაეცვა დიდი პალატის მიერ მუქარის ვადის ათვლის ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირება, თუმცა ამავდროულად უგულებელყო სსკ-ის 89-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიზანი, მუქარის დასრულების მომენტიდან, და არა ხელშეკრულების დადების მომენტიდან ვადის ათვლაა. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებული ფაქტების შეფასებით უნდა განსაზღვროს როდის დასრულდა მუქარა და აღნიშნულის დასადგენად არ არის აუცილებელი მხარის პოლიტიკურ პატიმრად აღიარება რომელიმე დაწესებულების მიერ. დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს

⁴⁷⁵ საგულისხმოა, რომ ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესების საწინააღმდეგოდ, ღია საკითხად რჩებოდა 2006 წელს გარიგების დადების მომენტიდან 2008 წელს საჩივრის შეტანამდე პერიოდში, ზუსტად როდის დასრულდა მუქარა, რადგან ამ შუალედშიც შესაძლოა გასულიყო შეცილების 1 წლიანი ვადა.

⁴⁷⁶ სუსგ №ას-548-511-2017, 31/07/2017, პუნქტი 53: „საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია არა რომელიმე კონკრეტული პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, არამედ ის ფაქტი, რომ მოსარჩელეზე სახელმწიფო ორგანოების მხრიდან პოლიტიკური დევნა ხორციელდებოდა, რაც ასეთად მიჩნეულ იქნა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ასახული ინფორმაციის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ პირისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მისი პოლიტიკური ნიშნით დევნილად ცნობის საფუძველზე“.

⁴⁷⁷ იქვე.

შემდგომ გადაწყვეტილებებში მუქარის დასრულების მომენტის თაობაზე გაკეთებული განმარტებები.⁴⁷⁸ სასამართლომ რამდენჯერმე განმარტა, რომ იძულების მომენტის დასრულება უკავშირდება პირის სუბიექტურ აღქმას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას, მისი ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს აღარ ემუქრებათ რეალური საფრთხე და ეს იძულებული პირის სუბიექტური თვალთახედვიდან უნდა იქნეს შეფასებული და არა იძულების განხორციელების მომენტიდან.⁴⁷⁹

8.4 ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გადამეტებით

დადებული გარიგების ბათილობის შეცილების ვადა სამეწარმეო სამართალში

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 9.4 პუნქტი ითვალისწინებს კომპანიის დირექტორის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გადამატებით დადებული გარიგების შეცილების შესაძლებლობას, თუ კონტრაგენტისთვის ცნობილი იყო ამ ფაქტის შესახებ, ან თუ დირექტორი და კონტრაგენტი მოქმედებდნენ ერთად. დასახელებული პუნქტი კომპანიას შეცილების უფლებას ანიჭებდა საცილო გარიგების დადებიდან 18 თვის ვადაში.⁴⁸⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილების შედეგად, გაუქმდა დირექტორის მიერ კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადამეტებით დადებული გარიგების შეცილების 18 თვიანი ვადა.⁴⁸¹ რის შედეგად, მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „თუ *ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ,*

⁴⁷⁸ შეად. მაგალითად: სუსგ №ას-1230-2018, 14/12/2018, პუნქტი 18.9.1, იხ. ასევე სუსგ №ას-271-271-2018, 13/07/2018;.

⁴⁷⁹ სუსგ №ას-212-201-2017, 15/05/2017, პუნქტი 33.

⁴⁸⁰ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 2014 წლის რედაქცია.

⁴⁸¹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მეტალინვესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმე №1/1/543, 29/01/2014 პ. 49.

წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს შეუძლია განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ მეწარმე სუბიექტს, რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით.“

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად შეცილების უფლების ვადით შეზღუდვა კონსტიტუციურია, თუმცა იმ პირობებში, როდესაც საცილო გარიგების შეცილების ვადის ათვლა იწყება გარიგების დადების, და არა მის თაობაზე ინფორმაციის მიღების მომენტიდან, 18 თვე შეუსაბამოდ მცირე ვადაა.⁴⁸² თავად განსახილველი საცილო გარიგების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა პარტნიორმა გვიან შეიტყოს სადავო გარიგების თაობაზე.⁴⁸³

საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლში ცვლილება არ განუხორციელებია ახალი ვადის განსაზღვრის მიზნით. შედეგად, მოცემული საფუძვლით გარიგების შეცილების ვადა მეწარმეთა შესახებ კანონით აღარ არის დადგენილი. კანონმდებელს ეს საკითხი მოწესრიგების მიღმა დარჩა ან მისი უმოქმედობა „კვალიფიციური დუმილია“. ორივე შემთხვევაში, დასახელებული საფუძვლით გარიგების შეცილებისას განსასაზღვრია შეცილების უფლების მიმართ გამოსაყენებელი ვადა.

თუ გაკეთდება დაშვება, რომ 9.4 პუნქტი არ იზღუდება შეცილების ვადით, მაშინ ასეთი გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ნებისმიერ დროს. სამეცნიერო დოქტრინაში გამოთქმული შეხედულებით, შეცილების უფლება იზღუდება 10 წლიანი საერთო ხანდაზმულობის ვადით. მიუხედავად ამისა რჩება განცდა, რომ კანონმდებლის მიზანი არ შეიძლება იყოს სამეწარმეო სამართალში 10 წლის მანძილზე გარიგების საცილოდ მიჩნევა. სამეწარმეო

⁴⁸² საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მეტალინვესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმე №1/1/543, 29/01/2014 კ. 50-51.

⁴⁸³ იქვე.

სამართალში გარიგების უსასრულოდ საცილობა არ შეიძლება იყოს შეცილების უფლების მიზნებთან შესაბამისობაში. შეცილება ერთი მხრივ მხარის უფლებას, მისთვის არასასურველი გარიგებისგან გათავისუფლდეს, მეორე მხრივ, ამ უფლების ვადით შემოსაზღვრა უზრუნველყოფს სამართლებრივ სტაბილურობას და ამიტომ შეცილების უფლება მხოლოდ ამ ინტერესების ბალანსის საფუძველზე უნდა არსებობდეს.

შედარებისთვის, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საცილო გარიგებების შეცილების საფუძველებიდან გამომდინარე, შეცდომისას შეცილების ვადაა 1 თვე მისი შეცნობის მომენტიდან⁴⁸⁴, მოტყუებისას 1 წელი მოტყუების შეცნობიდან⁴⁸⁵ და მუქარისას – 1 წელი მუქარის დასრულების მომენტიდან.⁴⁸⁶

შეცილების ვადის მომწრესრიგებელი სპეციალური ნორმის არ არსებობის პირობებში, მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლით განსაზღვრული შეცილების უფლება მიზანშეწონილია კანონის ანალოგიის (სსკ 5.1) საფუძველზე დაექვემდებაროს შეცილების სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ რომელიმე ვადას.

სამოქალაქო კოდექსი საცილო გარიგებების სამ კატეგორიას იცნობს და თითოეული მათგანისთვის განსაზღვრული აქვს შეცილების ვადები.⁴⁸⁷ მათგან მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლით განსაზღვრული გარიგების შეცილების საფუძველთან ყველაზე ახლოს მდგომი არის მოტყუებით დადებული გარიგება. მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში მხარეს კონტრაჰენტი ან მესამე პირი აქტიური ან პასიური მოქმედებით

⁴⁸⁴ სსკ 79.1 „შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.“

⁴⁸⁵ სსკ 84 „მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ.“

⁴⁸⁶ სსკ 89 „იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.“

⁴⁸⁷ სსკ 79, 84, 99 მუხლები.

ატყუებს გარიგების დადების მიზნით.⁴⁸⁸ მოტყუების გარეშე, გარიგება არ დაიდებოდა. დირექტორის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გადამეტებით გარიგების დადებისას, კომპანია (მისი პარტნიორები) საერთოდ არ არის ინფორმირებული გარიგების დადების თაობაზე და ცოდნის შემთხვევაში, არ დაუშვებდა მის დადებას. შესაბამისად, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლით განსაზღვრული შემთხვევა მოტყუებით დადებული გარიგების სპეციალურ შემთხვევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს. მისი წინაპირობები ამომწურავად არის 9.4 მუხლით მოწესრიგებული, ხოლო შეცილების ვადა იგივეა, რაც ზოგადი მოტყუების შემთხვევაში.

შესაბამისად მიზანშეწონილია, მოცემულ შემთხვევას მიესადაგოს შეცილების 1 წლიანი ვადა და ის აითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც კომპანიამ (პარტნიორმა) შეიტყო სადავო გარიგების დადების თაობაზე. ეს გადაწყვეტა ყველაზე ახლოს დგას იმ მიზანთან, რასაც ემსახურება შეცილების ვადების არსებობა კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაშიც, თუ კანონმდებლის მიერ 6 წლის მანძილზე სპეციალური ვადის დაუწესებლობა კვალიფიციურ დუმილად მიიჩნევა, სამოქალაქო კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, დირექტორის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგება შეიბოჭოს მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ვადით, რაც შესაძლოა კანონმდებლის კვალიფიციური დუმილის საფუძველსაც ქმნიდეს.

⁴⁸⁸ *რუსიაშვილი გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 81, ველები 1-9.

8. ვარგისიანობის გარანტიის და მოთხოვნის ხანდაზმულობის ურთიერთმიმართება

8.1. გარანტიის მნიშვნელობა

როგორც ნაშრომის 1.2 ქვეთავში აღინიშნა, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადებისგან დამოუკიდებელია საგარანტიო ვადები. კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია ამ ვადების ანალიზი და შედარება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან, რამდენადაც შესაძლოა ასეთი ვადები გარკვეულწილად, გამოწვევა იყოს კანონმდებლისთვის, როცა ის მოთხოვნის ხანდაზმულობის მხარეთა მიერ მოდიფიცირების მიმართ, იმპერატიულ აკრძალვას აწესებს.

სიტყვა „გარანტიას“ სხვადასხვა სამართლებრივი დატვირთვა აქვს სამართალში. მოცემულ შემთხვევაში, გარანტიის ქვეშ მოიაზრება ხელშეკრულების საგნის თვისებების არსებობაზე ნასყიდობის, ქირავნობის, ნარდობის ან ნივთთან დაკავშირებულ სხვა მსგავს ხელშეკრულებებში გამსხვისებლის მიერ ვარგისიანობის გარანტიის გაცემა.⁴⁸⁹

გარანტიის შინაარსი მრავალფეროვანია და მისი არსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა ნების შესაბამისად დგინდება.⁴⁹⁰ გერმანულ სამეცნიერო დოქტრინასა და დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკაში, მიჯნავენ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ გარანტიის სახეებს.⁴⁹¹

დამოუკიდებელი გარანტია სპეციალურ ხელშეკრულებად მიიჩნევა, მისი სახელწოდება გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი კანონისმიერი შესრულებისა და მეორადი მოთხოვნების

⁴⁸⁹ RegBegr BT-Drucks, 14/6040, 132.

⁴⁹⁰ *Horst Ehmann*, Garantie oder Verschuldenshaftung bei Nichterfüllung und Schlechtleistung? In Festschrift für Claus-Wilhelm Canaris zum 70. Geburtstag, 1. Auflage, Verlag C.H. Beck, München 2007, 162, 166.

⁴⁹¹ MüKomm BGB, *Westermann* § 443 Rn. 1-2.

პარალელურად, წარმოშობს დამოუკიდებელ მოთხოვნის საფუძველს.⁴⁹² გარანტიის გამცემის მიერ ამგვარად ხდება თავისი სამომავლო, სახელშეკრულებო ვალდებულებების არსებობისგან დამოუკიდებლად, გარანტიის მიმღებისთვის მოთხოვნის მინიჭება, როგორცაა სამომავლო რისკების აღება ან სხვ.⁴⁹³ მაგალითად, საწარმოს ნასყიდობისას, გამყიდველის მიერ გაცხადებული გარანტიები, მიიჩნევა დამოუკიდებელი გარანტიის სახედ, რომელიც მთლიანად ანაცვლებს გსკ-ის 443-444-ე მუხლებით მოწესრიგებულ დისპოზიციურ გარანტიას.⁴⁹⁴ ასევე, მწარმოებლის მიერ გაცემული დამოუკიდებელი გარანტიით, ნივთის საბოლოო მომხმარებელი ხდება ამ გარანტიის მიმღები, ისე, რომ დამოუკიდებელი გადამყიდველი აწვდის მას მწარმოებლის მიერ გაცემულ გარანტიას და მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობა არსებობს გადამყიდველსა და მომხმარებელს შორის, მწარმოებლის მიმართ ამ გარანტიიდან მოთხოვნების დაყენება შეუძლია საბოლოო მომხმარებელს.⁴⁹⁵

დამოკიდებული გარანტია, როგორც დამატებითი შეთანხმება, აფართოებს გარანტიის გამცემის კანონისმიერ ვალდებულებებს და ცალკე მოთხოვნას არ ქმნის.⁴⁹⁶ ასეთია მაგალითად, როცა როცა გამყიდველი იმ ნაკლზეც აგებს პასუხს, რომელიც რისკის გადასვლის შემდეგ დადგა.⁴⁹⁷ გარანტიის სახეებს შორის შემოთავაზებული ზემოხსენებული გამიჯვნა გარკვეული კრიტიკის საგანია, ვინაიდან რთულია მათ შორის ზღვრის გავლება, თუმცა გაბატონებული მოსაზრებით, იგი მიიჩნევა აუცილებლად, რადგან განსხვავებულია სამართლებრივი შედეგები.⁴⁹⁸

⁴⁹² *Grützner/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen NJW 2007, 3610.

⁴⁹³ იქვე, 3611.

⁴⁹⁴ *Bisle, Michael*, Gewährleistungs- und Garantieklauseln in Unternehmenskaufverträgen (DStR 2013, 364), 365.

⁴⁹⁵ RegBegr BT-Drucks, 14/6040, 237.

⁴⁹⁶ *Grützner/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen (NJW 2007, 3610), 3611.

⁴⁹⁷ იქვე.

⁴⁹⁸ გამოყენების საწინააღმდეგო მოსაზრება იხ. კროჰოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა,

გარანტია შინაარსობრივად იმიჯნება, როგორც თვისობრიობის და ვარგისიანობის გარანტია.⁴⁹⁹ თვისობრიობის გარანტიის შინაარსია, რომ ნასყიდობის საგანი, რისკის გადასვლის მომენტში, გარკვეული ხარისხის, თვისობრიობისაა, რაზეც გამყიდველი გარანტიას გასცემს.⁵⁰⁰ გარანტიით შეიძლება განისაზღვროს როგორც მატერიალური საგნის თვისებები, ასევე მოთხოვნის უფლების ნასყიდობისას, ამ უფლების უნაკლოებაც.⁵⁰¹ მიმღებისთვის ამგვარი გარანტია საინტერესოა, იმდენად, რამდენადაც გამყიდველი ვერ მიუთითებს ბრალის არ არსებობასა და მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე, გსკ-ს 280 I 2 პარაგრაფის, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, სსკ-ს 394.1 მუხლის შესაბამისად.⁵⁰²

8.2. ვარგისიანობის გარანტია

ვარგისიანობის გარანტია გულისხმობს დაპირებას, რომ ნასყიდობის საგანი გარკვეულ ხარისხსა და თვისებებს შეინარჩუნებს რისკის გადასვლის მომენტიდან, გამყიდველის მიერ მითითებული ვადის განმავლობაში.⁵⁰³ მისი ტიპური შინაარსია, მთელი ნივთის ან მისი ნაწილის უნაკლოება მისი ჩვეულებრივი გამოყენებისას, გარანტიის ვადით.⁵⁰⁴ გარანტიის მიმღებმა უნდა დაამტკიცოს, რომ ნაკლი დადგა ვარგისიანობის ვადის განმავლობაში.⁵⁰⁵ ხოლო გარანტიის გამცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გამორიცხოს თავის

თბილისი 2014, § 443, ველი 1, გამოყენების მომხრე პოზიციები შეად: MüKomm BGB, *Westermann*, § 443 Rn. 3-4; *Grützner/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen(NJW 2007, 3610) 3611.

⁴⁹⁹ MüKomm BGB, *Westermann* § 443 Rn. 8.

⁵⁰⁰ იქვე.

⁵⁰¹ Deutscher Bundestag, Drucksache 14/7052, 09/10/2001, 184.

⁵⁰² Palandt/Putzo BGB, 66. Aufl. 2007, § 443 Rn. 3; *Grützner/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen(NJW 2007, 3610) 3611.

⁵⁰³ MüKomm BGB, *Westermann* §443 Rn. 9; *Grützner/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen(NJW 2007, 3610) 3611.

⁵⁰⁴ MüKomm BGB, *Westermann* §443 Rn. 9, Fußn 8.

⁵⁰⁵ იქვე, Rn. 23.

პასუხისმგებლობა, თუ დაადასტურებს, რომ გარანტიის მიმღებმა ნაკლი ბრალეულად გამოიწვია.⁵⁰⁶ შესაბამისად, მოქმედებს გაქარწყლებადი პრეზუმფცია, რომ ვარგისიანობის ვადაში დამდგარი ნაკლი წარმოშობს გარანტიის მიმღების შესაბამის მოთხოვნებს, რისი საწინააღმდეგოც, გარანტიის გამცემმა უნდა დაამტკიცოს.⁵⁰⁷

შეთანხმება ნივთის უნაკლოების, მისი ვარგისიანობის ვადაზე, არის გარანტიის ერთ-ერთი სახე.⁵⁰⁸ იგი ნივთის ვარგისიანობის ვადას აწესებს და წარმოშობს დამატებით მოთხოვნებს, კანონით განსაზღვრული უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულების პარალელურად.⁵⁰⁹

ასეთია მაგალითად, სსკ-ის 496-ე მუხლი – თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას. გამყიდველი, ჩვეულებრივ, პასუხს აგებს მყიდველის მიმართ ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევებში, რაც ასახულია სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 491-ე, 492-ე მუხლებში. ამ მოთხოვნების რეალიზების შესაძლებლობა სსკ-ის 130-ე მუხლის შესაბამისად, მყიდველს აქვს მოთხოვნების წარმოშობიდან – ანუ ნაკლის აღმოჩენიდან 3 წლიან სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადებში. აღნიშნულის პარალელურად, გამყიდველმა შესაძლოა განსაზღვროს ნივთის გადაცემისას, მისი ვარგისიანობის ვადა და ამით, მისი ვალდებულება უნაკლო ნივთის გადაცემის შესახებ, განსაზღვრული დროით ხდება შემოფარგლული და ეს აისახება მისი პასუხისმგებლობის თავისებურებაზეც.⁵¹⁰

⁵⁰⁶ RegBegr BT-Drucks 14/6040, 239; *Grützner/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen (NJW 2007, 3610), 3612.

⁵⁰⁷ MüKomm BGB, *Westermann* § 443 Rn. 23.

⁵⁰⁸ *ჩაჩავა სოფიო*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 496, ველი 1.

⁵⁰⁹ MüKomm BGB, *Westermann*, § 443, Rn. 1.

⁵¹⁰ იქვე.

ანალოგიურად, შემკვეთს მენარდის მიმართ ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში, აქვს სსკ-ის 642, 643, 644, 645-ე მუხლებით განსაზღვრული მეორადი მოთხოვნები, რაც მოიცავს 1) დამატებით შესრულებას, 2) ნაკლის პირადად აღმოფხვრასა და გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, 3) ნაკლის გამო ხელშეკრულებაზე უარის თქმას, 4) საზღაურის შემცირებას.

სსკ-ის 653-ე მუხლის მიხედვით, თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „შესაბამის უფლებებში“ კანონმდებელი სწორედ 642-645-ე მუხლებით განსაზღვრულ უფლებებს გულისხმობს.⁵¹¹

ამგვარად, მხარეთა მიერ ნივთის ვარგისიანობის ვადის განსაზღვრა სსკ-ის 496-ე და 653-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევაში, არ იწვევს მოვალის მხრიდან რაიმე ახალი ვალდებულების წარმოშობას, არამედ ავრცობს კრედიტორის უკვე არსებულ მოთხოვნებს და ქმნის დამატებით შემთხვევათა წრეს, როცა ამ მოთხოვნების დაყენება ხდება შესაძლებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია დასახელებული ნორმებით მოვალეზე დაკისრებული პასუხისმგებლობათა ფარგლები და იგი შესაბამისობაშია გერმანულ დოქტრინასთან.⁵¹² კერძოდ, საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში ნივთის ნაკლის დაფიქსირების შემთხვევაში, არსებობს გამყიდველის ბრალეულობის და გაყიდული ნივთის ნაკლის არსებობის პრეზუმფცია, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი კი, ეკისრება გამყიდველს.⁵¹³

⁵¹¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სუსგ-ში №ას-1118-1065-2013, 02/06/2014.

⁵¹² შეად. RegBegr BT-Drucks, 14/6040, 237-238, MüKomm BGB, *Westermann*, § 443 Rn. 23.

⁵¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსჯელობა საქმეზე № ას-1020-963-2015, 25/11/2015; თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა საქმეში №ას-708-674-2015, 28/09/2015.

გარანტიის სხვა სახეები, მაგალითად, როგორცაა ნივთის თვისობრიობის გარანტია, სამოქალაქო კოდექსით არ არის მოწესრიგებული, თუმცა სახელმეკრულებო თავისუფლების პირობებში, მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად შეათანხმონ ამგვარი ან სხვა ტიპის გარანტიები.

8.3. ვარგისიანობის გარანტიის ზეგავლენა ხანდაზმულობის ვადაზე

ვარგისიანობის გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნა, როგორც ნებისმიერი მოთხოვნა, სსკ-ის 128-ე მუხლიდან გამომდინარე, ექვემდებარება ხანდაზმულობას. აღნიშნულის პარალელურად, თავად ვარგისიანობის გარანტიის შინაარსი, გულისხმობს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნივთის თვისობრიობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, უნდა გაიმიჯნოს თავად გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი გამოთვლა, და ვარგისიანობის თაობაზე გარანტიის ვადის დენის დასაწყისი და მისი გამოთვლის წესები. ასევე, როგორია გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნების და მეორადი მოთხოვნების მიმართ მოქმედი ხანდაზმულობის ვადების ურთიერთმიმართება.

ვარგისიანობის გარანტიით, შესაძლებელია გამყიდველმა, ნივთის თვისობრიობის თაობაზე, გასცეს საკმაოდ ხანგრძლივი გარანტია, რომელიც აღემატება ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორც მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის, ასევე, სსკ-ით დადგენილ საერთო, ხანდაზმულობის ათწლიან ვადას. ამ პრობლემატიკის წარმოსაჩენად, საინტერესოა გერმანიის ფედერაციული სასამართლოს ორი გადაწყვეტილების ანალიზი.

პირველ საქმეზე, 1994 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლო მსჯელობდა მეწარმის მიერ კონკურენციის სამართლით განსაზღვრული წესების დარღვევაზე, სასამართლომ მიუთითა, რომ რეკლამა უვადო გარანტიის ვადაზე არის შეცდომაში შემყვანი, რადგან ამგვარი ვალდებულება ეწინააღმდეგება აკრძალვას,

ხელშეკრულებით ხანდაზმულობის ვადის გამორიცხვის თაობაზე და შესაბამისად, ვერ იქნება ნამდვილი.⁵¹⁴ საქმე ეხებოდა მწარმოებელს, რომელიც ამზადებდა ტელესკოპებს და ყიდიდა მათ.⁵¹⁵ ფურცელზე, რომელიც შეიცავდა ტელესკოპის აღწერილობას, მითითებული იყო, რომ „*თქვენ მიერ შეძენილ ტელესკოპზე, ვიძლევიტ გარანტიას, ყოველგვარი დროის შეზღუდვის გარეშე, სრულ ფუნქციონირების უნარზე. აღნიშნულის წინაპირობაა დანიშნულებისამებრ გამოყენება. ნივთის ხელყოფის შემთხვევაში, გარანტია არ მოქმედებს...*“⁵¹⁶

ამ პერიოდში მოქმედი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 225.1 პარაგრაფით, ხანდაზმულობის გამორიცხვა ხელშეკრულებით დაუშვებელი იყო.⁵¹⁷ ასევე, კანონით დადგენილი გამონაკლისის გარდა, არც მისი დამძიმება, შესაბამისად, გაგრძელება დაიშვებოდა.⁵¹⁸ სასამართლომ ჩათვალა, რომ გარანტიის შინაარსი გსკ-ს ნორმებთან შეუსაბამოა.⁵¹⁹ სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, გარანტიის ტექსტი პირდაპირ არ არის ხანდაზმულობის ვადის გამორიცხვის ან გართულებისკენ მიმართული, თუმცა ვინაიდან გარანტია ყოველგვარი დროის შეზღუდვის გარეშე უნდა მოქმედებდეს, უნდა ჩაითვალოს, რომ ამით ხანდაზმულობა გამოირიცხება, რადგან სხვაგვარად, მყიდველი ვერ შეძლებდა გარანტიის საფუძველზე წარომშობილი მოთხოვნის რეალიზებას ნებისმიერ დროს.⁵²⁰ სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი დათქმა ეწინააღმდეგება კანონს, და ხანდაზმულობის გაგრძელებაც კი, დასაშვებია მხოლოდ ხანდაზმულობის საერთო – 30 წლიან ვადამდე.⁵²¹ გარანტია კი ამ ვადასაც აჭარბებდა.⁵²²

⁵¹⁴ BGH I ZR 91/92, 09.06.1994.

⁵¹⁵ იქვე.

⁵¹⁶ იქვე.

⁵¹⁷ იქვე.

⁵¹⁸ იქვე.

⁵¹⁹ იქვე.

⁵²⁰ BGH I ZR 91/92, 09.06.1994.

⁵²¹ იქვე.

⁵²² იქვე.

მეორე დავაც, რომელზეც გადაწყვეტილება 2008 წელს მიიღო სასამართლომ, ეხებოდა კონკურენციის სამართალს, სადაც მწარმოებელი მყიდველს სთავაზობდა ალუმინის სახურავის გამძლეობის 40 წლიან გარანტიას.⁵²³ მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ასეთი გარანტია ეწინააღმდეგება მოთხოვნის ხანდაზმულობის ნორმებს, რადგან მყიდველს შეუძლია მხოლოდ მაქსიმუმ 30 წლიან ვადაში მოთხოვოს ნაკლის გამოწორება გამყიდველს.⁵²⁴ ამიტომ ეს რეკლამა შეცდომაში შემყვანი, ხოლო დათქმა ბათილი იყო.⁵²⁵ მოსარჩელე ასევე მიუთითებდა ფედერაციული უზენაესი სასამართლოს 1994 წლის ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებაზე და აპელირებდა, რომ ეს ორი საქმე იდენტური იყო.⁵²⁶

გერმანიის ფედერაციულმა უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ გარანტიის ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იყო ნივთის ხარისხის 40 წლიანი გარანტია, არ ექვემდებარებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 202 II მუხლით განსაზღვრულ, ხანდაზმულობის მაქსიმალურ ვადას.⁵²⁷

სასამართლოს განმარტებით, ასეთი გარანტია თავისი შინაარსით, გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობაა.⁵²⁸ მოთხოვნის ხანდაზმულობა კი ვრცელდება მოთხოვნებზე და არა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე.⁵²⁹ შესაბამისად, მისი შეთანხმება არ იყო ხანდაზმულობის ინსტიტუტის მიერ რეგულირების საკითხი და არ იწვევდა მოთხოვნის ხანდაზმულობის მოდიფიცირებას და ამით, არ არღვევდა 202-ე პარაგრაფს.⁵³⁰

⁵²³ BGH I ZR 221/05, 26.06.2008.

⁵²⁴ იქვე.

⁵²⁵ იქვე.

⁵²⁶ იქვე.

⁵²⁷ იქვე.

⁵²⁸ იქვე.

⁵²⁹ იქვე.

⁵³⁰ *Grothe, Helmut*, Anmerkung Zur Zulässigkeit von Verjährungsvereinbarungen, insbesondere 40 Jahre Garantie, LMK 2008, 269-604.

სასამართლომ განსახილველი შემთხვევა გამიჯნა 1994 წელს განხილული დავისგან და მიუთითა, რომ იგი ამ საქმესთან კავშირში არაა და სხვაგვარი ფაქტობრივი გარემოებებია სახეზე, შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება პირველს.⁵³¹ 1994 წლის დავაში, უვადოდ გაცემული გარანტია და ნასყიდობით განსაზღვრული ვალდებულებებიდან წარმოშობილი მოთხოვნები გაგრძელდა, რაც მყიდველს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მას ნებისმიერ დროს შეეძლო მოთხოვნა დაეყენებინა, ხანდაზმულობის ვადის გაუთვალისწინებლად, ეს კი ეწინააღმდეგებოდა არსებულ კანონმდებლობას და ამგვარი დათქმა ნამდვილი არ იყო.⁵³² ხოლო განსახილველ შემთხვევაში მოხდა არა ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება ნასყიდობიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, არამედ დამოუკიდებელი გარანტიის აღება და ხანდაზმულობა ამ გარანტიიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე ჩვეულებრივ ვრცელდება.⁵³³

მეორე, სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი გარანტიის ხელშეკრულება შესაბამისობაშია კონკურენციის სამართალში დადგენილ პრაქტიკასთან, რომელიც არ მიიჩნევს კონკურენციის დარღვევად ნივთის თუ ნაკეთობის გამძლეობის მრავალწლიან გარანტიას, თუ ამ ნივთისგან მოსალოდნელია ამგვარი ხანგრძლივი გამძლეობა და შემკვეთისთვის ეს გარანტია პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია.⁵³⁴ ასეთი გამძლეობა მოსალოდნელია სახლის სახურავისგან და მყიდველისთვის, რელევანტურია.⁵³⁵

გასაზიარებელია გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლოს უკვე შემდგომ გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტება, ხარისხის გარანტია, არ იზღუდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 202 II პარაგრაფით დადგენილი

⁵³¹ BGH I ZR 221/05, 26.06.2008.

⁵³² იქვე.

⁵³³ *Grothe, Helmut*, Anmerkung Zur Zulässigkeit von Verjährungsvereinbarungen, insbesondere 40 Jahre Garantie, LMK 2008, 269-604.

⁵³⁴ BGH I ZR 221/05, 26.06.2008.

⁵³⁵ *Grothe, Helmut*, Anmerkung Zur Zulässigkeit von Verjährungsvereinbarungen, insbesondere 40 Jahre Garantie, LMK 2008, 269-604.

დანაწესით.⁵³⁶ ხანდაზმულობა ვრცელდება თავად გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებზე, რომელიც მართალია შეიძლება მხარეთა მიერ გართულდეს ან შეიცვალოს, მაგრამ მხოლოდ კანონით დადგენილი მაქსიმალური ხანდაზმულობის ფარგლებში.⁵³⁷

1994 წელს მიღებული გადაწყვეტილება მწირ დასაბუთებას შეიცავს და არ მიჯნავს ერთმანეთისგან მოთხოვნის ხანდაზმულობასა და საგარანტიო ვადებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ უვადო გარანტიის პრობლემა ისაა, რომ იგი ეწინააღმდეგება ხანდაზმულობის ვადების დამძიმების აკრძალვას და აჭარბებს ხანდაზმულობის მაქსიმალურ, 30 წლიან ვადას. სასამართლო არ მსჯელობს, გარანტიაზე, როგორც დამოუკიდებელ გარიგებაზე, რომელიც გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოადგენს. ამ ნაკლოვანების მიუხედავად, სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოდ, გაბატონებული მოსაზრებით, მიჩნეულია, რომ სწორია.⁵³⁸

გერმანული პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, მოთხოვნის ხანდაზმულობის გამორიცხვის ან მოდიფიცირების დაკავშირება ვარგისიანობის გარანტიის ვადასთან, არასწორია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვარგისიანობის გარანტია ამავდროულად, შეიცავს მოთხოვნის ხანდაზმულობის გამორიცხვის დათქმას.

ქართულ სამართალშიც, ზემოთ აღწერილი შემთხვევების გათვალისწინებით, ვარგისიანობის გარანტიის მეშვეობით, შესაძლებელია არაპირდაპირი გზით, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე გავლენის მოხდენა. მაგალითად, სსკ-ის 128.3 მუხლი ადგენს ხანდაზმულობის საერთო ვადას – 10 წელს. მაგალითად, თუ გარანტია გაცემულია 15 წლის ვადით და ნაკლი აღმოჩენილია მე-15 წელს, ნასყიდობიდან გამომდინარე მეორადი

⁵³⁶ MüKomm BGB, 6. Auflage 2012, Grothe §202 Rn 16.

⁵³⁷ იქვე.

⁵³⁸ Grothe, Helmut, Anmerkung Zur Zulässigkeit von Verjährungsvereinbarungen, insbesondere 40 Jahre Garantie, LMK 2008, 269-604.

მოთხოვნები ხანდაზმულია, რადგან ხანდაზმულობის საერთო, ათწლიანი ვადა გასულია.⁵³⁹ თუმცა, გარანტიის გრძელვადიანი ურთიერთობა ხანდაზმულობას არ ექვემდებარება და ამ ურთიერთობიდან, თუნდაც ვადის უკანასკნელ დღეს წარმოშობილი მოთხოვნა, არ არის ხანდაზმული. ხანდაზმულობის ვადა აითვლება სწორედ საგარანტიო შემთხვევის დადგომის მომენტიდან.

აღნიშნული შედეგი, არ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც კანონმდებლის ნების უგულვებელყოფით, მოთხოვნის ხანდაზმულობის გვერდის ავლა, რადგან ერთი მხრივ, კანონი უშვებს საგარანტიო შეთანხმებებს, ხოლო მეორე მხრივ, მხარეები თავისუფალი არიან დადონ ნებისმიერი შინაარსის, სამოქალაქო კოდექსით მოუწესრიგებელი ხელშეკრულებები.

8.4. ვარგისიანობის ვადის დენის დასაწყისი და ხანდაზმულობის გამოსაყენებელი ვადა

გერმანულ სამართალში, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორად მოთხოვნებზე ვრცელდება გსკ-ის 438-ე მუხლით დადგენილი სპეციალური ხანდაზმულობის ვადები.⁵⁴⁰ ამასთან, სადავოა, როდის იწყება ვარგისიანობის გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა.⁵⁴¹ გაბატონებული მოსაზრებისა და სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ვარგისიანობის გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნების მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის ზოგადი, გსკ-ის 195-199-ე მუხლით განსაზღვრული ვადები.⁵⁴² აღნიშნული დასაბუთებულია იმით, გსკ-ის 438-ე მუხლი მხოლოდ გსკ-ით მოწესრიგებულ მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას განსაზღვრავს,

⁵³⁹ შეად, მაგალითად: საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სუსგ №ას-634-600-2015, 30/09/2015, 10 წლიანი საერთო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მოთხოვნა ხანდაზმულია იმის მიუხედავად, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

⁵⁴⁰ *Grütznier/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen NJW 2007, 3610, 3613.

⁵⁴¹ RegBegr BT-Drucks, 14/6040, 237

⁵⁴² *Grütznier/Schmidl*, Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen NJW 2007, 3610, 3614.

ხოლო ვარგისიანობის გარანტია, რომელიც გსკ-ის 443-ე მუხლით არის მოწესრიგებული, მეორადი მოთხოვნებისგან განცალკევებით წარმოშობს მოთხოვნას და მისი სისტემური განლაგებიდან გამომდინარე, მასზე არ ვრცელდება გსკ-ს 438-ე პარაგრაფით დადგენილი ვადები.⁵⁴³ შესაბამისად, ხანდაზმულობა დენას იწყებს მას შემდეგ, რაც გარანტიის ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნა წარმოიშობა, რაც სახეზეა, როცა გარანტიით განსაზღვრული შემთხვევა დადება და ამის შესახებ კრედიტორი შეიტყობს, ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე, უნდა შეეცყო.⁵⁴⁴

გსკ-ის 438-ე მუხლის მოწესრიგებისაგან თავის არიდების მიზეზი სავარაუდოდ ისაა, რომ იგი ხანდაზმულობის ვადის დენას ობიექტურ ფაქტორებს უკავშირებს და დენას იწყებს ნივთის გადაცემის მომენტიდან, მაშინ, როცა 2002 წლის რეფორმის შედეგად, გერმანიაში ხანდაზმულობის ვადის დენის სუბიექტურ ელემენტებს, როგორცაა მოთხოვნის არსებობის თაობაზე კრედიტორის ცოდნა, უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისი ცვლილებები გამოიწვია.⁵⁴⁵

ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით არ არის დაწესებული ნივთის ვარგისიანობის თაობაზე პრეტენზიის წარდგენის ვადები და ის მხარეთა შეთანხმების საგანია.⁵⁴⁶ რაც შეეხება საგარანტიო ვადის დენის დაწყების მომენტს, ის განსაზღვრულია სხვადასხვა ნორმებით. მაგალითად, ნარდობის მომწესრიგებელი სსკ-ის 649-ე მუხლი განსაზღვრავს საგარანტიო ვადის ათვლის დაწყების მომენტს და იგი უკავშირდება შემკვეთის მიერ სამუშაოს მიღებას. შესაბამისად, ვადა აითვლება სწორედ ამ მომენტიდან.⁵⁴⁷

⁵⁴³ იქვე, გაბატონებული მოსაზრება იხ.: MüKomm BGB, *Westermann*, § 438 Rn 6, § 443 Rn. 22.

⁵⁴⁴ MüKomm BGB, *Westermann*, § 443 Rn. 22.

⁵⁴⁵ შეად. გსკ 195-ე და 199-ე პარაგრაფები, იხ. ასევე: MüKomm BGB, 6. Auflage 2012, *Grothe* § 199 Rn. 1, MüKomm BGB, *Westermann*, § 438 Rn. 6.

⁵⁴⁶ შეად. საქართველოს უზენესი სასამართლოს განმარტება, №ას-708-674-2015, 28/09/2015.

⁵⁴⁷ შეად. სუსგ № ას-626-587-2010 27/09/2010.

ნასყიდობის სამართალში, სსკ არ ავალდებულებს მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე ნასყიდობის საგნის დაუყოვნებლივ შემოწმებას.⁵⁴⁸ გამონაკლისია სსკ-ის 495-ე მუხლი, რომლის თანახმად, მყიდველი-მეწარმე ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის რისკავს ნაკლის გამო მოთხოვნის უფლების დაკარგვას. ამდენად, მეორადი მოთხოვნები წარმოიშობა იმ მომენტში, როცა მყიდველმა შეიტყო ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო, არ იცოდა მოთხოვნის არსებობა და ასეთი მოთხოვნების ხანდაზმულობა სსკ-ის 129.1 მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, შეადგენს 3 წელს.

განსხვავებით ნასყიდობისგან, ნარდობისას, ნაკლის გამო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იწყება სამუშაოს მიღების დღიდან და შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა უკავშირდება ობიექტურ და არა სუბიექტურ ფაქტორს.

ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს გამოყენებული ნასყიდობის შემთხვევაში და საგარანტიო ვადამ დენა ნივთის გადაცემის მომენტიდან უნდა დაიწყოს. მხარეთა შეთანხმების საგანია, თუ რა ვადით შემოსაზღვრავენ ნივთის ვარგისიანობას და ეს საგარანტიო ვადა, შეიძლება აღემატებოდეს, ან ნაკლები იყოს მეორადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადებზე.

სსკ-ს 496-ე მუხლით მოწესრიგებული ვარგისიანობის გარანტიის განმარტებიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა, ნაკლი აღმოჩნდეს საგარანტიო ვადის განმავლობაში. აუცილებელი არ არის, ამავე საგარანტიო ვადაში დააყენოს მოთხოვნა გარანტიის მიმღებმა ან განაცხადოს მის შესახებ.⁵⁴⁹ ვარგისიანობის გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნა ექვემდებარება მოთხოვნის სამწლიან ხანდაზმულობის ვადას სსკ-ის 129.1 მუხლის შესაბამისად.⁵⁵⁰

⁵⁴⁸ სუსგ № ას-708-674-2015, 28/09/2015.

⁵⁴⁹ ჩაჩავა სოფიო, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 496, ველი 9.

⁵⁵⁰ იქვე, ველი 4.

იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა განსაზღვრა ნივთის ვარგისიანობის 5 წლიანი გარანტია, ამ ვადაში, თუნდაც მეხუთე წელს აღმოჩენილი ნაკლი, თუ ის ნივთის გადაცემის მომენტში უკვე არსებობდა, პარალელურად წარმოშობს მყიდველის როგორც კანონისმიერ მეორად მოთხოვნებს, ასევე, გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნებს.⁵⁵¹ მეორადი მოთხოვნები არ არის ხანდაზმული, რადგან ხანდაზმულობის ვადა აითვლება ნაკლის აღმოჩენის მომენტიდან, თუმცა კანონისმიერი მეორადი მოთხოვნების განხორციელება შესაძლოა გამწვანდეს, რადგან გარემოება, რომ ნივთს ნაკლი გადაცემის მომენტში ჰქონდა, მყიდველმა უნდა ამტკიცოს.⁵⁵² შესაბამისად, უპირატესად გამოსაყენებელია გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნა, რომელიც გამყიდველისთვის უფრო მსუბუქი მტკიცების საგანია⁵⁵³ და მისი წარმოშობის მომენტიდან, ასევე სამწლიან ხანდაზმულობას ექვემდებარება.

თუ გაზიარებული იქნება პოზიცია, რომ ვარგისიანობის გარანტია ანაცვლებს მეორად მოთხოვნებს, გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ აღმოჩენილ ნაკლზე, მყიდველი დაკარგავს მეორადი მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობასაც. გარანტიის მიზანი მყიდველის ინტერესების დაცვა და მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაა და ამდენად, მოვალის უარეს მდგომარეობაში ჩაყენება, ამ ინსტიტუტის მეშვეობით, გაუმართლებელია.⁵⁵⁴

⁵⁵¹ მეორადი მოთხოვნებისა და საგარანტიო შეთანხმებიდან გამომდინარე მოთხოვნების პარალელურად არსებობის იდეა გაზიარებულია გერმანიაში, შეად.: MüKomm BGB, Westermann, § 443 Rn. 10, Rn 22.

⁵⁵² ჩაჩავა სოფიო, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 496, ველი 11.

⁵⁵³ შეად: სუსგ №ას-708-674-2015, 28/09/2015, ასევე, ჩაჩავა სოფიო, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 496, ველი 5.

⁵⁵⁴ გასაზიარებელია გერმანიაში გაბატონებული შეხედულება: შეად: MüKomm BGB, Westermann, § 443 Rn. 22; ქართული დოქტრინისთვის შეად. ჩაჩავა სოფიო, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ. 496, ველი 11.

ვარგისიანობის გარანტიის მეშვეობით, მეორადი მოთხოვნების პარალელური მოთხოვნის წარმოშობით, პრაქტიკაში შესაძლებელია იმ უფლებების რეალიზაცია, რომლებიც ამ გარანტიის არ არსებობის შემთხვევაში, ხანდაზმული იქნებოდა. სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, ვარგისიანობის გარანტია ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ირიბად ხანდაზმულობის ვადებზე ზემოქმედება მათი გახანგრძლივებით.

9. ვადები მოთხოვნათა და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას

რამდენიმე მოთხოვნის არსებობისას, პირმა შესაძლოა არჩევანი კონკრეტულ მოთხოვნაზე, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიმართ არსებული უფრო ხანგრძლივი ხანდაზმულობის ვადიდან გამომდინარე შეაჩეროს. ამავდროულად, მოთხოვნის ხანდაზმულობისა და შეცილების ვადებმა შესაძლოა ამა თუ იმ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების გამომრიცხავ თუ ალტერნატიულ კონკურენციაზე დისკუსიაში, მნიშვნელოვნად განაპირობოს იმ საკითხის გადაწყვეტა, მოთხოვნის სხვადასხვა საფუძვლები გამოიყენება კუმულატიურად, არიან ისინი გამომრიცხავ თუ ალტერნატიულ კონკურენციაში.

შესაბამისად, ერთსა და იმავე ურთიერთობის ფარგლებში შესაძლოა წარმოიშვას რამდენიმე მოთხოვნა ხანდაზმულობის სრულიად განსხვავებული, დამოუკიდებელი ვადებით.⁵⁵⁵ ან, ერთი და იმავე ფაქტობრივი შემადგენლობის საფუძველზე პირს შესაძლოა ჰქონდეს მოთხოვნა რამდენიმე სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით. ასეთ შემთხვევაში, ვადების გათვალისწინებით, შეიძლება ეს მოთხოვნა ერთი სამართლებრივი საფუძველით განხორციელებადი იყოს, მეორეთი კი – არა.⁵⁵⁶ შესაძლოა მოთხოვნის ის საფუძველი, რომლის ხანდაზმულობის ვადა უფრო

⁵⁵⁵ სუსგ №ას-796-2019, 04/07/2019, პუნქტი 18.

⁵⁵⁶ იქვე.

ხანგრძლივია, განიდევენოს უფრო მოკლე ხანდაზმულობის ვადის მქონე საფუძვლით, კანონმდებლის ნების განმარტების გზით, ან პირიქით, ხანგრძლივმა ვადამ შთანთქას უფრო მოკლე ვადა. ასევე შესაძლებელია, მიუხედავად განსხვავებული ხანდაზმულობის ვადებისა, გამოყენებულ იქნას კონკურენტული ნორმები პარალელურად.

საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი მოცემული საკითხის გარშემო გაკეთებული განმარტებებით. თუმცა, უზენაესი სასამართლო უკანასკნელ პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებში შეეხო უფლების რეალიზების სპეციალური ვადებიდან გამომდინარე ნორმათა კონკურენციის წესებს. ასეთია მაგალითად საქმე, სადაც უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაკლიანი შესრულების გამო საზღაურის შემცირების შესახებ, უსაფუძვლო გამდიდრების წესების საფუძველზე, განხორციელებადი ვერ იქნება, რადგან გასულია ნარდობის ურთიერთობიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის სპეციალური ერთწლიანი ვადა.⁵⁵⁷ ხოლო უსაფუძვლო გამდიდრების წესებით იმავე მოთხოვნის დაყენება, წინააღმდეგობაში იქნებოდა სპეციალური ვადის მოწესრიგების მიზანთან.⁵⁵⁸

9.1. სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის ვადები

მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის ერთ-ერთი გავრცელებული და განხილვადი შემთხვევაა კონკურენცია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასა და დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას შორის. ასეთ შემთხვევაში, გერმანულ სამართალში⁵⁵⁹ მოთხოვნის დამფუძნებელი

⁵⁵⁷ იქვე.

⁵⁵⁸ იქვე.

⁵⁵⁹ იხ. მათ შორის, პრაქტიკის დამდგენი ერთ-ერთი გადაწყვეტილება: BGH (VIII ZR 10/74) 24.05.1976, შეად. ასევე *კროკჰოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014 §823, ველები 1 და 30; *ჰაგენლოხ ულრიხ*, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის

ნორმები დამოუკიდებლად არსებობენ დამოუკიდებელი ხანდაზმულობის ვადებით, გარკვეული გამონაკლისებით.

მაგალითად, ნასყიდობიდან გამომდინარე ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები და დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნები პარალელურად არსებობს. ნაკლის გამო ნასყიდობიდან გამომდინარე ხანდაზმულობის სპეციალური ვადის მიუხედავად, დელიქტური მოთხოვნების მიმართ მაინც ხანდაზმულობის ზოგადი ნორმები §§ 195, 199 მოქმედებს, გამონაკლისების გათვალისწინებით.⁵⁶⁰ თუმცა იმის გამო, რომ §823-ით დაცულია მხოლოდ აბსოლუტური უფლებები, ნაკლიანი ნივთის გადაცემის საფუძველით § 823 I გამოყენებით ვერ მოხდება ნაკლით გამოწვეული ზიანის კომპენსირება ფასის შემცირებით.⁵⁶¹ გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, დელიქტური მოთხოვნის საფუძველზე მოთხოვნილ იქნეს ნაკლით გამოწვეული ნასყიდობის ნივთის შემდგომი გაუარესებით დამდგარი ეგრეთწოდებული ჯაჭვური ზიანი ან მყიდველის სხვა

ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019 45 და შემდგომი; *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 79.

⁵⁶⁰ *კროკპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014, § 438, ველი 16, ასევე იხ. § 823 ველი 6.

⁵⁶¹ *ჰაგენლოხ ულრიხ*, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძველის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019 43: „*სახელშეკრულებო ზიანი იცავს ეკვივალენტობის ინტერესს, რომ ხელშეკრულების მხარე მიიღებს ვალდებულებით გათვალისწინებულ საპირისპირო შესრულებას, მაშასადამე ნივთობრივი და სამართლებრივი ნაკლისგან თავისუფალ შესრულებას. დელიქტური სამართალი უზრუნველყოფს არსებული აქტივების შენარჩუნებას; როდესაც შესრულების საგანი ნაკლოვანი იყო უკვე საფრთხის გადასვლის დროს, მაშასადამე, არ ყოფილა სახეზე ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება. აქედან გამომდინარე, არ არის სახეზე - არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამაუარესებელი - ჩარევა უფლების სფეროში და შედეგად არც დელიქტური სამართლის მიერ დაცული ნივთის თვითმყოფადობის შენარჩუნების ინტერესის დარღვევა ხდება.*“

სამართლებრივ სიკეთეზე მიყენებული ზიანი.⁵⁶² ამდენად, ამ მოთხოვნების თანაარსებობა გაბატონებული მოსაზრებით არ არის პრობლემატური.⁵⁶³

სახელშეკრულებო და დელიქტის დამფუძნებელი ნორმების კონკურენციის საკითხზე მსჯელობისას, გასათვალისწინებელია მოცემულ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისის განსხვავებული წესები. სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების ვადა სსკ-ის 128, 130-ე მუხლების საფუძველზე, სამი წელია იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო მოთხოვნის წარმოშობის შესახებ.⁵⁶⁴ ხოლო დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სსკ-ის 1008-ე მუხლის თანახმად, მთლიანად სუბიექტურ ელემენტს უკავშირდება და აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ზიანის და მისი მიმყენებელი პირის თაობაზე.

ამდენად ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის არსებობის მიუხედავად, ხანდაზმულობის ვადის ათვლის განსხვავებული მოდელი, დელიქტური მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა მაშინაც, როცა სახელშეკრულებო ზიანის მოთხოვნა უკვე ხანდაზმულია.⁵⁶⁵ შესაბამისად, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ დელიქტურ და სახელშეკრულებო მოთხოვნას შორის ალტერნატიული კონკურენციის უპირობო აღიარება, სპეციალური ნორმებით კანონმდებლის მიერ დასახული მიზნების მიღწევას

⁵⁶² *კროპკოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014 § 438, ველი 16, ასევე ჰაგენლოხ ულრიხ, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019 42 და შემდგომი.

⁵⁶³ იქვე, ასევე შეად. *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 115 და შემდგომი.

⁵⁶⁴ ვადის დენის დასაწყისთან დაკავშირებით დეტალურად *კვანტალიანი, ნუნუ* სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 24 დეკემბერი, 2017, მუხ.130, ველი 5 და შემდგომი.

⁵⁶⁵ შეად. ასევე *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 158.

დააბრკოლებს.⁵⁶⁶ სახელშეკრულებო მოთხოვნა დელიქტურ მოთხოვნასთან მიმართებით გამომრიცხავ⁵⁶⁷ კონკურენციაში უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული კონკურენციის დაშვება ეწინააღმდეგება სპეციალური ნორმის მიზანს, მხარეთა შორის შეთანხმებას, ან ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების 130-ე მუხლით განსაზღვრული მოწესრიგების მიზანს.

როგორც აღინიშნა, გერმანულ სამართალში სახელშეკრულებო და დელიქტურ ზიანს შორის ალტერნატიული კონკურენციიდან დადგენილია გამონაკლისები.⁵⁶⁸ ასეთი გამონაკლისები გამომდინარეობს ორი ძირითადი საფუძვლიდან. ესენია, ბრალის შემსუბუქება სახელშეკრულებო დათქმით ან კანონის საფუძველზე, ან ხანდაზმულობის მოკლე სახელშეკრულებო ვადა.⁵⁶⁹ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როგორც

⁵⁶⁶ *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 159.

⁵⁶⁷ მოსაზრება სახელშეკრულებო მოთხოვნის უპირატესობაზე, შეად. *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 78.

⁵⁶⁸ იხ. მოსაზრება, რომ დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნები პარალელურად შესაძლოა არსებობდნენ, ჰაგენლოხ ულრიხ, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019 38. ასევე *კროკოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014, §823, ველები 1, 30; *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 79.

⁵⁶⁹ იხ. *კროკოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014, §823, ველი 30; ქართულ სამართალში, ბრალის შემსუბუქების მაგალითებად შეიძლება დასახელდეს დავალების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რწმუნებულის პასუხისმგებლობა მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის (სსკ 719-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში, რწმუნებულის პასუხისმგებლობის შემცირება არ უნდა იქნას უგულვებელიყოფილი დელიქტური ნორმებით, რომელთა მიხედვითაც, სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის ყოველთვის საკმარისია მარტივი გაუფრთხილებლობაც. იგივე ითქმის ჩუქებისას ზიანის ანაზღაურების მხოლოდ განზრახ ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევით შეზღუდვაზე (სსკ-ის 527).

წესი, დელიქტური მოთხოვნის მიმართაც, სახელშეკრულებო ხანდაზმულობის მოკლე ვადა გამოიყენება.⁵⁷⁰

ზიანის სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძვლების გამომრიცხავი კონკურენციის მაგალითი ხანდაზმულობის ვადების განსხვავებულობის საფუძვლით, გერმანულ სამართალში არის გსკ § 548 II. მოცემული ნორმა აწესრიგებს გამქირავებლის მიერ ზიანის ანაზღაურებას ქირავნობის საგნის გაუარესების ან შეცვლის გამო, ქირავნობის საგნის დაბრუნებიდან 6 თვის ვადაში. გერმანული სამართლის თანახმად, ამ ნორმის მიზანი მხარეთა შორის ურთიერთობის სწრაფად გარკვევაა და ამდენად, ამ მუხლში მოცემული სპეციალური ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება კონკურირებადი მოთხოვნების მიმართაც, რომელშიც იგულისხმება დელიქტიც (გსკ § 823).⁵⁷¹ სხვა შემთხვევაში, მოკლე ხანდაზმულობის ვადას აზრი დაეკარგებოდა.⁵⁷² ამავდროულად, მოცემული გამომრიცხავი კონკურენცია შეზღუდულია კონკრეტული მოთხოვნით და § 536a-ს პირველი ნაწილის მიხედვით, დამქირავებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისთვის არ მოქმედებს § 548-ის მე-2 ნაწილი და აქ გამოიყენება ხანდაზმულობის ზოგადი ნორმები: § 195, 199 და ამდენად, არც დელიქტური მოთხოვნაა გამორიცხული.⁵⁷³

ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში ძირითადად გაზიარებულია გერმანული მიდგომა, რომ სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძვლები არ არიან აბსოლუტურად

⁵⁷⁰ *ჰაგენლოხ ულრიხ*, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019, 47, მაგ. ნარდობა, თუმცა, მისგან განსხვავებით, პარალელურად მოქმედებს, გადაზიდვიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა და დელიქტური ზიანი, მიჩნეულია რა, რომ განსხვავებულია ნორმათა შემადგენლობის წინაპირობები და მიზნები.

⁵⁷¹ პრაქტიკის დამდგენი გადაწყვეტილება: BGH (VIII ZR 10/74) 24.05.1976; შეად. ასევე: *ციპელიუსი, რაინჰარდ*, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, beck-ის გამომცემლობა, მიუნხენი 2006, 46.

⁵⁷² *კროპჰოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014, § 548, ველი 1-2.

⁵⁷³ იქვე.

გამომრიცხავ კონკურენციაში, თუმცა ხშირ შემთხვევაში, დელიქტური საფუძველი სახელშეკრულებო მოწესრიგების სპეციალური მიზნის გათვალისწინებით უნდა განიდევენოს.⁵⁷⁴ ამავდროულად, გასათვალისწინებელია დიდი პალატის განმარტება, რომ როცა ერთი და იგივე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი, პირველ რიგში უნდა შემოწმდეს მოთხოვნის სახელშეკრულებო საფუძველი.⁵⁷⁵ თუმცა საფუძველთა შემოწმების თანმიმდევრობა არ გამორიცხავს სახელშეკრულებო და დელიქტური საფუძველების პარალელურად არსებობის შესაძლებლობას, მოთხოვნის საფუძველთა შემოწმების რიგითობა სამართლებრივი ტექნიკის ნაწილად უნდა განიხილებოდეს და არა კონკურენციის საკითხის გადაჭრის უპირობო გზად.

ქართულ სამართალთან პარალელის გავლებისას, გერმანული მიდგომაა გასაზიარებელი ქირავნობის სსკ-ის 573-ე და სსკ-ის 992-ე მუხლებს შორის კონკურენციისას, თუ სსკ-ის 573-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა აღმოჩნდება ხანდაზმული, უნდა გამოირიცხოს ამავე მოთხოვნის რეალიზება სსკ-ის 992-ე მუხლითაც, რადგან სხვაგვარი ინტერპრეტაციისას, კანონმდებლის მიზანი მიუღწეველი დარჩებოდა და სსკ-ის 573-ე მუხლის დანაწესი აზრს დაკარგავდა.⁵⁷⁶

განსხვავებული ხანდაზმულობის ვადის დამსახურებით, სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძველების გამომრიცხავი კონკურენციის მაგალითს წარმოადგენს ასევე

⁵⁷⁴ შეად. ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 76, ავტორის მოსაზრებით, სსკ-ის 494, 394-ე მუხლებთან მიმართებით სსკ-ის 992-ე მუხლის პარალელური მოქმედება უნდა გამოირიცხოს, სახელშეკრულებო ნორმის მიზნიდან გამომდინარე. შეად. სუსგ № ას-111-111-2018, 11/05/2018, დელიქტის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებაზე, სამედიცინო სახელშეკრულებო ურთიერთობისას.

⁵⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017 ველეები 160 და 221.

⁵⁷⁶ ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, 79.

შესრულების ნაკლის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 655-ე მუხლიდან გამომდინარე. ნარდობის მომწესრიგებელი სპეციალური ხანდაზმულობის ვადის მიზნებიდან გამომდინარე, განიდევენება სსკ-ის 992-ე მუხლი როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ალტერნატიული ნორმა. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ეს არ გამორიცხავს დელიქტურ ზიანზე პასუხისმგებლობას, თუ მოცემული ვადის გასვლის შემდეგ, შესრულების ნაკლმა გამოიწვია ჯანმრთელობის ან სხეულის მნიშვნელოვანი დაზიანება.⁵⁷⁷ აღნიშნული ახსნადია იმით, რომ ნარდობის მომწესრიგებელი ნორმებსა და სპეციალური, მოკლე ხანდაზმულობის ვადის საკანონმდებლო მიზანთან ლოგიკურ წინააღმდეგობაში არ არის ადამიანის სხეულის ან ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დელიქტური ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში, მიუხედავად სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისა. მოცემულ შემთხვევაში მიდგომებს შორის სხვაობას ქმნის ზიანის სახე.⁵⁷⁸

ასევე გასაზიარებელია შეხედულება, რომ სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნის საფუძვლების კონკურენციისას, როდესაც დამფუძნებელი ნორმების მიზანი, შედეგი და დაცვის ინტერესები იდენტურია, მოკლე ხანდაზმულობის მქონე დამფუძნებელი ნორმა იქნას გამოყენებული, სხვაგვარად სპეციალური ნორმის არსებობა აზრს დაკარგავს. დელიქტური მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა მიზანშეწონილია, თუ ეს მოთხოვნა წარმოშობილია სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებს მიღმა.⁵⁷⁹

⁵⁷⁷ იქვე.

⁵⁷⁸ შეად. მსგავსი მოსაზრება, ჰაგენლოხ ულრიხ, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019, 37.

⁵⁷⁹ ჩაჩავა სოფიო, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 159; შეად. ასევე ჰაგენლოხ ულრიხ, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019, 37 და შემდგომი.

მეორე მხრივ, მხარე არ შეიძლება მხოლოდ იმის გამო აღმოჩნდეს უკეთეს მდგომარეობაში, რომ ის იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში, თუ მას ჩადენილი აქვს დელიქტური ქმედება მეორე მხარის მიმართ, რაც განხორციელებადი იქნებოდა ხელშეკრულების არ არსებობის პირობებში. მხარის ამგვარ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება გამართლებულია თუ მხარეებმა ხელშეკრულებით გამორიცხეს ან შეზღუდეს პასუხისმგებლობა და შეთანხმდნენ ბრალის უფრო მსუბუქ ფორმებზე. ასეთ შემთხვევაში, დელიქტური ნორმების გამოყენება, წინააღმდეგობაში იქნებოდა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპთან, რომლის თანახმად, კანონი უშვებს ბრალის გამორიცხვაზე შეთანხმებას. ნებისმიერი სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი ის ნორმა, რომელიც უფრო მცირე ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებს, ასევე უნდა გამორიცხავდეს, იმავე ფაქტობრივი წინამძღვრებისას, დელიქტური სამართლით პასუხისმგებლობას, თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის ფარგლებში, აღნიშნული ზიანის მოთხოვნა, ხანდაზმული იქნებოდა.⁵⁸⁰

9.2. საცილო გარიგების შეცილების ვადა და მეორადი მოთხოვნები

შეცილებისა და ხანდაზმულობის ვადები ზემოქმედებს გარიგების შეცილების შედეგად მისი უკუქცევის მოთხოვნასა და მეორადი მოთხოვნის სახით ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნებს შორის კონკურენციაზეც.

ა) შეცდომით დადებული გარიგების (სსკ 74.2) შეცილების ვადა არის 1 თვე შეცილების საფუძვლის შეტყობიდან. აღნიშნული შეცილება ექვემდებარება ხანდაზმულობის საერთო, 10 წლიან

⁵⁸⁰ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განმარტების საგანია, სახელშეკრულებო დათქმაში განსაზღვრული ბრალის შემსუბუქება, შეზღუდვა ან გამორიცხვა მოიაზრებდა თუ არა მხარეების მიერ დელიქტიდან გამომდინარე ზიანისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას, შეზღუდვას ან გამორიცხვასაც.

ვადას.⁵⁸¹ თავის მხრივ, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, გამყიდველის მიმართ ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნებზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამდენად, შეცილების უფლების რეალიზების 10 წლიანმა ვადამ შესაძლოა გადაფაროს ნაკლზე პასუხისმგებლობის სამწლიანი ვადა.⁵⁸² ეს არ იქნებოდა კანონმდებლის მიზანთან შესაბამისობაში, რომელმაც შეცილებისთვის საკმაოდ მცირე ვადა დააწესა. შესაბამისად, გასაზიარებელია შეხედულება, რომ მყიდველის მხრიდან, შეცდომის გამო გარიგების შეცილება, შეცილების ვადის დაცვით, განხორციელებადი იყოს მხოლოდ ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ფარგლებში.⁵⁸³ გერმანიაში დამკვიდრებული შეხედულებით, ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნების სპეციალური მოწესრიგების მიზნებიდან გამომდინარე, რაც ხელშეკრულებიდან გასვლის ბარიერს ქმნის, შეცდომის საფუძველზე შეცილება და გარიგების ბათილობა, საერთოდ უნდა გამოირიცხოს.⁵⁸⁴

ბ) თუ შეცილება მოტყუებას ან მუქარას ეფუძნება, დაიშვება ალტერნატიული კონკურენცია გარიგების შეცილებას და ნაკლიანი შესრულების გამო წარმოშობილ მოთხოვნებთან.⁵⁸⁵ ასეთ შემთხვევაში, ნაკლის გამო პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები არ გამორიცხავს მუქარის ან მოტყუების საფუძველზე შეცილების უფლებას და პირიქით.⁵⁸⁶

⁵⁸¹ შეად. დარჯანია თორნიკე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 79, ველი 3.

⁵⁸² რუსიაშვილი გიორგი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 81, ველი 27.

⁵⁸³ იქვე.

⁵⁸⁴ BeckOK BGB/Wendtland BGB § 123 Rn. 40.

⁵⁸⁵ კროპკოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014, § 123, ველი 15-16.

⁵⁸⁶ BeckOK BGB/Wendtland BGB § 123 Rn. 40.

9.3. მოტყუებით ან მუქარით დადებული გარიგების შეცილების და ამორალურობის საფუძვლით გარიგების ბათილობის კონკურენცია

მოტყუების (სსკ 81) ან მუქარის (სსკ-ის 85) მეშვეობით დადებული გარიგებების საცილობის პარალელურად, სამართლებრივ დოქტრინაში განხილვის საგანია, ამავე გარიგებების ბათილობის დაშვების შესაძლებლობა, მათი ამორალურობის ან საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო (სსკ-ის 54-ე მუხლის მეორე და მესამე ალტერნატივები).⁵⁸⁷

სსკ-ის 54-ე მუხლი გარიგების ბათილობის სამ დამოუკიდებელ საფუძველს აერთიანებს რაც ამ ნორმაზე გარიგების ბათილობის დაფუძნებისას, ისე რომ დავის მხარე, ხოლო შემდგომ არც სასამართლო უთითებს ნორმის კონკრეტულ ალტერნატივას, ბუნდოვანებას იწვევს სასამართლო პრაქტიკის ინტერპრეტაციის მიზნებისთვის.

სსკ-ის 54-ე მუხლის ანალოგი გერმანულ სამართალში, გსკ-ის §134 და §138 პარაგრაფებია. გსკ-ის §134 ცალკე აწესრიგებს გარიგების ბათილობას კანონთან წინააღმდეგობის გამო. მიჩნეულია, რომ კანონსაწინააღმდეგობის საფუძვლით გარიგების ბათილობის წინაპირობა ორივე მხარის მიერ გარიგების დადებისას კანონის დარღვევაა.⁵⁸⁸

⁵⁸⁷ შეად. ქართულ სამართალში: *რუსიაშვილი, გიორგი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 81, ველი 29; გერმანიისთვის იხ. Palandt/Ellenberger, BGB, 66. Aufl. 2007, § 134 Rn 9;

⁵⁸⁸ მაგალითად, მოტყუებულ მხარეს შესაძლოა მაინც ჰქონდეს გარიგების მიმართ ინტერესი, ამიტომ მისი ავტომატური ბათილობა კანონსაწინააღმდეგობის საფუძვლით, არ მიიჩნევა გამართლებულად. ასეთია გერმანიის ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა, მაგ.: BGH NJW 2000, 1186; ასევე, სამართლებრივი დოქტრინა Palandt/Ellenberger, BGB, 66. Aufl. 2007, § 134 ველი 9; ქართული დოქტრინისთვის იხ.: *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 275; *რუსიაშვილი, გიორგი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 81, ველი 29.

მუქართ ან მოტყუებით დადებული გარიგება გერმანიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ამორალურობის საფუძველით ბათილად, თუ გარდა მუქარისა ან მოტყუებისა, სხვა დამატებითი გარემოებები არსებობენ, რაც ამორალურობას ქმნიან.⁵⁸⁹ ამ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის მოქმედი მხარე აცნობიერებდეს ქმედების ამორალურობას ან ჰქონდეს ზიანის მიყენების განზრახვა, საკმარისია იმ გარემოებების ცოდნა, საიდანაც გამომდინარეობს გარიგების ამორალურობა. აღნიშნულთან გაიგივებულია როდესაც ასეთი მნიშვნელობის გარემოებებზე მხარე უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ, თვალს ხუჭავს.⁵⁹⁰ მაგალითისთვის, ამორალურად არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამოქალაქო დავაში მთავარი განხილვის წინ, მისი მარწმუნებლის მიერ ადვოკატის ჰონორარის გაზრდის თაობაზე დამატებითი შეთანხმების ხელმოწერაზე დაყოლიება, საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის მუქართ, თუმცა ეს გარიგება, საცილოა, როგორც მუქარის საფუძველზე დადებული.⁵⁹¹ შესაძლოა გარიგების ამორალურობა დადგინდეს, თუ ასეთი შეთანხმებით გათვალისწინებული ჰონორარი, ამავედროულად არის შეუსაბამოდ მაღალი.⁵⁹²

უზენაესმა სასამართლომ სსკ-ის 54-ე მუხლში მოცემული გარიგების ბათილობის სამი ალტერნატიული წინაპირობა განმარტა⁵⁹³:

1. არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს – ამ შემთხვევაში კანონის კონკრეტული დანაწესის გარდა, მნიშვნელოვანია გარიგების მონაწილეთა ქცევა/ქმედებაში

⁵⁸⁹ Palandt/Heinrichs BGB, 66. Aufl. 2007, § 138, Rn 15; შუად ასევე: BGH 60,104, NJW 95 1428, 3315;

⁵⁹⁰ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 138, Rn 15.

⁵⁹¹ შუად: ადვოკატის პასუხისმგებლობის თაობაზე, დამკვიდრებული პრაქტიკა, მათ შორის BGH NJW 2013, 1591.

⁵⁹² BGH NJW 2013, 1591.

⁵⁹³ სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019, პუნქტი 204.

სუბიექტური ელემენტის კვლევა გარიგების შინაარსთან მიმართებით).⁵⁹⁴

2. ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს – კონკრეტულ დანაწესზე უნდა იქნეს მითითებული, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია შეფასდეს გარიგების მხარეთა სუბიექტური დამოკიდებულება;
3. ზნეობის ნორმებს – შესაფასებელია გარიგების შინაარსის მიმართება ზნეობის ნორმებთან და არა სუბიექტურად კონტრაჰენტთა სუბიექტური ცოდნა და შეხედულება, თუ რა შეიძლება იქნეს მიჩნეული ზნეობის საწინააღმდეგოდ.⁵⁹⁵

სსკ-ის 85-ე და 54-ე მუხლებთან მიმართებით, ქართული სასამართლო პრაქტიკა დასაწყისში არათანმიმდევრულობის განცდას ქმნიდა, უშვებდა რა გარიგების საცილობას მუქარის (სსკ 85) საფუძვლით, ასევე, მის ბათილობას საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო (სსკ-ის 54, მეორე ალტ).⁵⁹⁶ ზოგ შემთხვევაში, სასამართლო უთითებდა, რომ მართალია ორივე ნორმის გამოყენება დაიშვება, რადგან მუქარა ამავედროულად ამორალურია ან ხელყოფს საჯარო წესრიგს, მაგრამ გარიგების ბათილობა უნდა დადგენილიყო სსკ 54-ე მუხლის საფუძველზე, ზოგ შემთხვევაში კი, ნორმის სპეციალურობიდან გამომდინარე, ადგენდა გარიგების ბათილობას სსკ 85-ე მუხლზე მითითებით.⁵⁹⁷ თუმცა, დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებისა და მის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებების მეშვეობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთგვაროვანი მიდგომა.

⁵⁹⁴ მოცემულ შემთხვევაში უზენაესი სასამართლო იზიარებს შეხედულებას, რომ კანონსაწინააღმდეგობის საფუძვლით ბათილობისთვის აუცილებელია ორივე მხარის მონაწილის მხრიდან კანონის დარღვევის სუბიექტური აღქმა.

⁵⁹⁵სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019, პუნქტი 204. დამატებით 54-ე მუხლით მოწესრიგებული ბათილობის საფუძვლები და ზნეობის კომპონენტთან მიმართებით კრიტიკა იხ: კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 271 და შემდგომი.

⁵⁹⁶ შეად. სუს №ას-225-215-2016, 25/05/2016.

⁵⁹⁷ შეად სუს №ას-225-215-2016, 25/05/2016, №ას-688-654-2015, 21/07/2015; №ას-1224-1149-2015, 20/05/2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებისა და უზენაესი სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილებების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მუქარით დადებული გარიგება სასამართლოს ამავდროულად სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე ბათილად მიაჩნია, თუ ასეთი გარიგება ამ ნორმით განსაზღვრულ დამატებით წინაპირობებს აკმაყოფილებს. მაგალითად, თუ მუქარის საფუძველზე დადებული გარიგება თავისი შინაარსით იმდენად არღვევს საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესს, რომ ის ამავდროულად ამორალურია, ან არღვევს საჯარო წესრიგს.⁵⁹⁸ ერთ-ერთ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეცილების ვადის დაუცველობის გამო გარიგების შეცილება 85-ე მუხლის საფუძველზე ვერ განხორციელდებოდა, თუმცა იგივე გარიგება მაინც ბათილი იყო სსკ-ის 54-ე მუხლის მეორე ალტერნატივაზე დაყრდნობით, რადგან საქმე ეხებოდა სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების დათმობას მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის ფონზე.⁵⁹⁹

ნების გამოვლენის თავისუფლებაში ჩარევა, იქნება ეს შეცდომა, მოტყუება თუ მართლსაწინააღმდეგო მუქარა, კანონმდებლობამ დაუკავშირა გარიგების საცილობას და მხარეს მისცა უფლება, მიუთითოს მასზე, ან აირჩიოს, დარჩეს სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში.⁶⁰⁰ 54-ე მუხლის მესამე ალტერნატივით გარიგების ბათილობისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ ნების გამოვლენაზე დაუშვებელი ზეგავლენა, აუცილებელია ამორალურობის სხვა ელემენტის არსებობაც, რაც გარიგებას, არსებითად ამორალურად აქცევს, არა მხოლოდ მისი მონაწილის ნების დათრგუნვის, არამედ სამოქალაქო

⁵⁹⁸ სუსგ №ას-1816-2018, 26/02/2019 პუნქტი 21, მოცემულ საქმეში სასამართლომ მუქარის საფუძველით საცილოდ და ამავდროულად საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის გამო ბათილ გარიგებად მიიჩნია სახელმწიფოს სასარგებლოდ მუქარის საფუძველზე, ქონების დათმობა.

⁵⁹⁹ სუსგ №ას-1816-2018 26/02/2019, პუნქტი 21.

⁶⁰⁰ შეად. ასევე რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 85, ველი 28.

საზოგადოებაში ამგვარი ქმედების გლობალური მიუღებლობის გამო.⁶⁰¹

ქართულ სამართლებრივ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში, მხარდაჭერილია მოსაზრება, რომ მუქარისას 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილობა დასაშვებია, როდესაც პროკურატურის თანამშრომელი პასუხისგებაში მიცემულ პირს სთავაზობს მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქებას სახელმწიფოსათვის ქონების დათმობის სანაცვლოდ.⁶⁰² ასევე, როდესაც პირი, რომლის წინააღმდეგ ჯერ არ არის დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა, თუმცა პასუხისგებაში მიცემის მუქარით, სახელმწიფოს სასარგებლოდ თმობს ქონებას, ასეთ დროს, თუ სახელმწიფოს მხრიდან კვალიფიციური შედავება არ იქნება წარდგენილი, იქმნება პრეზუმფცია, რომ გარიგების დადებისას გამჩუქებელი საკუთარი ინტერესებისა და ნების ავტონომიურობის პრინციპის დაცვით არ მოქმედებდა.⁶⁰³

ამდენად, სსკ-ის 85 ან 81-ე მუხლების პარალელურად, 54-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა გარიგების ბათილობის დამატებითი ელემენტი, განპირობებული 54-ე მუხლის რომელიმე სამი ალტერნატიული წინაპირობით. სსკ-ის 54-ე მუხლის მხოლოდ ასეთი განმარტება და გამოყენება ხსნის კანონმდებლის ნებას, გაითვალისწინოს და განსხვავებულად მოაწესრიგოს საცილო გარიგებები და მათი შეცილების ვადები.

⁶⁰¹ შეად. ასევე რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 85, ველი 30.

⁶⁰² სუსგ №ას-688-654-2015, 21/07/2015, ასევე რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, civilcode.ge, 24.12.2017, მუხ. 85, ველი 29.

⁶⁰³ მაგ: სუსგ №ას-1230-2018, 14/12/2018. სუსგ №ას-15-15-2016, 01/03/2016; სუსგ №ას-497-2019 05/07/2019.

9.4. მოტყუებით ან მუქარით დადებული გარიგების შეცილება და *culpa in contrahendo*

გერმანულ სამართალში მუქარით ან მოტყუებით დადებული გარიგების ამორალურ გარიგებასთან კონკურენციის საკითხის გარდა, დგას მისი კონკურენცია *culpa in contrahendo*-სთან (სსკ-ის 316.2, 3017.3 მუხლები წინასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები).⁶⁰⁴ როგორც წესი, ეს მოთხოვნაც მსგავსად გარიგების შეცილებისა, მიმართულია ხელშეკრულების გაუქმებისკენ და ექვემდებარება ზოგად ხანდაზმულობას.⁶⁰⁵ ასევე, *c.i.c.*-იდან გამომდინარე შესაძლებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. გერმანიის ფედერალური სასამართლო მრავალი წელია ემხრობა მოსაზრებას, რომ მუქარის ან მოტყუებით დადებული გარიგების ფაქტობრივი შემადგენლობა შეცილების განხორციელების გარეშეც, პარალელურად ქმნის ხელშეკრულებისგან გათავისუფლების მოთხოვნას, თუ ასეთი გარიგების შედეგად მხარემ განიცადა ზიანი.⁶⁰⁶ სასამართლოს მოსაზრებით, მუქარით ან მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ვადასთან, *c.i.c.*-იდან გამომდინარე მხარისთვის ხელშეკრულების გაუქმების უფლების მინიჭება არ არის წინააღმდეგობაში, რადგან ასეთი უფლება მხარეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ გარდა §123 შემადგენლობისა, სახეზეა ასევე *c.i.c.*-ის რეალიზების აუცილებელი წინაპირობა – ზიანი.⁶⁰⁷

საწინააღმდეგო მოსაზრებით, *c.i.c.*-იდან გამომდინარე ხელშეკრულების გაუქმების უფლება, როგორც ზიანის ანაზღაურების ბერკეტი, უნდა გამოირიცხოს კონკურენციისას, რადგან მისი დაშვება შეასუსტებს § 123 წინაპირობებს, ამავდროულად § 124 დადგენილ ვადაში შეცილება, დაკარგავს

⁶⁰⁴ BGH V ZR 75/78, 11/05/1979.

⁶⁰⁵ BGH NJW 1998, 302,303.

⁶⁰⁶ BGH NJW 2002, 2774.

⁶⁰⁷ შუად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 123 Rn 27, §124, Rn 1.

აზრს.⁶⁰⁸ ამასთან, გსკ-ის §123-ის წინაპირობები უფრო მკაცრია, ვიდრე c.i.c-ის საფუძველზე პასუხისმგებლობისა.⁶⁰⁹ Culpa in contrahendo-ს საფუძველზე პასუხისმგებლობისთვის საკმარისია გაუფრთხილებლობა, მაშინ როდესაც მოტყუებით დადებული გარიგების შეცილებისთვის უფრო მკაცრი წინაპირობებია შესასრულებელი. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ, სხვა მოსაზრებით, ალტერნატიული კონკურენცია უნდა დაიშვებოდეს, თუ მხარეს აქვს კონკრეტული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდების გაზრდილი ვალდებულება.⁶¹⁰ შეცილების ვადის და c.i.c-იდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების პრობლემატიკას, გაბატონებული მოსაზრება პასუხობს არგუმენტით, რომ შეცილების მიზანი მხარის თავისუფალი ნების გამოვლენის დაცვაა, ხოლო c.i.c-ის საფუძველზე პასუხისმგებლობის მიზანი პირის ზიანისგან დაცვაა.⁶¹¹ ამდენად, გაბატონებული მოსაზრებით, გარიგების შეცილება და culpa in contrahendo-დან გამომდინარე გარიგებაზე უარის უფლება შესაძლოა პარალელურად არსებობდნენ, თუ მხარეს გარიგების დადებით, მიადგა ზიანი და ეს ალტერნატიული დაშვება არ ქმნის ვადების მოწესრიგების საკანონმდებლო მიზანთან წინააღმდეგობას.⁶¹²

სასამართლო განმარტავს, რომ ზიანში იგულისხმება მატერიალური ზიანი და მისი დადგენისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მხარის ნებაზე დაუშვებელი ზემოქმედების დადგენა.⁶¹³

⁶⁰⁸ OLG Hamm NJW-RR 1995, 205.

⁶⁰⁹ იქვე.

⁶¹⁰ MüKoBGB/Armbrüster BGB § 123, Rn 91, ასევე, განსხვავებული აზრებისთვის შეად. სქოლიო 407.

⁶¹¹ შეად. BGH NJW 1998, 898, ასევე გაბატონებული მოსაზრება იხ. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §123, Rn 27; BeckOK BGB/Wendtland BGB § 123 Rn. 40.

⁶¹² შეად. ასევე: BGH NJW 2002, 2774.

⁶¹³ BGH NJW 1998, 898: *“Ein Vermögensschaden tritt nicht automatisch mit der Eingehung des Vertrages ein, sondern bedingt, daß der Vertragsschluß für den Betroffenen unter Berücksichtigung der für die Schadensfeststellung allgemein anerkannten Grundsätze wirtschaftlich nachteilig gewesen ist.”*

არც თავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვალდებულებაა ზიანი. ამ კონსტრუქციის გამოყენების წინაპირობაა, რომ მხარისთვის სადავო გარიგება ეკონომიკურად საზიანო უნდა იყოს.⁶¹⁴ ეგრეთწოდებულ Vermögensschaden-ში სასამართლო მოიაზრებს იმგვარ მატერიალურ ზიანსაც, რომელიც შესაძლოა დადგეს შესრულებათა ეკონომიკური თანაბრობის მიუხედავად. ასეთი ზიანი შეიძლება ვლინდებოდეს იმაში, რომ მიღებული შესრულება კონკრეტულ შემთხვევაში მოცემული პირის მიზნებისთვის სრულად გამოსადეგი არ არის. ზიანი არა მხოლოდ წმინდა სუბიექტური გადასახედიდან უნდა აღიქვას პირმა ასეთად, არამედ ზოგადი სამოქალაქო ბრუნვის პერსპექტივიდან და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მოცემული ხელშეკრულების დადება არაგონივრულად, ეკონომიკური ინტერესები დაუბალანსებლად და საბოლოოდ საზიანოდ უნდა აღიქმებოდეს ობიექტურად.⁶¹⁵

საწინააღმდეგო მოსაზრებებით, ფედერალური სასამართლო ზიანის ამგვარი კონსტრუქციით, ხელოვნური განსხვავების შექმნას ცდილობს შეცილებასა და ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნას შორის მათი ალტერნატიული კონკურენციის გასამართლებლად ისე, რომ ამავდროულად, აზრი არ დაუკარგოს შეცილების ვადის არსებობას.⁶¹⁶

გერმანულ სამართალში არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, culpa in contrahendo დამკვიდრდა როგორც საცილო გარიგების პარალელური მოთხოვნის საფუძველი.⁶¹⁷ გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ამ საფუძველსა და საცილო გარიგებებს შორის კონკურენციისას, ამ უკანასკნელთათვის განსაზღვრული შეცილების ვადების საკანონმდებლო მიზნის

⁶¹⁴ იქვე.

⁶¹⁵ BGH V ZR 29/96, 26.09.1997

⁶¹⁶ მაგალითად იხ. გადაწყვეტილება BGH NJW 1998, 302, ამის საწინააღმდეგოდ, იხ.: OLG Hamm NJW-RR 1995, 205.

⁶¹⁷ Wendtland, Beck'scher Online-Kommentar, Bamberger/Roth, 2007, ed. 8, BGB § 123 rn 40, დღემდე არსებული პრაქტიკისთვის შეად: BGH NJW 2013, 1591

გათვალისწინებით, არ უნდა დაიშვებოდეს გარიგების გაუქმება c.i.c-იდან გამომდინარე, თუ გასულია შეცილების ვადა.⁶¹⁸ რადგან შედეგობრივად, ეკონომიკური ეფექტი გარიგების ბათილობის თუ მისი გაუქმებით მისგან თავის დაღწევისა, იდენტურია. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს შეცილების ვადის გასვლის შემდგომაც, მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁶¹⁹

9.5. მოტყუების ან მუქარის საფუძველზე დადებული გარიგებები და დელიქტი

მოტყუების (სსკ 81) ან მუქარის (სსკ-ის 85) შემადგენლობა, ამავდროულად შესაძლოა ქმნიდეს დელიქტური წესით ზიანის ანაზღაურების, მათ შორის, სსკ-ის 408-ე მუხლიდან გამომდინარე, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის წინაპირობებს.⁶²⁰ ასეთ შემთხვევაში კვლავ ჩნდება კონკურენციის პრობლემატიკა შეცილების და ხანდაზმულობის ვადების მიზნებიდან გამომდინარე. საცილო გარიგებების შეცილების ვადა 1 წელია, როდესაც ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობა 3 წელს შეადგენს.

მოცემული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება, სადაც დიდმა პალატამ, წილებზე საკუთრების უფლების დაბრუნების მოთხოვნის დამფუძნებელ ალტერნატიულ ნორმებად დაასახელა როგორც 172-ე მუხლი, სსკ-ის 85-ე მუხლთან ერთობლიობაში (გარიგების ბათილობა მუქარის საფუძველზე და უკან დაბრუნება ვინდიკაციით), ასევე, ალტერნატიულად, სსკ-ის 992-ე მუხლი სსკ-ის 408-ე მუხლთან ერთობლიობაში (ზიანის

⁶¹⁸ MüKoBGB/Armbrüster BGB § 123 ველი 91.

⁶¹⁹ ამ მიდგომას ავითარებს გერმანიის ფედერალური მიწის სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში OLG Hamm NJW-RR 1995, 205, თუმცა სხვაგვარია შემდგომი ფედერალური უზენაესი პრაქტიკა, მაგ: BGH NJW, 1998, 302,303.

⁶²⁰ შეად. რუსიაშვილი, გიორგი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 81, ველი 30.

ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის – წილების საკუთრებაში დაბრუნების გზით).⁶²¹

განხილულ დავაში, მოთხოვნას წარმოადგენდა კომპანიის წილებზე საკუთრების დაბრუნება, ბათილი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. მოსარჩელე უთითებდა, რომ კომპანიის წილების გასხვისების თაობაზე, გარიგება მან მუქარის საფუძველზე დადო.

დიდმა პალატამ იმსჯელა წილების დაბრუნების საფუძველად სსკ-ის 172-ე მუხლის – ვინდიკაციური მოთხოვნის გამოყენებაზე. ამ მოთხოვნის რეალიზების წინაპირობა იყო სადავო გარიგების ბათილობა, სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე. მოცემულ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მუქარით დადებული გარიგების შეცილების ვადა, დაცული იყო და შეცილება კანონით დადგენილი წესით განხორციელდა.⁶²²

დიდმა პალატამ განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გარიგების შეცილების ვადა, გასული იქნებოდა, მოთხოვნა ალტერნატიულად შესაძლოა დაფუძნებოდა, სსკ-ის 992-ე მუხლს.⁶²³ სასამართლომ მოიხმო ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „იმულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, უნდა გამოვიყენოთ 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცილებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც.“⁶²⁴

⁶²¹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017, პუნქტი 187.

⁶²² იქვე, პუნქტი 212.

⁶²³ იქვე, პუნქტი 190 და შემდგომი.

⁶²⁴ იქვე, პუნქტი 212, თავის მხრივ, ციტირებს: ზოიძე, ბესარიონ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., 246, 252.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაკმაყოფილებული იყო სსკ-ის 992-ე მუხლის შემადგენლობაც, რადგან მხარეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, რაც გამოიხატა მის მიმართ განხორციელებულ მუქარაში, ჩამოერთვა საკუთრების უფლება, რაც ზიანია – მან დაკარგა საკუთრება წილზე.⁶²⁵

სსკ-ის 85-ე მუხლით განსაზღვრული დისპოზიცია – მხარის ნებაზე უკანონო ზემოქმედება, მისი ქონების, მისი ან მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის წინააღმდეგ მუქარით, იმისათვის, რომ დადოს გარიგება, ფაქტობრივი თვალსაზრისით, ყოველთვის დააკმაყოფილებს სსკ-ის 992-ე მუხლით განსაზღვრულ ერთ-ერთ წინაპირობას – მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ამდენად, სსკ-ის 85-ე მუხლით არსებული მუქარის შემადგენლობა, ყოველთვის შექმნის სსკ-ის 992-ე მუხლის ერთ-ერთ წინაპირობას. სსკ-ის 992-ე მუხლით, ზიანის ანაზღაურების დანარჩენი კუმულატიური წინაპირობებია: ზიანი, ბრალი, მიზეზობრიობა. მართლწინააღმდეგობის მსგავსად, მუქარის შემთხვევაში, ბრალი, მისი მძიმე ფორმის – განზრახვის სახით, ყოველთვის შესაძლოა პრეზუმირებული იყოს. ამდენად, არსებითად, რაც 992-ე მუხლს განასხვავებს სსკ-ის 85-ე მუხლისა და მისი შედეგის სსკ-ის 172 ან 976-ე მუხლებისგან, არის ზიანის არსებობის ელემენტი.

დიდი პალატის შემოთავაზებული განმარტების გაზიარების შემთხვევაში, რომელიც მხარის ნების დათრგუნვის შედეგად გარიგებით გათვალისწინებულ შესრულებას მიიჩნევს ზიანად, აღმოჩნდება, რომ კანონმდებლის ნება, შეზღუდოს საცილო გარიგების შეცილების ვადა 1 წლით, მუქარის დასრულების მომენტიდან (სსკ-ის 89), ყოველთვის მიუღწეველი დარჩება, რადგან მხარეს გარიგების ბათილობის გამო, ქონების დაბრუნების ალტერნატიულ შესაძლებლობად, ყოველთვის რჩება სსკ-ის 992-ე მუხლით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სახით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისია, როდესაც

⁶²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017, პუნქტი 190.

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, მხარეს დარჩება ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება 992-ე, 409-ე მუხლების ერთობლიობით. რაც, გარიგების ბათილობის შემთხვევაშიც, უსაფუძვლო გამდიდრების წესებით (სსკ-ის 979-ე მუხლი) მიიღწევა.

დიდი პალატის განმარტების შემდგომ გადაწყვეტილებებშიც საქართველოს უზენაესი სასამართლო იყენებს, სსკ 992-ე და 408-ე მუხლებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დამფუძნებელ ალტერნატიულ შესაძლებლობად.⁶²⁶

გერმანულ სამართალში აღიარებულია გსკ-ის §123-ით შეცილების უფლების პარალელურად, როგორც culpa in contrahendo-დან გამომდინარე, ასევე გსკ-ს §823 II და სისხლის სამართლის კოდექსის 263, 240, 826 მუხლების ერთობლიობით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობა.⁶²⁷

ამ თვალსაზრისით არსებითად განსხვავებულია უშუალოდ ზიანის განმარტებასა და ფარგლებთან მიმართებით გერმანული სამართლის, მის საფუძველზე განვითარებული პრაქტიკისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა.

გარიგების გსკ-ის §§ 123, 124 –ის საფუძველზე შეცილების პარალელურად, მხარემ შესაძლოა § 823-ის საფუძველზე მოითხოვოს გარიგების დადებით მიყენებული, ეგრეთწოდებული ნეგატიური ზიანის ანაზღაურება, რაც არ იარსებებდა, რომ არა გარიგების იძულებით ან მოტყუებით დადების ფაქტი.⁶²⁸ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები განსხვავებული სამართლებრივი შედეგების გამო §123-ით არ გამოირიცხება.⁶²⁹ შესრულების ინტერესი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვოს მუქარის ან მოტყუების ადრესატმა, თუ დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულება იძულების ან მოტყუების გარეშე დაიდებოდა,

⁶²⁶ შეად. მაგ: სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019.

⁶²⁷ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §123, ველი 26.

⁶²⁸ იქვე.

⁶²⁹ კროპკოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადაშუშავებული გამოცემა, თბილისი 2014 §123, ველი 16.

მაგრამ უკეთესი პირობებით.⁶³⁰ ამავედროულად, შესაძლებელია მხარემ მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გათავისუფლებაც, გსკ §823, 249 მუხლების ერთობლიობით, ზიანის დადგენის შემთხვევაში, იმავე წინაპირობების არსებობისას როგორც culpa in contrahendo-ს შემთხვევაშია.⁶³¹

გარდა ზოგადი §823-ისა, გერმანიაში არსებობს ასევე განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის, სპეციალური 826-ე პარაგრაფი, რომელიც ანაზღაურებს ზნეობის საწინააღმდეგოდ, განზრახ მიყენებულ ზიანს. ის კონკურენციაშია თავად §823-თან და გამოიყენება მაშინაც, როდესაც ზიანი იმ აბსოლუტურ უფლებებს არ შეეხება, რაც დაცულია §823-ით, თუმცა უფრო მკაცრი წინაპირობების არსებობისას.⁶³² გსკ § 853 სპეციალურად აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც შეცილების ვადა გასულია, ხოლო იძულებით ან მოტყუებით დადებული გარიგება, ჯერ შესრულებული არ არის.⁶³³ ასეთ შემთხვევაში, მხარეს აქვს უფლება უარი თქვას შესრულებაზე. თუმცა, თავის მხრივ ვალდებულია დააბრუნოს ის, რაც მიიღო ზიანის მიმყენებლისგან, ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ.⁶³⁴ შესრულებაზე უარის თქმის უფლება მოტყუებულს ან მუქარის ადრესატს აქვს იმ შემთხვევაშიც, თუ გარიგების შეცილების ვადა გავიდა, გსკ § 853 შესაბამისად.⁶³⁵ აღნიშნული მუხლის თანახმად, დელიქტური ქმედებით მოპოვებული მოთხოვნის მესაკუთრის წინააღმდეგ, დაზარალებულს შეუძლია დააყენოს შესაგებელი, მიუხედავად იმისა, გასულია თუ არა ამ მოთხოვნის გაუქმების შესაგებლის

⁶³⁰ MüKoBGB/Armbrüster BGB § 123 ველი 92, ასევე: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §123, ველი 26.

⁶³¹ BGH NJW, 1998, 302,303.

⁶³² Palandt/Sprau, BGB, 66. Aufl. 2007, §826, Rn 2.

⁶³³ გსკ §853: „თუ პირი დაზარალებულის მიმართ მოთხოვნას იძენს მის მიერ ჩადენილი დელიქტის შედეგად, მაშინ დაზარალებულს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მაშინაც კი, თუ მოთხოვნის გაუქმების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია“.

⁶³⁴ BGH NJW 69, 604. ასევე შეად. Palandt/Sprau, BGB, 66. Aufl. 2007, § 853, Rn 1.

⁶³⁵ Palandt/Sprau, BGB, 66. Aufl. 2007, § 853, Rn 1.

წარდგენის ვადა.⁶³⁶ მაგალითისთვის, თუ იძულებით დადებული გარიგების შემდეგ, ამ გარიგების საფუძველზე, იძულების განმახორციელებელი ითხოვს მისთვის გარკვეული ქონების გადაცემას ან სხვა სახის შესრულებას, ადრესატს შეუძლია გსკ-ს § 853-დან გამომდინარე, შეცილების ვადის გასვლის მიუხედავად, უარი თქვას შესრულებაზე. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ჯერ არ არის გარიგებით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებული.⁶³⁷

შეცილების შემადგენლობის არსებობისას, §123-ე მუხლიდან გამომდინარე შეცილების უფლება დგას 826-ე მუხლის გვერდით და პარალელურად გამოიყენება, თუმცა მხოლოდ ზიანის არსებობისას.⁶³⁸ მუხლის კომპონენტი – განზრახვა, ცალკე დამტკიცებას საჭიროებს, ამორალურობისგან დამოუკიდებლად.⁶³⁹

culpa in contrahendo-ს და §123 საფუძველზე გარიგების შეცილების კონკურენციის წესების იდენტურ მოსაზრებას ავითარებს გერმანიის უზენაესი სასამართლო დელიქტთან მიმართებითაც, რომელიც დღემდე კრიტიკის საგანია იურიდიულ დოქტრინაში.⁶⁴⁰ სასამართლო ამ შემთხვევაშიც უგუვებელყოფს გსკ §121 და §123 –ით დადგენილ შეცილების 1 წლიან ვადას და შესაძლებლად მიიჩნევს ზიანის ანაზღაურების სახით ხელშეკრულებისგან გათავისუფლების მოთხოვნას.⁶⁴¹ საწინააღმდეგო მოსაზრებით, ამგვარი ხელოვნური კონსტრუქციის შექმნით სასამართლო უგუვებელყოფს კანონმდებლის მიერ საცილო

⁶³⁶ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §123, ველი 26.

⁶³⁷ შეად. გსკ §853, ასევე Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §123, Rn 26.

⁶³⁸ Palandt/Sprau, BGB, 66. Aufl. 2007, § 826, Rn 2, 20.

⁶³⁹ იქვე, Rn 9, უხეში გაუფრთხილებლობა საკმარისი არ არის. თუმცა შეფასებაში, ამორალურობის ხარისხი როლს თამაშობს.

⁶⁴⁰ კრიტიკის მიუხედავად, მაგ. BGH NJW 1995, 2361. საწინააღმდეგო აზრს თავად ციტირებს: Medicus, JuS 1965, 209; იხ. ასევე სხვა არგუმენტები სასამართლოს მიდგომის საწინააღმდეგოდ: MüKoBGB/Armbrüster BGB § 123 ველი 91.

⁶⁴¹ “Schadensersatzanspruch auf Befreiung von der Vertragspflicht” შეად. MüKoBGB/Armbrüster BGB § 123 ველი 91.

გარიგების მოწესრიგების მიზანს.⁶⁴² კრიტიკის საპასუხოდ სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ცდილობს ხაზი გაავლოს და განასხვავოს მოცემული მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები. ამდენად სასამართლო კვლავ მხარს უჭერს თავის მოსაზრებას იმაზე მითითებით, რომ დელიქტის ან culpa in contrahendo-ს საფუძველზე ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა, წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადება გამოიწვია მატერიალური ზიანი.⁶⁴³

საქართველოს უზენაესი სასამართლო აღიარებს გარიგების შეცილების ვადაში განხორციელების მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან გამომდინარე.⁶⁴⁴ ამავდროულად, დიდი პალატა მიიჩნევს, რომ შეცილება სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედების ძლიერი საშუალებაა და ამიტომ მიიჩნევს, რომ ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს.⁶⁴⁵ შესაბამისად, მნიშვნელოვანია აიხსნას, როდესაც საცილო გარიგების არსებობისას, სასამართლო მოთხოვნის დამფუძნებელ ალტერნატიულ ნორმად იყენებს სხვა ნორმას, რატომ არის მოცემულ შემთხვევაში მისი გამოყენება დასაშვები და რატომ არ ირღვევა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მოლოდინები, მოცემული ნორმის გამოყენებით.

დიდი პალატის მიდგომა ჰგავს გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შეცილების ვადის აბსოლუტური იგნორირება არ ხდება და გერმანული სასამართლო ზიანის

⁶⁴² კრიტიკა იხ. MüKoBGB/Armbrüster BGB § 123 Rn. 91, ასევე ციტირებს: Medicus JuS 1965, 209.

⁶⁴³ ე.წ. Vermögensschaden, შეად.: BGH V ZR 29/96, 26/09/1997, BGH X ZR 18/96, 03/02/1998.

⁶⁴⁴ სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019, პუნქტი 300.

⁶⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017.

კომპონენტს დამოუკიდებლად იკვლევს, რაც ხელშეკრულების გაუქმებისთვის როგორც დელიქტის, ასევე c.i.c-ის შემთხვევაში, დამატებითი, საცილო გარიგებისგან განსხვავებული წინაპირობაა. იქიდან გამომდინარე რომ დიდი პალატის მიერ ნორმის განმარტებები სავალდებულოა საერთო სასამართლოებისთვის, ნაკლებად სავარაუდოა 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით დადგენილი განმარტება შეიცვალოს, თუმცა სასურველია, მისი დაკონკრეტება და სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენების წინაპირობების დეტალური განსაზღვრა. შეცვილების თუ ხანდაზმულობის ვადა, კანონმდებლის მიერ მიზანმიმართულად არის გაწერილი, რაც ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა, აიხსნას და განიმარტოს ნორმის შინაარსი და გამოყენების წინაპირობები. იმ შემთხვევაში, თუ მხარეს მუქარის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით არ განუცდია ზიანი, სსკ-ის 992-ე მუხლის გამოყენება გამორიცხული უნდა იყოს. გასაზიარებელია ასევე მიდგომა, რომ ზიანად არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ნების თავისუფალ ფორმირებაზე არასასურველი ზემოქმედება და არც გარიგების შესრულება, თუ სხვა დამატებითი ფაქტორები ზიანზე არ მიუთითებენ.

9.6. მუქარით დადებული გარიგების შეცვილება და სსკ-ის 978 მუხლი

სსკ-ის 978-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იძულების ან მუქარის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მიმღებს უფლება ჰქონდა გადაცემულზე.

სსკ-ის 978-ე მუხლზე ვრცელდება ხანდაზმულობის საერთო, 10 წლიანი ვადა. ამდენად, ვადების მიზნების გათვალისწინებით კვლავ ჩნდება კითხვა, შესაძლოა თუ არა მუქარის საფუძველზე დადებული გარიგების შეცვილების ვადის გასვლის მიუხედავად, დამოუკიდებლად, მხოლოდ სსკ-ის 978-ე მუხლის საფუძველზე, მუქარის ადრესატმა მოითხოვოს მუქარის საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნება.

მოცემულ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, არის სსკ-ის 978-ე მუხლი შესრულების კონდიცია, თუ არის ის ხელყოფის კონდიციის ქვეკატეგორია. კანონმდებლის თვალსაწიერიდან, მოცემული მუხლის სისტემური განთავსებიდან გამომდინარე, სსკ-ის 978-ე მუხლი შესრულების კონდიციის სახედ არის მიჩნეული.⁶⁴⁶ ასეთ შემთხვევაში ლოგიკურია, რომ 978-ე მუხლი ნამდვილი სახელმეკრულებო ურთიერთობის პირობებში, ვერ იქნება გამოყენებული, რადგან მისი გამოყენების წინაპირობა, სსკ-ის 976-ე მუხლის იდენტურად, უნდა იყოს შესრულების სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობა. ამ კონტექსტში შესრულების კონდიციის მხარდაჭერის სასარგებლოდ მეტყველებს ნორმის მეორე წინადადება, რაც უკან დაბრუნებას გამორიცხავს თუ მიმღებს გადაცემულზე აქვს უფლება. ამ უკანასკნელში გულისხმობენ ხელმეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის არსებობას.

ამგვარი განმარტებისას, სსკ-ის 976-ე მუხლის პირობებში, 978-ე მუხლის არსებობის საჭიროება ვერ იხსნება. განსახილველ მუხლს არ აქვს გერმანულ სამართალში ანალოგი.⁶⁴⁷ ინგლისურ სამართალში, რომელიც უსაფუძვლო გამდიდრების სრულიად განსხვავებულ მოდელზეა აგებული, მუქარის საფუძველზე რაიმეს გადაცემა უსაფუძვლო გამდიდრების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახეა და არ ხდება მისი დაყოფა შესრულების თუ შეუსრულებლობის კონდიციებად.⁶⁴⁸ ქართველმა კანონმდებელმა

⁶⁴⁶ იხ. შესრულების კონდიციის მხარდაჭერისთვის: *შნიტგერი/შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი gcc.ge, ბოლო დამუშავება 15/07/2018, მუხ. 978, ველი 1 და მუხ. 976 ველი 22. გასაზიარებელია საწინააღმდეგო მოსაზრება *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017, მუხ. 81, ველი 33.

⁶⁴⁷ გსკ-ის და სსკ-ის უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების განსხვავების მიზეზებთან დაკავშირებით იხ. *შნიტგერი/შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი gcc.ge, ბოლო დამუშავება 15/07/2018, მუხ. 976, ველი 3 და შემდგომი.

⁶⁴⁸ *Zimmermann, Reinhard*, Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, 15 Oxford J. Legal Stud. 403 1995, 415.

სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისას საჭიროდ მიიჩნია უსაფუძვლო გამდიდრებაში ამ ნორმის შემოღება.⁶⁴⁹

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ სსკ-ის 978-ე მუხლი არის რომის სამართლიდან წარმოშობილი *condictio ex iniusta causa*-ს მაგალითი⁶⁵⁰, რაც თვითდახმარების გარკვეული დაშვებისა და ხელყოფის კონდიქციის მაგალითი უფროა, ვიდრე შესრულების კონდიქცია, იგი ზოგიერთი ავტორის მიერ მიჩნეულია მაინც შესრულების კონდიქციის ერთ-ერთ სახედ.⁶⁵¹

საქართველოს უზენაესი სასამართლო სსკ-ის 978-ე მუხლს შესრულების კონდიქციად მიიჩნევს და იყენებს მას მუქარით დადებული გარიგების ბათილობისას, შედეგის უკუქცევის მიზნით.⁶⁵² მაგალითად, მოცემული ნორმა სასამართლომ გამოიყენა სახელმწიფოს სასარგებლოდ განხორციელებული ჩუქების სსკ-ის 54-ე მუხლით ბათილობისას, წილის კომპენსაციის ღირებულების ანაზღაურების დამფუძნებელ ნორმად სსკ-ის 979-ე მუხლთან ერთობლიობაში.⁶⁵³ სასამართლომ ერთ საქმეში მიუთითა, რომ ზოგადად, შესრულების კონდიქციის დროს გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 976-ე და 978-ე მუხლები, სსკ-ის 979-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად.⁶⁵⁴ მოცემულ საქმეშიც, სადავო იყო სახელმწიფო დაწესებულების

⁶⁴⁹ გსკ-ის და სსკ-ის უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების განსხვავების მიზეზებთან დაკავშირებით იხ. *შნიტგერი/შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი gcc.ge, ბოლო დამუშავება 15.07.2018, მუხ. 976, ველი 3 და შემდგომი.

⁶⁵⁰ *შნიტგერი/შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი gcc.ge, ბოლო დამუშავება 15.07.2018, მუხლი 978, ველი 1. ასევე *რუსიაშვილი, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 81, ველი 33.

⁶⁵¹ *შნიტგერი/შატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი gcc.ge, ბოლო დამუშავება 15.07.2018, მუხ. 976, ველი 22.

⁶⁵² სუსგ №ას-497-2019, 05/07/2019 პუნქტი 28.

⁶⁵³ იქვე, პუნქტი 29.

⁶⁵⁴ სუსგ №ას-1348-2018, 06/02/2019 პუნქტი 18.

სასარგებლოდ, მუქართ დადებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნება.⁶⁵⁵

ერთ-ერთ საქმეზე, მხარე მუქარის საფუძველზე გადახდილი პირგასამტეხლოს დაბრუნების მოთხოვნას 978-ე მუხლზე აფუძნებდა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ მიუთითა რომ მუქარის დადასტურების შემთხვევაშიც, მოცემული ნორმის გამოყენება ვერ მოხდებოდა, რადგან 978-ე მუხლით განსაზღვრული გამონაკლისი იყო სახეზე – მიმღებს ჰქონდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება.⁶⁵⁶ ამ განმარტებიდან თუ ვიხელმძღვანელებთ, ნამდვილი ხელშეკრულების არსებობისას, თუ მისი ბათილობა დადგენილი არ არის, 978-ე მუხლის საფუძველით მხარე ვერ მოითხოვს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულის უკან დაბრუნებას.⁶⁵⁷

ამდენად, უზენაესი სასამართლო 978-ე მუხლს მიიჩნევს შესრულების კონდიქციის სპეციალურ დანაწესად 796-ე მუხლთან მიმართებით და მუქარის არსებობისას, ამ მუხლის წინაპირობების შემოწმებას მიიჩნევს უპირატესად.⁶⁵⁸

მუხლის ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, განსხვავებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებისგან, ის არ უნდა იქნას მიჩნეული შესრულების კონდიქციის სახედ. სამართლებრივ დოქტრინაში არ არის ერთგვაროვანი შეხედულება მოცემული ნორმა არის ხელყოფის თუ

⁶⁵⁵ იქვე, ანალოგიურად იდენტური დავა და სამართლებრივი შეფასება № სუსგ ას-1230-2018, 14/12/2018 პუნქტი 18.9.2 და შემდგომი, ასევე შეად. დამკვიდრებული პრაქტიკა სსკ-ის 978-ე მუხლის გამოყენებასთან მიმართებით: სუსგ №ას-224-213-2017, 28/04/2017 პუნქტი 31 და შემდგომი, სუსგ №: ას-42-42-2016 28/06/2016, პუნქტი 22.5; ას-225-215-2016, 25/05/2016 პუნქტი 18.

⁶⁵⁶ სუსგ №ას-265-253-2015, 24/12/2015, პუნქტი 17.

⁶⁵⁷ იქვე.

⁶⁵⁸ სუსგ №ას-692-662-2014, 24/09/2015, პუნქტი 23.4: „ზოგადად, შესრულების კონდიქციის დროს გადაცემულის უკან დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 976-ე და 978-ე მუხლები, 979-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთად, მაგრამ, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხის მხრიდან იძულებაზე და მუქარაზე მიუთითებს, თავდაპირველად, უნდა შემოწმდეს, განხორციელებულია თუ არა სსკ-ის 978-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები“.

შესრულების კონდიქცია.⁶⁵⁹ გასაზიარებელია დოქტრინაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრება, რომ 978-ე მუხლი არ არის შესრულების კონდიქციის სახე,⁶⁶⁰ თუმცა, ამავე ავტორის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მისი გამოყენება დაუშვებელი უნდა იყოს მუქართ დადებული გარიგების შეცილების ვადის გასვლის შემთხვევაში.⁶⁶¹

სსკ-ის 978-ე მუხლის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია შეცილების ვადა სსკ-ის 89-ე მუხლის შესაბამისად, ან გარიგება ბათილია სხვა საფუძვლით. ნამდვილი ხელშეკრულების შემთხვევაში, სსკ-ის 978-ე მუხლის გამოყენება უნდა გამოირიცხებოდეს. ასეთი დაშვებისას, აზრი დაეკარგება მუქართ დადებული გარიგების მოწესრიგებას. სსკ-ის 978-ე მუხლი გარიგების ბათილობის გარეშე, მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის განიხილება როგორც ხელყოფის კონდიქცია.

რამდენიმე ალტერნატიულ მოთხოვნას შორის არჩევანს, პირი აკეთებს, ხოლო მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, უფარდება სასამართლო.⁶⁶² სასამართლოს ეს კომპეტენცია გულისხმობს, რომ მოთხოვნის საფუძვლები ლოგიკური რიგითობის მიხედვით უნდა

⁶⁵⁹ იხ. მოსაზრება, რომ მოცემული ნორმა ხელყოფის კონდიქციის ფორმაა: *რუსიაშვილი, გიორგი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 81, ველი 32. საწინააღმდეგო მოსაზრება, რომ მოცემული მუხლი შესრულების კონდიქციაა: *შნიტგერი/მატბერაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი gccc.ge, ბოლო დამუშავება 15.07.2018, მუხლი 978, ველი 1.

⁶⁶⁰ *რუსიაშვილი გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 81, ველი 33.

⁶⁶¹ განსხვავებული მოსაზრება იხ. *რუსიაშვილი, გიორგი* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2019, მუხ. 81, ველი 33.

⁶⁶² *ბიოლინგი/ლუტრინგკაუსი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, გამომცემლობა ჯგუფი „სიესტა“ GIZ, გვ.54, *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, 37 და შემდგომი.

შემოწმდეს.⁶⁶³ ასეთი რიგითობა განისაზღვრება მიზანშეწონილობის მიხედვით და უნდა გამომდინარეობდეს კანონის სისტემიდან.⁶⁶⁴ გასაზიარებელია პროფესორ რაინჰარდ ციპელიუსის მოსაზრება, რომ სამართლის ფუნდამენტური ფუნქციაა, პრობლემური საკითხის სამართლიანად გადაწყვეტა, რის გამოც, ინტერპრეტაციის კონკურირებული არგუმენტების არჩევანი და წონადობა სამართლიანობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. სწორედ ამიტომ კონკრეტულ შემთხვევაში, იმ არგუმენტებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელთაც სამართლიან შედეგამდე მივყავართ.⁶⁶⁵

ხანდაზმულობის ვადები ზემოქმედებს მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციაზე, რაც აღიარებულია სამართლებრივ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში.⁶⁶⁶ გასათვალისწინებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობის სპეციალური ვადის შემოღების კონტექსტი და ჩანაფიქრი, მიანიჭოს მხარეს მხოლოდ ამ ვადაში კონკრეტული მოთხოვნის განხორციელების შესაძლებლობა და გამორიცხოს ან შეზღუდოს იგივე მოთხოვნის სხვა საფუძველით დაყენება სპეციალური ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდგომ.

ვადები უნდა გამოიყენოს სასამართლომ ნორმის შინაარსის სწორ ინტერპრეტაციაში და მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას, სამართლიანი გამოსავლის ძიებისთვის. კანონმდებლის მიზანი მოაწესრიგოს კონკრეტული მოთხოვნა მცირე ხანდაზმულობის ვადით ყოველთვის არ ნიშნავს ამ მოთხოვნის სხვა საფუძველით რეალიზების გამორიცხვას, თუ

⁶⁶³ იხ. სუს გადაწყვეტილებები: №ას-1170-1125-2016, 13/07/2017; №ას-877-825-2010, 28/12/2010 ასევე,

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017.

⁶⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017 ველი 220-221, ასევე შემდგომი პრაქტიკა: სუსგ №ას-1281-2018, 27/03/2019, ველი 159.

⁶⁶⁵ ციპელიუსი, რაინჰარდ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, beck-ის გამომცემლობა, მიუნხენი 2006, 70.

⁶⁶⁶ იქვე, 35.

კონკრეტულ შემთხვევაში, ვადებთან შედარებით უპირატესია სხვა სამართლებრივი ინტერესების დაცვა. სამართლის ფუნქციაა, ამგვარი კონკურენციისას ბალანსის შენარჩუნება სამართლებრივი განსაზღვრულობის პირობით. სამართლებრივი განსაზღვრულობის უზრუნველყოფა, თავის მხრივ, სასამართლოს ვალდებულებაა.

10. კეთილსინდისიერების გავლენა ხანდაზმულობაზე

10.1. უფლების გამოყენების შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპით

კერძო სამართალი აღიარებს კერძო სამართლის სუბიექტის მოქმედების თავისუფლების ფარგლების შეზღუდვას კეთილსინდისიერების პრინციპით.⁶⁶⁷ მიუხედავად განსხვავებული ისტორიული წარმოშობისა და გამოვლინებისა, დღეს კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია როგორც ძირითად სამართლებრივ სისტემებში⁶⁶⁸, ასევე, უნიფიცირებული სამართლის⁶⁶⁹ მიერ.

კეთილსინდისიერების პრინციპს განამტკიცებს სსკ-ის 8.3 მუხლი, რომელიც როგორც ნორმატიული ისე, სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია.⁶⁷⁰ ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება.⁶⁷¹

⁶⁶⁷ *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 83; შეადარე ასევე სასამართლოს თანმხვედრი განმარტება: სუსგ ას-528-501-2015, 04/11/2015.

⁶⁶⁸ შეად: *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 84-85; *Beatson Jack/Friedman Daniel*, Introduction: From 'Classical' to Modern Contract Law, in *Good Faith and Fault in Contract Law*, ed. Beatson/Friedman, pub. Date 1997, Oxford Scholarship Online 2012.p5, 15.

⁶⁶⁹ შეად: *Felemegas, John* Comparative Editorial Remarks on the Concept of Good Faith in the CISG and the PECL, 13 *Pace Int'l L. Rev.* 399 (2001) 402.

⁶⁷⁰ *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009 84.

⁶⁷¹ შეად. სასამართლო პრაქტიკა: სუსგ ას-549-521-2015, 18/11/2015, სუსგ ას-570-541-2015, 11/11/2015, ასევე: სუსგ ას-1054-2019, 30/09/2019 რომლის თანახმად კეთილსინდისიერების პრინციპის ფუნქციაა აშკარად უსამართლო შედეგების

კერძო სამართლის სუბიექტთა მოქმედების იმპერატიულად მხოლოდ კეთილსინდისიერების პრინციპი აისახება ამ სუბიექტთა მიერ ნებისმიერი მოთხოვნის რეალიზების და უფლების გამოყენების, მათ შორის, მხარის მიერ ხანდაზმულობის შესაგებელის უფლებით სარგებლობის, ან ჯერ კიდევ ვადაში არსებული მოთხოვნის რეალიზების შესაძლებლობაზე.

10.1.1. გერმანულ სამართალში განვითარებული პრაქტიკა

გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერების და ნდობის პრინციპები მოიცავს მთელ სამართლებრივ სისტემას და ისინი მოქმედებენ არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ საპროცესო სამართალში.⁶⁷² გსკ-ის 242-ე მუხლი განამტკიცებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას.⁶⁷³ ამ მუხლმა სასამართლო პრაქტიკით განვრცობა ჰპოვა და იგი ზოგადად ნებისმიერი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება.⁶⁷⁴ გსკ-ის 242-ე პარაგრაფის შესაბამისად, პირს მის მიმართ დაყენებული მოთხოვნების თუ შესაგებელების წინააღმდეგ, შეუძლია დააყენოს უფლების ბოროტად გამოყენების შესაგებელი, როცა სახეზეა შესაბამისი პირობები. აღნიშნული არ გულისხმობს უფლების ბოროტად გამოყენებას ვიწრო გაგებით, რომელიც მოწესრიგებულია გსკ-ის 226-ე მუხლში და წარმოადგენს სსკ-ის 115-ე მუხლის ანალოგს.⁶⁷⁵

თავიდან აცილება, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.

⁶⁷² BGH X ZR 73/95.

⁶⁷³ შეად: *Ebke F Werner/Steinhauer M Bettina*, *The Doctrine of Good Faith in German Contract Law in Good Faith and Fault in Contract Law*, ed. Beatson/Friedman, pub. Date 1997, Oxford Scholarship Online 2012, 172; Zimmermann, Reinhard/Whittacker, Simon, *Good faith in European Contract Law*, Cambridge University Press, 2002, 16.

⁶⁷⁴ იქვე.

⁶⁷⁵ შეად: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §226, Rn 2-3, და *კროპპოლერ, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, საქართველოს და

პრაქტიკით ჩამოყალიბდა სპეციალურ შემთხვევათა ჯგუფები, როდესაც პირი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები და მოთხოვნები კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამობის გამო. სსკ-ის 242-ე მუხლში ნაგულისხმევი, ფართო გაგებით უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა ჯგუფებია:

- (1) სამართლებრივი მდგომარეობის უკანონო მოპოვება – უფლების გამოყენება დაუშვებელია, თუ ასეთი უფლება პირმა უკანონოდ მოიპოვა კანონის, ზნეობის ან ხელშეკრულების დარღვევით.⁶⁷⁶
- (2) საკუთარი ვალდებულებების დარღვევა – თუ პირი არღვევს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკუთარ ვალდებულებებს, შესაძლოა მას აეკრძალოს უფლების გამოყენება და ვერ განახორციელოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა.⁶⁷⁷ ქცევა ურთიერთსაწინააღმდეგოა როცა პირი ცდილობს თავისი მხრიდან ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი მდგომარეობით ისარგებლოს.⁶⁷⁸ საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლებას პირი კარგავს მხოლოდ მძიმე დარღვევის შემთხვევაში.⁶⁷⁹ მაგალითისთვის, როდესაც მხარემ დაარღვია მისამართის შეცვლის თაობაზე მეორე მხარის ინფორმირების სახელშეკრულებო ვალდებულება, მისი მითითება, რომ იგი აღარ ცხოვრობდა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და ხანდაზმულობის ვადის დენა მის მიმართ ამ მისამართზე შეტყობინების გაგზავნით არ შეწყვეტილა დაუშვებელი შესაგებელია.⁶⁸⁰
- (3) საკუთარი დაცვის ღირსი ინტერესის არარსებობა – უფლების გამოყენება დაუშვებელია, თუ პირს აღნიშნულის მიმართ არ აქვს

გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მუხლობრივი შედარება, მე-13 გამოცემა, თბილისი, 2013 857.

⁶⁷⁶ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 43;

⁶⁷⁷ იქვე.

⁶⁷⁸ შეად. გერმანულ პრაქტიკის დამდგენი ერთ-ერთი გადაწყვეტილება: OLG Köln VersR 1989, 642.

⁶⁷⁹ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 46.

⁶⁸⁰ შეად. BGH, XI ZR 248/03, 14/09/2004.

დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი. ასეთია, როცა უფლების გამოყენება არამიზნობრივად ხდება, მაგ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება გამოიყენება არა სახელშეკრულებო მიზნის მისაღწევად.⁶⁸¹ ან მართალია ინტერესი არსებობს, მაგრამ უფლების გამოყენება შეუსაბამოა იმ დარღვევასთან მიმართებით, რისთვისაც გამოიყენება. მაგ.: პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნა, როცა შესაძლებელია უფრო ნაკლებად მძიმე ღონისძიების გატარება.⁶⁸²

- (4) *venire contra factum proprium*. ზოგადად, სამართალი უშვებს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას.⁶⁸³ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ თავიანთი სამართლებრივი შეხედულებები დავის დროს შეცვალონ.⁶⁸⁴ როგორც წესი, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მის მიერ ადრე გამოვლენილი ნების გამოვლენის ბათილობაზე მიუთითოს.⁶⁸⁵ გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლოს განმარტებით, ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება მხოლოდ მაშინ არის კანონსაწინააღმდეგო, როცა აღნიშნულით მეორე მხარეს ნდობის არსებობის შემადგენლობა გაუჩნდა,⁶⁸⁶ ან არის სხვა განსაკუთრებული გარემოებები, რაც უფლების გამოყენების არაკეთილსინდისიერ მოქმედებად მიჩნევის საფუძველს იძლევა⁶⁸⁷. ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევა უფლების ბოროტად გამოყენებაა, როცა მეორე მხარისთვის ნდობის ობიექტური შემადგენლობა წარმოიშვა, ან როდესაც სხვა გარემოებები უთითებენ, რომ უფლების გამოყენება კეთილსინდისიერების

⁶⁸¹ Palandt/ Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 50-51.

⁶⁸² იქვე, Rn 54.

⁶⁸³ შეად. გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის დამდგენი ერთ-ერთი გადაწყვეტილება: BGH, X ZR 73/95, 05/06/1997.

⁶⁸⁴ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 55;

⁶⁸⁵ შეად. დამკვიდრებული მიდგომა გერმანიაში: BGH, IX ZR 24/82, 07/04/1983; BGH, IX ZR 271/90, 05/12/1991.

⁶⁸⁶ შეად. პრაქტიკის განვითარება: BGH, III ZR 32/59, 09/05/1960; BGH, IVb ZR 7/84, 06/03/1985; BGH, III ZR 36/84, 13/02/1985.

⁶⁸⁷ BGH IVa ZR 153/83, 22/05/1985; BGH IX ZR 271/90, 05/12/1991.

პრინციპს ეწინააღმდეგება.⁶⁸⁸ მაგალითად, კრედიტორს არ შეუძლია ვადის გადაცილების გამო რაიმეს მოთხოვნა, თუ მან შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ მოვალემ ირწმუნა, ვადის გადაცილება არ წარმოშობდა მისთვის ნეგატიურ სამართლებრივ შედეგს.⁶⁸⁹ პირი, რომელიც საარბიტრაჟო დავისას არბიტრაჟის განსჯადობას ხდის სადავოდ, ან მის ჩატარებას ხელს უშლის საარბიტრაჟო ბაჟის გადაუხდელობით, სასამართლო გზით დავის გადაწყვეტისას მოკლებულია შესაძლებლობას, მიუთითოს საარბიტრაჟო დათქმაზე და არბიტრაჟის განსჯადობაზე.⁶⁹⁰ ცალკეულ შემთხვევებში, დაუშვებელია მაგალითად, შრომით ურთიერთობაში, დამსაქმებლის მითითება გასაჩივრების აბსოლუტური ვადის გაშვებაზე, თუ მან ისეთი პირობა შექმნა დასაქმებულის მიმართ, თითქოს არ გამოიყენებდა ამ შესაგებელს.⁶⁹¹

10.1.2. პრევენციული სამართლის პერსპექტივა

გერმანიაში განვითარებული მიდგომა, ძირითადად თანხვედრაშია ანგლო-ამერიკულ მიდგომასთან. ინგლისში უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დასაცავად და კანონის უსამართლო შედეგების თავიდან ასაცილებლად განვითარდა *ესტოპელის* დოქტრინა.⁶⁹² მართალია, ტერმინი *estoppel* მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება ანგლო-ამერიკულ სამართალში, მაგრამ კერძოსამართლებრივი განმარტება გულისხმობს პირისათვის უფლების განხორციელების აკრძალვას, თუ აღნიშნული წინააღმდეგობაშია მის ადრეულ

⁶⁸⁸ შეად. BGH X ZR 73/95, 05/06/1997.

⁶⁸⁹ იხ. შესაბამისი გადაწყვეტილება: BGH VII ZR 216/02, 08/05/2003.

⁶⁹⁰ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 57.

⁶⁹¹ იქვე, Rn 61.

⁶⁹² *Cooke Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. date 2000, Oxford Scholarship Online, 2010, 2; *Snyder V. David*, Promissory Estoppel, the Civil Law and the mixed Jurisdiction, 15 Ariz. J. Int'l & ComL. 695 1998, 747. დეტალურად ამავე თემაზე შეად: *Kohne, Gunther*, Reliance, Promissory Estoppel and Culpa in Contrahendo: A comparative analysis, 10 Tel Aviv U. Stud. L. 279 1990, 279-296.

ქმედებასთან.⁶⁹³ ესტოპელის მრავალი ფორმა არსებობს და ისინი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას ემსახურება, იქ, სადაც კანონი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი შედეგის დადგომას.⁶⁹⁴

ამ დოქტრინის მიხედვით, პირს, რომლის მოქმედებას სხვა გონივრულად ეყრდნობა, ეკრძალება ამ მოქმედების ნამდვილობის უარყოფა ან ამ მოქმედების საწინააღმდეგო პოზიციის დაჭერა.⁶⁹⁵ მისი ძირითადი მიზანი იმ პირის დაცვაა, ვინც სხვისი შეცდომაში შემყვანი მოქმედება კეთილსინდისიერად ირწმუნა.⁶⁹⁶ მსგავსად გერმანული ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებისა, ამ შემთხვევაშიც, პირს ფაქტების არასწორი რეპრეზენტაციით, სხვა პირი შეცდომაში შეჰყავს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას აღნიშნულის განზრახვა.⁶⁹⁷ მისი უმთავრესი ნიშანია მცდარი რეპრეზენტაცია, მოქმედებით, წერილობით ან სიტყვიერად, რამაც გამოიწვია მეორე მხარის ნდობა.⁶⁹⁸

⁶⁹³ ანგლო-ამერიკულ სამართალში არსებობს ე.წ. promissory estoppel-ის დოქტრინა, რომელიც სამართლებრივ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებებით, თითქმის იდენტურია რომის სამართალში წარმოშობილ და დღეს კონტინენტურ ევროპაში, მითუფრო გერმანიაში გავრცელებულ culpa in contrahendo-ს დოქტრინის, იმ განსხვავებით, რომ მას უფრო ფართო გამოყენება აქვს, დაწვრილებით იხ: *Snyder V. David*, Comparative law in action: promissory estoppel, the civil law, and the mixed jurisdiction, 15 Ariz. J. Int'l & ComL. 695 1998 p699, 702-703; ასევე: *Kohne, Gunther*, Reliance, promissory estoppel and culpa in contrahendo: a comparative analysis, 10 Tel Aviv U. Stud. L. 279 1990.

⁶⁹⁴ იხ: სხვადასხვა ფორმები: “*Estoppel per rem judicatam*”, “*issue estoppel*”, “*estoppel by deed*”, “*estoppel by representation*”, “*estoppel by conduct*”, “*estoppel by acquiescence*”, “*estoppel by election or waiver*”, “*estoppel by negligence*”, “*promissory estoppel*”, “*proprietary estoppel*” in *Cooke Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. date 2000, Oxford Scholarship Online, 2010, 3.

⁶⁹⁵ *Mcdonald, Patrick*, Contradictory government action: estoppel of statutory authorities, 17 Osgoode Hall L. J. 160 1979, 160. ინგლისში განვითარებულ ესტოპელს “*Common law estoppel*”-ს უწოდებენ, სადაც ასევე იყოფა “*estoppel by conduct*” და “*estoppel by representation*”, დეტალურად იხ: *Cooke Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. date 2000, Oxford Scholarship Online, 2010, 18-19.

⁶⁹⁶ *Dawson, John. P.*, Estoppel and statutes of limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, 33.

⁶⁹⁷ იქვე.

⁶⁹⁸ *Cooke, Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. date 2000, Oxford Scholarship Online 2010, 3.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, ესტოპელი ანგლო-ამერიკული სამართლის წმინდა შემოქმედებაა.⁶⁹⁹ რომის სამართალი ანალოგიურ შედეგამდე მიდიოდა ზემოთ დასახელებული *venire contra factum proprium* პრინციპით რომელიც გერმანულ მიდგომას უდევს საფუძვლად.⁷⁰⁰ თითქმის ანალოგიური შედეგი მიიღწევა საფრანგეთში უფლების ბოროტად გამოყენების ცნების განმარტებით.⁷⁰¹

10.1.3. უნიფიცირებული სამართალი

უნიდროას პრინციპები იზიარებს თანამედროვე ქვეყნებში კეთილსინდისიერების და ზნეობის ნორმების დაცვის ისტორიულად დამკვიდრებული როლის მნიშვნელობას. პრინციპების 1.7 მუხლი განსაზღვრავს მხარეთა კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოლაპარაკების ვალდებულებას და კრძალავს მხარეთა შეთანხმებით ამ ვალდებულების გამორიცხვას ან შეზღუდვას.⁷⁰² ამ მუხლის დამოუკიდებლად არსებობის მიზანია მოიცვას მთელი სისტემა და მაშინაც მოქმედებს, როცა აღნიშნული პირდაპირ არ არის განსაზღვრული კანონით.⁷⁰³ უნიდროას პრინციპები ასევე იცნობს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის ინსტიტუტს, რომელსაც 1.7 მუხლის ქვეშ განიხილავენ.⁷⁰⁴ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების (*inconsistent behavior, estoppel*) აკრძალვა, დაკონკრეტებულია უნიდროას პრინციპების 1.8

⁶⁹⁹ შეად. ავტორები: Snyder V. David, Comparative law in action: promissory estoppel, the civil law, and the mixed jurisdiction, 15 Ariz. J. Int'l & ComL. 695 1998; Cooke, Elizabeth, Development of estoppels in: the Modern Law of Estoppel, pub. Date 2000, Oxford Scholarship Online 2010.

⁷⁰⁰ Palmer V. Vernon, the many guises of equity in a mixed jurisdiction: a functional view of equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995, 54, Supranote 70.

⁷⁰¹ იქვე.

⁷⁰² UNIDROIT Principles 2010, Art. 1.7, Co. 4.

⁷⁰³ UNIDROIT Principles 2010, Art. 1.7, Co. 1.

⁷⁰⁴ იქვე, Co.2.

მუხლში.⁷⁰⁵ ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედების შესაგებელს შეუძლია გააქარწყლოს უფლება, მოთხოვნა, ან მხარის შესაგებელი.⁷⁰⁶ მხარის მცდარი წარმოდგენა შეიძლება გამომდინარეობს პირის ქცევიდან, ან მისი დუმილიდან, როდესაც მოლოდინია, რომ პირი გამოთქვამს პრეტენზიას იმ შეცდომის ან გაუგებრობის გამო, რაზეც მეორე მხარეს არასწორი წარმოდგენა შეექმნა.⁷⁰⁷ ამ მუხლით დაცულია მხოლოდ ისეთი წარმოდგენა, რომელიც ობიექტურად, გონიერ ადამიანს შესაძლებელია შეექმნას. ეს კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ფასდება, როგორცაა მხარეთა კომუნიკაცია, ქცევა, მოლაპარაკებების ბუნება და მოლოდინები.⁷⁰⁸

უნიდროას პრინციპების 1.8 მუხლი იცავს მხარეს ნდობით წარმოშობილი ზიანისაგან. იგი აუცილებლად არ გულისხმობს, რომ მხარე, რომელიც არათანმიმდევრულად მოქმედებს, შეიზღუდოს ამგვარი მოქმედების უფლებაში. დასახელებული პრინციპი მხოლოდ ერთ-ერთი ბერკეტია ზიანის აცილებისთვის. მაგალითად, მხარე შეიძლება მოიქცეს არათანმიმდევრულად, თუ მეორე მხარეს გონივრული ვადის მითითებით გაუგზავნა შეტყობინება, ან აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მხარეს მიაღდა ნდობის გამო.⁷⁰⁹

⁷⁰⁵ “A party cannot act inconsistently with an understanding it has caused the other party to have and upon which that other party reasonably has acted in reliance to its detriment”, პრინციპების სიტყვათა განმარტებებში 1.8 მუხლში ასახული “inconsistent behavior” განმარტებულია როგორც estoppel.

⁷⁰⁶ UNIDROIT Principles 2010, Art.1.8, Co. 1.

⁷⁰⁷ იქვე, Co. 2.

⁷⁰⁸ იქვე.

⁷⁰⁹ UNIDROIT Principles, Art. 1.8, Comment 3. იხ. ასევე მაგალითი უნიდროას კომენტარებიდან: ა-ს და ბ-ს შორის მიწოდების ხელშეკრულება არის გაფორმებული, რომლის ვადის გადაცილებისთვის, გათვალისწინებულია ბ-ს მიმართ ჯარიმა. მას შემდეგ, რაც ა შეიტყობს ბ-ს მიწოდების სიძნელეების თაობაზე, შეატყობინებს, რომ იგი არ მოითხოვს მკაცრად ვადის დაცვას. ერთი წლის შემდეგ, ა-ს აფერხებს ბ-ს მიერ მუდმივი გადაცილებები. ა ვერ მოითხოვს ამ ვადის განმავლობაში დავროვილი პირგასამტეხლოს გადახდას, მაგრამ შესაბამისი შეტყობინების შემდეგ, შეუძლია სამომავლოდ მოითხოვოს ბ-სგან

DCFR-იც განმარტავს არათანმიმდევრულ ქცევას და *venire contra factum proprium* პრინციპთან აიგივებს.⁷¹⁰ თავის მხრივ, CISG-ის გამოყენებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შესაგებელის უფლების გაქარწყლების შესაგებელი მიანიჭა მხარეს, როგორც ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპის და “fair dealing”-ის შემავსებელი ნორმა, როდესაც მყიდველმა ვადის გადაცილებით მიაწოდა გამყიდველს ინფორმაცია ნაკლის შესახებ, ხოლო გამყიდველმა, მიუხედავად ვადის გადაცილებისა, თავად არ მიაქცია აღნიშნულს ყურადღება და დაიწყო მოლაპარაკებები ნაკლის გამოსწორების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში, გამყიდველის შემდგომი პრეტენზია ვადის გასვლის თაობაზე, აღარ იქნა გათვალისწინებული.⁷¹¹

ქართულ დოქტრინაში არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობდა სსკ-ის 8.3 მუხლში არსებული ჩანაწერი კეთილსინდისიერების პრინციპის თაობაზე დეკლარატორული ხასიათის ნორმა იყო, თუ აღნიშნული შესაძლებელია მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი გახდეს. ამ დისკუსიაზე პასუხი სასამართლოს პრეცედენტულმა გადაწყვეტილებებმა გასცა, რომლითაც საბოლოოდ იქნა აღიარებული კეთილსინდისიერების პრინციპის იმპერატიულობა და მისი როლი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, კეთილსინდისიერების პრინციპის ვრცელი განმარტება გააკეთა რამდენიმე საქმეში. უზენაესი სასამართლოს მითითებით, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია აკისრია⁷¹²: (1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე. (2) კეთილსინდისიერების პრინციპს

ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დაცვა, UNIDROIT Principles, Art. 1.8, Comment 2, example 4.

⁷¹⁰ DCFR, Outline edition 2009, 77.

⁷¹¹ *Schlechtriem, Peter* Good Faith in German Law and in International Uniform Laws, Roma, 1997, 7, ხელმისაწვდომია:

<http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem16.html>.

⁷¹² შეად. სუსგ №ას-1338-1376-2014, 29/05/2015, ასევე სუსგ №ას-570-541-2015, 11/11/2015.

აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; (3) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.⁷¹³

სსკ-ის 10.3 მუხლით უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები.⁷¹⁴ უფლების ბოროტად გამოყენების დაკონკრეტება სსკ-ის 115-ე მუხლით განსაზღვრული უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა. სსკ-ის 115-ე მუხლით, უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვით კერძო სამართლის სუბიექტს ეზღუდება კანონით მინიჭებული უფლების იმგვარი გამოყენება, რაც მხოლოდ სხვა პირისათვის ზიანის მიყენების მიზნით ხორციელდება. ანალოგიურ ჩანაწერს როგორც აღინიშნა, შეიცავს გსკ-ის 226-ე მუხლი, რომელიც ვიწროდ გამოიყენება და მიმართულია უფლებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევებზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირი თავისი უფლების სარგებლობით თავის სასარგებლო სამართლებრივ სიკეთეს იღებს, აღნიშნული მუხლის გამოყენება გამოირიცხება.⁷¹⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უფლების ბოროტად გამოყენებისას პირი მოქმედებს არამართლზომიერად, ამასთან, ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების დაცვას ან აღდგენას.⁷¹⁶ უფლების ბოროტად გამოყენება არ არის სახეზე, როდესაც პირი ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში მიმართავს სასამართლოს მოთხოვნის

⁷¹³ დასახელებული ფუნქციები შინაარსობრივად შესაბამისობაშია შედარებით სამართალში არსებულ ფუნქციებთან, შეად. მაგალითისთვის: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 43; *Felemegas, John* Comparative Editorial Remarks on the Concept of Good Faith in the CISG and the PECL, 13 Pace Int'l L. Rev. 399 (2001) 403.

⁷¹⁴ კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტების თაობაზე იხ.: *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 92-93.

⁷¹⁵ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §226, Rn 2-3.

⁷¹⁶ სუსგ №ას-1301-1239-2014, 23/07/2015.

დასაკმაყოფილებლად, თუნდაც ვალდებულების დარღვევიდან გასული იყოს დრო – მოსარჩელის მითითება, რომ მხარემ განზრახ გააჭიანურა სარჩელის წარდგენა პირგასამტეხლოს ოდენობის გასაზრდელად, ვერ უპირისპირდება მხარის უფლებას მიმართოს სასამართლოს ხანდაზმულობის ვადაში.⁷¹⁷ სხვა შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა უფლების ბოროტად გამოყენება იქ, სადაც საკრედიტო დაწესებულებამ, მიუხედავად სხვა საკრედიტო დაწესებულებისგან ცნობის მიღებისა, რომ მოვალის ვალდებულებას დაფარავდა, არ შეაჩერა იძულებითი აუქციონი და მოვალის ქონება საბაზრო ფასზე ნაკლებად გაასხვისა.⁷¹⁸ მოცემულ საქმეზე სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 115-ე მუხლი და ფართოდ განმარტა ის. შინაარსობრივად ეს დავა ჰგავს გსკ-ის 242-ე მუხლის ქვეშ განვითარებულ უფლების ბოროტად გამოყენების სახეს, რომლის დროსაც, მართალია პირი უფლებას იყენებს საკუთარი ინტერესის დასაცავად, მაგრამ უფლების გამოყენება შეუსაბამოა დარღვევასთან მიმართებით, ისე, რომ აღნიშნული ინტერესი არ მოიაზრება დაცვის ღირსად.⁷¹⁹

10.2. ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების შეზღუდვა გერმანულ სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობის ინსტიტუტი სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა, კანონისტების მიერ იგი იწოდებოდა როგორც *improborum subsidium*, არაკეთილსინდისიერ პირთა დახმარება.⁷²⁰ შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ უფლების ბოროტად გამოყენების და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების დოქტრინა ხანდაზმულობის

⁷¹⁷ სუსგ №ას-1385-1307-2012, 07/02/2013.

⁷¹⁸ სუსგ №1338-1376-2014, 29/05/2015.

⁷¹⁹ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 55.

⁷²⁰ Janke, Benjamin West/ Licari, François-Xavier, Contra Non Valentem in France and Louisiana: Revealing the Parenthood, Breaking a Myth, Louisiana Law Review, Vol. 71, No. 2, 503-540, February 2011 512.

შესაგებელის მიმართაც, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ფართოდ გამოიყენება.⁷²¹

გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით, მოვალის ხანდაზმულობის შესაგებელი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოა, როცა მოვალის ქცევიდან გამომდინარე, კრედიტორს ობიექტური რწმენა გაუჩნდა, რომ ის ხანდაზმულობის შესაგებელს არ დააყენებდა და შინაარსობრივი შესაგებელებით შემოიფარგლებოდა.⁷²²

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე შეიძლება მხარეს შევიღების ვადების გამოყენებაც აეკრძალოს.⁷²³ ხოლო გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერების პრინციპის განსაკუთრებით უხეში დარღვევისას, არ არის გამორიცხული არც საერთო 30 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შესაგებელის დაყენების აკრძალვა.⁷²⁴

ხანდაზმულობის ინსტიტუტი საჯარო წესრიგსაც ემსახურება, რის გამოც, ხანდაზმულობის შესაგებელის წარდგენის აკრძალვა მკაცრი კრიტერიუმით ფასდება.⁷²⁵ მოვალემ ან აქტიური ქმედებით ხელი უნდა შეუშალოს კრედიტორს უფლების დროულ განხორციელებაში, ან ობიექტური შეფასებით, ისეთი გარემოებები შექმნას, კრედიტორი დარწმუნდეს სამართლებრივი დავის გარეშე მოთხოვნის რეალიზების შესაძლებლობაში.⁷²⁶ მოვალე ურთიერთსაწინააღმდეგოდ იქცევა, როცა ჯერ კრედიტორს უმოქმედობისკენ უბიძგებს, ხოლო შემდეგ, ამითვე სარგებლობა სურს ხანდაზმულობის შესაგებელის წარდგენით. ასეთი სახეზეა, როცა აქტიური მოქმედებით ან ვალდებულების დარღვევით,

⁷²¹ *Gail, L Heriot*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 1992 917.

⁷²² შეად. პრაქტიკის დამდგენი გადაწყვეტილება გერმანულ სამართალში: BGH VI ZR 15/74, 20/01/1976.

⁷²³ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 63.

⁷²⁴ LG Berlin 1 O 60/11, 05.07.2012.

⁷²⁵ BGH, IX ZR 202/86, 01/10/1987.

⁷²⁶ BAG, 2 AZR 297/01, 07/11/2002.

უმოქმედობით, შეცდომაში შეიყვანს კრედიტორს.⁷²⁷ ხანდაზმულობის შესაგებელის გასაქარწყლებლად კრედიტორის დუმილი საკმარისი არ არის.⁷²⁸ გაქარწყლების საფუძველია იმგვარი გარემოებების შექმნა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, კრედიტორის მოთხოვნას მაინც დააკმაყოფილებდა.⁷²⁹ მაგალითისთვის, როდესაც მოვალე კრედიტორს სარჩელის აღძვრაში ხელს უშლის ან სხვაგვარად, არაკეთილსინდისიერად აბრკოლებს მას.⁷³⁰

არსებითაა მოვალის ქმედება იმდენად ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებასა და ზნეობას, რომ ხანდაზმულობის შესაგებელის ნამდვილობა, როგორც უფლების დაუშვებელი გამოყენება, ხანდაზმულობის მიზნებთან შეუსაბამოა.⁷³¹ ასეთი შემთხვევაა, როდესაც მოვალე პირდაპირ განაცხადებს უარს ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების უფლებაზე.⁷³² კეთილსინდისიერების პრინციპი კრედიტორს მხოლოდ იმ ვადით იცავს, რა ვადაშიც უფლების ბოროტად გამოყენების გარემოებები გრძელდება.⁷³³ ამ გარემოებების გაქრობის შემდეგ, ხანდაზმულობის ვადის ხელახლა დენა ან მისი შეჩერება არ ხდება, არამედ კრედიტორმა ლოგიკურად სწრაფ დროში უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის აღსრულება.⁷³⁴

მაგალითისთვის, ერთ-ერთ გერმანულ საქმეში მოვალეებმა, მიუხედავად იმისა, რომ უარი ჰქონდათ ნათქვამი ხანდაზმულობის შესაგებელის გამოყენებაზე, შეატყობინეს კრედიტორს რომ ისინი აპირებდნენ ამ უფლებით სარგებლობას.⁷³⁵ გერმანიის ფედერაციულმა უზენაესმა სასამართლომ ამ შეტყობინებიდან 6

⁷²⁷ BGH, IX ZR 65/87, 21/01/1988.

⁷²⁸ შეად. BAG, 5 AZR 910/06, 07/11/2007.

⁷²⁹ შეად. BGH, IX ZR 202/86, 01/10/1987.

⁷³⁰ BGH, IX ZR 180/96, 18/12/1997.

⁷³¹ იქვე.

⁷³² BGH VI ZR 15/74, 20/01/1976.

⁷³³ იქვე.

⁷³⁴ იქვე.

⁷³⁵ იქვე.

კვირის შემდეგ აღძრული სარჩელი ჩათვალა ხანდაზმულად. სასამართლომ განმარტა რომ ცნობის მიღების შემდეგ კრედიტორი აღარ უნდა დაყრდნობოდა ხანდაზმულობის შესაგებელზე უარს და დაუყოვნებლივ უნდა აღეძრა სარჩელი.⁷³⁶ სასამართლომ ხაზი გაუსვა, უფლების ბოროტად გამოყენების შესაგებელი კრედიტორს ძალიან მოკლე, გარდამავალი პერიოდით აქვს და ამგვარი ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს, თუმცა იქვე მიუთითა, რომ დადგენილი პრაქტიკით, გონივრულად მიიჩნევა ერთი თვის ვადა.⁷³⁷

10.3. ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების აკრძალვა ანგლო-ამერიკულ სისტემაში

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, აშშ-ს რამდენიმე შტატში სასამართლომ განავითარა პრაქტიკა, რომ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება დაშვებულია, თუ მოთხოვნის რეალიზებას ხელი შეუშალა მოვალემ, ნებისმიერი გზით და ფორმით.⁷³⁸ ამ პოზიციას სასამართლო ესტოპელის პრინციპით ასაბუთებდა, რადგან ხანდაზმულობის ვადის შეჩერების წინაპირობები კანონით იმპერატიულად იყო დადგენილი და ასეთ შემთხვევას არ ითვალისწინებდა. კეთილსინდისიერებასა და ესტოპელზე დაყრდნობით სასამართლომ გვერდი აუარა კანონის ხისტ დანაწესს და დაამკვიდრა პრეცედენტული სამართალი. ანალოგიურად, სასამართლოები იმ შტატებში, სადაც აკრძალული იყო ხანდაზმულობის შესაგებელის გამორიცხვა შეთანხმებით, მაინც აღასრულებდნენ მას ესტოპელის დოქტრინის გამოყენებით, თუ მოთხოვნა წარდგენილი იყო ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან მალევე.⁷³⁹

⁷³⁶ იქვე.

⁷³⁷ იქვე.

⁷³⁸ *Dawson, John P, Estoppel and Statutes of Limitation*, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, supranote 3.

⁷³⁹ იქვე, 7.

შესაბამისად, ხანდაზმულობის შესაგებელის მიმართ ესტოპელი იმ შტატებშიც გამოიყენებოდა, რომლებიც უარყოფდნენ ხანდაზმულობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა შეთანხმების აღსრულებას.⁷⁴⁰ აღნიშნულის საფუძველია გარემოება, რომ ამგვარი შეთანხმებების დროს, ხშირ შემთხვევაში სახეზეა ესტოპელის წინაპირობები – მხარის ისეთი ქმედება, რამაც გამოიწვია კრედიტორის ნდობა და მოვალის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება.⁷⁴¹ მაგალითად კენტუკის შტატში, სასამართლო გამორიცხავდა ხანდაზმულობის ვადების თაობაზე ნებისმიერი მოდიფიკაციის ნამდვილობას. მიუხედავად ამისა, ესტოპელი დაშვებული იყო იმ მიზნით, რომ გაეგრძელებინა ხანდაზმულობის ვადა.⁷⁴² დღეს, აშშ-ს უმრავლეს შტატებში, ხელშეკრულებით ხანდაზმულობის ვადებზე შეთანხმება დასაშვებია და ამგვარი შეთანხმების აღსრულება აღარ წარმოადგენს პრობლემას.⁷⁴³ შესაბამისად, ესტოპელის დატვირთვა ისეთ შემთხვევებს მოიცავს, რომელიც გამოწვეულია მხარეთა არა პირდაპირი შეთანხმებით, არამედ ერთი მხარის მიერ მეორის შეფერხებით, წარადგინოს სარჩელი, მოქმედებით ან უმოქმედობით არასწორი წარმოდგენის შექმნით და ა.შ.⁷⁴⁴

ესტოპელის თუ გერმანული კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით, შესაძლებელია დელიქტური მოთხოვნების დაცვაც ხანდაზმულობისაგან, სადაც მოსარჩელები დაბრკოლდნენ სარჩელის წარდგენისაგან გამართლებული ნდობის, აშკარა დაპირების ანდა ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების

⁷⁴⁰ შეად. იქვე.

⁷⁴¹ იქვე, 10.

⁷⁴² იქვე, *supranote* 22.

⁷⁴³ *Michael E. Chaplin*, *Reviving Contract Claims Barred by the Statute of Limitations: An Examination of the Legal and Ethical Foundation for Revival*, 75 *Notre Dame L. Rev.* 1571 (2000). 1585.

⁷⁴⁴ *Michael E. Chaplin*, *Reviving Contract Claims Barred by the Statute of Limitations: An Examination of the Legal and Ethical Foundation for Revival*, 75 *Notre Dame L. Rev.* 1571 (2000). 1585.

შედეგად.⁷⁴⁵ შეცვლების და სხვა გამომრიცხავი ვადების მიმართაც იდენტურად მოქმედებს უფლების გამოყენების შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის გამო.⁷⁴⁶ ესტოპელი ხშირად, მოვალის დაპირებიდან მომდინარეობს, რომ იგი არ გამოიყენებს ხანდაზმულობის შესაგებელს.⁷⁴⁷ ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენება პირს ეკრძალება ყალბი ნდობის გამოწვევის გამო.⁷⁴⁸

აშშ-ში, ერთ-ერთ საქმეში სადაც შემთხვევის შედეგად მოსარჩელემ სხეულის დაზიანება მიიღო, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული კომპანიის წარმომადგენელმა დაარწმუნა მოსარჩელე, რომ მის წინაშე კომპანია გამოსწორებდა ამ ფაქტს.⁷⁴⁹ აღნიშნულ მოთხოვნაზე ორწლიანი ხანდაზმულობა მოქმედებდა. ორი წლის განმავლობაში, რამდენჯერმე მოიკითხა მოსარჩელემ მისთვის ანაზღაურების საკითხი, რაზეც პასუხი იყო, რომ მალე დაუკავშირდებოდნენ. ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ კომპანიამ შესაგებელი დააყენა. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში სახეზე არაა ესტოპელი. კომპანიის წარმომადგენლებს არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ დაებრკოლებინათ სარჩელის წარდგენა ან დაერწმუნებინათ მოსარჩელე, რომ მისი წარდგენა არ იყო საჭირო.⁷⁵⁰

საპირისპირო მაგალითისთვის, ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა დავა *The Commonwealth v. Verwayen*, სადაც პირი სახელმწიფოსგან, რომლის გაუფრთხილებლობის გამო ორი საზღვაო გემი შეეჯახა ერთმანეთს, სხეულის დაზიანების გამო

⁷⁴⁵ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 62-63; *Dawson, John P*, Estoppel and Statutes of Limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, 12.

⁷⁴⁶ MüKomm BGB, *Grothe*, §242, Rn 22.

⁷⁴⁷ *Cooke, Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. Date 2000, Oxford Scholarship Online, 2010, 120; *Michael E. Chaplin*, Reviving Contract Claims Barred by the Statute of Limitations: An Examination of the Legal and Ethical Foundation for Revival, 75 Notre Dame L. Rev. 1571 (2000). 1583.

⁷⁴⁸ *Cooke Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. Date 2000, Oxford Scholarship Online, 2010, 56.

⁷⁴⁹ *Kenyon v. United Electric Rys.*, 51 R. 1. 9 o, 151 A. 5 (1930).

⁷⁵⁰ იქვე, იხ. მითითება დავაზე: *Dawson, John P*, Estoppel and Statutes of Limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, supranote 41.

ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. სახელმწიფომ ერთი წელი გააჭიანურა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. დავამდეც და დავის დაწყების შემდეგაც, იგი არწმუნებდა მოსარჩელეს რომ არ გამოიყენებდა ხანდაზმულობის შესაგებელს. საბოლოოდ აღნიშნულ დავაში სასამართლომ აუკრძალა სახელმწიფოს, შესაგებლის დაყენება. თუმცა, სასამართლოს წევრებს სხვადასხვა პოზიცია ჰქონდათ, რა იყო ამ აკრძალვის საფუძველი. მათი უმრავლესობა ესტოპელზე უთითებდა, ხოლო ზოგს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს უარი შესაგებელზე, ჩვეულებრივი ხელშეკრულება იყო და ამიტომ იყო მისი შესაგებელი დაუშვებელი.⁷⁵¹

10.4. სახელმწიფოს შეზღუდვა მიუთითოს ვადებზე

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თანახმად, ხელისუფლება შეზღუდულია კეთილსინდისიერების პრინციპით როგორც საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, ასევე, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.⁷⁵² კეთილსინდისიერების პრინციპის ქვეკატეგორიებად, ევროპულმა სასამართლომაც განავითარა მყარი პრაქტიკა, venire contra factum proprium-ის, უფლების გაქარწყლების და უფლების ბოროტად გამოყენების სახით.⁷⁵³ ანალოგიურად, გერმანიაშიც, კეთილსინდისიერების პრინციპი და შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენების თუ ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების აკრძალვა მოქმედებს კერძო სამართალში და თავის ასახვას ასევე პოვებს საჯარო სამართალში.⁷⁵⁴

საჯარო-სამართლებრივ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა პოზიციაა, უნდა მიუთითოს თუ არა სახელმწიფომ ხანდაზმულობის შესაგებელზე.⁷⁵⁵ ერთი მხრივ, შესაგებელის

⁷⁵¹ *Cooke Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, pub. date 2000, Oxford Scholarship Online, 2010, 162.

⁷⁵² *Riesenhuber, Karl*, Europaisches Vertragsrecht, 2. Aufl. Berlin, 2006, 543.

⁷⁵³ იქვე, 544.

⁷⁵⁴ BVerwG VI C 112.63, 26.01.1966.

⁷⁵⁵ *Guckelberger, Annette*, die Verjährung im Öffentlichen Recht, Mohr Siebeck, Thübingen, 2004 436.

გამოყენება, ადმინისტრაციულ ორგანოს საქმეების მართვის და მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღების ნაწილია, რაც უნდა იცავდეს მას ვადაგასული, ან თუნდაც დაუსაბუთებელი მოთხოვნებისაგან, რომელიც იმდენად ხანდაზმულია, შეუძლებელია მატერიალური შესაგებელის დაყენება.⁷⁵⁶ შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული ადმინისტრაციული სასამართლოს მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ სახელმწიფო საქმეთა ეკონომიურად წარმართვის პრინციპიდან გამომდინარეც, რიგ შემთხვევებში ვალდებულია გამოიყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი.⁷⁵⁷ თუმცა, ხანდაზმულობის შესაგებელი შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ისევე როგორც კერძო სამართალში, ზნეობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო იყოს და შესაბამისად, დაუშვებელი.⁷⁵⁸ სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავაშიც კი, ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხანდაზმულობის შესაგებელის მითითებისას, ხომ არ ხდება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, კერძოდ, ხანდაზმულობის შესაგებელი ხომ არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება ან ადმინისტრაციულ ორგანოს/ ხელისფლებას, ხომ არ შეუშლია ხელი მოსარჩელისთვის რაიმე სახით, უფლების დროულ რეალიზებაში.⁷⁵⁹ ხანდაზმულობის შესაგებელი არ არის უფლების დაუშვებელი გამოყენება, მაშინ მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევა ვერ გახდება ამ შესაგებელის დაყენებისთვის საკმარისი.⁷⁶⁰ როგორც კერძო სამართალში, მისი გამოყენების წინაპირობები იდენტურია და არც აქ მოითხოვება ბრალის არსებობა, საკმარისია ვალდებული

⁷⁵⁶ *Guckelberger, Annette*, die Verjährung im Öffentlichen Recht, Mohr Siebeck, Thübingen, 2004, 436.

⁷⁵⁷ BVerwG 2 C 32.81, 25/11/1982.

⁷⁵⁸ BVerwG VI C 112.63, 26/01/1966.

⁷⁵⁹ შეად. *Guckelberger, Annette*, die Verjährung im Öffentlichen Recht, Mohr Siebeck, Thübingen 2004, 442.

⁷⁶⁰ BVerwG 2 C 14.05, 15/06/2006.

პირის ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედება.⁷⁶¹ საჯარო სამართალშიც მოქმედებს სამოქალაქო სამართალში და სასამართლოების მიერ განვითარებული უფლების ბოროტად გამოყენების შესაგებელი ხანდაზმულობის მიმართ, როცა ვალდებული პირი კრედიტორს ხელს უშლის, თუნდაც გაუცნობიერებლად, მოთხოვნის რეალიზებაში.⁷⁶²

10.5. მოთხოვნის გაქარწყლება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე

კეთილსინდისიერების პრინციპის და ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევის აკრძალვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია მოთხოვნის გაქარწყლების დოქტრინა, რომელიც ანგლო-ამერიკულ და კონტინენტურ ევროპაში თითქმის პარალელურად განვითარდა.⁷⁶³ აღნიშნული შესაგებელი წარმოიშობა უფლების განხორციელების შეუსაბამო ვადის გადაცილების ან შესაგებელის დაყენების ვადის გაჭიანურების დროს.⁷⁶⁴

10.5.1. ანგლო-ამერიკული *Laches*

ინგლისურ სამართალში არსებული *laches* დოქტრინა გულისხმობს, რომ ის, ვინც თავისი მოთხოვნის აღსრულებას მოითხოვს, უნდა მოქმედებდეს სწრაფად და გულმოდგინედ.⁷⁶⁵ თუ მოსარჩელეს „თავის უფლებებზე სძინავს“, როცა შეეძლო ემოქმედა, მოპასუხეს წარმოემოხა *laches* შესაგებელი, ხოლო სასამართლო, უარს უცხადებს

⁷⁶¹ BVerwG 2 C 32.81, 25/11/1982.

⁷⁶² შეად. BGH I ZR 61/52, 03/02/1953.

⁷⁶³ შეად: *Palmer, V. Vernon*, The many guises of Equity in a mixed Jurisdiction: A functional view of Equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995; *Heriot, L. Gail*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 1992; Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 87-110.

⁷⁶⁴ შეად: *Palmer, V. Vernon*, The many guises of Equity in a mixed Jurisdiction: A functional view of Equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995 61.

⁷⁶⁵ *Vaquer Antoni*, Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 54.

კრედიტორს მოთხოვნის განხორციელებაზე.⁷⁶⁶ ყველაზე ძველი წყარო, სადაც აღნიშნული ინსტიტუტი არის ნახსენები, ინგლისში 1311 წლით თარიღდება.⁷⁶⁷

ამ დოქტრინის გამოყენებისთვის, მხოლოდ მოსარჩელის ხანგრძლივი უმოქმედობა არ არის საკმარისი და ხანდაზმულობისაგან განსხვავებით, იგი განვითარდა უსამართლო შედეგის თავიდან აცილების მიზნით.⁷⁶⁸ ინგლისის მსგავსად, ამ დოქტრინამ აღიარება ჰპოვა აშშ-შიც, სადაც მას *estoppel by laches* უწოდებენ.⁷⁶⁹ ხანდაზმულობის შესაგებელისაგან განსხვავებით ის არ არის დამოკიდებული კანონით დადგენილი ვადის გასვლაზე. Laches ესტოპელი უფრო მცირე ვადის დროს გამოიყენება და საჭიროებს მტკიცებულებას, რომ უფლების დაგვიანებით განხორციელებამ მეორე მხარეს ლეგიტიმურად აფიქრებინა, რომ მის მიმართ უფლება აღარ განხორციელდებოდა.⁷⁷⁰ ესტოპელის გამოყენებისთვის, მხარემ უნდა აჩვენოს რომ: (1) პირმა შეუსაბამოდ გადააცილა თავისი მოთხოვნის დაყენების ვადას; (2) კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამოა მეორე მხარისადმი ამდენი ხნის უმოქმედობის შემდეგ მოთხოვნის დაყენება⁷⁷¹.

10.5.2. გერმანული *Verwirkung*

თავის მხრივ, გერმანიაში სასამართლო პრაქტიკამ განავითარა *Verwirkung*-ის დოქტრინა, რომელიც 1877 წლის გადაწყვეტილებაში

⁷⁶⁶ იქვე.

⁷⁶⁷ იქვე, 55.

⁷⁶⁸ *Heriot, L. Gail*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 1992 917.

⁷⁶⁹ იქვე.

⁷⁷⁰ *Palmer, V. Vernon*, The many guises of Equity in a mixed Jurisdiction: A functional view of Equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995 58.

⁷⁷¹ *Vaquer Antoni*, *Verwirkung* versus Laches: A Tale of Two Legal Transplants, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 57.

გამოიყენა სასამართლომ.⁷⁷² თუმცა, გერმანელ სამართლის მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, იგი ჯერ კიდევ რომის სამართალს, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, გროციუსის ეპოქას უკავშირდება.⁷⁷³ გერმანიაში, გაქარწყლება (*Verwirkung*) არ არის სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მას მხოლოდ პროცედურული ეფექტი აქვს და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისა და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების ერთ-ერთ სახედ განიხილება.⁷⁷⁴ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, მისი ეფექტია უფლების სამართლებრივი შინაარსის შეზღუდვა და მოთხოვნის მომსპობი შესაგებელია, ხოლო სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს თავისი ვალდებულებიდან გამომდინარე (*ex officio*).⁷⁷⁵ ვალდებულ პირს აქვს შესაბამისი გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი.⁷⁷⁶

უფლების გაქარწყლება გულისხმობს, რომ კრედიტორი კარგავს მოთხოვნას, თუ იგი მას დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენებს ისე, რომ ვალდებულ პირი აღნიშნულზე დაყრდნობით, პირის ქცევიდან გამომდინარე ირწმუნებს, რომ ამ უფლებას პირი მომავალშიც არ გამოიყენებს.⁷⁷⁷ მოთხოვნის მქონე პირის მოქმედება ობიექტურად ფასდება და მთავარი კრიტერიუმია, ობიექტური გადასახედიდან, ვალდებულ პირს შეეძლო თუ არა ევარაუდა და იმაზე დაყრდნობით ემოქმედა, რომ კრედიტორი მოთხოვნის რეალიზებას აღარ მოახდენდა, შესაბამისად, მისთვის შესრულების მოთხოვნა აღარ არის გონივრული.⁷⁷⁸

გერმანიაში, ნიუმბერგის ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო უფლების გაქარწყლება, როცა

⁷⁷² იქვე, 61. სამართლებრივ დოქტრინაში *Verwirkung* ნიშნავს 1. დაკარგვა, ხელიდან გაშვება (შესაძლებლობის, შემთხვევის) 2. ჩამორთმევა, (უფლების) აყრა. შეად, გერმანულ-ქართული სამართლებრივი ლექსიკონი.

⁷⁷³ იქვე.

⁷⁷⁴ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 242, Rn 90.

⁷⁷⁵ იქვე, Rn 96.

⁷⁷⁶ BGH II ZR 53/57, 19/05/1958.

⁷⁷⁷ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, § 242, Rn 87.

⁷⁷⁸ RGZ 155, 152; RGZ 158 [108].

სტომატოლოგმა შესაბამისი მკურნალობის ჩატარების შემდეგ, საპატიო მიზეზის გარეშე, 4 წლით დააყოვნა გადახდის მოთხოვნის გაგზავნა პაციენტთან. ამ მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო, რადგან ვადა აითვლებოდა შეტყობინების მიღების მომენტიდან. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა რომ არ არსებობს კანონით დადგენილი ვადა, რა ვადაშიც ექიმმა გადახდის მოთხოვნა უნდა გაუგზავნოს პაციენტს, ზოგადი ანალოგიური ქცევის სტანდარტიდან გამომდინარე, მიღებული წესია, რომ ექიმი პაციენტს შეტყობინებას ყველაზე გვიან, კალენდარული წლის ბოლოს უგზავნის. ექიმის მიერ ამგვარმა დაყოვნებამ, პაციენტს გონივრულად აფიქრებინა, რომ მოთხოვნის რეალიზებას იგი აღარ აპირებდა.⁷⁷⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოქტრინის გამოყენების წინაპირობებია:

(1) გარკვეული დროის გასვლა, თუმცა განსხვავებით ხანდაზმულობის ვადებისაგან, ვადა წინასწარ დადგენილი არ არის ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით ფასდება, ის ვადა, რომლის გასვლა საკმარისია ამ შემადგენლობის არსებობისთვის.⁷⁸⁰ იმის მიხედვით, რამდენად მძიმეა მოსარჩელის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, იმდენად უფრო მოკლე ვადა არის საკმარისი, რომ დაკმაყოფილდეს ეს წინაპირობა.⁷⁸¹ მეორე მხრივ, მხოლოდ დიდი ხნის გასვლა არ არის საკმარისი საფუძველი.⁷⁸² რასაკვირველია, უფლების გაქარწყლება, ისევე როგორც laches, უფრო მოკლე ვადაში დგება, ვიდრე ხანდაზმულობა. როგორც წესი, მოსარჩელეს აქვს უფლება, ისარგებლოს

⁷⁷⁹ OLG Nürnberg, Az. 5 W 2508/07, 09/01/2008.

⁷⁸⁰ *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 61.

⁷⁸¹ იქვე, 62.

⁷⁸² იქვე.

ხანდაზმულობის ვადის სრული მოცულობით, რაც არ არის კეთილსინდისიერების პრინციპთან წინააღმდეგობაში.⁷⁸³

(2) გარემოებების არსებობა, როცა მოსარჩელე უმოქმედოა. მთელი ზემოთ აღწერილი პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე უნდა იყოს უმოქმედო, ბრალის არსებობა არ არის აუცილებელი.⁷⁸⁴ ამასთან, უფლების მატარებელი პირი ისეთი გარემოებების არსებობისას უნდა რჩებოდეს უმოქმედოდ, როცა ობიექტურად მოსალოდნელია, რომ თუ პირს მოთხოვნის აღსრულება სურს, იგი არ მოიქცევა ამგვარად.⁷⁸⁵

(3) მოპასუხეს უნდა ჰქონოდა ნდობის ობიექტური საფუძველი, რომ მოთხოვნა აღარ განხორციელდებოდა და კრედიტორი არ ისახავდა მიზნად მის აღსრულებას, შესაბამისად, დაცულია მოპასუხის ლეგიტიმური ნდობა.⁷⁸⁶ ნდობა ლეგიტიმურია, თუ ვალდებულ პირს არ მიუძღვის როლი მოსარჩელის უმოქმედობაში და სახეზეა ნდობა მოთხოვნის არარსებობის მიმართ.⁷⁸⁷ ობიექტურად, მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენა იმგვარად უნდა ცვლიდეს ვალდებულ პირის მდგომარეობას, რომ გონიერი დამკვირვებელი აღნიშნულს კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე უსამართლოდ მიიჩნევდა.⁷⁸⁸ უფლების გაქარწყლება არ მოხდება, თუ კრედიტორის მიერ მოთხოვნის დროულ დაყენებას ხელი ვალდებულმა პირმა იმით შეუშალა, რომ კრედიტორი ენდობოდა მის კეთილსინდისიერებას, ხოლო ვალდებულმა პირმა თავისი ვალდებულებები დაარღვია.⁷⁸⁹ ასეთ შემთხვევაში,

⁷⁸³ *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 61.

⁷⁸⁴ *Palandt/Heinrichs*, *BGB*, 66. Aufl. 2007, §242, Rn 95.

⁷⁸⁵ *LAG Köln*, 13 (3) Sa 2/03, 03/07/2003.

⁷⁸⁶ *BGH*, II ZR 15/56, 27/06/1957.

⁷⁸⁷ *BGH* III ZR 93/77, 21/12/1978.

⁷⁸⁸ *BGH* 2 AZR 711/87, 20/05/1998.

⁷⁸⁹ *BGH* II ZR 352/02, 18/10/2004.

ყურადღება აღარ ექცევა იმ ფაქტს, რომ კრედიტორმა თავის მხრივ, დროულად არ შეამოწმა ვალდებული პირის ქმედებები.⁷⁹⁰

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ *Verwirkung* წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადების ვიწრო ტელეოლოგიური განმარტების შედეგს.⁷⁹¹ დასახელებულ დოქტრინას ვიწრო გამოყენება აქვს და მხოლოდ ისეთ სარჩელებს აბრკოლებს რომელიც უხეშად არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს.⁷⁹² მას შემდეგ, რაც გერმანიაში გსკ-ში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები შესამჩნევად შემცირდა, *Verwirkung*-ის გამოყენების არეალი შესაბამისად უფრო შეიზღუდა და ნაკლებად აქტუალური გახდა.⁷⁹³

გერმანული *Verwirkung*-ის ინსტიტუტი გაზიარებულია ესპანეთში და პორტუგალიაში; საბერძნეთი, ესტონეთი და ლატვია ასევე იზიარებს ამ დოქტრინას, როგორც გერმანული გავლენის ქვეშ

⁷⁹⁰ შეად. BGH II ZR 15/56, 27/06/1957, საქმე ეხებოდა საზოგადოებაში დირექტორად არჩეული პარტნიორის მიერ უფლებამოსილებების გადამეტებას, როცა სხვა პარტნიორები ენდობოდნენ მის კეთილსინდისიერებას და წლების განმავლობაში არ იყენებდნენ პარტნიორის კანონით დადგენილ უფლებას, შეემოწმებინათ კომპანიის მიმდინარე საქმიანობა.

⁷⁹¹ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 90-91.

⁷⁹² *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 70.

⁷⁹³ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §242, Rn 97. გერმანიაში ზოგადი ხანდაზმულობის ვადა 30 წელი იყო და უმეტეს მოთხოვნებსა და უფლებებზე აღნიშნული ვადა ვრცელდებოდა, აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ისეთი სარჩელების შეზღუდვა, რომელიც მართალია, ფორმალურად ჯდებოდა ხანდაზმულობის ვადებში, თუმცა მოვალისათვის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე რაიმე ვალდებულების დაკისრება გონივრული და სამართლებრივად გამართლებული არ იქნებოდა.

მყოფი სამართლებრივი სისტემები.⁷⁹⁴ იტალიაშიც არსებობს ანალოგიური ინსტიტუტი, ოდნავ განსხვავებული დასაბუთებით.⁷⁹⁵ უნიდროას პრინციპებში ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების არ არსებობის ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია შემდეგი ფაბულა:

*ა-ს და ბ-ს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების შესრულების ვადა მოსულია, მაგრამ ა არ ითხოვს მის დაბრუნებას და არ ახორციელებს ქმედებას მის აღსასრულებლად. ბ ფიქრობს, რომ ა-მ მას ვალი აპატია. ა-ს თავის მხრივ, არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ბ-ს აღნიშნული ეფიქრა. ა მოგვიანებით ითხოვს გადახდას. ბ-ს არ შეუძლია დააყენოს ა-ს უმოქმედობის შესაგებელი.*⁷⁹⁶

ცხადია, რომ ამგვარი მაგალითის პარალელურად, უნიდროას პრინციპებიც ეთანხმება და იზიარებს იგივე laches თუ *verwirkung*-ის დოქტრინას, რომელიც გამომდინარეობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების აკრძალვიდან.

ორივე დოქტრინა თანამედროვე სამართალშიც ეფექტურ და კარგ გადაწყვეტად მიიჩნევა, უფლების უსამართლო გამოყენების წინააღმდეგ, აძლევს რა მოპასუხეს პროცედურულ შესაგებელს სარჩელის შესაჩერებლად.⁷⁹⁷ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, ისინი სრულყოფენ ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომელიც დაფუძნებულია ფორმალურად

⁷⁹⁴ *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 64-65, პორტუგალიაშიც ფართოდ არის აღნიშნული დოქტრინა აღიარებული და ძირითადი მსჯელობა მიმდინარეობს მისი შესატყვისი სიტყვის დამკვიდრების თვალსაზრისით.

⁷⁹⁵ *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 66.

⁷⁹⁶ UNIDROIT Principles 2010, Art. 1.8, Co.2, example 6.

⁷⁹⁷ *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 71.

დაწესებული ვადის გასვლაზე, მიუხედავად სამართლიანობისა და მხარეთა ქცევისა.⁷⁹⁸

ქართულ სამართალში, ანალოგიური საკითხი არ განუხილავს საერთო სასამართლოებს. თუმცა, ისევე, როგორც ხანდაზმულობის შესაგებელის დაუშვებლობა, უფლების გვიანი რეალიზაცია, როცა ვალდებულ პირს სათანადო ნდობა ჰქონდა, შესაძლოა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებლად იქნას მიჩნეული, შესაბამისი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

მართალია, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მწირია ფართო გაგებით უფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვის შემთხვევები, თუმცა, მხარის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით გონივრულია მისი გამოყენება, იმ პირობებში, როდესაც ხანდაზმულობის დენის შეჩერების საფუძვლად სსკ-ში არ არის მითითებული მხარეთა მოლაპარაკების პროცესი.

ამავდროულად, შედარებითი სამართლის ანალიზი აჩვენებს, რომ ერთმანეთისგან არ იმიჯნება, ვის ეკრძალება უფლების გამოყენება – სახელმწიფოს, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს თუ ნებისმიერ სხვა კერძო კომპანიას თუ ფიზიკურ პირს. მთავარია, უფლების გამოყენება იყოს კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო.

11. ხანდაზმულობის ვადების დისპოზიციურობა

11.1. სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვა ხანდაზმულობის იმპერატიული დანაწესით

თავისთავად მოთხოვნის ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობა კერძო სამართალში უკვე განაპირობებს მხარეთა ნების ავტონომიის შეზღუდვას. ქართველი კანონმდებელი უფრო შორს მიდის და სსკ-

⁷⁹⁸ *Vaquer Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 72.

ის 146-ე მუხლით აწესებს, რომ დაუშვებელია ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეების მიერ.⁷⁹⁹ მოცემული ნორმა ამკრძალავი ხასიათისაა და მისი დარღვევა გამოიწვევს გარიგების ბათილობას სსკ-ის 54 მუხლის პირველი ალტერნატივის (კანონსაწინააღმდეგო გარიგება) საფუძველზე.

ნების ავტონომია პიროვნების თავისუფალი განვითარების კონსტიტუციური უფლებიდან არის ნაწარმოები.⁸⁰⁰ კერძო ავტონომიის გამოვლინების უმთავრესი ფორმა არის ინდივიდის სახელშეკრულებო თავისუფლება – საკუთარი პასუხისმგებლობით განსაზღვროს მისი შინაარსი და შევიდეს სამართლებრივ ურთიერთობაში.⁸⁰¹ ხელშეკრულების დადების თავისუფლება პირის არჩევანის შესაძლებლობაა, დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება, შეარჩიოს სასურველი კონტრაქტენტი⁸⁰² და მასთან შეთანხმებით, განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.⁸⁰³

როგორც კონსტიტუციურ უფლებათა უმრავლესობას, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასაც აქვს ზღვარი და არც მისგან ნაწარმოები კერძო ავტონომია არის შეუზღუდავი.⁸⁰⁴ სსკ-ის მე-10 მუხლი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის

⁷⁹⁹ შეად. *სვანაძე, გიორგი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი I, ჭანტურია რედ. 2017; მუხ. 146, ველი 1.

⁸⁰⁰ შეად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §103, Rn 1. კონსტიტუციიდან ნაწარმოებ სამოქალაქო კოდექსის დებულებებთან დაკავშირებით ასევე იხ: *კერესელიძე დავით*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-1, ჯეპლავის საქმიანობა, 26.

⁸⁰¹ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §103, Rn 1. შეად. ასევე: *ჭანტურია, ლადო* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. სამართალი, თბ. 2011, 61.

⁸⁰² *ჭანტურია, ლადო* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. სამართალი, 2011, 60;

⁸⁰³ შეად. *Zenker, Paulus*, Grenzen der Privatautonomie, JuS 2001, 1;

⁸⁰⁴ შეად. სსკ-ის მე-10 მუხლი: „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული.“

საწინააღმდეგო შეზღუდვას აწესებს, რომ ერთი მხარის თავისუფლება მეორის მოქმედების თავისუფლებას არ ემსხვერპლოს.⁸⁰⁵ სწორედ ამიტომ, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა ემყარება პირთა თანასწორობას, რომელშიც ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზება უზრუნველყოფილია შესატყვისი ბოჭვით.⁸⁰⁶ „კერძო ავტონომიის უპირველეს ზღვარი სხვა პირის კერძო ავტონომიაა“.⁸⁰⁷

სსკ-ის შექმნის დღიდან, 146-ე მუხლის შინაარსს ცვლილება არ განუცდია. მართალია, გერმანიაში, რომელიც საფუძვლად დაედო სსკ-ის შექმნას, ხანდაზმულობის ვადებზე განსხვავებული შეთანხმებები დაშვებულია, ქართველმა კანონმდებელმა გააზრებულად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასეთი შეთანხმება გამოერიცხა ქართულ სამართალში.

ეს შეზღუდვა, განსხვავებით ზოგადად ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობისგან, თანამედროვე კერძო სამართალში, ძნელი დასასაბუთებელია კერძო ავტონომიაში მისი შეუსაბამოდ უხეში ჩარევის გამო.

შესაძლოა კანონმდებლის მიზანია არ დაუშვას შეთანხმება, რომელიც ხანდაზმულობის ინსტიტუტს აზრს დაუკარგავს: 1) არ დაუშვას შეთანხმება არაგონივრულად ხანგრძლივ ვადებზე, რაც მოვალეს ჩააგდებს მძიმე მდგომარეობაში, ასევე 2) არ დაუშვას შეთანხმება განსაკუთრებით მოკლე ვადებზე, რამაც შეიძლება კრედიტორის ინტერესების შელახვა გამოიწვიოს. კანონი არ უშვებს არანაირი ალტერნატიული შეთანხმების შესაძლებლობას ხანდაზმულობის თაობაზე, რომლის სავარაუდო მიზანი სახელშეკრულებო თავისუფლებით ბოროტად სარგებლობის შეზღუდვაა.

⁸⁰⁵ შეად. Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §104, Rn 1.

⁸⁰⁶ *კერესელიძე, დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 8.

⁸⁰⁷ *Zenker, Paulus*, Grenzen der Privatautonomie, JuS 2001, 2.

ხანდაზმულობის დისპოზიციურობის მომხრეთა აზრით, კანონმდებლობით შეუძლებელია განისაზღვროს ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებული ხანდაზმულობის ვადები და ისინი არასდროს იქნება ისეთი სრულყოფილი და სამართლიანი, როგორც მხარეთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის საფუძველზე კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში დადგენილი ხანდაზმულობის ვადებია.⁸⁰⁸ შესაბამისად, მისი მომხრეები მიიჩნევენ, რომ ხანდაზმულობის დისპოზიციურობას უფრო დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე მის იმპერატიულობას.⁸⁰⁹

ხანდაზმულობის უმთავრესი მიზანი მოვალის დაცვაა და თუ იგი თავად თანხმდება ხანდაზმულობისა ვადების შეცვლასა და შემცირებაზე, მაშინ მის ნების ავტონომიას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.⁸¹⁰

ხანდაზმულობის იმპერატიულობამ აიძულა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები, მისი გვერდის ავლით გაეხანგრძლივებინათ ან გამოერიცხათ ხანდაზმულობა, ისეთი ბერკეტების გამოყენებით, როგორცაა უარის თქმა ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე, ნოვაცია, მოთხოვნის წარმოშობის ვადის გადაწევა და სხვ.⁸¹¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მოდერნიზაციისას, სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე, არაპირდაპირი შეთანხმებების თავიდან აცილებისა და სამოქალაქო ურთიერთობებში უფრო მეტი განჭვრეტადობის შემოტანის მიზნით, ხანდაზმულობა დისპოზიციური გახდა.⁸¹² კანონმდებელმა დაინახა, რომ პრაქტიკაში ხანდაზმულობის იმპერატიულობამ, კერძოდ მისი

⁸⁰⁸ *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 165.

⁸⁰⁹ იქვე.

⁸¹⁰ იქვე, 2004, 163.

⁸¹¹ MüKomm BGB/Grothe §202 Rn 1 6. Aufl. 2012.

⁸¹² ცვლილებების შემუშავებისას გერმანიაში ამ მოტივებზე დაისვა აქცენტი: Begr. RegE, BT-Drucks. 14/6040, 110.

დამძიმების დაუშვებლობამ, მხარეები აიძულა სხვა გზებით გაეხანგრძლივებინათ ხანდაზმულობა.⁸¹³

ნების ავტონომიაში ამგვარი იმპერატიული ჩარევის არამართლზომიერება მარტივად დასტურდება, თუ კითხვაზე, ხანდაზმულობის დისპოზიციურობის ან ნაკლებად შემზღუდავი მოწესრიგების პირობებშიც მიღწევადია თუ არა ის მიზნები, რაც იმპერატიულ მოწესრიგებას უდევს საფუძვლად, დადებითი პასუხი მიიღება.

11.2. ვადების დისპოზიციურობა უნიფიცირებულ სამართალსა და სხვა ქვეყნებში

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში დაშვებულია ხანდაზმულობის თაობაზე შეთანხმებები, მითუფრო დასაშვებია შეთანხმებები მის გახანგრძლივებაზე იმ ქვეყნებში, სადაც კანონი ხანდაზმულობის მოკლე ვადებს ადგენს.⁸¹⁴ საბერძნეთსა⁸¹⁵ და იტალიაში⁸¹⁶, სადაც დიდი ხანია რეფორმები ამ კუთხით არ გატარებულა⁸¹⁷, ხანდაზმულობის ვადებზე შეთანხმება დაუშვებელია. იტალიაში ასევე დაუშვებელია მხარეთა შეთანხმება ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენებაზე უარის თქმა, ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში, ასეთი შეთანხმება მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგაა დასაშვები.⁸¹⁸ ინგლისში მოთხოვნის ხანდაზმულობა მრავალი წელია დისპოზიციური სამართალია.⁸¹⁹

⁸¹³ იქვე.

⁸¹⁴ *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 164.

⁸¹⁵ იქვე.

⁸¹⁶ შეად: იტალიის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2936.

⁸¹⁷ *Asam, Herbert*, Verjährung Kaufverträglicher Ansprüche im Italienischen Recht, RIW, 1992, Heft 10, 799.

⁸¹⁸ იტალიის სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 2937.

⁸¹⁹ *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 163; ინგლისის სასამართლოების უძველესი გადაწყვეტილებები: Home Insurance Co. of New York v. Victoria Montreal

ავსტრალიის ახალი ხანდაზმულობის კანონი ითვალისწინებს მხარეთა მიერ ხანდაზმულობის ვადების შემოკლებას ან გაგრძელების შესაძლებლობას.⁸²⁰

შვეიცარიამ წლების წინ დაწყებული რეფორმის⁸²¹ პროცესი, რომელიც ვალდებულებით სამართალის, მათ შორის, ხანდაზმულობის ცვლილებებს ითვალისწინებდა, 2018 წლის ივნისში დაასრულა.⁸²² ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ახალი ნორმები ამოქმედდა 2020 წლის 1 იანვრიდან.⁸²³ უნიფიცირებული ხანდაზმულობის ვადების შემოღების პარალელურად, ახალი მოწესრიგება ითვალისწინებს მხარეთა მიერ ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენებაზე უარს კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადებში.⁸²⁴ მართალია დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკით ასეთი შეთანხმება აღიარებული იყო, თუმცა მან საკანონმდებლო ნორმის სახე მიიღო და დაკონკრეტდა დისპოზიციურობის ფარგლები.⁸²⁵ მხარეთა მიერ ხანდაზმულობის ვადის გაზრდა სწორედ ამ ინსტიტუტის მეშვეობით ხდება შვეიცარიაში.⁸²⁶

ფრანგული კანონმდებლობით, ხანდაზმულობის შემამსუბუქებელი შეთანხმება ნამდვილია, თუმცა ვადების

Fire Insurance Co., (1907) A.C. 59; Atlantic Shipping & Trading Co. v. Louis Dreyfus & Co., (1922).

⁸²⁰ Handford, Peter, A New Limitation Act for the 21st Century, 2006-2007, 28.

⁸²¹ შეად. ცვლილების საჭიროების თაობაზე: Gauch, Peter, Verjährungsunsicherheit Ein Beitrag zur Verjährung privatrechtlicher Forderungen, Festschrift für Erwin Murer zum 65. Geburtstag, Bern 2010, 239; იხ. ასევე ცვლილებების პროექტის თაობაზე შედარებით-სამართლებრივი კვლევა: Obligationenrecht, Revision des Verjährungsrechts - Bericht zum Vorentwurf, Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement EJPD, 2011.

⁸²² იხ.: Obligationenrecht (Revision des Verjährungsrechts) Änderung vom 15. Juni 2018, Schweizerische Eidgenossenschaft.

⁸²³ Krauskopf Frédéric / Märki Raphael, Wir haben ein neues Verjährungsrecht! Darstellung der neuen Gesetzesnormen mit Anmerkungen, in : Jusletter 2 juillet 2018, 17.

⁸²⁴ იქვე, 15.

⁸²⁵ იქვე. 14.

⁸²⁶ რეფორმამდე მართალია კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებდა, თუმცა შვეიცარიის სასამართლოებმა დაუშვეს ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება ხელშეკრულებით, შეად. Bucher, Eugen Verjährung: gute Schritte in guter Richtung, Bemerkungen aus Anlass von BGE 132 III 226-24(4C.296/2005), Recht, Heft 4, 2006, 7.

გახანგრძლივების პირობა არა.⁸²⁷ მიუხედავად ამისა, უახლოეს წარსულში საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ დაუშვა შეთანხმება ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების შესახებ.⁸²⁸

უნგრეთში დასაშვებია მხარეთა მიერ ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებზე შეთანხმება, თუმცა იგი აუცილებლად უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და ბათილია შეთანხმება, რომელიც ხანდაზმულობას სრულიად გამორიცხავს.⁸²⁹ აღნიშნული რეგულაცია კრიტიკის საგანი გახდა ხანდაზმულობის ბოროტად გამოყენების ალბათობის გამო.⁸³⁰ თუმცა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ ხანდაზმულობის თავიდან ასარიდებლად მხარეებს წარმატებით შეუძლიათ სხვა სამართლებრივი გზების გამოყენებაც, როგორცაა მაგალითად ვალის აღიარება, აღნიშნული კრიტიკა არ იქნა გათვალისწინებული.⁸³¹

ინგლისში, 1980 წლის ხანდაზმულობის აქტის მიხედვით, ხანდაზმულობის წესები მისი ვადები, დასაწყისი და სხვ. სრულიად თავისუფლად შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულებით.⁸³²

გერმანიის სამოქალაქო სამართალში სახელშეკრულებო თავისუფლება მოიცავს მხარეთა თავისუფლებას, შეთანხმდნენ მოთხოვნის ხანდაზმულობის კანონისაგან განსხვავებულ მოწესრიგებაზე.⁸³³ გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმა განხორციელდა 2002 წელს, რომლის შედეგად მოთხოვნის ხანდაზმულობის მარეგულირებელმა ნორმებმა ცვლილება

⁸²⁷ *Janke, Benjamin West/Licari, François-Xavier*, the French Revision of Prescription: A Model for Louisiana? *Tulane Law Review*, Volume 85, No. 1, 2010, 27.

⁸²⁸ იქვე.

⁸²⁹ *Pusztahelyi, Rdká*, the time limits for enforcing claims and exercising rights: Preclusive terms and Periods of Limitation in the Light of the Proposal of the new hungarian Civil Code, *Zbornik radova Pravnog fakulteta Novi Sad*, 2012, 558.

⁸³⁰ იქვე.

⁸³¹ იქვე, 559; უნგრეთის სამოქალაქო კოდექსი მუხლი 325 (2).

⁸³² მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმების მოდერნიზაცია წლებია არ მომხდარა, იხ.: *Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark*, Schweizerisches Institut fuer Rechtsentwicklung 2011 34.

⁸³³ *MüKomm BGB/Grothe*, §202 Rn 1, 6. Aufl., 2012.

განიცადა. მაგ.: რეფორმამდე დაუშვებელი იყო ხანდაზმულობის ვადების გაზრდა ხელშეკრულებით.⁸³⁴ დღეს სახელშეკრულებო თავისუფლება ვრცელდება როგორც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების შემცირებასა და გაზრდაზე, ასევე მისი გამოთვლის წესის შეცვლაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნიფიცირებული სამართლის მიდგომა ხანდაზმულობის დისპოზიციურობასთან დაკავშირებით. ნიუ იორკის 1974 წლის კონვენცია⁸³⁵ გამორიცხავს ხანდაზმულობის ვადების მოდიფიკაციის შესაძლებლობას.⁸³⁶ ლანდოს⁸³⁷ კომისიამ 2001-2003 წლებში ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით (PECL), შეიმუშავა ევროპის ხანდაზმულობის სამართლის ძირითადი წესები.⁸³⁸ რომლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ ხანდაზმულობის წესების, მათ შორის, ვადების შეცვლა შემდეგი შეზღუდვის გათვალისწინებით: შეთანხმებული ხანდაზმულობა არ უნდა იყოს ერთ წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს.⁸³⁹ DCFR ეყრდნობა რა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებს, ანიჭებს მხარეებს ხანდაზმულობის პერიოდისა და წესების შეცვლის უფლებას ზუსტად ანალოგიური ჩარჩოებით.⁸⁴⁰ ბელგიაში მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ან მისი გაგრძელების დამატებითი საფუძვლები, მაგრამ არ შეიძლება კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების შეცვლა.⁸⁴¹ აღნიშნული შეზღუდვა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაკრიტიკებულია და მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობა უფრო

⁸³⁴ Allgemeines Teil des BGB Rühlers/Stadler, 13. Auflage, 2003 Verlag C.H. Beck, § 9, Rn 7.

⁸³⁵ The Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods.

⁸³⁶ იქვე, Art. 22.

⁸³⁷ ევროპული სახელშეკრულებო სამართლის (ლანდოს) კომისია.

⁸³⁸ Principles of European Contract Law (PECL), მუხლები:14:101-14:601.

⁸³⁹ PECL მუხლი 14:601.

⁸⁴⁰ DCFR III 7:601.

⁸⁴¹ *Storme, Matthias E*, Extinctive Prescription in Belgian private law – old questions and recent developments, 12.

დისპოზიციური უნდა იყოს და საჯარო ინტერესის არსებობა ამ ინსტიტუტის მიმართ, არ ქმნის ლეგიტიმურ საფუძველს მისი იმპერატიული მოწესრიგებისათვის.⁸⁴²

11.3. შეზღუდვების ფუნქცია გერმანული მიდგომის მაგალითზე

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 202-ე მუხლის თანახმად (1) განზრახვისათვის პასუხისმგებლობისას ხანდაზმულობის წესები არ შეიძლება გარიგებით წინასწარ შემსუბუქდეს, (2) მხარეთა მიერ შეთანხმებული ხანდაზმულობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებიდან 30 წელს.⁸⁴³

გერმანიაში ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებით კანონი იმპერატიულია მხოლოდ ზემოთხსენებულ შემთხვევებში. თუმცა არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც. გერმანული პრაქტიკის მიხედვით, ხანდაზმულობის შეთანხმება არ საჭიროებს წერილობით ფორმას.⁸⁴⁴ გაბატონებული შეხედულების მიხედვით, რომელსაც ბევრი არ იზიარებს, ასეთი ფორმა მაშინაც არ არის საჭირო, როცა თავად ხელშეკრულების არსი ასეთ ფორმას ითვალისწინებს.⁸⁴⁵ მტკიცების ტვირთის მატარებელმა მხარემ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დაამტკიცოს ხანდაზმულობის ვადებზე შეთანხმების არსებობა.⁸⁴⁶ შეთანხმება შესაძლებელია ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც კანონით ექვემდებარება ხანდაზმულობას. მოთხოვნა, რომელიც კანონით საერთოდ არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, არ შეიძლება შეთანხმების საგანი გახდეს.⁸⁴⁷ ხელშეკრულებით

⁸⁴² იქვე, 26.

⁸⁴³ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §202.

⁸⁴⁴ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §202, Rn 5.

⁸⁴⁵ MüKomm BGB/Grothe, 6. Aufl. 2012, §202, Rn. 5, საწინააღმდეგო მოსაზრება შეად: Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §202, Rn 5.

⁸⁴⁶ MüKomm BGB/Grothe 6. Aufl. 2012, §202 Rn 5.

⁸⁴⁷ იქვე, Rn 6.

შესაძლებელია ასევე ხანდაზმულობის შეჩერების საფუძვლების გამორიცხვა, ან დამატებით საფუძვლებზე შეთანხმება.⁸⁴⁸

იმპერატიულად აკრძალულია და სასამართლო პრაქტიკითაც განვითარდა გარკვეული ტიპის შეზღუდვები, რომელთა მიზანი უფლების ბოროტად გამოყენებისგან მხარეთა დაცვა, სუსტი მხარის დაცვა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფაა. აღნიშნული მიიღწევა სახელშეკრულებო თავისუფლებაში მინიმალური ჩარევის გზით.

11.3.1. ხანდაზმულობის პირობების შემსუბუქება

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 202 I მუხლი, რომელიც, განზრახვისათვის პასუხისმგებლობისას ხანდაზმულობის წესების გარიგებით შემსუბუქებას კრძალავს გსკ-ის 276 III მუხლის დაკონკრეტებაა, რომლის მიხედვით არ შეიძლება განზრახვისას მოვალის პასუხისმგებლობის წინასწარ გამორიცხვა.⁸⁴⁹ გერმანელი კანონმდებლის მიერ სისტემური მიდგომის უზრუნველსაყოფად დაწესდა ეს შეზღუდვა ხანდაზმულობის სფეროშიც.⁸⁵⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აწესებს მაქსიმალურ ხანდაზმულობის ვადას, 30 წელს, რომელზე მეტ ვადას, მხარეები მოთხოვნის ხანდაზმულობის მიმართ, ვერ შეათანხმებენ. თუმცა კანონი არ ითვალისწინებს ასეთივე მინიმალურ ზღვარს.

გერმანიის ფედერალურმა საბჭომ (ბუნდესრატი) ვალდებულებითი სამართლის რეფორმის მსვლელობისას წარმოადგინა შეხედულება 202-ე მუხლთან დაკავშირებით.⁸⁵¹

⁸⁴⁸ იქვე.

⁸⁴⁹ იქვე, Rn 7.

⁸⁵⁰ BR BT-Drucks. 14/6040, 10; სსკ-ის 395.2 მუხლიც ანალოგიურ ჩანაწერს შეიცავს: „დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისგან მისი გათავისუფლების შესახებ.“

⁸⁵¹ შეად. BR, BT-Drucks. 14/6857, 7: „Nach § 202 Abs. 2 BGB-E wäre es möglich, vertraglich zu vereinbaren, dass alle Ansprüche sofort verjährt sind. Eine solche Regelung könnte außerhalb der Inhaltskontrolle von Allgemeinen Geschäftsbedingungen nur am Maßstab

ბუნდესრატის აზრით, შემოთავაზებული რედაქციის 202-ე მუხლის II ნაწილში გონივრული იქნებოდა მინიმალური ვადის დაწესება, რომელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის შეთანხმება მხარეებს არ შეეძლებოდათ.⁸⁵² აღნიშნული დასაბუთებული იყო იმ საფრთხით, რომ სრული დისპოზიციურობა დაუშვებდა ისეთ შეთანხმებაც, რომლის მიხედვით ყველა მოთხოვნა წარმოშობისთანავე ხანდაზმულია.⁸⁵³ ასეთი შეთანხმება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსებობისას ექვემდებარება შინაარსობრივ კონტროლს სამოქალაქო კოდექსის 307-309-ე მუხლებიდან (სტანდარტული პირობები) გამომდინარე. სხვა შემთხვევაში გარიგების შეფასება მოხდებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე (ამორალური გარიგება) და 242-ე (ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად) მუხლების მასშტაბით.⁸⁵⁴ აღნიშნულის თავიდან აცილება, ბუნდესრატის აზრით, შესაძლებელი იქნებოდა კანონში მინიმალური ხანდაზმულობის ვადის დაწესებით.⁸⁵⁵

გერმანიის ხელისუფლებამ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა და არ დაეთანხმა ბუნდესრატის წინადადებას.⁸⁵⁶ მისი არგუმენტის თანახმად, მინიმალური ვადის დათქმა გონივრული იქნებოდა, თუ იგი უზრუნველყოფდა მოთხოვნის სარეალიზაციოდ თანაზომიერი ვადის დაწესებას. ფედერაციის ხელისუფლების აზრით, შეუძლებელია კანონით ყველა მოთხოვნისათვის ერთიანი, თანაზომიერი მინიმალური ვადის გათვალისწინება.⁸⁵⁷ შესაბამისად,

der §§ 138 und 242 BGB überprüft werden. Dies könnte der Gesetzgeber verhindern, indem er in § 202 Abs. 2 BGB-E eine solche Mindestfrist vorgibt.”

⁸⁵² იქვე.

⁸⁵³ იქვე.

⁸⁵⁴ იქვე.

⁸⁵⁵ იქვე.

⁸⁵⁶ BReg., BT-Drucks. 14/6857, 43.

⁸⁵⁷ იქვე: “*Es ist nämlich nicht möglich, eine angemessene absolute Mindestfrist festzulegen. So kennt das geltende Recht beispielsweise eine sechswöchige Verjährungsfrist für bestimmte Mängelansprüche im Viehkauf (bisheriger § 490 BGB). Es dürfte kaum als unangemessen bezeichnet werden, wenn künftig Unternehmer beim Viehkauf eine solche sechswöchige Verjährungsfrist vertraglich vereinbaren. Umgekehrt wäre eine Zeitspanne*

ნორმაში შეიძლება მხოლოდ ზოგადი პრინციპის ჩაწერა, შეთანხმებული ვადის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონი თავისთავად განსაზღვრავს სხვადასხვა მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს. ხოლო 202-ე მუხლში დათქმის გაკეთება, რომ კანონისაგან განსხვავებული ხანდაზმულობის ვადა უნდა იყოს თანაზომიერი, გააჩნდა აზრს, რომ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, როგორც არ უნდა იყოს იგი, უფრო მაღალია, ვიდრე თანაზომიერი ვადა.⁸⁵⁸

საბოლოოდ, ბუნდესრატმა გაიზიარა ხელისუფლების პოზიცია და ნორმის დღევანდელი რედაქცია არ ითვალისწინებს არც მინიმალურ ვადას და არც მინიშნებას მის თანაზომიერებაზე, რადგან კანონმდებელმა დისპოზიციური მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების რეგულაციით უკვე განსაზღვრა სავარაუდო თანაზომიერი ვადა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევენ, რომ აღნიშული მისასაღმებელია, ვინაიდან მინიმალური ვადის დადგენის ლეგიტიმური მიზანი და აუცილებლობა, განსხვავებით ხანდაზმულობის ვადის ზედა ზღვრისა, არ არსებობდა.⁸⁵⁹

მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლება, ბუნებრივია იზღუდება კეთილსინდისიერების პრინციპით. ამას გარდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც ზღუდავენ 202-ე მუხლით დადგენილ სახელშეკრულებო თავისუფლებას.

მაგალითისთვის, ასეთ შეზღუდვას ითვალისწინებს სამომხმარებლო ნასყიდობა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს, როცაა ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე მომხმარებელია, მეორე კი მეწარმე.⁸⁶⁰ გერმანიის სამოქალაქო

von sechs Wochen in vielen anderen Fällen zu kurz, beispielsweise bei rechtlich und tatsächlich schwierigen vertraglichen Ansprüchen..."

⁸⁵⁸ იქვე: "...Die Aussage, die gesetzlichen Verjährungsfristen dürften nur auf eine zur Geltendmachung des Anspruchs angemessene Frist verkürzt werden, impliziert, dass die gesetzlichen Verjährungsfristen grundsätzlich länger als angemessen sind."

⁸⁵⁹ დაწვრილებით იხ. მომდევნო ქვე-ქვეთავში.

⁸⁶⁰ შუად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §§ 474-479.

კოდექსის 475-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 437-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნებისათვის (ნაკლიანი შესრულება), არ შეიძლება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 2 წელზე ნაკლები იყოს – ახალი ნივთის ყიდვის შემთხვევაში, და 1 წელზე ნაკლები – ნახმარი ნივთის შეძენისას.⁸⁶¹ აღნიშნული შეზღუდვა ეხება მხოლოდ ნაკლიანი შესრულებიდან წარმოშობილ მოთხოვნას და არ ვრცელდება სხვა მოთხოვნებზე.⁸⁶² სპეციალურ ნორმას ითვალისწინებს აგრეთვე სამოგზაურო ხელშეკრულება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 651მ მუხლში, რომლის მიხედვით არ შეიძლება ნაკლიანი შესრულებისათვის მოთხოვნებზე 1 წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის შეთანხმება.⁸⁶³

გერმანიის 202-ე მუხლით დადგენილი ფართო სახელშეკრულებო თავისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.⁸⁶⁴ 309-ე მუხლის №7ა-ს თანახმად, დაუშვებელია სტანდარტული პირობით იმ მოთხოვნისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელიც გამომდინარეობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებიდან. აღნიშნული ნორმის სუბსუმციის შედეგად ცხადია, რომ ხანდაზმულობის ვადების შემცირება პასუხისმგებლობის შემსუბუქების ერთ-ერთი ფორმაა. შესაბამისად ავტომატურად ბათილია განზრახ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შემცირება.⁸⁶⁵ 309-ე მუხლის №7ბ-ს თანახმად, დაუშვებელია ხანდაზმულობის შემცირება სხვა ისეთი მოთხოვნებისთვის,

⁸⁶¹ შეად. იქვე, §§ 475, 437.

⁸⁶² MüKomm BGB/Grothe 6. Aufl., 2012, §202 Rn 8.

⁸⁶³ ვრცლად იხ.: MüKomm BGB/Grothe, 6. Aufl., 2012, §202 Rn. 9.

⁸⁶⁴ Brox/Walker Allgemeines Schuldrecht, 32 Aufl. 2007 München, Verlag C.H. Beck, § 4, Rn 29.

⁸⁶⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მთლიანად ბათილად ცნობს ისეთ შეთანხმებას, როცა სტანდარტულ პირობაში მოთხოვნის ვადის შემცირების დათქმა ზოგადია და არ კონკრეტდება რომელი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა მცირდება შეთანხმებით. მაგალითისთვის შეად.: BGH, Xa ZR 141/07, 26/02/2009.

რომელიც გამომდინარეობს სტანდარტული პირობის დამდგენის უხეში გაუფრთხილებლობიდან, მისი წარმომადგენლის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობიდან. 309-ე მუხლის №8ა კრძალავს მოთხოვნის ხანდაზმულობის შემსუბუქებას თუ პირობით გათვალისწინებულია, რომ მხარის მიერ სტანდარტული პირობის შეუსრულებლობისას კრედიტორს ეძლევა ხელშეკრულების მოშლის უფლება.

სასამართლო 307-309-ე მუხლების მეშვეობით ახდენს სტანდარტული პირობების შინაარსობრივ კონტროლს.⁸⁶⁶ 307 მუხლი ზოგადი ხასიათისაა და თუ მხარეთა შორის არსებული გარიგება არ არის ბათილი 308-309 მუხლების მიხედვით, მოწმდება სტანდარტული პირობის შესაბამისობა 307-ე მუხლთან.⁸⁶⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სტანდარტული პირობა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შესახებ ბათილია, 306-ე მუხლის 2 ნაწილის თანახმად, გამოიყენება კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები.⁸⁶⁸

307-ე მუხლის მიხედვით: (1) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სამართლებრივი ძალის არქონეა, თუ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ისინი შეუსაბამოდ საზიანოა მეორე მხარისათვის. შეუსაბამო ზიანი ასევე შეიძლება წარმოიშვას იქიდან, რომ პირობა არ არის ნათელი და გასაგები. (2) საეჭვოობისას შეუსაბამო ზიანი ივარაუდება, თუ პირობა ა) არ შეესაბამება იმ საკანონმდებლო დანაწესის ძირითად პრინციპებს, რომელთაგანაც იგი უხვევს ან ბ) იმ არსებით უფლებებსა თუ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, ზღუდავს იმგვარად, რომ საფრთხე ექმნება ამ ხელშეკრულების მიზნის მიღწევას. (3) პირველი და მეორე ნაწილები, ისევე როგორც 308 და 309-ე მუხლები მოქმედებს მხოლოდ იმ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ,

⁸⁶⁶ *Brox/Walker Allgemeines Schuldrecht*, 32 Aufl., §4, Rn 46.

⁸⁶⁷ იქვე, Rn 47.

⁸⁶⁸ *MüKomm BGB/Grothe*, 6. Aufl., 2012, §202 Rn 10.

რომელთა საფუძველზეც შეთანხმებულია საკანონმდებლო ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემცვენი მოწესრიგება.⁸⁶⁹

გერმანიის სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, როცა აუცილებელი გახდა სტანდარტულ პირობებში შეთანხმებული მოთხოვნის ხანდაზმულობის შინაარსობრივი კონტროლი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე განიხილა მიუნხენის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ.⁸⁷⁰ საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში ონლაინ გაყიდვების მაღაზია ამაზონმა დააწესა, რომ: (1) სასაჩუქრე ბარათის გამოყენება შეიძლებოდა მისი გამოცემიდან ერთი წლის განმავლობაში. (2) ამ ვადის გასვლის შემდეგ ბარათზე დარჩენილი თანხა მხარისათვის აღარ იყო ხელმისაწვდომი.

გერმანიის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ⁸⁷¹ მიუთითა, რომ ხელშეკრულების ორივე სტანდარტული პირობა ბათილი იყო, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 307-ე მუხლის I ნაწილის I წინადადებას. მისი აზრით, ასეთი პირობა კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, შეუსაბამოდ საზიანო მდგომარეობაში აყენებს ხელშეკრულების მეორე მხარეს.⁸⁷² პირობა არა თანაზომიერია, ვინაიდან მისი დამდგენი ცალმხრივად დაწესებული დათქმით ცდილობს ბოროტად, ხელშემკვრელი მხარის ხარჯზე საკუთარი ინტერესების გატარებას.⁸⁷³ სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის შემსუბუქება თანაზომიერია მხოლოდ მაშინ, როცა არის ისეთი უპირატესი, ან სულ მცირე თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესი პირობის დამდგენისა, რომელიც გაამართლებდა ასეთ დათქმას.⁸⁷⁴

⁸⁶⁹ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §307.

⁸⁷⁰ შეად. OLG München, 29 U 3193/07, 17/01/2008.

⁸⁷¹ იქვე.

⁸⁷² იქვე.

⁸⁷³ იქვე.

⁸⁷⁴ შეად. ასევე, აგრეთვე გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს განმარტება, BGH, X ZR 10/04, 01/02/2005: *“Eine formularmäßige Vertragsbestimmung ist unangemessen, wenn der Verwender durch einseitige Vertragsgestaltung mißbräuchlich eigene Interessen auf Kosten seines Vertragspartners durchzusetzen versucht, ohne von*

ამაზონმა დათქმის არსებობა დაასაბუთა იმით, უფრო ხანგრძლივი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის არსებობის შემთხვევაში საბუღალტრო წარმოების ხარჯები მას მნიშვნელოვნად გაეზრდებოდა.

სასამართლომ აღნიშნული არ ჩათვალა ჯანსაღ ინტერესად იმისათვის რომ ამაზონს: ა) შეემცირებინა ხანდაზმულობის ვადა 1 წლამდე და ბ) ვადის გასვლის შემდეგ არ დაებრუნებინა გამოუყენებელი თანხა, რომელიც დარჩა სასაჩუქრე ბარათზე. ორივე პირობის თანადროული არსებობა უფრო ამძიმებდა დათქმას. ამაზონმა თავად აირჩია სახელშეკრულებო ურთიერთობის ფორმა და აქედან წარმოშობილი ფინანსური ხარჯებისათვის ტვირთის გადასვლა მყიდველზე არათანაზომიერი იყო.⁸⁷⁵ სასამართლომ მიუთითა, რომ ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოქმედებს ეკვივალენტობის პრინციპი – მიღებული და საპასუხო შესრულება უნდა იყოს თანაბარმნიშვნელოვანი. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა გამათანაბრებელ დათქმას, რომელიც გაამართლებდა მოვალის მიმართ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შემსუბუქებას.⁸⁷⁶

სასამართლოს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომ კანონმდებელმა რეფორმის განხორციელებისას 195–ე მუხლში მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა დაადგინა. მოთხოვნა წარმოიშობა მხარის სუბიექტური ცოდნის მომენტიდან და მისი განხორციელება შესაძლებელია 3 წლის განმავლობაში.⁸⁷⁷ აღნიშნულით მან იმთავითვე გაატარა მოვალის ინტერესი. შესაბამისად, სტანდარტული პირობით ხანდაზმულობის ვადის შემცირების კანონიერების მიმართ მოთხოვნა ამაღლდა.⁸⁷⁸

vornherein auch dessen Belange hinreichend zu berücksichtigen und ihm einenangemessenen Ausgleich zuzugestehen”.

⁸⁷⁵ OLG München, 29 U 3193/07, 17/01/2008.

⁸⁷⁶ იქვე.

⁸⁷⁷ *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 13. Aufl., Verlag C.H Beck § 9, Rn 6.

⁸⁷⁸ იქვე.

გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლო 2012 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით განამტკიცებს სასამართლოს არსებულ მიდგომას.⁸⁷⁹

განსახილველ საქმეში მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვდა ნარდობის ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული ელექტრო სამუშაოებისათვის შეთანხმებული საზღაურის მიღებას. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო კანონისაგან განსხვავებული ხანდაზმულობის ვადა: „შემსრულებლის ანაზღაურების მიღების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა არის 2 წელი.“ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, მოპასუხეს უკვე წარმოშობილი ჰქონდა ხანდაზმულობის შესაგებლის უფლება და მან მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობაზე.

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მოთხოვნა ხანდაზმულობის გამო არ დააკმაყოფილეს. უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნა მას ხელახლა განსახილველად.

უპირველესად, 307-ე მუხლის I ნაწილის I წინადადებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ: „დავალების მიმცემის მიერ სამშენებლო ხელშეკრულებით დათქმული სტანდარტული პირობა, რომლითაც შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 2 წლამდე მცირდება, ძალის არმქონეა, რადგან იგი შემსრულებელს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, არა თანაზომიერად ცუდ მდგომარეობაში აყენებს.“

სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთი პირობა ეწინააღმდეგება 195-ე მუხლის საკანონმდებლო მნიშვნელობას⁸⁸⁰ და მიუწინააღმდეგებს უზენაესი სამხარეო სასამართლოს მსგავსად აღნიშნა, რომ არ

⁸⁷⁹ BGH, VII ZR 15/12, 06/12/2012.

⁸⁸⁰ შეად: BGH, VII ZR 15/12, 06/12/2012: *“Sie verstößt gegen das gesetzliche Leitbild des § 195 BGB und es sind keine Interessen des Auftraggebers erkennbar, die eine derartige Verkürzung rechtfertigen könnten.”*

იკვეთება მენარდის არავითარი ინტერესი, რომელსაც მოთხოვნის ხანდაზმულობის ამგვარი შემცირების გამართლება შეეძლო.⁸⁸¹

როგორც ირკვევა, ზოგადი წესის თანახმად, გერმანიაში დასაშვებია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შემცირება და კანონი არ ადგენს ამ ვადის მინიმალურ ზღვარს. თუმცა გვხვდება სპეციალურ მოწესრიგებას დაქვემდებარებული ურთიერთობები, რომლებისთვისაც დადგენილია მოთხოვნის ხანდაზმულობის ზღვრული ვადა.

ხანდაზმულობის ვადების დისპოზიციურობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გამონაკლისს ქმნის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. კანონი პირდაპირ არ უთითებს, რომ სტანდარტული პირობით ხანდაზმულობის ვადების შემცირება დაუშვებელია. მაგრამ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი დათქმა, ზოგადად ბათილია და ეწინააღმდეგება მოთხოვნის ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმების არსსა და 307-ე მუხლს. გამონაკლისია პირობის დამდგენის დასაბუთებული, აღმატებული ან თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესი, რომელიც ასეთ შეზღუდვას გაამართლებს.

შესაძლოა დასკვნა, რომ გერმანიაში სასამართლო პრაქტიკამ დამატებით დააწესა კრიტერიუმი, რომლის არსებობა აუცილებელია სტანდარტული პირობებით მოთხოვნის ხანდაზმულობის შესამცირებლად.

11.3.2. ხანდაზმულობის ვადის გაზრდა შეთანხმებით

ხანდაზმულობის წესების გართულება შესაძლებელია მისი ვადის გაზრდით, ხანდაზმულობის ვადის დაწყების გადაწევით, ან კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადების დენის შეჩერებისა და მისი ხელახლა დაწყების საფუძვლებთან ერთად, სხვა, დამატებითი საფუძვლების შემოღებით.⁸⁸²

⁸⁸¹ იქვე.

⁸⁸² MüKomm BGB/Grothe, 6. Aufl. 2012, §202 Rn 11.

გერმანული კანონმდებლობა იმპერატიულად ერთადერთ გამონაკლისს ადგენს ასეთი დისპოზიციიდან – ხანდაზმულობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტიდან. ბუნებრივია, ისეთი ვადები, რომლებიც კანონით ისედაც 30 წელია, არ შეიძლება გაგრძელდეს.⁸⁸³ აღნიშნული აკრძალვის საწინააღმდეგო გარიგება ბათილია, მისი კანონთან წინააღმდეგობიდან გამომდინარე, მაგრამ ძალაში რჩება იმ ფარგლებში, რაც შესაბამისია კანონთან.⁸⁸⁴

ამის პარალელურად, ისევე, როგორც ხანდაზმულობის ვადის შემცირებისას, მის გაგრძელებაზეც, სტანდარტული პირობების შემთხვევაში, სპეციალური ნორმები და შეზღუდვები მოქმედებს.⁸⁸⁵ თუ ხელშემკვრელი მხარე მომხმარებელია და ხანდაზმულობის უფრო ხანგრძლივი ვადაა დადგენილი, მაშინ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემოწმების საგანია, რამდენად მიზანშეწონილია ვადა.⁸⁸⁶ თუ კანონით დადგენილ ვადას ამკარად და არსებითად აღემატება, მაშინ შეიძლება იგი შეუსაბამობად იქნას მიჩნეული და პირიქით, კანონით დადგენილ ვადასთან შედარებით შესაბამისობაში მყოფი ვადა, ვერ გახდება სადავო.⁸⁸⁷

მაგალითისთვის, გერმანული სასამართლო პრაქტიკით, შეთანხმება, რომელიც ხანდაზმულობის დაწყებას კრედიტორის ნებას უკავშირებს და არ აძლევს მოვალეს შესაძლებლობას, შეიტყოს მისი დაწყების შესახებ, ბათილია.⁸⁸⁸ ამის საწინააღმდეგოდ, შეთანხმება, რომელიც მოთხოვნის დაწყების თარიღს მაქსიმუმ 6 თვით გადაწევს, ნამდვილია.⁸⁸⁹ ბათილია ასევე დათქმა, სამართლებრივი ნაკლის გამო მოთხოვნის უფლების 10 წლით

⁸⁸³ იქვე, Rn 10.

⁸⁸⁴ იქვე.

⁸⁸⁵ *Fuder, Amrei*, Verlängerung und Hemmung der kurzen mietrechtlichen Verjährungsfrist nach der Schuldrechtsmodernisierung, NZM 2004, 851, 852.

⁸⁸⁶ MüKomm BGB *Grothe* § 202 Rn 12.

⁸⁸⁷ იქვე.

⁸⁸⁸ შეად. BGH VI ZR 99/85, 08/07/1986.

⁸⁸⁹ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §202 Rn 14.

განსაზღვრის შესახებ.⁸⁹⁰ ბათილია ასევე შეთანხმება, რომლის მიხედვით ყოველი დამატებითი შესრულების შემდეგ მოთხოვნის ხანდაზმულობა ხელახლა იწყება.⁸⁹¹

11.4. მხარეთა შეთანხმება შესაგებლზე უარის თქმის თაობაზე

ხანდაზმულობასთან დაკავშირებული შეთანხმების ერთ-ერთ სახედ ჩამოყალიბდა ხანდაზმულობის შესაგებლის უფლებით სარგებლობაზე უარის თქმა (*Verzicht auf die Einrede der Verjährung*),⁸⁹² ცალმხრივი ნების გამოვლენით შესაძლებელია მოვალემ უარი თქვას ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე. აღნიშნული დასაშვებია ხანდაზმულობის ვადის დადგომამდეც. უარი შესაგებლის გამოყენებაზე არ გამორიცხავს მოთხოვნის ხანდაზმულობას აბსოლუტურად, ასეთი შეთანხმება დაუშვებელია.⁸⁹³ უარი შესაგებლის გამოყენებაზე აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას და უარის ვადის დასრულების შემდეგ, ხანდაზმულობა კვლავ აგრძელებს დენას.⁸⁹⁴

ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე გერმანიაში ასეთი შეთანხმება დაიშვებოდა მხოლოდ უკვე ხანდაზმულ მოთხოვნებზე.⁸⁹⁵ დღეს მოვალის უარი შესაგებლის გამოყენებაზე უარის თქმა დაიშვება როგორც ხანდაზმულობის დადგომამდე, ასევე შემდეგაც. უარის თქმა ცალმხრივია და შეიძლება გამოიხატოს პირდაპირ ან კონკლუდენტურად, მიუხედავად იმისა, უკვე დადგა ხანდაზმულობა თუ არა.⁸⁹⁶ აუცილებელია, დადგენილი იყოს უარის მოქმედების ვადა და იგი არ უნდა აღემატებოდეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 202 II მუხლით დადგენილ ზღვრულ ვადას –

⁸⁹⁰ იქვე, Rn 15.

⁸⁹¹ იქვე.

⁸⁹² ე.წ. “waiver”, შეად. *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 154.

⁸⁹³ Palandt/Heinrichs, BGB, 66. Aufl. 2007, §202 Rn 7.

⁸⁹⁴ MüKomm BGB, Grothe §202 Rn 14.

⁸⁹⁵ იქვე.

⁸⁹⁶ MüKomm BGB, Grothe §202 Rn 13.

30 წელს.⁸⁹⁷ ასეთი ვადის შეზღუდვა არ ვრცელდება უკვე ხანდაზმული მოთხოვნის შესაგებლის გამოყენებაზე უარის თქმაზე, რადგან მოვალე აღარ არის დაცვის ღირსი.⁸⁹⁸

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2220 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის შესაგებელზე უარის თქმა წინასწარ არ შეიძლება, უარის თქმა დაშვებულია მხოლოდ უკვე ხანდაზმულ მოთხოვნებზე. ინგლისის სამართალში ხელშეკრულებით თავისუფლად დაიშვება ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე უარის დათქმა.⁸⁹⁹

შესაგებლის გამოყენებაზე უარის თქმა სამართლებრივ დოქტრინაში შედარებულია ვალის არსებობის აღიარებასთან.⁹⁰⁰ რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით ვალის აღიარება საჭიროებს მოვალის განცხადებას, რომ იცის ვალდებულების არსებობის შესახებ. განმასხვავებელი ნიშანია, რომ ხანდაზმულობის შესაგებელზე უარის თქმით ვალდებული პირი არ აღიარებს მოთხოვნის არსებობას, ის მხოლოდ უარს ამბობს მოთხოვნის ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა რეალურად მოთხოვნა, მის მიერ არ ხდება ვალის აღიარება.⁹⁰¹ უარის მიზეზს არ აქვს მნიშვნელობა. უარის თქმის პერიოდის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობა იმ პერიოდიდან გრძელდება, როცა იგი შეჩერდა უარის თქმის გამო.⁹⁰²

ქვეყნები, სადაც აკრძალულია შეთანხმება ხანდაზმულობის ვადების მოდიფიცირებაზე, ასევე არ აღიარებენ ცალმხრივ უარს ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე.⁹⁰³

⁸⁹⁷ იქვე.

⁸⁹⁸ იქვე.

⁸⁹⁹ Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark, Schweizerisches Institut für Rechtsentwicklung 2011, 34.

⁹⁰⁰ MüKommBGB/Grothe § 202 Rn 14.

⁹⁰¹ იქვე, Rn 13.

⁹⁰² იქვე.

⁹⁰³ *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 155.

ქართულ სამართლებრივ რეალობაში, ხანდაზმულობაზე უარის თქმის თაობაზე მხარეთა შეთანხმება შესაძლოა სსკ-ის 146-ე მუხლზე დაყრდნობით, შეფასდეს კანონსაწინააღმდეგო გარიგებად, ან, კონკრეტული გარიგების შინაარსის გათვალისწინებით, ის ვალის არსებობის აღიარებად და შესაბამისად, ძალმოსილად დაკვალიფიცირდეს.

მხარის უარი ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე, არ იწვევს ხანდაზმულობის ვადების და მისი გამოთვლის წესების ცვლილებას. მხარე ცალმხრივად იღებს ვალდებულებას და იზღუდავს უფლებას, არ გამოიყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი გარკვეული პერიოდის მანძილზე. ხანდაზმულობის მოწესრიგების მიზნებთან წინააღმდეგობრივია მხოლოდ ისეთი შეთანხმება, რომელიც უვალოდ გამორიცხავს შესაგებლის გამოყენებას.

11.5. დისპოზიციური მოწესრიგების უპირატესობა

ხანდაზმულობის მოწესრიგებისას კანონმდებელი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას – მის მიერ დაწესებული ვადები გონივრული და სამართლიანი უნდა იყოს.⁹⁰⁴

სავინი ხანდაზმულობას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და სარგებლიან ინსტიტუტად მიიჩნევდა.⁹⁰⁵ ამასთან მისი აზრით, ხანდაზმულობის ხელშეკრულებით შეცვლა წინასწარ, დაუშვებელი და ბათილი იყო მის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის გამო.⁹⁰⁶ თუმცა ჯერ კიდევ მაშინ, სავინის ჰყავდა მოწინააღმდეგეები.⁹⁰⁷ გასაზიარებელია მოსაზრება, რომ კანონმდებლობით დადგენილი

⁹⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე №3/1/531, 05/11/2013, II-34 და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე მეტალინვესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმე №1/1/543, 29/01/2014, II 41.

⁹⁰⁵ *Savigny, Carl von*, System des heutigen Romischen Rechts, Band V (1841), 272: “Die Klagverjährung gehört unter die wichtigsten und wohlthätigsten Rechtsinstitute”.

⁹⁰⁶ *Savigny, Carl von*, System des heutigen Romischen Rechts, Band V (1841), 411.

⁹⁰⁷ *Savigny, Carl von*, System des heutigen Romischen Rechts, Band V (1841), 413.

ვადები ერთდროულად ზერეგულირებულაც არის და არასაკმარისად რეგულირებულაც.⁹⁰⁸ ის არასდროს იქნება მისი „მოწესრიგების მიღმა არსებული მოსაზრების იდეალური ანარეკლი“.⁹⁰⁹

გერმანიაში დისპოზიციური რეგულაციის დადებით მხარედ აფასებენ მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლების გაძლიერებას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფერისი ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის შესაძლებლობას.⁹¹⁰ მაგალითისთვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §548 მუხლის მიხედვით, გამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გაქირავებული ქონებისათვის მიყენებული ზიანის გამო მოთხოვნის უფლება აქვს ქონების დაბრუნებიდან ექვსი თვის განმავლობაში.⁹¹¹ კანონმდებელი ადგენს ვადას, თუმცა მხარეებს შეუძლიათ სხვაგვარი შეათანხმონ. აღნიშნული ნორმა იმ შემთხვევებისთვისაა, როცა ქირავნობის საგანია ოთახები ან საგნები და ადვილია დაზიანებების შემჩნევა მათი დაბრუნების შემდეგ.⁹¹² მიუხედავად ამისა, სხვადასხვა შემთხვევაში, ეს ვადა არასაკმარისია და სწორედ ამიტომ, მხარეები თავისუფალი არიან, შეათანხმონ და გაზარდონ ვადები გონივრულობის ფარგლებში.⁹¹³

კერძო სამართალი სამოქალაქო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად განიცდის ევოლუციას. გარკვეული შეზღუდვები კარგავენ აქტუალობას. გასაზიარებელია მოსაზრება, რომ ლიბერალიზმისა და დემოკრატიის ხარისხი ზემოქმედებს კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის სახელმწიფოს მიერ

⁹⁰⁸ *Gail L. Heriot*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 (1992), 937.

⁹⁰⁹ *Gail L. Heriot*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 (1992), 937.

⁹¹⁰ *Fuder, Amrei*, Verlängerung und Hemmung der kurzen mietrechtlichen Verjährungsfrist nach der Schuldrechtsmodernisierung NZM 2004, 851.

⁹¹¹ *Fuder, Amrei*, Verlängerung und Hemmung der kurzen mietrechtlichen Verjährungsfrist nach der Schuldrechtsmodernisierung NZM 2004, 852.

⁹¹² იქვე.

⁹¹³ იქვე.

მინიჭებულ თავისუფლების ფარგლებზე.⁹¹⁴ ეს განაპირობებს მიდგომათა ცვლილებას სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტების, მათ შორის, ხანდაზმულობის მიმართ.

სამართლიანობიდან და გონივრულობიდან გამომდინარე, მხარებს უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, სურვილისამებრ დაადგინონ მათი ურთიერთობის მომწესრიგებელი ვადები. ბრუნვის სტაბილურობის დრომოჭმული არგუმენტი არც ქართულ სამართალში იძლევა აბსოლუტური აკრძალვის გამართლებულ საფუძველს. თუ სავინის აზრი ხანდაზმულობის იმპერატიულობასთან მიმართებით გაბატონებული შეხედულება იყო მე-19 საუკუნეში, 21-ე საუკუნეში მას სულ უფრო ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ხანდაზმულობის ვადების მოდიფიცირების სახელშეკრულებო თავისუფლებით ამ ინსტიტუტის მიზნების და ფუნქციის შენარჩუნებას საფრთხე არ ემუქრება. შესაბამისად, როგორც ნებისმიერი იმპერატიული შეზღუდვა კერძო სამართალში, რომელსაც არ აქვს კონკრეტული ლეგიტიმური მიზანი და არ არის გამოწვეული აუცილებლობით, სსკ-ის 146-ე მუხლით დაწესებული შეზღუდვაც, გასაუქმებელია.

12. დასკვნა

კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ვადების არსებობა მიზანშეწონილია ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ასევე სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საფუძველებით, ასეთია მოვალის ინტერესების დაცვა როცა მოთხოვნის წარმოშობიდან გასულია ხანგრძლივი პერიოდი, სასამართლო ეკონომიურობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა და სხვ.

⁹¹⁴ შეად: *კერესელიძე დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 80-81.

დაცვის მიზნების ერთგვაროვნების მიუხედავად, ვადები განსხვავდება იმის მიხედვით, ისინი ზემოქმედებს მოთხოვნაზე თუ მხარის აღმჭურველ უფლებებზე, იწვევს ის მოთხოვნის განხორციელების დაბრკოლებას თუ უფლების გაქარწყლებას.

განსხვავებული სამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მოთხოვნის ხანდაზმულობის მარეგულირებელი ნორმები მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენება კერძო სამართალში არსებულ სხვა ტიპის ვადებთან მიმართებით, როგორცაა შეცილების ვადები.

მოთხოვნის ხანდაზმულობა საქართველოში მატერიალურ-სამართლებრივი ცნებაა და გასაზიარებელია შეხედულება, რომ ეს იდეა ფუნდამენტურად უფრო ახლოს დგას კერძო სამართალში მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების დამოუკიდებლად არსებობის თეორიასთან, ვიდრე ინგლისური დოქტრინა, რომელიც მას საპროცესო-სამართლებრივ ელემენტად მიიჩნევს.

დადებითი ნიშანია, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა და სამეცნიერო დოქტრინა უკანასკნელი წლების მანძილზე შედარებით გამდიდრდა ხანდაზმულობასთან დაკავშირებული განმარტებებით. ამან წერტილი დაუსვა ისეთი საკითხების თაობაზე არსებულ ბუნდოვანებას, როგორცაა ხანდაზმულობისა და გამომრიცხავი ვადების აღრევა, სასამართლოს პასიური როლის დამკვიდრება მხარის მიერ ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენებისას, ზემდგომ ინსტანციაში ხანდაზმულობაზე მითითების დაუშვებლობა საპატიო მიზეზის არ არსებობისას და სხვ. უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში⁹¹⁵ აღიარა ზოგადი პრინციპი, რომ განსხვავებით მოთხოვნის ხანდაზმულობისგან, მხარის მიერ შეცილების ვადაში განხორციელების შემოწმება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, მხარე დაიცავს თუ არა თავს ამ შესაგებელით. ეს მისასალმებელი განმარტებაა, ვინაიდან შეცილების ვადის დაუცველობა აღმჭურველი უფლების გაქარწყლებას იწვევს და მისი ვადის შეუმოწმებლობით,

⁹¹⁵ შეად.: სუსგ №ას-1134-2018, 29/07/2019, პუნქტი 1.4; სუსგ №ას-1215-2018, 29/03/2019, პუნქტები 142 და 300.

სასამართლოს მიერ მხარის ისეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფრთხე იქმნებოდა, რომლის საფუძვლად მითითებული უფლება, გაქარწყლებულია და აღარ არსებობს. ამ განმარტების არსებობის მიუხედავად, დავა, სადაც სასამართლო თავად განახორციელებდა შეცილების ვადის დაცვის შემოწმებას მხარის მითითების გარეშე, ჯერ არ გამხდარა⁹¹⁶ უზენაესი სასამართლოს არსებითი მსჯელობის საგანი. ამგვარ პრაქტიკას სამომავლოდ დადებითი ზეგავლენა ექნება ქართული სამართლის განვითარებაზე.

პრობლემურ საკითხად რჩება შეცილების ვადის დენის დასაწყისის განსაზღვრა მუქართ დადებული გარიგებებისას. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის 89-ე მუხლი ვადის დასაწყისს პირდაპირ უკავშირებს მუქარის დასრულების მომენტს, სასამართლო პრაქტიკაში დაგროვდა განმარტებები, რომლებიც ეწინააღმდეგება მოცემული ნორმის მიზანსა და შინაარსს. მხარისთვის ამ ნორმის საფუძველზე შეცილების უფლების მინიჭების მიზანი უგუვებელყოფილია, როცა სასამართლო მუქარას დასრულებულად მიიჩნევს გარიგების დადების მომენტიდან.⁹¹⁷ ქართულ სამართალში გასაზიარებელია შედარებით სამართლებრივ დოქტრინასა და პრაქტიკაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ მუქარა დასრულებულად ითვლება გარიგების დადების საფუძვლად არსებული საფრთხის აღმოფხვრის ან მისი რეალიზებისთანავე. აღნიშნულის შეფასებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ადრესატის სუბიექტური აღქმის გათვალისწინებით. ამ მხრივ ორაზროვანი ინტერპრეტაციის მაგალითს ქმნის დიდი პალატის განმარტება⁹¹⁸, რომელიც მუქარის დასრულებას ერთი მხრივ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებს უკავშირებს, ხოლო მეორე მხრივ, შეცილებას განხორციელებულად მიიჩნევს 2008 წელს პროკურატურაში საჩივრის შეტანით, ჯერ კიდევ

⁹¹⁶ მხედველობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს საჯაროდ ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებები.

⁹¹⁷ შეად. სუსგ №ას-333-314-2014, 21/07/2014.

⁹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017.

მუქარის დასრულებამდე, რაც სამართლებრივად ალოგიკურია, რამდენადაც, ქრონოლოგიურად მუქარის დასრულებას მოსდევს შეცილება და არა პირიქით. შეცილების განხორციელება მეტყველებს, რომ ადრესატს მისი სუბიექტური აღქმით აღარ აქვს იმ მუქარის რეალური შიში, რის გამოც დადო გარიგება და მზად არის სადავო გახადოს მისი ნამდვილობა. დასახელებული წინააღმდეგობრიობა ერთგვაროვანი განმარტების ჩამოყალიბების აუცილებლობაზე და დიდი პალატის ამ შეფასების დაძლევის აუცილებლობაზე მეტყველებს.

ქართული სასამართლოების მიდგომა, რომლითაც ვადის დასაწყისის განუსაზღვრელობისას, ხანდაზმულობის ვადა აითვლება კრედიტორის მიერ მოვალის წინაშე მოთხოვნის დაყენების მომენტიდან, წინააღმდეგობაშია სამოქალაქო კანონმდებლობასთან და სასურველია პრაქტიკის შემდგომი კორექტირება, ვადის დასაწყისის ხელშეკრულების დადების თარიღთან, ან იმ დროსთან დაკავშირებით, რა მომენტიდანაც კრედიტორს შესაძლებლობა ჰქონდა, მოეთხოვა მოვალისგან შესრულება. სხვაგვარ შემთხვევაში, ხანდაზმულობა ხელოვნურად გრძელდება და მისი ვადის დენა მხოლოდ კრედიტორის ქმედებაზე ხდება დამოკიდებული. ქართული სასამართლოების პოზიცია შესაძლოა გერმანულ გამოცდილებას უკავშირდება, თუმცა გარდა იმისა, რომ თავად გერმანული მიდგომის მიზანშეწონილობაც სადავოა, სსკ-ის 131-ე მუხლის არსებობა ქართულ სამართალში განსხვავებულ სურათს იძლევა და სასამართლოს აღარ უნდა უტოვებდეს სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ნაშრომში შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მეწარმეთა შესახებ კანონის 9.4 მუხლის ნაწილობრივი გაუქმების შემდეგ კანონმდებლის მიერ ახალი შეცილების ვადის დაუწესებლობა, არ გულისხმობს ამგვარი გარიგების უსასრულოდ შეცილების შესაძლებლობას. საცილო გარიგების შეცილებისთვის გამოსაყენებელია I წლიანი ვადა სსკ-ის 84-ე მუხლის ანალოგიით.

ხანდაზმულობისა და ვარგისიანობის გარანტიის ვადების გამიჯვნის შედეგად ცხადია, რომ ნარდობის თუ ნასყიდობისას ნივთის ვარგისიანობის გარანტიის გაცემა, მხარეთა შორის გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას აყალიბებს ამ გარანტიის საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებთან მიმართებით. ამგვარად გარანტია, რომლის ვადა აღემატება კონკრეტული სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, კრედიტორისთვის პარალელური მოთხოვნის წარმოშობით, ხანდაზმულობის ვადის გვერდის ავლასაც იწვევს. მხარეთა მიერ ამ სამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენება ვადების მოდიფიცირების ერთ-ერთი ირიბი საშუალება შეიძლება იყოს ისეთ სამართლებრივ სისტემაში, სადაც ვადები აბსოლუტურად იმპერატიულია. ვარგისიანობის გარანტიის შეთანხმება, რომლის ვადა კონკრეტული სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადას აღემატება კანონიერია ქართულ სამართალშიც რაც ერთგვარი ილუსტრაციაა კანონმდებლობით ვადების მოდიფიცირების აკრძალვის არაეფექტურობის და უშედეგობისა.

მიზნების ერთგვაროვნების მიუხედავად, კერძო სამართლის ვადებსა და სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივ ვადებს ნაკლებად მოეპოვებათ გადაკვეთის წერტილი. ერთ სიბრტყეში მათი განხილვა შესაძლებელი ხდება მხოლოდ ვადებით მხარის უფლებების აბსოლუტური შეზღუდვის ლეგიტიმაციასთან მიმართებით. თუ მატერიალური კანონმდებლობა ნებისმიერ ვადასთან დაკავშირებით უშვებს მისი დენის შეჩერების საფუძველთა არსებობას, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს შემთხვევებს, როდესაც ვადის აღდგენა საპატიო მიზეზის მიუხედავად, დაუშვებელია. ასეთი მოწესრიგება არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს მიმართ კონსტიტუციურ გამოწვევას და არღვევს მხარის სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას, რის გამოც, რეკომენდირებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილების გზით, ნებისმიერი საპროცესო

ვადის აღდგენის შესაძლებლობის დაშვება, რაც უნდა დაეფუძნოს მხარის კონტროლს მიღმა არსებულ ობიექტურ მიზეზს.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შესაძლებლობა აბალანსებს ხანდაზმულობის, როგორც კრედიტორის მოთხოვნის უფლების შემზღვევადი ინსტიტუტის არსებობას. ქართულ სამართალში ეს ბალანსი ირღვევა ერთი მხრივ, მწირი საკანონმდებლო მოწესრიგების, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ ნორმათა ხისტად ვიწრო, სიტყვა-სიტყვითი განმარტების გამო. მართალია მისასაღმებელია ხანდაზმულობის შეჩერების დამატებით საფუძვლად მხარეთა მედიაციის შემოღება, თუმცა ამით არ ამოიწურება შემთხვევათა ის ჯგუფები, რომელთა გადაჭრასაც ემსახურება ხანდაზმულობის შეჩერების ინსტრუმენტი. ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია ერთი მხრივ, სასამართლოების მიერ შეჩერების კანონისმიერ საფუძველთა თელეოლოგიური ინტერპრეტაციით, რაც მის ფართო გამოყენებას გამოიწვევს, და მეორე მხრივ, კეთილსინდისიერების პრინციპის მეშვეობით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოვალემ ხელი შეუშალა კრედიტორს მოთხოვნის ვადაში განხორციელებაში, ან როდესაც შესაგებლის დაყენება ეწინააღმდეგება მხარის ქმედებას. ასეთია, მაგალითად, მოლაპარაკებების პროცესი.

არათანმიმდევრული და შესაბამისად ბუნდოვანი რჩება ქართული სასამართლოების მიდგომა ხანდაზმულობის შეწყვეტის ისეთ საფუძველთან მიმართებით, როგორცაა მისი შეწყვეტა სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მეტნაკლებად ცხადი განმარტებები ჰქონდა ხანდაზმულობის შეწყვეტის მიზნებისთვის ასეთი ორგანოს კომპეტენციის აუცილებლობის თაობაზე, დიდი პალატის 2017 წლის გადაწყვეტილებამ, სადაც სასამართლომ პროკურატურაში განცხადების შეტანა მოთხოვნის ხანდაზმულობის შეწყვეტის კანონისმიერ საფუძველად მიიჩნია, კვლავ წამოჭრა არაერთგვაროვანი განმარტებების საფრთხე.⁹¹⁹ მართალია,

⁹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02/03/2017.

სასამართლო ასაბუთებდა, რომ მხარის მიერ პროკურატურაში განცხადების შეტანისას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული იყო პროკურატურის მეშვეობით სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობაც, თუმცა, სასამართლოს არ გამოუკვლევია არც მხარის მიერ პროკურატურაში წარდგენილი განცხადების ფორმატი და შინაარსი, არც პროკურატურის კომპეტენციის ფარგლები კონკრეტული ტიპის განცხადებასთან მიმართებით. სასამართლოს არც ის განუმარტავს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების და პროკურატურის კომპეტენციის გამორიცხვის შემდეგ, რა ბედი ეწია სამოქალაქო მოთხოვნას, რატომ არ იყო აუცილებელი დამოუკიდებელი სამოქალაქო სარჩელის აღძვრა განახლებული ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში და რატომ იყო გამართლებული მხარის 7 წლიანი უმოქმედობა მოპასუხის ტვირთად ქცეულიყო. დიდი პალატის ამ შეფასების პარალელურად, შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილებებში⁹²⁰, სასამართლო საკმაოდ მკაცრად იკვლევს რელევანტური სახელმწიფო ორგანოსადმი წარდგენილი განცხადების შინაარსს და უწყების კომპეტენციას, დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ეს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დიდი პალატის გადაწყვეტილებაში სასამართლოს მიერ გაჟღერებული პოზიცია უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი და სასამართლოები უფრო მკაცრად, მათ შორის, დეტალურად აფასებენ სახელმწიფო ორგანოსადმი მიმართვის გზით ხანდაზმულობის შეწყვეტის საკითხს.

ქართული სასამართლოების არაერთგვაროვანი განმარტებები, რომელმაც მართალია უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკის სახე მიიღო, წარმოაჩენს შრომის კოდექსიდან გამომდინარე დასაქმებულის მიერ გათავისუფლების ბრძანების ბათილობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნებისთვის უფრო ხანგრძლივი ვადის შემოღების მიზანშეწონილობას. ერთი მხრივ, შემდგომში კონკრეტული საქმის გარემოებებიდან თუ სამართლებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე,

⁹²⁰ შუად. მაგალითად სუსგ №ას-1345-2018, 15/03/2019.

განმარტებათა და მიდგომათა ცვლილების თავიდან აცილებისთვის, მეორე მხრივ, დასაქმებულისთვის უფრო გონივრული გასაჩივრების ვადის მინიჭებისთვის.

კვლევამ წარმოაჩინა თუ რა მნიშვნელოვანია ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციისას ყურადღების გამახვილება ვადებზე და ამ გზით კონკურენციის საკითხის გადაჭრაზე, რაც უსამართლო შედეგებისგან დაიცავს მხარეებს. მაგალითისთვის, სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ შესაფარდებელ მოთხოვნის საფუძველთა სიმრავლისას, შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს საცილო გარიგების შეცვლების ვადით დაცული სიკეთე. ალტერნატიული კონკურენციის დაშვებით იქ, სადაც კანონმდებელმა სპეციალურად დააწესა ხანდაზმულობის ხანმოკლე ვადა ან აღმჭურველი უფლების განხორციელება დაუკავშირა შეცვლების კონკრეტულ ვადას, შესაძლოა შეიქმნას მთლიანად ნორმით დაცული სამართლებრივი ინსტიტუტის უგულებელყოფის საფრთხე.

ამავდროულად, ხანდაზმულობის განსხვავებული ვადების არსებობა გამომრიცხავი კონკურენციის დადგენის აბსოლუტური წინაპირობა არ არის. კონკურენციის საკითხის გადაჭრისას მნიშვნელოვანია მოთხოვნის კონკურირებულ დამფუძნებელ ნორმათა და მათი ხანდაზმულობის ვადებით დაცული სიკეთეთა გაანალიზება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, რაც გამორიცხავს რომელიმე მოთხოვნის საფუძვლისთვის შინაარსის გამოცლას და უფუნქციოდ ქცევას.

ხანდაზმულობის ვადებზე კეთილსინდისიერების პრინციპით ნაკარნახევი ზემოქმედება ცხადყოფს, რომ ვადებს გაცილებით მეტი დატვირთვა აქვს, ვიდრე ამა თუ იმ უფლების ან მოთხოვნის დროის გარკვეულ პერიოდში მოქცევაა. ვადებმა შექმნა კეთილსინდისიერების პრინციპის პრაქტიკაში დაკონკრეტების მაგალითები როგორც კონტინენტურ, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართლის სისტემათა პრეცედენტულ სამართალში.

იმას, რომ კანონით დადგენილი ვადაც კი, შესაძლოა არ იყოს და ვერც იქნება იდეალური ხანდაზმულობის ვადა, მოწმობს

ხანდაზმულობის გარშემო განვითარებული ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორცაა ხანდაზმულობის შესაგებელის დაყენების აკრძალვა კეთილსინდისიერების დარღვევის გამო (estoppel), და მეორე მხრივ, ჯერ კიდევ განხორციელებადი მოთხოვნის რეალიზების შესაძლებლობის მოსპობა მისი გაქარწყლების გზით laches ან verwirkung –ის მეშვეობით. კეთილსინდისიერების პრინციპს დაფუძნებული ეს ინსტიტუტები ნათელყოფს, რომ შეუძლებელია კანონმდებელმა ყველა კონკრეტული შემთხვევისთვის დაადგინოს ზომიერი და გონივრული ვადა. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაში დაყენება ყოველთვის არ ნიშნავს მის განხორციელებადობას და პირიქით, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, მხარეს შესაძლოა მიეცეს მისი რეალიზაციის უფლება, მოვალისთვის შესაგებელის დაყენების აკრძალვით. ამდენად, ვადების შედეგების კორექტირება შესაძლებელია კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგად ნათელია, რომ მხარეთა ნების ავტონომიურობის აბსოლუტური შეზღუდვა ხანდაზმულობის ვადების მოდიფიცირების აკრძალვით არ არის აუცილებელი და გამართლებული უფლების ბოროტად გამოყენების აღბათობის არსებობით.

სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს ხანდაზმულობის როგორც მკაცრად იმპერატიული, ასევე ნაკლებად იმპერატიული, ან დისპოზიციური მოწესრიგება. ეს ცხადყოფს, რომ მისი აბსოლუტური იმპერატიულობა არ არის აუცილებელი ხანდაზმულობის ინსტიტუტით დაცული სიკეთის რეალიზებისა და მისი მიზნების განხორციელებისათვის. არ არსებობს ლოგიკური დასაბუთება იმისა, თუ რა ზიანი მიადგება საჯარო ინტერესს იმით, თუ მოთხოვნის ხანდაზმულობა 3 წლის ნაცვლად 4 წელში დადგება.⁹²¹

⁹²¹ *Zimmermann, Reinhard*, Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004, 165.

სსკ-ის 146-ე მუხლის ამკრძალავი დანაწესიდან გამომდინარე, ქართველ მოსამართლეს აღარ რჩება დისკრეცია, დასაშვებად სცნოს მხარეთა შეთანხმება ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადაზე. შესაბამისად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებით იმპერატიული აკრძალვის გაუქმება. გასაზიარებელია მიდგომა, რომ ხანდაზმულობის ვადის ცვლილება შეიზღუდოს კონკრეტულ სფეროებში, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შინაარსობრივ კონტროლს დაქვემდებარებულ გარიგებებში, როგორცაა მაგალითად მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებები, შრომითი ურთიერთობები. სხვა შემთხვევებში, შესაძლოა დაწესდეს მინიმალური და მაქსიმალური ზღვარი, რის ფარგლებშიც მხარეებს შეეძლება ვადის მოდიფიცირება. ხანდაზმულობის დისპოზიციური მოწესრიგებით ქართული კანონმდებლობა დაუახლოვდება უნიფიცირებულ სამართალს და ამავდროულად დემოკრატიულობის უფრო მაღალ სტანდარტს დააწესებს.

ბიბლიოგრაფია

i. გამოყენებული ლიტერატურა

- Asam, Herbert Verjährung Kaufverträglicher Ansprüche im Italienischen Recht, RIW, 1992, Heft 10;
- Beck'scher Bürgerliches Gesetzbuch, hrsg: Bamberger/Roth, ed.8, Online-Kommentar 01.02.2007;
- Bucher, Eugen Verjährung: gute Schritte in guter Richtung, Bemerkungen aus Anlass von BGE 132 III 226–24(4C.296/2005), Recht, Heft 4, 2006;
- Bisle, Michael Gewährleistungs- und Garantieklauseln in Unternehmenskaufverträgen (DStR 2013, 364);
- Boele-Woelki, Katharina The limitation of rights and actions in the international sale of goods 4 Unif. L. Rev. n.s. 621 1999;
- Bernau, Falk Die Rechtsprechung des BGH zur Wiedereinsetzung in den vorigen Stand (NJW 2014, 2007) 2008;
- Beatson, Jack / Friedman, Daniel Introduction: From 'Classical' to Modern Contract Law in Good Faith and Fault in Contract Law, ed. Beatson/Friedman, pub. Date 1997, Oxford Scholarship Online 2012;
- Brox/Walker Allgemeines Schuldrecht, 32 Aufl. 2007 München, Verlag C.H. Beck;
- Forsyth, Christopher Mind the Gap: A practical example of the characterization of Prescription/limitation Rules, 2 J. Priv. Int'l L. 169 2006;
- Cooke, Elizabeth The Modern Law of Estoppel, pub. Date 2000, Oxford Scholarship Online, 2010;
- Dawson, John. P Estoppel and statutes of limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936;
- Durnford, John W Some Aspects of the Suspension and of the Starting Point of Prescription, Heinonline, 13 R.J.T. o.s. 245, 1963;
- Ebke, F Werner / Steinhauer, M Bettina The Doctrine of Good Faith in German Contract Law in Good Faith and Fault in Contract Law, ed. Beatson/Friedman, pub. Date 1997 Oxford Scholarship Online 2012;

- Edgar H Ailes Limitation of actions and the conflict of laws, 31 Mich. L. Rev. 474 1932-1933;
- Ehmann, Horst Garantie oder Verschuldenshaftung bei Nichterfüllung und Schlechtleistung? In Festschrift für Claus-Wilhelm Canaris zum 70. Geburtstag, 1. Auflage, Verlag C.H. Beck, München 2007;
- Felemegas, John Comparative Editorial Remarks on the Concept of Good Faith in the CISG and the PECL, 13 Pace Int'l L. Rev. 399 (2001);
- Feldmann,
Börries von
Fuder, Amrei die Gleichartigkeit der Forderungen, die Aufrechnung im BGB und im Steuerrecht DStR 1991, 222;
Verlängerung und Hemmung der kurzen mietrechtlichen Verjährungsfrist nach der Schuldrechtsmodernisierung, NZM 2004, 851;
- Guckelberger,
Annette die Verjährung im Öffentlichen Recht, Mohr Siebeck, Thübingen, 2004;
- Gauch, Peter Verjährungsunsicherheit Ein Beitrag zur Verjährung privatrechtlicher Forderungen, Festschrift für Erwin Murer zum 65. Geburtstag, Bern 2010;
- Grothe, Helmut Anmerkung Zur Zulässigkeit von
Verjährungsvereinbarungen, insbesondere 40 Jahre Garantie, LMK 2008, 269-604;
- Grützner/Schmidl Verjährungsbeginn bei Garantieansprüchen NJW 2007, 3610;
- Gail, L Heriot A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 1992;
- Heinrichs, Helmut Reform des Verjährungsrechts? NJW 1982, 2021;
- Handford, Peter A New Limitation Act for the 21st Century, 2006-2007;
- Hermisson,
Vollrath Richterlicher Hinweis auf Einrede- und
Gestaltungsmöglichkeiten, NJW 1985, 2558;
- Hellwege, Phillip Precluding the statute of Limitations? How to deal with nazi-looted art after cornelius gurlitt, southwestern journal of international law, Vol. 22, 106-155;
- Jacobson, Herbert Notes on the Independent Life of Statutes of Limitation, 2011 Freilaw: Freiburg L. Students J. 1 (2011);

- Janke, Benjamin West/
Licari, François-Xavier The French Revision of Prescription: A Model for Louisiana? *Tulane Law Review*, Volume 85, No. 1, 2010;
- Janke, Benjamin West/
Licari, François-Xavier *Contra Non Valentem in France and Louisiana: Revealing the Parenthood, Breaking a Myth*, *Louisiana Law Review*, Vol. 71, No. 2, 503-540, February 2011;
- Jackson, David The legal effects of the passing of time Heinonline 7 *Melb. U. L. Rev.* 407, 1969-1970;
- Krauskopf, Frédéric Wir haben ein neues Verjährungsrecht! Darstellung der neuen Gesetzesnormen mit Anmerkungen, in: *Jusletter 2 juillet 2018*;
- Märki, Raphael der Lauf der Verjährung bei Mediation und sonstigen außergerichtlichen Streitlösungsmodellen, *NJ*, 3-2010;
- Klose, Bernhard Reliance, Promissory Estoppel and Culpa in Contrahendo: A comparative analysis, 10 *Tel Aviv U. Stud. L.* 279 1990;
- Köhler, Lorenz Vom bleibenden Wert des Eigentums nach der Verjährung des Herausgabeanspruchs *NJW* 2015, 1041;
- Kröger, Sebastian Die Wirkung des § 215 BGB im Falle der Verwandlung der Hauptforderung in einen Zahlungsanspruch bei verjährter Gegenforderung, in: Knops KO., Bamberger H., Hölzle G. (eds) *Zivilrecht im Wandel*. Springer, Berlin, Heidelberg, 2015;
- Lieder, Illhard Grenzen der Aufrechnung *JA* 2010, 769;
- Lange, Hans-Friedrich Wiedereinsetzung in den vorigen Stand und Verfassungsrecht (DStR 2000, 1145) 1148;
- McDonald, Patrick Contradictory government action: estoppel of statutory authorities, 17 *Osgoode Hall L. J.* 160 1979;
- Mansel, Heinz-Peter Die Neuregelung des Verjährungsrechts, *NJW* 2002, 90;
- Meller-Hannich, Caroline Die Einrede der Verjährung, *JuristenZeitung* 60. Jahrg., Nr. 13 (1. Juli 2005);
- Musielak/Grandel ZPO beck-online, 8. Auflage 2011;
- Mullany, Nicholas J Limitation of Actions and Latent Damage – An Australian Perspective, 54 *Mod. L. Rev.* 216 (1991);
- Palandt Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 66. Aufl. 2007 Verlag C.H. Beck;

- Palmer, V. Vernon The many guises of equity in a mixed jurisdiction: a functional view of equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995;
- Pusztahelyi, Rdka the time limits for enforcing claims and exercising rights: Preclusive terms and Periods of Limitation in the Light of the Proposal of the new Hungarian Civil Code, Zbornik radova Pravnog fakulteta Novi Sad, 2012;
- Prütting/Wegen/ Weinreich BGB Kommentar, 14. Aufl. Verlag Luchterhand, 2019
- Rabe, Dieter Verjährungshemmung nur bei Klage des Berechtigten? NJW 2006, 3089;
- Rodner, James Unilateral setoff and the principles of Unidroit, in Liber Amicorum en l'honneur de Serge Lazareff 545 (L. Levy and Y. Derains eds., Pedone, 2011);
- Riesenhuber, Karl Europaisches Vertragsrecht, 2. Aufl. Berlin, 2006;
- Rüthers/Stadler Allgemeiner Teil des BGB, 13. Aufl., Verlag C.H Beck;
- Savigny, Carl von System des heutigen Romischen Rechts, Band V (1841);
- Storme, Matthias E Extinctive Prescription in Belgian private law – old questions and recent developments;
- Snyder, V. David Promissory Estoppel, the Civil Law and the mixed Jurisdiction, 15 Ariz. J. Int'l & Comp. L. 695 1998;
- Schlechtriem, Peter Good Faith in German Law and in International Uniform Laws, Roma, 1997;
- Thayer, James B Magdalene Schoch & Gordon Ireland, Effect of a State of War upon Statutes of Limitation or Prescription, 17 Tul. L. Rev. 416 (1942-1943), Bluebook 20th ed;
- Triggiano, Annalisa Short remarks on extinctive prescription in legal history, 10 US-China L. Rev. 35 2013;
- Vaquer, Antoni Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006;
- Weller, Matthias Beiträge der Rechtswissenschaften zur Aufarbeitung NS-Unrechts, BRJ 02/2019, 145-149.
- Walker, Sam Forum shopping for stale claims, statutes of limitations and conflict of laws, Acron L. Rev. 1989;
- Zimmermann, Reinhard Good faith in European Contract Law, Cambridge University Press, 2000;

Whittacker,

Simon

Zimmermann,

Reinhard

Zimmermann,

Reinhard

Zimmermann,

Reinhard

ბიოლინგ,

ჰაინრიხ

ლუტრინგჰაუს,

პიტერ

კერესელიძე,

დავით

კერესელიძე,

დავით

კროპჰოლერი,

იან

სამოქალაქო

კოდექსის

კომენტარები,

წიგნი I

სამოქალაქო

კოდექსის

კომენტარები,

წიგნი II

სამოქალაქო

კოდექსის

კომენტარები,

წიგნი III

ციპელიუსი,

რაინჰარდ

ჩაჩავა, სოფიო

Unjustified Enrichment: The Modern Civilian Approach, 15 Oxford J. Legal Stud. 403 1995;

German Law of obligations: historical and comparative perspectives, pub. Date 2005, Oxford Scholarship online 2012;

Comparative Foundations of the European Law of set-off and prescription, Cambridge University press, 2004;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, გამომცემლობა ჯგუფი „სიესტა“ GIZ;

კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009;

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-1, 2004;

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2014;

ჭანტურია რედ. 2017;

ჭანტურია რედ. 2018;

ჭანტურია რედ. 2019;

იურიდიული მეთოდების მოძღვრება, beck-ის გამომცემლობა, მიუნხენი 2006;

მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო

- ნაშრომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი, 2010;
- ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011;
- ლადო
- ჰაგენლოხ, რამდენიმე მოთხოვნის უფლების საფუძვლის ურთიერთმიმართება, (ე.წ. მოთხოვნის უფლებათა კონკურენცია) გერმანულ სამოქალაქო სამართალში, GIZ Comparative Legal Studies 2019;
- ულრიხ

ii. გამოყენებული სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

- ECHR Stubbings and others v the United Kingdom Application no. 22083/93; 22095/93;
- ECHR the Ashingdane v. the United Kingdom, Series A no. 93;
- ECHR the Bellet v. France judgment Series A no. 333-B;
- ECHR Hadjianastassiou v Greece 16 December 1992, Application No. 12945/87;
- ECHR Jodko v. Lithuania 7 September 1999, Application no. 39350/98;
- ECHR Giorgi Akhvlediani and others against Georgia Application no. 22026/10, 09/04/2013;
- ECHR Marc Brauer gegen Deutschland, Urteil vom 01.09.2016, Beschwerde Nr. 24062/13;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

- საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/3/161, 30/04/2003;
- სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/466, 06/07/2010;
- მეტალინვესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმე №1/1/543, 29/01/2014
- ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქმე №3/1/531, 05/11/2013;
- საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/2/558, 27/02/2014;
- საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/574, 23/05/2014;

საქართველოს მოქალაქე ქეთევან დოლიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/2/823, 09/02/2017;

საქართველოს უზენაესი სასამართლო:

№ას-490-771-04, 22/07/2004;
№ას-829-1080-04, 18/05/2005;
№ას-438-726-05. 07/10/2005;
№ას-245-580-05, 23/12/2005;
№ას-203-530-09, 07/05/2009;
№ას-30-367-09, 23/07/2009;
№ ას-626-587-2010 27/09/2010.
№ას-586-551-2010, 11/11/2010;
№ას-877-825-2010, 28/12/2010;
№ას-211-198-2011, 14/04/2011;
№ას-886-929-2011, 23/09/2011;
№ას-1010-1041-2011, 26/09/2011;
№ ას-146-140-2012, 12/07/2012;
№ას-404-383-2012, 07/05/2012;
№ას-581-549-2011, 05/09/2012;
№ას-1362-1285-2012, 19/11/2012;
№ას-1385-1307-2012, 07/02/2013;
№ას-1586-1489-2012, 22/04/2013;
№ას-495-471-2013, 17/05/2013;
№ას-1432-1351-2012, 20/05/2013;
№ას-392-371-2013, 08/11/2013;
№ას-1485-1401-2012, 11/11/2013;
№ას-641-609-2013 02/12/2013;
№ას-826-784-2013, 09/12/2013;
№ას-1227-1168-2014, 19/02/2014;
№ას-1118-1065-2013, 02/06/2014.
№ას-333-314-2014, 21/07/2014
№ ას-991-935-2015, 22/02/2015.
№ას-868-830-2014, 19/03/2015;
№ას-656-623-2014, 30/04/2015;
№1338-1376-2014, 29/05/2015;
№ას-229-216-2015, 08/06/2015.
№ას-688-654-2015, 21/07/2015;

№ას-1301-1239-2014, 23/07/2015;
№ას-748-708-2015, 19/08/2015,
№ას-692-662-2014, 24/09/2015,
№ას-708-674-2015, 28/09/2015;
№ას-634-600-2015, 30/09/2015;
№ას-425-405-2015, 30/10/2015;
№ას-528-501-2015, 04/11/2015;
№ას-570-541-2015, 11/11/2015;
№ას-549-521-2015, 18/11/2015;
№ას-1020-963-2015, 25/11/2015;
№ას-265-253-2015, 24/12/2015;
№ას-1170-1100-2015, 25/12/2015.
№ას-225-215-2016, 25/05/2016;
№ას-278-264-2016, 17/06/2016;
№ას-941-891-2015, 29/01/2016;
№ას-15-15-2016, 01/03/2016;
№ას-225-215-2016, 25/05/2016;
№ას-1224-1149-2015, 20/05/2016;
№ას-278-264-2016 17/06/2016;
№ას-42-42-2016 28/06/2016;
№ას-469-450-2016, 29/06/2016;
№ას-863-830-2016, 05/01/2017;
№ას747-715-2016, 20/01/2017;
№ას-664-635-2016, 02/03/2017;
№ას-1169-1124-2016, 10/03/2017;
№ას-224-213-2017, 28/04/2017
№ას-212-201-2017, 15/05/2017
№ას-548-511-2017, 31/07/2017;
№ას-690-644-2017, 31/07/2017;
№ას-1170-1125-2016, 13/07/2017;
№ას-1003-924-2017, 01/12/2017;
№ას-1144-1064-2017, 08/01/2018;
№ას-1238-1158-2017, 18/04/2018;
№ას-120-120-2018, 20/04/2018;
№ას-58-58-2018, 30/04/2018;
№ას-111-111-2018, 11/05/2018,
№ას-667-667-2018, 28/06/2018;

№ას-271-271-2018, 13/07/2018
№ას-409-382-2017, 19/07/2018;
№ას-1217-2018, 13/12/2018;
№ას-1230-2018, 14/12/2018;
№ას-1428-2018, 27/12/2018;
№ას-1230-2018, 14/12/2018;
№ას-1348-2018, 06/02/2019;
№ას-1210-2018 15/02/2019;
№ას-1345-2018, 15/03/2019.
№ას-1281-2018, 27/03/2019,
№ას-1215-2018, 29/03/2019;
№ას-1322-2018, 04/04/2019;
№ას-1344-2018, 05/04/2019;
№ას-963-898-2017, 03/05/2019;
№ას-273-2019, 24/05/2019;
№ას-796-2019, 04/07/2019;
№ას-497-2019, 05/07/2019;
№ას-1134-2018, 29/07/2019;
№ას-462-2019 31/07/2019;
№ას-1054-2019, 30/09/2019;
№ას-1049-2019, 18/10/2019;
№ას-1191-2019, 04/12/2019;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007;
საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011;
სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკა რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2011;
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა შრომის სამართალში 2012-2016;

თბილისის სააპელაციო სასამართლო:

№ 28/4454-10, 3/05/2011;
№ 28/2202-14, 9/09/2014;
№ 28/6800-13, 7/10/2014;
№28/4587-14, 17/11/2014;
№28/4400-14, 17/02/2015;

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო:

BVerfGE 69, 381, 385; 85, 337, 345; 10, 264, 268;
NJW 1986, 244; 1999, 3701; 2001, 3473; 2004, 2583;

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო:

BGH ZR 35/57, 30/01/1958; VII ZR 148/67, 15/12/1969; V ZR 122/64
16/06/1967; VII ZR 144/14, 5/11/2015; VII ZR 148/67, 15/12/1969; V
ZR 75/78, 11/05/1979; V ZR 29/96, 26/09/1997; XII ZR 227/94,
22/11/1995; VI ZR 99/85, 08/07/1986; I ZR 61/52, 03/02/1953; II ZR
53/57, 19/05/1958; III ZR 32/59, 09/05/1960; IX ZR 24/82, 07/04/1983;
IVb ZR 7/84, 06/03/1985; III ZR 36/84, 13/02/1985; IX ZR 271/90,
05/12/1991; X ZR 73/95, 05/06/1997; X ZR 10/04, 01/02/2005; Xa ZR
141/07, 26/02/2009; III ZR 93/77, 21/12/1978; II ZR 15/56,
27/06/1957; IVa ZR 153/83, 22/05/1985; IX ZR 271/90, 05/12/1991; X
ZR 73/95, 05/06/1997; 2 AZR 711/87, 20/05/1998; VII ZR 216/02,
08/05/2003; I ZR 221/05, 26/06/2008; VII ZR 148/67, 15/12/1969; III
ZR 56/10, 09/12/2010; VI ZR 15/74, 20/01/1976; XI ZR 248/03,
14/09/2004; II ZR 352/02, 18/10/2004; IX ZR 65/87, 21/01/1988; IX
ZR 202/86, 01/10/1987; IX ZR 180/96, 18/12/1997; BGH VI ZR 15/74,
20/01/1976; VII ZR-165/0, 11/05/2007; VII ZR 171/70; VII ZR
148/6715/12/1969; V ZR 29/96, 26/09/1997; X ZR 18/96, 03/02/1998;
I ZR 91/92, 09/06/1994; I ZR 221/05, 26/06/2008; II ZR 35/57,
30/01/1958; VIII ZR 10/74, 24/05/1976.
NJW 16, 52; 1998, 302; 2000, 1186; 2002, 2774; 1998, 302; 1998, 898; 2007,
1455; 2013, 1591; 95; 1428, 3315; 1993, 1655; 1965, 1021; 69, 604;
1995, 2361;
NJW-RR 1997, 516, 517;
RGZ 78,130,131; 60, 374; 90, 374; 158, 137, 140;
KG JR 1948, 83; SJZ 1947, 257;

გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო BverwG

BVerfG 2 C 14.05, 15/06/2006; 2 C 32.81, 25/11/1982; VI C 112.63,
26/01/1966;

გერმანიის ფედერალური შრომითი დაგების სასამართლო BAG

BAG 5 AZR 910/06, 07/11/2007; 5 AZR 572/04, 25/05/2005; 5 AZR 277/14
27/01/2016; 1 A. 9 AZR 80/17, 17/10/2017; 2 AZR 297/01, 07/11/2002;
NJW 1975, 232;

გერმანიის მიწების სასამართლო, OLG, LG

LG Berlin 1 O 60/11, 05.07.2012;
LG München 29 U 3193/07, 17/01/2008;
OLG Nürnberg Az. 5 W 2508/07, 09/01/2008;
OLG Hamm NJW-RR 1995, 205;
OLG Köln VersR 1989, 642;
LAG Köln 13 (3) Sa 2/03, 03/07/2003;

აშშ-ს ფედერაციული და შტატის სასამართლოები

Kenyon v. United Electric Rys., 51 R. 1. 9 o, I51 A. 5 (1930);
General Motors Corp. v. Superior Court, 65 Cal.2d 88, 1966;

კანადის უზენაესი სასამართლო

Home Insurance Co. of New York v. Victoria Montreal Fire Insurance Co., (1907)
A.C. 59;

ინგლისის სასამართლო

Atlantic Shipping & Trading Co. v. Louis Dreyfus & Co., (1922);

iii. კანონის განმარტებითი ბარათები და საკონსულტაციო დოკუმენტები

Deutscher Bundestag Drucksache 14/6040, 14/05/2001;
Deutscher Bundestag, Drucksache 14/7052, 09/10/2001;
Consultation Paper of the Law Commission 1998 to Limitation Act 1980,
(LCCP151);
Reforming the French Law of Obligations, Comparative Reflections on the Avant-
projet de réforme du droit des obligations et de la prescription ('the Avant-projet
Catala') edited by John Cartwright, Stefan Vogenauer and Simon Whittaker
Oxford and Portland, Oregon 2009;

Gutachten zum Recht der Verjährung in Deutschland, Frankreich, England und Danemark, Schweizerisches Institut für Rechtsentwicklung 2011;
Obligationenrecht, Revision des Verjährungsrechts – Bericht zum Vorentwurf, Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement EJPD 2011;

iv. საერთაშორისო შეთანხმებები, უნიფიცირებული მოდელური კანონები და მათი განმარტებები

The Convention on the Limitation Period in the International Sale of Goods, UNCITRAL, New York, 14/06/1974;
PECL, Principles of European Contract Law;
Unidroit Principles of International Commercial Contracts 2010, edit. 2016;
Draft Common Frame of Reference, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law;
DCFR Outline edition, Study Group on a European Civil Code, Acquis Group, edit. by Christian von Bar, Eric Clive, Hans Schulte-Nölke, Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zoll, 2009;

v. გამოყენებული ნორმატიული აქტები

საქართველოს კონსტიტუცია;
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
საქართველოს შრომის კოდექსი;
საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ;
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ;
გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი;
იტალიის სამოქალაქო კოდექსი;
შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი.